

კრიმინოლოგი

CRIMINOLOGIST

1 (15)

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512-3804



საქართველო. თბილისი
GEORGIA. TBILISI
2020

კ რ ი მ ი ნ ო ლ ო გ ი

CRIMINOLOGIST

1(15) 2020

საერთაშორისო

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

INTERNATIONAL SCIENTIFIC- PRACTICAL JOURNAL

ჟურნალის ეს ნომერი გამოიცა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერით

This number of the magazine was published

with support of the Georgian National Academy of Science

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი

Georgian Academy of Criminology Sciences,
Institute of Study and Prediction of Crime

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
Law and Criminology Scientific Research Institute at Grigol Robakidze University

კრიმინოლოგი

CRIMINOLOGIST

1(15)

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

INTERNATIONAL SCIENTIFIC- PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512 – 3804

გამოდის 2007 წლიდან

Has been issued since 2007

ებღვნება

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას

„ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები“

Dedicated to the Second International Scientific Conference

“Current Issues of Victimology”

საქართველო, თბილისი

GEORGIA, TBILISI

2020



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები“

Georgian National Academy of Sciences
Georgian Academy of Criminology Sciences,
Law and Criminology Scientific Research Institute
at Grigol Robakidze University

Second International Scientific Conference
“Current issues of victimology”

თბილისი/Tbilisi
26 ივნისი/ June 2020

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღვა – მთავარი რედაქტორი
პროფესორი, დოქტორი მამუკა თავხელიძე
პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბაძაღვა – აღმასრულებელი რედაქტორი
მაგისტრი ცირა ჭანტურია
პროფესორი, დოქტორი რომან შენგელია
პროფესორი, დოქტორი რამაზ ბერიძე (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ჯემალ ჯანაშია
პროფესორი, დოქტორი მარინა კვაჭაძე
პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი (აშშ)
პროფესორი, დოქტორი გიორგი ლლონტი
პროფესორი, დოქტორი გიორგი თოდრია
პროფესორი, დოქტორი ოთარ გამყრელიძე
პროფესორი, დოქტორი ჯემალ გახოკიძე
პროფესორი, დოქტორი ნინო გვენეტაძე
პროფესორი, დოქტორი თემურ მურდულია
პროფესორი, დოქტორი ჯემალ გაბელია
პროფესორი, დოქტორი ირაკლი გაბისონია
პროფესორი, დოქტორი მიხეილ მამნიაშვილი
პროფესორი, დოქტორი გივი აბაშიძე
პროფესორი, დოქტორი ეკა ბესელია
პროფესორი, დოქტორი დავით გუგავა
დოქტორი ნანი ლომია
პროფესორი, დოქტორი სალომე კაპანაძე- პასუხისმგებელი მდივანი
პროფესორი, დოქტორი მიანჰუნ რო (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ჯი-სან ლი (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ვიტალი კვაშისი (რუსეთი)
აკადემიკოსი, პროფესორი, დოქტორი გიორგი კვეციტაძე
პროფესორი, დოქტორი მინდია უგრეხელიძე
პროფესორი, დოქტორი დავით სუჯაშვილი

© საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6. malkhaz_badzagua@yhaoo.com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხილეთ: www.gruni.edu.ge www.gacs.org.ge www.asc41.com

The Editorial Board:

Professor, Dr. Malkhaz Badzagua – Editor-in-chief
Professor, Dr. Mamuka Tavkhelidze
Professor, Dr. Mikheil Badzagua – Executive Editor
Master Tsira Chanturia
Professor, Dr. Roman Shengelia
Professor, Dr. Ramaz Beridze (USA)
Professor, Dr. Jemal Janashia
Professor, Dr. Marina Kvachadze
Professor, Dr. Chris Eskridge (USA)
Professor, Dr. George Glonti
Professor, Dr. George Tordia
Professor, Dr. Otar Gamkrelidze
Professor, Dr. Jemal Gakhokidze
Professor, Dr. Nino Gvenetadze
Professor, Dr. Temur Murgulia
Professor, Dr. Jemal Gabelia
Professor, Dr. Irakli Gabisonia
Professor, Dr. Mikheil Mamniashvili
Professor, Dr. Givi Abashidze
Professor, Dr. David Gugava
Professor, Dr. Eka Beselia
Dr. Nani Lomaia
Professor, Dr. Salome Kapanadze - Executive Secretary
Professor, Dr. Myunghoon Roh (USA)
Professor, Dr. Jae-Seung Lee (USA)
Professor, Dr. Vitaly Kvashis (Russia)
Academician, Professor, Dr. Giogri Kvesitadze
Professor, Dr. Mindia Ugrekhelidze
Professor, Dr. David Sujashvili

© Georgian Academy of Criminology Sciences, Institute of Study and Prediction of Crime

© Grigol Robakidze University

Editorial Office Address: Tbilisi, Jano Bagrationi St. №6. malkhaz_badzagua@yahoo.com

Journal online version see: www.gruni.edu.ge www.gacs.org.ge www.asc41.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ XV ნომრის გამოცემისათვის	9
მალხაზ ბაძალუა – ვიქტიმოლოგიის არსი და მნიშვნელობა.....	17
მინდია უგრეხელიძე - ვიქტიმოგენეზი	23
კრის ესკრიჯი – კრიმინოლოგიის როლი გლობალურ დონეზე.....	32
ვიტალი კვაშისი – ოჯახური ურთიერთობების სამართლებრივი დაცვა: სახელმწიფოს მხრიდან პირად ცხოვრებაში ჩარევის დაშვებადობის ფარგლები.....	52
დავით სუჯაშვილი – ვიქტიმოლოგიის პრობლემები საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში.....	62
ეკა ბესელია - COVID 19-ის პანდემიის ჭრილში პარლამენტის განსაკუთრებული როლი საგანგებო მდგომარეობის დროს მსხვერპლთა დაცვის პროცესში	66
დავით გუგავა – ვიქტიმოლოგიური პრობლემები საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში.....	82
გივი აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე – დანაშაულის მსხვერპლი კრიმინოლოგიაში და დაზარალებულისაგან მისი გამიჯვნის საკითხები.....	91
გიორგი ღლონტი – უსაფრთხოების და ვიქტიმიზაციის პრობლემების ანალიზი საქართველოში 2010-2020 წლებში	98
თეიმურაზ ფაჩულია – ვიქტიმოლოგიის ფილოსოფიური ასპექტები	105
პეტრე დაუთაშვილი – ვიქტიმოლოგიის ადგილი და როლი სამართალწარმოებაში	110
მიხეილ მამნიაშვილი - დაზარალებულის პროცესუალური რეგლამენტაცია როგორც ვიქტიმოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემა.....	117
პოლიკარპე (თემურ) მონიავა - ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმიზაციის მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები	126
გიმზერ ალანია – დაზარალებულის მდგომარეობის პროცესუალური რეგლამენტაცია გერმანიისა და საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობებში	138
ყარამან ფაღავა, ლელა შენგელია, სოფიო ჭირაქაძე, იულია ზედგენიძე, ნანა გეთია, ელენე ფაღავა - ბუღინგი სასკოლო ასაკის ბავშვებში	145
ვახტანგ მაისაია - ვიქტიმოლოგია და მისი პოლიტიკური ასპექტები: საქართველოს გამოცდილება.....	150

თამთა წირქვაძე - აფექტირებული დანაშაული როგორც ვიქტიმოლოგიური პრობლემა.....	160
ანზორ ჩუბინიძე – ვიქტიმოლოგიური პრევენციის საკითხები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობაში.....	167
მალხაზ ბაძაღვა, მიხეილ ბაძაღვა - ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებანი.....	176
დანართები	185

C o n t e n t s

Introduction to the 15th Issue of Journal „Criminologist“	13
Malkhaz Badzaghua – The Essence and Meaning of Victimology	17
Mindia Ugrekhelidze - Victimogenesis	23
Chris Eskridge – The Role of Criminology on the Global Stage.....	32
Vitaly Kvashis – Legal Protection of Family Relations: Limits of Permissible State Intervention ...	52
Davit Sujashvili – Problems of Victimology in the Context of International Terrorism.....	62
Eka Beselia - A Special Role of Parliament in Protecting Victims in the Context of the COVID 19 Pandemic	66
David Gugava – Victimology Problems in Georgian Criminal Law Policy.....	82
Givi Abashidze, Irakli Abashidze – The Victim of Crime in Criminology and the Issues of Separating him/her from the Wrecked.....	91
Gorgi Ghlonti – Analyses of Security and Victimization Issues in Georgia in 2010-2020 years	98
Teimuraz Pachulia – Philosophical Aspects of Victimology	105
Petre Dautashvili – The Place and Role of Victimology in Litigation.....	110
Mikheil Mamniashvili - Procedural Regulation of Aggrieved as Significant Trend of Victimology	117
Polikarpe (Temur) Moniava - The Essence of Victimology, an Issue Related to define its Place, the King of Colchis, Gubazes II, a Victim of First Victimization Known in the Georgian Reality until today and the Political-Judicial Consequences of his Murder.....	126
Gimzer Alania – Procedural Regulation of Aggrieved According to Procedural Legislation of Germany and France	138
Karaman Pagava, Lela Shengelia, Sophio Chiraqadze, Iulia Zedgenidze, Nana Getia, Helen Phagava - Bullying among Schoolchildren in Georgia	145
Vakhtang Maisaia - Victimology and Its Political Aspects: Case of Georgia	150
Tamta Tsirkvadze - Offences Committed under the Provoked Temporary Insanity as an Victimological Matter	160
Anzor Chubinidze – Subjects of Victimology Prevention in the Activities of the Special State Protection Service of Georgia	167
Malkhaz Badzagua, Mikheil Badzagua - Criminological Features of Victimfull Behavior.....	176
Appendix	185

წინასიტყვაობა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ XV ნომრის გამოცემისათვის

2020 წლის 26 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები“.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა აკადემიკოსი, პროფესორი, დოქტორი გიორგი კვესიტაძე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ :

-პროფესორი, დოქტორი მამუკა თავხელიძე - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.

-პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი (აშშ), ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტი. (ონლაინ ფორმით)

-პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღვა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების წევრები, მეცნიერები და მკვლევარები ათი უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის, უცხოელი და თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მონაწილეები ონლაინ ფორმატით (პროგრამა ზუმის გამოყენებით).

მოხსენებებით გამოვიდნენ:

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღვა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

- ვიქტიმოლოგიის არსი და მნიშვნელობა;

პროფესორი, დოქტორი მინდია უგრეხელიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

-ვიქტიმოგენეზი;

პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი (აშშ), ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტი. (ონლაინ ფორმით)

-კრიმინოლოგიის როლი გლობალურ დონეზე;

დოქტორი დავით სუჯაშვილი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიის პრობლემები საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში;

პროფესორი, დოქტორი ევა ბესელია, საქართველოს პარლამენტის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– COVID 19-ის პანდემიის ჭრილში პარლამენტის განსაკუთრებული როლი მსხვერპლთა დაცვის პროცესში;

პროფესორი, დოქტორი დავით გუგავა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიური პრობლემები საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში;

პროფესორი, დოქტორი თეიმურაზ ფაჩულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიის ფილოსოფიური ასპექტები;

პროფესორი, დოქტორი მიხეილ მამნიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– დაზარალებულის პროცესუალური რეგლამენტაცია როგორც ვიქტიმოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემა;

პროფესორი, დოქტორი პოლიკარპე (თემურ) მონიავა, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები;

პროფესორი, დოქტორი გიმზერ ალანია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– დაზარალებულის მდგომარეობის პროცესუალური რეგლამენტაცია გერმანიისა და საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობებში;

პროფესორი, დოქტორი ყარამან ფაღვა - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; დოქტორი ლელა შენგელია - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი; სოფიო ჭირაქაძე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; იულია ზედგენიძე - საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; ნანა გეთია - საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ელენე ფაღვა - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი.

- ბულინგი სასკოლო ასაკის ბავშვებში;

პროფესორი, დოქტორი ვახტანგ მაისაია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

- ვიქტიმოლოგია და მისი პოლიტიკური ასპექტები: საქართველოს გამოცდილება;

დოქტორანტი თამთა წირქვაძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

- აფექტირებული დანაშაული როგორც ვიქტიმოლოგიური პრობლემა;

დოქტორანტი ანზორ ჩუბინიძე, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

- ვიქტიმოლოგიური პრევენციის საკითხები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობაში;

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღვა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბაძაღვა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

- ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებანი;

კონფერენციაზე განსახილველად ასევე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები:

პროფესორი, დოქტორი ვიტალი კვაშისი (რუსეთი), რფ შსს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოება. მსოფლიო ვიქტიმოლოგიური საზოგადოების წევრი (ონლაინ ფორმით).

- ოჯახური ურთიერთობების სამართლებრივი დაცვა: სახელმწიფოს მხრიდან პირად ცხოვრებაში ჩარევის დაშვებადობის ფარგლები;

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გივი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია; ასისტენტი, დოქტორანტი ირაკლი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ონლაინ ფორმით),

- დანაშაულის მსხვერპლი კრიმინოლოგიაში და დაზარალებულისაგან მისი გამიჯვნის საკითხები.

პროფესორი, დოქტორი გიორგი ღლონტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

- უსაფრთხოების და ვიქტიმიზაციის პრობლემების ანალიზი საქართველოში 2010-2020 წლებში.

პროფესორი, დოქტორი პეტრე დაუთაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიის ადგილი და როლი სამართალწარმოებაში;

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **როინ მეტრეველი**, აკადემიკოს-მდივანი **რამაზ ხუროძე**, ვაჟა ლორთქიფანიძე და თამაზ შილაკაძე. ასევე საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს და მოსაზრებები გამოთქვეს აკადემიკოსებმა: **გიორგი კვესიტაძემ** და **როინ მეტრეველმა**, პროფესორებმა **მინდია უგრეხელიძემ**, **ეკა ბესელიამ**, **დავით სუჯაშვილმა**, **მალხაზ ბაძალუამ**, ასევე **ანზორ ჩუბინიძემ**.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძალუამ** შეაჯამა კონფერენციის შედეგები და აღნიშნა, რომ მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები“ თემატურად პირველი კონფერენციის „კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში“ გაგრძელებაა. მაშინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იყო კონფერენციის მხარდამჭერი. დღეს იგი კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია. მაძლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მის პრეზიდენტს, აკადემიკოს **გიორგი კვესიტაძეს** დანაშაულობის პრობლემების კვლევის საქმეში მხარდამჭერისათვის. მაძლობა მინდა გადავუხადო ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორს, პროფესორ **კრის ესკრიჯს**, რომელიც საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიას დაარსების დღიდან სხვადასხვა ფორმატით მხარს უჭერს და მეორე კონფერენციის მუშაობაში პანდემიის გამო ფიზიკურად ვერ მონაწილეობს. მაძლობა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს, პირადად რექტორს, პროფესორ **მამუკა თავხელიძეს** ათეული წლის მანძილზე გაწეული მხარდამჭერისათვის; პროფესორ **მალხაზ ბაძალუამ** ვიქტიმოლოგიის პრობლემებზე წარმოადგინა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, მათ შორის, **ინიციატივა საქართველოს ვიქტიმოლოგიური საზოგადოების დაფუძნების აუცილებლობის შესახებ**, მონაწილეებს აცნობა, რომ კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ჟურნალში „კრიმინოლოგი“, ხოლო გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები ეცნობება შესაბამის სახელმწიფო, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. დასასრულს კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები, ხოლო აკადემიის წევრის დიპლომები გადაეცათ პროფესორებს: **მინდია უგრეხელიძეს**, **მამუკა თავხელიძეს**, **ბადრი ნაჭყეზიას** და **ვახტანგ მაისაიას**.

Introduction to the 15th issue of the journal “Criminologist”

On June 26, 2020, the National Academy of Sciences of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences and the Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University, organized the Second International Scientific Conference “Current Problems of Victimology”.

The conference was opened with a welcoming speech and was chaired by Academician, Professor, Dr. Giorgi Kvesitadze - President of the Georgian National Academy of Sciences.

The conference participants were welcomed by:

- **Professor, Dr. Mamuka Tavkheldze** - The Rector of Grigol Robakidze University.
- **Professor, Dr. Chris Esridge (USA)**, Executive Director School of Criminology (ASC), University of Nebraska. (Online)
- **Professor, Dr. Malkhaz Badzagua**, The President of the Georgian Academy of Criminology Sciences, The Director of the Scientific-Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University.

The conference was attended by: Academicians of the Georgian National Academy of Sciences, members of the Georgian Academy of Criminology Sciences, members of the American Criminological Society, scientists and researchers from ten higher education institutions, including foreign and non-Tbilisi participants using online communication. (Zoom program).

Reports were made by:

Professor, Dr. Malkhaz Badzagua, *The President of the Georgian Academy of Criminology Sciences, Director of the Scientific-Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University.*

- *The essence and meaning of victimology;*

Professor, Dr. Mindia Ugrehelidze - *Caucasus International University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

- *Victimogenesis;*

Professor, Dr. Chris Esridge (USA), *Executive Director School of Criminology (ASC), University of Nebraska*

- *The Role of Criminology on the Global Stage;*

Dr. Davit Sujashvili, *Deputy Minister of Defense of Georgia, Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

- *Problems of victimology in the context of international terrorism;*

Professor, Dr. Eka Beselia, *Member of Parliament of Georgia, Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Science.*

- *A special role for Parliament in protecting victims in the context of the COVID 19 pandemic;*

Professor, Dr. Davit Gugava, *Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

- *Victimology problems in Georgian criminal law policy;*

Professor, Dr. Teimuraz Pachulia, *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

- *Philosophical Aspects of Victimology;*

Professor, Dr. Mikheil Mamniashvili, *Georgian Technical University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

- *Procedural regulation of aggrieved as significant trend of victimology;*

Professor, Dr. Polycarp (Temur) Moniava, *David Agmashenebeli University of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences.*

- *The essence of victimology, an issue related to define its place, the king of Colchis, Gubazes II, a victim of first victimization known in the Georgian reality until today and the political-judicial consequences of his murder;*

Professor, Dr. Gimzer Alania, *Sokhumi State University, Dean of the Faculty of Law, Georgian Academy of Criminology Sciences .*

- *Procedural regulation of aggrieved according to procedural legislation of Germany and France;*

Professor, Dr. Karaman Paghava - *Tbilisi State Medical University, Head of the Department of Child and Adolescent Medicine;* Dr. Lela Shengelia - *Master of Public Health, Levan Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health, Head of Division;* Sophio Chirakadze - *Master of Public Health, Levan Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health of Georgia, Senior Specialist of the Division;* Yulia Zedgenidze - *Levan Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health of Georgia, Senior Specialist of the Division;* Nana Getia - *Levan Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health of Georgia, Senior Specialist of the Division;* Assistant Professor, Dr. Elene Paghava - *Master of Public Health, Department of Epidemiology and Biostatistics, Tbilisi State Medical University.*

- *Bullying in schoolchildren in Georgia;*

Professor, Dr. Vakhtang Maisaia - *Caucasus International University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

- *Victimology and Its Political Aspects: Case of Georgia;*

PhD student Tamta Tsirkvadze - *Caucasus International University, Deputy Dean of the Faculty of Law.*

- *Offences Committed under the Provoked Temporary Insanity as an Victimological Matter;*

PhD student Anzor Chubinidze, *Head of the Special State Protection Service of Georgia, Georgian Technical University.*

- *Subjects of victimology prevention in the activities of the Special State Protection Service of Georgia;*

Professor, Dr. Malkhaz Badzagua, *President of the Georgian Academy of Criminology Sciences, Director Law and Criminology Research Institute at the Grigol Robakidze University*; **Professor, Dr. Mikheil Badzagua**, *Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences*;

- *Criminological features of Victimian behavior*;

The following reports were also presented at the conference:

Professor, Dr. Vitaly Kvashisi (Russia), *Chief Researcher of the RF MIA Scientific Research Institute, American Society of Criminology. Member of the World Victimological Society (online)*.

- *Legal protection of family relations: Limits of permissible state intervention*;

Associate Professor, Dr. Givi Abashidze, *Batumi Shota Rustaveli State University, Georgian Academy of Criminology Sciences*; *Assistant, PhD student Irakli Abashidze*, *Batumi Shota Rustaveli State University (online)*.

- *The victim of crime in criminology and the issues of separating him/her from the wrecked*;

Professor, Dr. Giorgi Glonti, *Tinatin Tsereteli Institute of State and Law, Ivane Javakhishvili TSU, Georgian Academy of Criminology Sciences*.

- *Analyses of Security and Victimization Issues in Georgia in 2010-2020 years*;

Professor, Dr. Petre Dautashvili, *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology*.

- *The place and role of victimology in litigation*;

The conference was attended by academicians of the Georgian National Academy of Sciences: Vice-President of the Academy **Roin Metreveli**, Academician-Secretary **Ramaz Khurodze**, **Vazha Lortkipanidze** and **Tamaz Shilakadze**. As well as employees of the Special State Protection Service of Georgia and the Ministry of Internal Affairs of Georgia.

Academicians **Giorgi Kvesitadze** and **Roin Metreveli**, professors **Minda Ugrekheldidze**, **Eka Beselia**, **Davit Sujashvili**, **Malkhaz Badzagua**, as well as **Anzor Chubinidze** took part in the discussion around the reports and expressed their opinions.

The President of the Georgian Academy of Criminology, Professor **Malkhaz Badzagua** summed up the results of the conference and noted that the second international conference "Current Issues of Victimology" is a relevant continuation of the first conference "State and Social Importance of Criminology, and its Place in the Science System". Then the Georgian National Academy of Sciences was a supporter of the conference. Today the National Academy is one of the main organizers of the conference. Thanks to the Georgian National Academy of Sciences, to its President, Academician **Giorgi Kvesitadze** for his support in the investigation of crime issues. I would like to express thanks the Executive Director of the American Society of Criminology, Professor **Chris Esridge**, who has supported the Georgian Academy of Criminology in various formats since its foundation. He is physically unable to participate the Conference due to the pandemics. Thanks to Grigol Robakidze University, in person Rector, Professor **Mamuka Tavkheldidze** for the support provided for decades.

Also, Professor **Malkhaz Badzagua** presented important recommendations for the **state and society on the problems of victimology, including the initiative on the need to establish a society of victimology in Georgia**. He informed participants that the conference materials will be published in the journal "Criminologist" and the expressed opinions and proposals will be communicated to the relevant state, international and public organizations. At the end, the participants were given certificates of participation in the conference, and the diplomas of the members of the Academy were given to the professors: **Mindia Ugrekheldze, Mamuka Tavkheldze, Badri Nachkebia and Vakhtang Maisaia**.

ვიქტიმოლოგიის არსი და მნიშვნელობა

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ზამალუა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

Professor, Dr. Malkhaz Badzaghua, *President of the Georgian Academy of Criminology Sciences, Director of the Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University.*

ნაშრომში მოცემულია ვიქტიმოლოგიის ტერმინისა და ცნების განმარტება, კრიმინოლოგიის მეცნიერების მნიშვნელოვანი მიმართულებების ვიქტიმოლოგიის განვითარების ისტორია. განხილულია ვიქტიმოლოგიის ფუძემდებელ მეცნიერთა ჰანს ფონ ჰენტინგის, ბენიემინ მენდელსონის, ედვინ სატერლენდისა და ლევ ფრანკის თეორიები, ვიქტიმიზაციის ცნებისა და ტერმინის განმარტება და მისი ფორმების: მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციის დახასიათება. ნაშრომში ასევე განხილულია დანაშაულის მსხვერპლისა და დაზარალებულის საკითხებზე საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მიღებული ნორმატიული აქტები და საქმიანობის პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: ვიქტიმოლოგია, მეორადი ვიქტიმიზაცია, რე-ვიქტიმიზაცია

ჩვენი ცხოვრება ვიქტიმოლოგიის პრობლემების აქტუალობას ყოველდღიურად გვიმტკიცებს. იგი საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი და მგრძობიარეა, რომელსაც ყოველდღიურად სხვადასხვა ფორმატში ეპიდემიასთან თუ სხვა კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებაში განვიცდით.

ვიქტიმოლოგია კრიმინოლოგიის მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ტერმინი მომდინარეობს ლათინურიდან - “victima”, რაც ნიშნავს მსხვერპლს და გულისხმობს მოძღვრებას დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. იგი შეისწავლის მსხვერპლს, დამნაშავის პიროვნებასა და მსხვერპლს შორის ურთიერთობებს, ასევე მსხვერპლის ქცევას, დანაშაულობაში და დანაშაულობის მიზეზებში მის როლს და სხვა. საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ სიტყვა „მსხვერპლს“ განმარტავს რელიგიური კუთხით, მსხვერპლად შეწირვის კონტექსტში.¹

კრიმინოლოგიაში არსებობს ვიქტიმოლოგიის ცნების ორგვარი გაგება: ვიწრო, რომლის მიხედვით, ვიქტიმოლოგია შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლს და ფართო - შეისწავლის არა მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლს, არამედ ეპიდემიის, უბედური შემთხვევის და საზოგადოებრივი ურთიერთობების მსხვერპლს².

კრიმინოლოგიის ტერმინთა განმარტებით, დანაშაულობის მსხვერპლი არის პირი ან პირთა ჯგუფი, ორგანიზაცია, საზოგადოება ან სახელმწიფო, რომელთაც დანაშაულით საფრთხე შეექმნა, დაზიანდა, დაზარალდა ან განადგურდა.³

¹ მ. ზამალუა, კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები, თბ., 2016. გვ.37.

² Schneider, H.J., 1975. S.11.

³ მ. ზამალუა, კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები, თბ., 2016. გვ.37.

დანაშაულის მსხვერპლმა დანაშაულის ჩადენის დროს, ან შემდგომ შეიძლება განიცადოს ფიზიკური, მორალური, სოციალური და სამართლებრივი ზიანი. დაზარალებულებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მსხვერპლის ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები.

დამნაშავეს და დანაშაულის მსხვერპლს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ როგორც სუბიექტს და ობიექტს. ამ გარემოებათა გამო დანაშაულებრივი ხელყოფის სამიზნედ გახდომის გაძლიერებულ უნარს - ვიქტიმურობას უწოდებენ. ვიქტიმურობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე ცდილობს მსხვერპლი თავისი დანაშაულის ობიექტად აქციოს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავეა ის, ვინც მსხვერპლს ზარალი, ზიანი მიაყენა, ხოლო მსხვერპლია ის, ვინც ზარალი, ზიანი განიცადა⁴.

ვიქტიმოლოგიის განვითარების ისტორიაში აღნიშნული იდეები ათასწლეულებს ითვლის. მათ სათავეებთან ძველი რომის ფილოსოფოსები: **პლატონი** და **ავრელიუსი** დგანან.

ტერმინი „ვიქტიმოლოგია“ პირველად ვის მიერ იქნა გამოყენებული, მეცნიერთა შორის დისკუსიის საგანია. ერთი ნაწილი თვლის, რომ „ვიქტიმოლოგია“ პირველად 1947 წელს იერუსალიმელმა ადვოკატმა **ბენიამინ მენდელსონმა** (1900-1998) რუმინეთში, ფსიქიატრების კონფერენციაზე გააჟღერა, სადაც ის 1951 წლამდე ცხოვროდა და მოღვაწეობდა. ასევე, არსებობს მეორე უფრო სარწმუნო მოსაზრება, რომ პირველი მეცნიერი, რომელმაც დანაშაულის მსხვერპლის შესწავლას ყურადღება დაუთმო იყო გერმანიის ნაცისტური რეჟიმის მიერ დევნილი, 1935 წელს ამერიკაში ემიგრირებული კრიმინოლოგი - **ჰანს ფონ ჰენტიგი** (1887-1974). რომელმაც 1941 წელს აშშ-ში გამოაქვეყნა სტატია - „შენიშვნები დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ინტერაქციის შესახებ“⁵, სადაც იგი დანაშაულის მსხვერპლს მიიჩნევს არა როგორც პასიურ ობიექტს, არამედ როგორც დანაშაულის პროცესის აქტიურ სუბიექტს. მისი აზრით, მსხვერპლი აქტიურად „ზემოქმედებს“ დანაშაულის ჩადენაზე. მანვე ტერმინი „ვიქტიმოლოგია“ პირველად 1943 წელს გერმანიაში გამოცემულ „კიოლნის გაზეთში“ გამოიყენა⁶, ხოლო 1948 წელს გამოსცა მონოგრაფია „დამნაშავე და მისი მსხვერპლი, დანაშაულობის სოციოპოლოგიური კვლევა“⁷, სადაც ვიქტიმოლოგიურ პრობლემებს მიუძღვნა ბოლო ნაწილი, სათაურით „მსხვერპლი“.

კრიმინოლოგიაში დანაშაულობაზე ზემოქმედების ვიქტიმოლოგიური თეორია არის ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური, დემოკრატიული და მომავალზე ორიენტირებული მიმართულება. იგი არ მოითხოვს მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებს, რადგან ადმინისტრაციის დამახასიათებელ თავდაცვის ინსტინქტზე დაყრდნობით მას გააჩნია განვითარების შინაგანი ენერჯია.

ვიქტიმოლოგიის სათავეებთან მდგომმა კრიმინოლოგებმა ხანგრძლივი კვლევების პროცესში სხვადასხვა ასპექტით შექმნეს მსხვერპლის ტიპოლოგიური მახასიათებლები. მათ მხედველობიდან არ გამორჩენიათ მსხვერპლის მნიშვნელოვანი როლი პიროვნების კრიმინალიზაციაში. მათ აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადეს კრიმინოლოგიაში ახალ მიმართულებას - „ვიქტიმოლოგიას“. **ჰენტიგის** მიმდევართა რიცხვი თანდათან მატულობდა, მათ

⁴ Schneider, H.J., 1987. S.755. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბ., 2017, გვ. 192.

⁵ Henting. H.von, 1941. S. 303-309.

⁶ Schneider, H.J., 2008. S. 389

⁷ ზ. წულაია, კრიმინოლოგია, თბ., 2003, გვ. 124-125.

შორის იყო **მენდელსონი**. თანამედროვე კრიმინოლოგიის ფუძემდებელი **ედვინ სატერლენდი** (1883-1950), რომელმაც 1924 წელს აშშ-ში გამოცემულ „კრიმინოლოგიის“ სახელმძღვანელოში მესამე თავი დანაშაულთა მსხვერპლის ანალიზს მიუძღვნა⁸. ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის ვიქტიმოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა **ლევ ფრანკმა** (1920-1978), 1972 წელს ამ მიმართულებით გამოსცა პირველი მონოგრაფია.⁹

მეცნიერებთან ერთად მწერლობამ აღნიშნულ პრობლემას არაერთი მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნა. გაჩნდა პოპულარული წერილები და დამხმარე სახელმძღვანელოები. მრავალ ქვეყანაში გამოიცემა სპეციალური ვიქტიმოლოგიური ჟურნალი, მაუწყებლობს რადიო და ტელეგადაცემათა ციკლი. ზოგიერთ ქვეყანაში შეიქმნა დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვის სახელმწიფო პროგრამები. ზოგ ქალაქში ჩამოყალიბდა ცალკეული სახის დანაშაულისგან დაცვის ასოციაციები და ვიქტიმოლოგიური საზოგადოებები.

ვიქტიმოლოგიის განვითარებას ხელი შეუწყო ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმებმა, რომელიც 1973 წლიდან მოყოლებული, ყოველ სამ წელში ერთხელ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება. აღნიშნულ სიმპოზიუმებს ორგანიზებას უწევს საერთაშორისო ორგანიზაცია „ვიქტიმოლოგიის მსოფლიო საზოგადოება“, რომელიც საერთაშორისო სიმპოზიუმზე 1979 წელს დაარსდა. საზოგადოების ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა და პრაქტიკოსთა საქმიანობის კოორდინაცია, ინტერდისციპლინარული და შედარებითი კვლევების წახალისება და ხელშეწყობა, სპეციალური ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა წარმოშვა ტერმინი „ვიქტიმიზაცია“, რომელიც გულისხმობს პირისა და პირთა ჯგუფის დანაშაულის მსხვერპლად გადაქცევის პროცესს.¹⁰ არსებობს მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაცია. მეორეული ვიქტიმიზაცია გულისხმობს დაზარალებულისათვის ან მოწმისათვის შესაძლო ზიანის მიყენებას მისი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად, ხოლო ხელახალი ვიქტიმიზაცია - დაზარალებულისთვის ზიანის მიყენებას ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად. აღნიშნული ტერმინები განმარტებულია ქართულ კანონმდებლობაში¹¹.

ვიქტიმიზაციის კვლევებმა შესაძლებელი გახადა დანაშაულობის სტატისტიკის დაზუსტება ლატენტურ დანაშაულთა გამოვლენის ხარჯზე. სოციოლოგიური გამოკითხვა - იმის დასადგენად, ხომ არ ყოფილა მოსახლეობა რაიმე დანაშაულის მსხვერპლი, დამკვიდრდა მრავალი ქვეყნის პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, აშშ-სა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ტრადიციულად წელიწადში ორჯერ მაინც ტარდება ადამიანთა ფართო ჯგუფების გამოკითხვა და ანალიზი.

ვიქტიმოლოგიის მიმართულებით განხორციელებულმა ფუნდამენტურმა კვლევებმა კრიმინოლოგიაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძინა საზოგადოებრივი

⁸ Saterlend. E. Criminology. Philipsdelfia, 1924. P. 63-64.

⁹ Франк Л.В. Виктимология и Виктимность, Душанбе, 1972.

¹⁰ მ. ზამალუა, კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები, თბ., 2016. გვ.38.

¹¹ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ მუხლი 3. 2015, 12 ივნისი.

სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობა, რასაც საფუძველად დაედო გაეროს 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“.

კრიმინოლოგიური კვლევების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ, 1963 წელს პირველად ახალმა ზელანდიამ, ხოლო შემდეგ ინგლისმა, აშშ-ის ზოგიერთმა შტატმა, კანადის და ავსტრალიის პროვინციებმა და 1976 წელს გერმანიამ მიიღეს შიდა კანონმდებლობა მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ. აშშ-ში 1982 წელს ამოქმედდა ფედერალური კანონი „დანაშაულის მსხვერპლისა და მოწმის სისხლის სამართლებრივი დაცვის შესახებ.“

ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭომ 1983 წლის 24 ნოემბერს მიიღო კონვენცია „ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლისათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ“. გაერომ 1984 წლის 10 დეკემბერს მიიღო კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წელს.

ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭომ 1985 წელს მიიღო რეკომენდაცია „დანაშაულის მსხვერპლის დახმარებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების და ადამიანების მსხვერპლად გახდომის თავიდან აცილების შესახებ“; გაერომ 1985 წელს 25 ნოემბერს მიიღო დეკლარაცია „ხელისუფლების დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ“, სადაც დააფიქსირა დანაშაულის მსხვერპლის დაცვის ზოგადი პრინციპები.

ევროპის მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 28 ივნისს მიიღო რეკომენდაცია „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესში“.

ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ 2012 წლის 25 ოქტომბერს მიიღო დირექტივა „მსხვერპლთა დაცვის შესახებ“.

საქართველოში კონსტიტუციის და საერთაშორისო აქტების საფუძველზე დანაშაულობის მსხვერპლის, დაზარალებულის საკითხებთან დაკავშირებით მიღებულია არაერთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი:

- 2006 წლის 28 აპრილის კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომლითაც განსაზღვრულია ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძველები, ამ მიმართულებით სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებები და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესი, აგრეთვე მსხვერპლთა და დაზარალებულთა სოციალურ, სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიები. ამავე კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ფუნქციონირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“ და ასევე, „მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფრები)“;

- 2006 წლის 25 მაისს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომლითაც

განსაზღვრულია მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები. აქვე განმარტებულია “სავარაუდო მსხვერპლის” ტერმინი - პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით შესაბამის სამსახურს/ ორგანოს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს მიმართავს;

- 2007 წლის 19 ივნისის კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, რომლის თანახმად ხორციელდება სხვა საკითხებთან ერთად სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულთა იურიდიული დახმარება და დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე;

- 2015 წლის 12 ივნისის კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, სადაც მე-4 თავი ეძღვნება არასრულწლოვან მოწმე და არასრულწლოვან დაზარალებულს. კოდექსით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის უფლება-მოვალეობები იდენტურია, განსაზღვრულია მათი დაცვის ღონისძიებები, მათ შორის, მოწმისა და კოორდინატორის ინსტიტუტის ფუნქციები და ზიანის ანაზღაურებისა და კონპენსაციის მოთხოვნის უფლება;

- 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ განსაზღვრავს დანაშაულის შედეგად დაზარალებული, მსხვერპლი და მოწმე ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს, მათ შორის, შეიარაღებული კონფლიქტის, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მსხვერპლი ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და მათ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში. ასევე მათ უფლებების დაცვას და მართლმსაჯულების განხორციელების ყველა სტადიაზე ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას;

- სავარაუდო მსხვერპლის თავდაცვისა და დაცვის საკითხი ტრადიციულად, დანაშაულობაზე ზემოქმედების ძირითად ხერხად განიხილება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი ისევე როგორც საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობა შეიცავს აუცილებელი მოგერიების უფლებას, რაც წარმოადგენს სავარაუდო მსხვერპლის სამართლებრივ მხარდაჭერას;

- საქართველოში 2010-12 წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა ვიქტიმოლოგიური კვლევების სამი ტალღა და მოიცვა 21 დანაშაულობის სახეობა¹². კვლევებმა აჩვენა, რომ ვიქტიმიზაციის დონე საქართველოში უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში არსებითად შემცირდა. ანალოგიური კვლევა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ, პროფესორ გიორგი ლლონტის ხელმძღვანელობით მიმდინარე წელსაც ხორციელდება;

- რიგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიქტიმოლოგიაში ხორციელდება არაერთი სამეცნიერო კვლევა, შექმნილია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. პროფესორ ზაურ წულაიას მიერ გამოცემულ „კრიმინოლოგიის“ სახელმძღვანელოს ერთი თავი ვიქტიმოლოგიის თეორიას ეძღვნება, ასევე აღსანიშნავია, რომ პროფესორ მორის შალიკაშვილის ავტორობით გამოცემულია სახელმძღვანელო „ვიქტიმოლოგია“, ხოლო საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ,

¹² <https://justice.gov.ge/Ministry/Department/278>

პროფესორ ევა ბესელიას მიერ 2016 წელს მონოგრაფიული კვლევა - „ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში“ და სხვა;

საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებულმა პროგრამამ „უსაფრთხო სკოლა“ გარკვეულად უზრუნველყო არასრულწლოვანთა ვიქტიმოლოგიური პრევენციის ღონისძიებები, შემუშავდა და ამოქმედდა მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, „სამოქალაქო განათლების“ საგანი და მანდატურის სამსახური.

ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტები კრიმინოლოგიური ანალიზის, ექსპერტიზისა და წინასწარი შეფასების გარეშე მიღებული, რაც ხელშემწყობი მიზეზია ვიქტიმოლოგიური მიმართულებით არსებული პრობლემების.

რაც შეეხება ვიქტიმოლოგიის არსიდან გამომდინარე თეორიისა და პრაქტიკის ყველაზე მგძნობიარე საკითხს - „ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიურ თავისებურებები“, მსხვერპლის როლს პიროვნების კრიმინალიზაციაში და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შემაჯამებელ მოხსენებაში წარმოგიდგენთ.

The Essence and Meaning of Victimology

Malkhaz Badzagua

The article provides an explanation of the term and concept of victimology. History of the development of victimology as an important field of criminology. There are discussed the theories of Hans von Hentig, Benjamin Mendelsohn, Edwin Sutherland, and Lev Frank, the founding scholars of victimology.

Presented an explanation of the concept and term - victimization and its forms: a description of secondary and re-victimization.

The paper also discusses normative acts and practice adopted at the national level on victim and victim issues.

Key words: Victimology, Secondary Victimization, Re-Victimization.

ვიქტიმოგენეზი

პროფესორი, დოქტორი მინდია უგრეხელიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Mindia Ugrehelidze *Caucasus International University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

ვიქტიმოგენური სიტუაცია კრიმინოგენური სიტუაციის კერძო ნაირსახეობაა, რომელშიც დანაშაულებრივი დრამის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად დამნაშავესთან ერთად გვევლინება დანაშაულის კონკრეტული მსხვერპლი, თუმცა უბრალოდ ხელყოფის ადრესატად კი არა, არამედ სუბიექტად, რომელიც თავისი ქცევითა და განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით ობიექტურად ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას მისსავე საწინააღმდეგოდ.

ვიქტიმოგენური სიტუაციის შესწავლა და შესაბამისი პროფილაქტიკა უნდა ხდებოდეს პრინციპულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე, რომლის თანახმად, ინდივიდური დანაშაულებრივი ქცევა წარმოიშობა პიროვნებისა და კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის ურთიერთქმედების შედეგად.

ვიქტიმოგენურ სიტუაციაში დაზარალებული ლამის ისეთივე აქტიური მოქმედი პირია, როგორც დამნაშავე. ამიტომ ამ უცნაურ ტანდემში - „დამნაშავე - მსხვერპლი“ აუცილებელი ხდება იმ გარემოებათა სპეციფიკური ბუნების გამოკვლევა, რომელიც ახასიათებს, ერთი მხრივ დამნაშავეს, ხოლო, მეორე მხრივ მსხვერპლის პიროვნებასა და ქცევას.

დამნაშავეს ვიქტიმოლოგიური დახასიათებისთვის აუცილებელია მისი ისეთი პიროვნული თვისების გამოვლენა, რომელიც ჩვეულებრივ, ვიქტიმიზაციის სპეციფიკურ ფაქტორს წარმოადგენს. ასეთ განმსაზღვრელ ფაქტორად გვესახება ვიქტიმომედეგობა, ანუ დამნაშავეს დისპოზიციური უნარი, წინ აღუდგეს, გაუძლოს, დაუსხლტეს, გაუძალიანდეს, არ აჰყვეს სიტუაციურ ცდუნებას დანაშაულის ჩადენისა შესაძლო მსხვერპლის საზიანოდ.

მსხვერპლის ქცევა ვიქტიმოგენურ სიტუაციაში უნდა შეფასდეს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მხრივ. სუბიექტური მხრივ, მსხვერპლის ქცევა ბრალეულიც შეიძლება იყოს და არაბრალეულიც. ობიექტური მხრივ, მსხვერპლის ვიქტიმური ქცევა შეიძლება იყოს უბრალოდ საშიში (სარისკო), როდესაც ის პირობებს ქმნის ან რეალურ საფრთხეს წარმოშობს საკუთრივ მსხვერპლისთვის ზიანის მიყენებისა; ან კიდევ - საზოგადოებრივად საშიში (მართლსაწინააღმდეგო), როდესაც ის პირობებს ქმნის ან რეალურ საფრთხეს წარმოადგენს სხვათა ინტერესებისათვის.

დამნაშავეს პასუხისმგებლობასა და სასჯელზე ვიქტიმური ქცევის ზეგავლენის უნივერსალური მექანიზმი დანაშაულებრივი ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი კი არ არის, არამედ დამნაშავეს ბრალის ხარისხი, რომელიც დანაშაულის ჩადენის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ნების თავისუფლების ხარისხის ზნეობრივ-სამართლებრივი გამოხატულებაა.

სავსებით საფუძვლიანად და დასაბუთებულად მიგვაჩნია ისეთი ქცევის ვიქტიმურობა, რომელიც არღვევს ექსპექტაციურ ნორმებს, მაგალითად - პირადი უსაფრთხოებისა და

კეთილდღეობის დამცავ წესებს (ბავშვის ან სხვა რაიმე სიკეთის უმეტესად უფრო დატოვება; სიგნალიზაციის უგულვებელყოფა და სხვ.), არა თუ მარტო ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმის მოთხოვნებს. ამ მხრივ საგულისხმოა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მკაფიო ხანგრძლივი ტრადიცია.

ყოველივე ზემორე თქმულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ინდივიდუალური ვიქტიმიზაცია შედეგია ერთგვარი შეუსაბამობისა ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის (თემობის) რიგიდულ სუბიექტურ ექსპექტაციებსა და ლაბილურ ვითარებას შორის, რომელშიც არაადეკვატურად ავლენს საკუთარ თავს პოტენციური მსხვერპლი. ამიტომ საჭიროა, რომ ადრეული პროფილაქტიკის მეშვეობით იქნეს უზრუნველყოფილი დინამიკური წინასწრობა ვიქტიმოგენური სიტუაციის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა შორის.

საკვანძო სიტყვები: ვიქტიმოგენეზი, ვიქტიმომედეგობა, დიმენსიოლოგია.

1. ცნება და კვლევის მეთოდოლოგია

დანაშაულის ქმედითი ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის აუცილებელი პირობაა ინდივიდუალური ვიქტიმიზაციის ფაქტორების გამოვლენა და მათი ურთიერთქმედების მექანიზმის დადგენა ვიქტიმოგენურ სიტუაციაში. ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს პრინციპულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევა წარმოიშობა პიროვნებისა და კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის ურთიერთქმედების შედეგად. მაგრამ აუცილებელია ამ დებულების შემდგომი დიფერენციაცია და კონკრეტიზაცია ყოველ ცალკეულ სპეციფიკურ შემთხვევაში, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება **ვიქტიმოგენური სიტუაცია**. კრიმინოგენური სიტუაციის ეს კერძო ნაირსახეობა, დანაშაულებრივი დრამის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად, დამნაშავესთან ერთად, ყოველთვის გულისხმობს დანაშაულის კონკრეტულ მსხვერპლს, თანაც უბრალოდ ხელყოფის ადრესატად კი არა, არამედ სუბიექტის სახით, რომელიც, თავისი ქცევით და განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით ობიექტურად ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას მისსავე საწინააღმდეგოდ.

ამრიგად, ვიქტიმოგენურ სიტუაციაში დამნაშავეს ქცევა ურთიერთქმედებაშია მსხვერპლის არაადეკვატურ პიროვნულ გამოვლინებასთან, რაც განაპირობებს დანაშაულს. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ვიქტიმოგენური სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება მდგომარეობს დანაშაულის გენეზისში სუბიექტური ფაქტორის „სიჭარბეში“, მის ერთგვარ „ზედმეტობაში“.

2. არქიტექტონიკა

ზემოთ გადმოცემულ ვითარებაში პროფილაქტიკის ამოცანა ერთობ რთულდება ორი მიზეზით: პირველი ის არის, რომ აუცილებელია ვნების მომტანი ქცევის ერთი კი არა, არამედ სრულიად დამოუკიდებელი ორი წყაროს ნეიტრალიზაცია. მეორე კი ის გახლავთ, რომ თავისი ბუნებით ორივე ეს წყარო სუბიექტურია. არადა, სუბიექტური ფაქტორები ძნელად ექვემდებარება პროგნოზირებას და, ამის კვალობაზე, პროფილაქტიკურ ზემოქმედებას. ორი რიგის სუბიექტურ ფაქტორთა ასეთი თანხვედნილობა ძალზე ართულებს ვიქტიმოგენურ სიტუაციას და აზრკოლებს მის წინასწარ განჭვრეტას. როდესაც

დამნაშავესა და მის მსხვერპლს ვიქტიმიზაციის სუბიექტურ ფაქტორებად ვიხსენიებთ, გასათვალისწინებელია, რომ ტერმინი „სუბიექტური“ აქ ერთობ პირობითია. სუბიექტურ ფაქტორებად მათი მიჩნევა იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე წარმოვიდგენთ. მაგრამ, ვინაიდან დანაშაული დამნაშავესა და მსხვერპლის უბრალო თანაარსებობის ნაყოფი კი არ არის, არამედ მათი ძალზე რთული ურთიერთქმედების შედეგია. ამიტომ თითოეული მათგანის მნიშვნელობა შეიძლება დაზუსტდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა, რა მიმართებაში იმყოფებიან ისინი ერთმანეთთან სწორედ ურთიერთქმედების პროცესში.¹ ლიტერატურაში არავის გაუხდია სადავოდ, რომ დანაშაულის მსხვერპლი არის იმ ობიექტური ვითარებების განუყოფელი ელემენტი, რომელშიც დამნაშავე თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ახორციელებს. ამის უარყოფა მართლაც შეუძლებელია. მაგრამ, არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხის მეორე მხარე: განეკუთვნება თუ არა ობიექტური ვითარების ელემენტებს საკუთრივ დამნაშავეს ქცევა და პიროვნება? ასეთი საკითხი ბუნებრივად წამოიჭრება შემდგომ გასაანალიზებლად ვიქტიმოგენური სიტუაციისა, რომელშიც დაზარალებული ლამის ისეთივე აქტიური მოქმედი პირია, როგორც დამნაშავე. მიგვაჩნია, რომ სისტემაში „დამნაშავე-მსხვერპლი“ დამნაშავე როდია დანაშაულის ოდენ ძირითადი „ავტორი“ და „სუბიექტური სათავე“. იგი ვიქტიმოგენური სიტუაციის ობიექტური ელემენტაცაა მსხვერპლთან მიმართებაში. თუ საკითხს ამ მხრივ შევხედავთ, გაცხადდება, რომ ვიქტიმოგენურ სიტუაციაში დამნაშავე და მსხვერპლი ერთმანეთის მიმართ ობიექტური ფაქტორის გარეგან როლს ასრულებენ. ამასთან, თითოეული მათგანი დანაშაულის „შემოქმედის“, მისი „თანავტორის“ თვისებასაც ინარჩუნებს. პირველი - როგორც ე.წ. „თანაბრალეულობის“ ფარგლებში, ხოლო მეორე - უპირატესად მართლ „თანამიზეზობრიობის“ გაგებით. თუმცა, ამაში მხოლოდ ნაწილობრივ ვლინდება ვიქტიმიზაციის ობიექტურ და სუბიექტურ წინაპირობათა დიალექტიკური ურთიერთკავშირი. აღნიშნული ურთიერთკავშირის შეცნობის გზაზე შემდგომი საფეხურია იმ გარემოებათა სპეციფიკური ბუნების გარკვევა, რომლებიც ახასიათებენ, ერთი მხრივ, დამნაშავეს, ხოლო, მეორე მხრივ, მსხვერპლის პიროვნებასა და ქცევას.²

3. დამნაშავეს მიერ ფაქტორის როლი

დამნაშავეს ვიქტიმოლოგიური დახასიათებისას აუცილებელია მისი ერთ-ერთი პიროვნული თვისების გამოვლენა, რომელიც, ჩვეულებრივ, **ვიქტიმიზაციის სპეციფიკურ ფაქტორს** წარმოადგენს. ამ საკითხის დამუშავების დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ცოტა არ იყოს, სათუთა დამნაშავეს ყველა იმ პიროვნული თვისების, მახასიათებლისა თუ თავისებურების დასახელება, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ ვიქტიმიზაციის პროცესზე. ამიტომ ძალიან ძნელია მათი სრულყოფილი დიფერენციაცია და კლასიფიკაცია მსხვერპლის ვიქტიმურ ქცევაზე მათი ზემოქმედების მექანიზმის განზოგადებული მოდელის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ მაინც არის დაგროვილი იმის დამადასტურებელი საკმაო ემპირიული მასალა, რომ ვიქტიმოგენურ სიტუაციაში სხვადასხვა დამნაშავე სხვადასხვა (მეტ-ნაკლებ) უნარს ამჟღავნებს, წინ აღუდგეს, გაუძლოს, არ დაექვემდებაროს კონკრეტული ვითარებისა და მსხვერპლის ვიქტიმოგენურ ზემოქმედებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალზე მიმზიდველ, ან პირიქით, განმარიდებელ

¹ Meier B.-D., Täter-Opfer - Ausgleich und Wiedergutmachung im allgemeinen Strafrecht, jus. 1996, S. 431.

² იხ. იქვე, გვ. 48.

5. Morabia, Alfredo. 2008, *Joseph Goldberger's Research on the Prevention of Pellagra*, *Journal of the Royal Society of Medicine*, Vol 10(11): P. 566-569.
6. Siegel, Larry J. 2016, *Criminology: Theories, Patterns and Typologies*. Belmont, CA: Cengage.
7. Turvey, Brent. 2015, *Criminal Profiling: An Introduction to Behavioral Evidence Analysis*. Oxford: Academic Press.

კრიმინოლოგიის როლი გლობალურ დონეზე

კრის ესკრიჯი

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ხალხები დგანან უამრავი დანაშაულისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე, რომლებზეც პასუხები არ არსებობს. მრავალი თვალსაზრისით, დღეს კრიმინოლოგები ჰგვანან 200 წლის წინანდელ ექიმებს; ჩვენ დღეს, ისევე როგორც პოსტკოლონიური ეპოქის ექიმებს გვაქვს წარმოდგენა, მაგრამ არის ეპისტემოლოგიური ცოდნის სიმცირე. 1800 წლიდან მოყოლებული, მედიცინის დარგმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. რა თქმა უნდა, სიკვდილი, ისევე როგორც დანაშაული, არ აღმოფხვრილა და არასდროს აღმოიფხვრება, თუმცა მოისპო ზოგიერთი დაავადება ან/და მათი გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა, სიცოცხლის ხანგრძლივობა თითქმის გაორმაგდა და ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მედიცინამ ამ მიზანს ხუთპუნქტიანი სტრატეგიული მოდელის მიღებით მიაღწია - ერთაშორისი, საყოველთაო, ურთიერთდამოკიდებული, ინტერდისციპლინარული საგანმანათლებლო ორიენტაციის ათვისებით, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტანდარტზე გადასვლით და არა მხოლოდ მეცნიერულ, არამედ ასევე პოლიტიკურ პროცესებზე ყურადღების გამახვილებით. თუ კრიმინოლოგიის სფეროს სურს წინსვლა, მან უნდა დაისახოს იგივე სტრატეგიული პერსპექტივა.

საკვანძო სიტყვები - ტრანსნაციონალური, ყოვლისმომცველი, ურთიერთდამოკიდებული,, ინტერდისციპლინური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული

შესავალი – მედიცინის ანალოგი

კრიმინოლოგიის სფერო ცდილობს დანაშაულის გაგებას და ახსნას, რის შედეგადაც მის უარყოფითი გავლენის სიმძიმეს შეამცირებს. მედიცინის დარგის მსგავსად, იგი მოითხოვს პრევენციული და გამასწორებელი სტრატეგიების შემუშავებას და მათ ფართო მასშტაბით დანერგვას, საზოგადოებისა და კერძო სექტორის პრაქტიკულად ყველა ასპექტში და განზომილებაში. ამ ძალისხმევაში ჩვენ მრავალი ინტერაქტიული და რთული გამოწვევის წინაშე ვდგავართ და, როგორც ჩანს, დღეისათვის არსებობს სულ რამდენიმე მტკიცე პასუხი. ამ შემადრწუნებელი ამოცანის წინაშე, ზოგჯერ საკუთარ თავს ვუყურებ, არა როგორც კრიმინოლოგს, არამედ, როგორც ექიმს, მე -19 საუკუნის დასაწყისიდან.

დღეს, როგორც ჩანს, გადაულახავია კრიმინალური პრობლემები ისევე, როგორც მე -19 საუკუნის ბოლოს, ერთი შეხედვით, გადაულახავი ჩანდა ჯანდაცვის საკითხები... ჩუტყვავილა, ბუბონური ჭირი, პოლიო, ქლეფი, სურავანდი. იმ ხანად მედიცინაში დიდი ადგილი ეთმობოდა გამოცნობას, ძალიან შეზღუდული ეპისტემოლოგიური გაგების და მიზეზთან, შედეგსა და განკურნებასთან დაკავშირებული ცოდნის ნაკლებობის გამო. არ არსებობდა საკმარისი დიაგნოსტიკური ინსტრუმენტები ან მეთოდოლოგია; იყო ეფექტური სამედიცინო მკურნალობის მეთოდების ნაკლებობა. ეს საზოგადოებას აიძულებდა ეპასუხა ავადმყოფობასა და უბედურ შემთხვევებზე უხეში, სახლში დამზადებული, გამოუცდელი საშუალებების გამოყენებით და არა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ვარიანტებით. გარდა ამისა, მაშინაც კი, როდესაც ახალ სამედიცინო პროცედურებს აღმოაჩენდნენ, ისინი ხშირად ხვდებოდნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წინააღმდეგობას. დღეს ეს ძირითადად არ ხდება.

რა გააკეთა მედიცინამ იმისთვის, რომ გაშორებოდა იმას, სადაც იყო მაშინ, როცა, ჰობსის თქმით, ცხოვრება იყო "ბილწი, სასტიკი და მოკლე" და მოსულიყო იქ, სადაც არის ახლა? სიკვდილი არ აღმოფხვრილა და, რა თქმა უნდა, არასდროს აღმოიფხვრება და, დიახ, მედიცინის დარგში ჯერ კიდევ არსებობს გამოცნობები, თუმცა არსებობს თანამედროვე მედიცინაში დიდი ცოდნა, კარგი ეპისტემოლოგიური გაგება და ხდება მედიცინის განვითარების, მიღწევების ზოგადი კომუნალური ათვისება. შედეგად, სიცოცხლისთვის საშიში მრავალი სერიოზული დაავადება აღმოიფხვრა, ხოლო ავადმყოფობის და უბედური შემთხვევების უარყოფითი გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა. სიცოცხლის ხანგრძლივობა გაორმაგდა მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ და ეს სიცოცხლე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რა განაპირობებს ამ პროგრესს? საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი, სავარაუდოდ, დაასახელებს ათეულობით მიზეზს, და, დიახ, არა მხოლოდ მიღწევებს მედიცინის სფეროში. მედიცინის დარგმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თანამედროვე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას და ჯანმრთელობას. კიდევ ერთხელ ვკითხულობ, რა გააკეთა მედიცინის დარგმა წინსვლისთვის და რა შეგვიძლია ვისწავლოთ კრიმინოლოგებმა ამ შედეგების მისაღწევად მედიცინაში გამოყენებული სტრატეგიული მოდელისგან?

მედიცინის სტრატეგიული მოდელი

ჩემი აზრით, მედიცინის სფერომ, ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში გამოიყენა ხუთპუნქტიანი სტრატეგია:

1. მან მიიღო ერთაშორისი, საყოველთაო აკადემიური მოდელი. ბოლო 200 წლის განმავლობაში მედიცინის სკოლები აღმოცენდნენ მთელი მსოფლიოს უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ახლა კი მსოფლიოში უამრავი სამედიცინო პროფესიონალური ასოციაცია მიმოფანტული.

2. ურთიერთკავშირის პრინციპი ყველა კონტექსტში. სამედიცინო დარგი მივიდა იქამდე, რომ ყველა შესაძლო სფეროში არსებობს ურთიერთქმედების, თანამშრომლობისა და გაცვლის წარმოუდგენელი დონე, რა თქმა უნდა, თანამედროვე მგზავრობის საშუალებების და ელექტრონული კომუნიკაციის დახმარებით.

3. მიიღო ინტერდისციპლინარული პერსპექტივა და ეძებდა ინტელექტუალურ „კონსოლიდაციას“, რომელიც აერთიანებს მრავალფეროვან აკადემიურ დარგებსა და გამოკვლევების სფეროებს, ეტიოლოგიური გაგების და შემდგომში ეფექტური რეაგირების ძიების მცდელობაში. დღეს ჩვეულებრივი ამბავია სამედიცინო ჟურნალში სტატიის ნახვა, მკვლევარების თანაავტორობით მრავალი სხვადასხვა დისციპლინიდან, სხვადასხვა ინსტიტუტიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან.

4. გადავიდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების სტანდარტზე.

5. მიიღო მარკეტინგული ძალისხმევა, საჯარო სექტორში მეცნიერების ინტეგრირების მიზნით. როგორც შეტყობინებების შინაარსის, ისე საკომუნიკაციო სტრატეგიის მორგებით, რომ მიწვდომოდა სხვადასხვა მსენელს, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ სხეულს, მედიცინამ შეძლო ზოგადად დაემყარებინა პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც ემყარება მტკიცებულებებს და არა საზოგადოებრივ აურზაურს.

ჩვენ, კრიმინოლოგები ვერასდროს მოვსპობთ დანაშაულს (დურკჰეიმი, 1971), ისევე როგორც ექიმები ვერასდროს მოსპობენ სიკვდილს. თუმცა, შეგვიძლია შევამციროთ თანამედროვე კრიმინალური გამოწვევების სიმძიმე (ისევე, როგორც მედიცინამ შეამსუბუქა ავადმყოფობის და უბედური შემთხვევების ზემოქმედება) იგივე 5-პუნქტიანი სტრატეგიული ორიენტაციის მიღებით, რომელიც მედიცინამ დაახლოებით ორი საუკუნის წინ მიიღო.

კრიმინოლოგია და მედიცინის სტრატეგიული მოდელი

მე-19 საუკუნის დასაწყისში მცირე იყო გაგება იმის შესახებ, რაც დღეს ითვლება ფუნდამენტურ სამედიცინო ცოდნად - მაგალითად, განსხვავება ბაქტერიაზე დაფუძნებულ და ვირუსზე დაფუძნებულ დაავადებებს შორის. მაგრამ, როდესაც ხუთი ძირითადი სტრატეგია განხორციელდა მაკრო კონტექსტში (და ჩემი მარტივი მიკრო პერსპექტივით, ლუი პასტერი შემდგომ), მედიცინის სფერომ იფეთქა. მსურს კიდევ ერთხელ გავამახვილო ყურადღება თემაზე - ექიმები ვერასდროს აღმოფხვრიან სიკვდილს ისევე, როგორც კრიმინოლოგებს არ შეუძლიათ და ვერასდროს აღმოფხვრიან დანაშაულს, თუმცა ორივეს შეგვიძლია შევამციროთ ავადმყოფობის და დანაშაულის ზემოქმედების სიმძიმე და ასევე გავაუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი შესაბამის სფეროებში ამ ხუთი სტრატეგიული პრინციპის ღრმად ჩასმით ჩვენს შესაბამის დისციპლინებში. მსურს, ხუთივე სტრატეგია განვმარტო, რომლებიც მედიცინამ გამოიყენა და კრიმინოლოგიას მოვარგო.

ერთაშორისი საყოველთაო აკადემიური ორიენტაცია

ჩვენ უნდა ავითვისოთ ერთაშორისი საყოველთაო აკადემიური მოდელი, მსოფლიოს უნივერსიტეტებში სამართლის/კრიმინოლოგიის პროგრამების შემდგომი ზრდით და განვითარებით. ამას აქვს სამი ძირითადი საზოგადოებრივი სარგებელი:

1. ეს პროგრამები შეასწავლის სტუდენტ-მოქალაქეთა დიდ რაოდენობას იუსტიციის ოფიციალური პირების სათანადო როლს; ისინი, ნაწილობრივ, საგანმანათლებლო ზემოქმედების გამო, შემდგომში იუსტიციის წარმომადგენლებს მოთხოვენ მეტ პასუხისმგებლობას და მოითხოვენ გამჭვირვალობას და სათანადოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ამ თანამდებობის პირებისგან. ამ კონტექსტში, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ ლუი ბრანდისმა აღნიშნა, რომ დემოკრატიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ოფისი კერძო მოქალაქეა და ამ პასუხისმგებლობის შესრულებისას, უბრალო მაყურებლისთვის ადგილი არ არის. კრიმინოლოგიის/იუსტიციის აკადემიური პროგრამები ხელს უწყობენ ასეთ მიზანს.
2. იუსტიციის საგანმანათლებლო პროგრამები მიანიჭებენ ხარისხს ათასობით პიროვნებას, ვინც შემდგომში გაჰყვება კარიერას იუსტიციის ასპარეზზე და ექნება აკადემიური ცოდნა, რომ შეძლოს უფრო პროფესიონალურად უპასუხოს სამართლიანობის გაზრდილ მოთხოვნას საზოგადოებაში.
3. იუსტიციის წარმომადგენლებს შეეძლება მიმართონ ადგილობრივად განვითარებულ მნიშვნელოვან კვლევებს, რომლებიც ჩაატარეს ადგილობრივი კრიმინოლოგიის სტუდენტებმა და ფაკულტეტმა, რაც მათ დაეხმარება მოვალეობების უკეთესად შესრულებაში. ჩვენ არა მხოლოდ ამ პირველად კრიმინოლოგიურ ცოდნაში ვიხილავთ ზრდას, არამედ დამაკავშირებელი კომპონენტის დამატებით, კრიმინოლოგიური ცოდნის მთლიანი ბაზა ეროვნულ და ერთაშორის კონტექსტში აფეთქდება მსოფლიოს უკეთესობისთვის. იუსტიციის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევით კომპონენტმა შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში შეიტანოს უდიდესი წვლილი.

მოკლედ რომ ვთქვათ, კრიმინოლოგიის კვლევა ხელს უწყობს იუსტიციის პროცესებისა და ინსტიტუციური სტრუქტურების შემუშავებასა და გაუმჯობესებას, სასწავლო კურსის შინაარსი მოამზადებს პირებს, რომლებიც საბოლოოდ იმუშავებენ მართლმსაჯულების სისტემაში და დანერგავს სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის კონცეფციას ზოგადად პოლიტიკურ მასაში. მე მივდექ ამ საკითხში ჰ.გ. უელსის მოსაზრებებს, რომელმაც აღნიშნა, რომ „კაცობრიობის ისტორია არის რბოლა განათლებასა და კატასტროფას შორის.“ ამ პირობით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთაშორისი, ყოვლისმომცველი კრიმინოლოგიის/იუსტიციის სწავლების მოდელს. ერები, რომლებიც ამას გააკეთებენ, გააძლიერებენ კოლექტიური კომუნალური მშვიდობისა და თანასწორობის დონეს და მთლიანობაში სოციალურ სამართლიანობას.

დავამატებ, რომ განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებს განსაკუთრებით სჭირდებათ იუსტიციის აკადემიური პროგრამების დანერგვა. ამ ქვეყნებს, როგორც წესი, აქვთ კანონის უზენაესობის სუსტი ტრადიციები და საზოგადოებრივად გაუფასურებული იურიდიული ინფრასტრუქტურა. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს მათი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას, რომ არაფერი ვთქვათ მოქალაქეებზე განხორციელებულ უსამართლობებზე. რაც შეეხება პირველს, საგარეო ინვესტიციებს, როგორც წესი, მოაქვს ეკონომიკის შემდგომი სტაბილიზაცია და განვითარება, ამაღლებს ცხოვრების დონეს ყველა სოციალურ კლასში და საშუალებას აძლევს ამ ქვეყნებს მონაწილეობდნენ გლობალურ ეკონომიკაში უფრო მაღალ დონეზე. საზოგადოებრივი წესრიგის პროფესიონალური, სტაბილური ინსტიტუტების შექმნა იენის / ევროს / დოლარის მოზიდვის წინაპირობაა.

ცოტას სურს ინვესტიციის განხორციელება ისეთ გარემოში, სადაც არ არსებობს იურიდიული რეგრესის საშუალება არასასურველი მოქმედებებისა და ინტრიგების გამო გაფუჭებული ინვესტიციების. მართლმსაჯულების განათლების ენერგიულად ათვისებით, დროში გაჩნდება უფრო რაციონალური, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული იურიდიული სისტემა, რაც გაზრდის საგარეო ინვესტიციების დონეს (რაც გადამწყვეტია ნებისმიერი ერის განვითარებისთვის და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობისთვის). ამ მოდელს აქვს ურთიერთქმედებების მაღალი დონე - სტაბილიზირებულ, პროფესიულ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს მოაქვთ სოციალურ სამართლიანობის მყარი შეგრძნება, რაც იზიდავს გარე ინვესტიციებს, რაც ხელს უწყობს შემდგომ სტაბილიზაციას, რაც თავის მხრივ მოიტანს უფრო დიდ საგარეო ინვესტიციას, ხელს უწყობს სტაბილიზაციის უფრო მაღალ დონეს და ა.შ. ., და ა.შ.

ყურადღება დაკავშირებადობაზე

ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ კავშირის, ურთიერთქმედების და გაცვლის დონე ეროვნულ და საერთაშორისო არენაზე. ჩვენ გარკვეული წარმატებები გვქონდა პროფესიული ასოციაციების განვითარებაში და ჟურნალების, გაზეთების და ვებგვერდების გამოცემაში. აღვნიშნავ, რომ დღეს მთელ მსოფლიოში არსებობს კრიმინოლოგიის დაახლოებით 40 საზოგადოება და თითქმის ყველა ამაყობს მრავალეროვნული წევრობის სიით. მაგალითად, კრიმინოლოგიის ამერიკულ საზოგადოებას ჰყავს წევრები 60-ზე მეტი ქვეყნიდან (იხ. www.asc41.com). ახლა ჩვენს სფეროში არსებობს მინი-ნობელის პრემია, სტოკჰოლმის პრემია კრიმინოლოგიაში, რომელიც სულ ათეული წლის წინ დაარსდა (იხ. https://en.wikipedia.org/wiki/Stockholm_Prize_in_Criminology). ეს პრიზი აღიარებს მთელ მსოფლიოში განხორციელებულ ნამუშევრებს. დღემდე ეს ჯილდო გადაეცა 11 პირს სხვადასხვა ქვეყნიდან.

პროგრესი უდავოდ მიღწეულია ჩვენს სფეროში ურთიერთქმედებისა და კავშირის დონის გაუმჯობესებაში. ჩვენ წარმატება მივაღწიეთ ბევრ რეგიონში, მაგრამ გვჭირდება, რომ კრიმინოლოგიის ძლიერი და დინამიური საზოგადოებები დაინერგოს და განვითარდეს ყველა ქვეყანაში. ჩვენ უნდა განვაავითაროთ ცოდნის ბაზა და აქტიურად გავააქტიუროთ მისი გაცვლა. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ცოდნის მთლიანი ბაზის ზრდა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში. უნდა გავაუმჯობესოთ არა მხოლოდ ელექტრონული გაცვლა, არამარტო საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრებზე დასწრებები, არამედ გავაღრმავოთ ქვეყნის შიდა დაწესებულებებში პირადი კონტაქტებისა და პირადი ურთიერთობების დონე. გვჭირდება მეტი სტუმრის ლექციების პროგრამები, ასევე ფაკულტეტისა და სტუდენტების გაცვლა ჩვენს სფეროში. ევროპელები წინ წავიდნენ სტუდენტთა გაცვლის კონტექსტში „ერაზმუსის“ პროგრამით. ჩვენ უნდა შევქმნათ მსგავსი მოდელი აშშ-ში და დავამატოთ ფაკულტეტის გაცვლა და სტუმრების ლექციების პროგრამები ამ პარადიგმაში. საერთაშორისო კრიმინოლოგიური საზოგადოება დაინტერესებულია ამერიკულ აკადემიურ ინსტიტუტებთან გაცვლებით და მე ახლა ვგრძნობ მზარდ საერთაშორისო ცნობიერებას ჩვენს მხარესაც. ამერიკული პროგრამები, როგორც წესი, მონდომებული პარტნიორები არიან, მაგრამ საფასურის ფაქტორები საკმაოდ დიდია (ამ უნივერსიტეტების ბიუჯეტებში ამგვარი გაცვლისთვის ნამდვილად ცოტა დოლარია ხელმისაწვდომი). ამერიკული კრიმინოლოგიის პროგრამებში საჭიროა კრეატიული დაფინანსების

გარკვეული ზომების ჩართვა ეროვნული და კულტურათაშორისი ურთიერთქმედების უფრო მაღალი დონის მისაღწევად.

ჩვენი დარგი, რომელმაც XX საუკუნის ბოლო ნახევარში მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, მის 21-ე საუკუნის განვითარებაში შეჩერდება, სანამ არ შევძლებთ გავაძლიეროთ ჩვენი ინტერპერსონალური ურთიერთქმედებები, სანამ არ შევძლებთ გავაძლიეროთ ეროვნული და ერთაშორისი კავშირების კოეფიციენტი ყველა დონეზე და ყველა კონტექსტში. ინტელექტი, ნევროლოგიები გვეუბნებიან, არ არის იმდენად ნეირონების დიდი რაოდენობა თავის ტვინში, რამდენადაც არის კავშირის კოეფიციენტი - ნეირონებს შორის ურთიერთ-კავშირის სიღრმე, სიგანე და წვდომა. ჩვენმა სფერომ ახლა მიაღწია ისეთ მომენტს, სადაც ზრდა და განვითარება დადგება არა მხოლოდ ჩვენს შესაბამის დეპარტამენტებში ფაკულტეტის წევრების დამატებით, არამედ ჩვენი ფაკულტეტის წევრების ინტერპერსონალური კავშირის დონის გაღრმავებით. თვალწარმტაცობა, რომელსაც მოიტანს ასეთი ყოვლის-მომცველი ორიენტაცია იქნება უზარმაზარი, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი დარგის შემდგომ ზრდა-განვითარებაზე.

ინტერდისციპლინარული პერსპექტივა

ზუსტი მეცნიერებები და მედიცინა იყო მე-20 საუკუნის ორი წარმატებული ამბავი. თუმცა, ამ დიდ ნახტომში აშკარად ნაკლებობდა სოციალური და ქცევითი მეცნიერებები. დაახლოებით ორმოცი წლის წინ, ამერიკელმა ავტორმა ალან ბლუმმა (1987) გააკრიტიკა სოციალური და ქცევითი მეცნიერებები აკადემიური ინერციისთვის. იგი ამტკიცებს, რომ არ არსებობდა ახალი პერსპექტივები, არ არსებობდა ახალი პარადიგმები, არ არსებობდა ახალი ღირებულებების ან გავლენის თეორიები ათწლეულების განმავლობაში. ზუსტ მეცნიერებებთან და მედიცინასთან შედარებით, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, პოლიტოლოგიის ტრადიციული დისციპლინები კომპლექსურია, ან საერთოდ მკვდარი. მისი მტკიცებით, მთავარი მიზეზი ინტელექტუალური ინცესტია, განსაკუთრებით სურვილის არ ქონა ინტერდისციპლინურ და ერთაშორის განაცხადებებსა და გაცვლის საკითხებში ჩართვის; თემები, რომელზეც ახლახან ვისაუბრეთ.

კრიმინოლოგია, მე ვიტყვოდი, ბლუმის ტრაქტატის მტკიცე გამონაკლისია. ბოლო ნახევარ საუკუნეში კრიმინოლოგია გამოირჩეოდა როგორც არაჩვეულებრივად მკაფიო შესასწავლი სფერო და ის კიდევ უფრო აფეთქდება 21-ე საუკუნეში. კრიმინოლოგია 1960-70-იან წლებში იყო სწავლის მარგინალური დარგი. იგი ნათლად გამოჩნდა სცენაზე 1980-90-იან წლებში. დიახ, ეს ნაწილობრივ განპირობებული იყო პოლიტიკური ამინდით, ცაიტგაისტით, დანაშაულის ამერიკული პოლიტიკისთვის საინტერესო ფუნდამენტურ თემად გამორჩევით, მაგრამ ასევე, უმეტესწილად, კრიმინოლოგიის ინტელექტუალური მრავალფეროვნების (მისი ინტერდისციპლინარული ხასიათი) და მისი ერთაშორისი ხასიათის გამო. რაც შეეხება პირველს, არ არის იშვიათი კრიმინოლოგიის პროგრამის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების ნახვა ისტორიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ბიოლოგიის, პოლიტოლოგიისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის, სამართლისა და ურბანული კვლევების, ასევე, რა თქმა უნდა, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის აკადემიური ხარისხებით. კრიმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში ეძებდა სახლს, ასე ვთქვათ. ის, რაც

ფილოსოფიურ რეჟიმში დაიწყო (Beccaria, Bentham) გადავიდა სამედიცინო ჟანრაში (ლომ-ბროზო) და საბოლოოდ, სამართალში (გერმანული და რუსული ტრადიცია). სოციოლოგია ერთი სეზონის განმავლობაში დომინანტად გამოჩნდა (დურკჰეიმი, სატერლენდი), მაგრამ ყველა ეს ოდესღაც დომინანტური პარადიგმა ახლა გაქრა, დროთა განმავლობაში დაბინდვა და კრიმინოლოგია გახდა სასწავლო ინტერდისციპლინური დარგის მოდელი, სოციალური მეცნიერების ორიენტაციით ან აქცენტით (იხ. ზოგადად, სიგელი, 2016).

ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ამ მულტიდისციპლინარული ორიენტაციის დაცვა. მე პირადად ვიცნობ ამერიკის მთავარ უნივერსიტეტში ისტორიის განყოფილებას. ფაკულტეტი ფლობს საერთო ჯამში 23 უმაღლეს ხარისხს - ერთის გარდა, ყველა ისტორიაში. ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ ასეთ მოდელს, რადგან ეს ხელს უწყობს ინტელექტუალურ ინცესტს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა სფერო, დისციპლინა და შემოვიერთოთ. ჩვენ უნდა მოვიპაროთ ჩვენი აკადემიური მეზობლებისგან. ყველას ბევრი აქვს შემოსათავაზებელი; და ამ ინტერდისციპლინარულ კონტექსტში, ჩვენ კოლექტიურად უნდა ვეძიოთ კრიმინალის და სამართლიანობის საკითხების მოგვარების და ცოდნის განვითარების გზები.

მტკიცებულებებზე დაფუძნება

რა ვიცით დანაშაულის სიმძიმის შემცირების შესახებ და როგორ ვცდილობთ ამის გაკეთებას? ზოგი პროგრამა და პოლიტიკა წარმატებული ჩანს, ზოგი კი აშკარად არ გამოდგება, მაგრამ არ ვართ დარწმუნებული, რატომ არცერთ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძელით მიზეზების ზუსტად გაგება; მედიცინაც 200 წლის წინ იგივე სიტუაციაში იყო. ნება მომეცით, მოვყვე ამბავი და გამოვიყენო სამედიცინო ანალოგია იმ ეპოქიდან, რომ კიდევ უფრო ხაზი გავუსვათ ამ მომენტს.

1799 წელს შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი იწვა საწოლში ნაკაწრი ყელის მძიმე შემთხვევით. იმ დროის საუკეთესო ექიმებმა დაასკვნეს, რომ მას სჭირდებოდა სისხლდენა, იმ დროის ზოგადი სამკურნალო მეთოდი, რომელიც პრაქტიკულად ყველა დაავადებისთვის გამოიყენებოდა. სისხლდენა, სხვა გავლენებთან ერთად, ხელს უწყობს დეჰიდრატაციას. საბოლოოდ, ირონიულად, ვაშინგტონი გარდაიცვალა არა ყელის ინფექციის გამო, არამედ, ძირითადად, სისხლდენით მიღებული დეჰიდრაციისგან გამოწვეული გართულებებით. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ყელის ასეთი ინფექციისას პაციენტს სჭირდება ჰიდრაცია და არა დეჰიდრატაცია. ჯორჯ ვაშინგტონის ჯანმრთელობა რომ გამოსწორებულიყო (და არსებობდა ამის შანსი, რადგან ის ძლიერი ადამიანი იყო), ექიმები ივარაუდებდნენ, რომ ეს მოხდა სისხლდენის გამო და გაასაჯაროებდნენ ამ შემთხვევას მკურნალობის იმ მოდალობის სიკეთის კიდევ ერთ მაგალითად. რა თქმა უნდა, ვაშინგტონის ჯანმრთელობა გაუმჯობესდებოდა არა ამ მკურნალობის მეთოდის გამო, არამედ მის მიუხედავად. რა თქმა უნდა, სწორად ჩატარებული სისტემური ანალიზი გამოარკვევდა, რომ ნამდვილად ასე იყო, მაგრამ 1800-იან წლებამდე ასეთი ანალიზები იშვიათად თუ ჩატარებულა ისევე, როგორც დანაშაულზე რეაგირებისა და პრევენციის პროგრამებში.

ზოგადად, დანაშაულზე რეაგირებისა და პრევენციის პროგრამები, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ შეერთებულ შტატებში სისტემატურად არ შეფასებულა. ჩვენ გვჭირდება კრიმინოლოგიური (FDA). არცერთ დანაშაულზე რეაგირების ან პრევენციის პროგრამა არ

უნდა განხორციელდეს მანამდე, სანამ არ განხორციელდება სათანადო ტესტირება, სანამ იგი არ გამოიკვლევა განმეორებით და დაწვრილებით ისევე, როგორც ახალი წამლის გამოკვლევა საჭიროა ბაზარზე გასვლამდე.

კრიმინოლოგიის სფეროში ცოდნის საფუძველი ზუსტ მეცნიერებებთან შედარებით გარკვეულწილად მცირეა. შედეგად, მიღებული იუსტიციის პოლიტიკა და პროგრამები, ძირითადად, ხორციელდება უფრო მეტად პოლიტიკური თვალსაზრისის და არა მეცნიერული დასაბუთების გათვალისწინებით. საბოლოო ანალიზისას აკადემიური კრიმინოლოგია ზოგადად დაბინძურებულია პოლიტიკური კრიმინოლოგიით, რადგან კარგი ცოდნის არარსებობისას საზოგადოებრივი პოლიტიკა არის მეცნიერების მწიკვი (და ხშირად თან ცუდი მეცნიერების) და იდეოლოგიის ფუნტი.

პროგრესული მარკეტინგის ძალისხმევა

საჭიროა ძლიერი მარკეტინგული მცდელობები, რომ მოხდეს მეცნიერების ინტეგრაცია საჯარო სექტორში. უკვე დიდი ხანია არსებობს დაშორება სამეცნიერო კრიმინოლოგიასა და საზოგადოებრივ კრიმინოლოგიას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი პროგრამა ხორციელდება, რომელსაც არ გააჩნია კარგი ემპირიული საფუძველი, არსებობს ასევე პროგრამები, რომლებიც სისტემური შეფასების საშუალებით აჩვენებს, რომ სიცოცხლისუნარიანია, თუმცა არ ხორციელდება დაბალი პოლიტიკური მაჩვენებლის გამო. ზოგჯერ ჩნდება საზოგადოებრივი სენტემენტის მახინჯი სახე და ზეგავლენას ახდენს მეცნიერებაზე; ეს სცენარი არ შემოიფარგლება მხოლოდ კრიმინოლოგიის სფეროთი. განვიხილოთ, მაგალითად, დოქტორ ჯოზეფ გოლდბერგერის შემთხვევა (და ამრიგად, ჩვენ დავუბრუნდებით სამედიცინო ანალოგს; იხ. Morabia, 2008). დოქტორი გოლდბერგერი შეერთებული შტატების მთავრობამ გაგზავნა სამხრეთ ამერიკის შტატებში 1914 წელს, პელაგრის დაავადების გამომწვევი მიზეზის გარკვევის და განკურნების მიზნით. მან აღმოაჩინა, რომ ეს დაავადება გამოწვეული იყო დიეტური საკითხებით და არ იყო ინფექციური ხასიათისა, როგორც ამას იმ დროისთვის ფართოდ თვლიდნენ. დოქტორ გოლდბერგერმა, ებრაელმა ემიგრანტმა, რომელიც მაშინ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა, დაიწყო თავისი დასკვნების სამხრეთ მოსახლეობის და ხელმძღვანელობისთვის გადაცემა. მისი შრომა მათ უარყვეს, ნაწილობრივ, იმის გამო, რომ იგი იყო ებრაელი (ამერიკულ კუ კლუქს კლანს ძლიერი სიძულვილი ჰქონდა არა მხოლოდ შავკანიანთა, არამედ ებრაელთა მიმართ), ნაწილობრივ იმის გამოც, რომ იგი იყო ემიგრანტი და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ იყო ჩრდილოეთიდან. (იმ დროს სამხრეთში სამოქალაქო ომისგან გამოწვეული ჯერ კიდევ საგრძნობი სიმწარე არებობდა), ნაწილობრივ კი ცვლილებისადმი ზოგადი შიშის გამო, იმ პერიოდის სამხრეთის პოლიტიკაში ქსენოფობიის გამო. დასკვნები სოციალურად და პოლიტიკურად მიუღებელი იყო, ისევე როგორც კურიერი. დოქტორი გოლდბერგერი საბოლოოდ შეერთებული შტატების მთავრობამ უკან გამოიწვია ამ საკითხების მიმართ მთელი ამერიკული სამხრეთის მტრობის გამო. იგი გარდაიცვალა კონკრეტული ცოდნით, რომ მან აღმოაჩინა პელაგრის მიზეზი და განკურნების საშუალება, მაგრამ ნამდვილად იმედგაცრუებულობით, რომ ეს აღმოჩენები ვერ გამოიყენა პოლიტიკის გამო.

ჯოზეფ გოლდბერგერის შემთხვევისგან განსხვავებით, განვიხილოთ ჯეიმს ბრუსელის საქმე. კრიმინალური პროფილების მამა (ტურვი, 2015). მიუხედავად იმისა, რომ მან მიაღწია

დიდ საზოგადოებრივ წარმატებას 1950-იან წლებში ნიუ – იორკის შემოღობილი ბომბერის საქმეში, კრიმინალური პროფილის ზოგადი იდეა მაინც უნდა "ეყიდა" საზოგადოებასა და პოლიციას და მეცნიერება უნდა "გაყიდულიყო" საზოგადოების–სექტორზე ორიენტირებული შემსრულებლის მიერ. ბრიუსელმა იცოდა როგორ შეესრულებინა, როგორ მიეღწია ხალხამდე, როგორ გაეყიდა. მას აშკარად ჰქონდა მეცნიერების კარგი გაგება, მაგრამ, რაც მთავარია, მას შოუმენის მხარეც ჰქონდა და ეს შოუმენის მხარე შემდგომში დაეხმარა კრიმინალური პროფილის მეცნიერების პოპულარიზაციაში.

ამ ამბებით ყურადღება ექცევა საჭიროებას, რომ მეცნიერ კრიმინოლოგებმა უნდა აღიარონ ორი სფერო, რომელიც უნდა გადაილახოს მიზნის მისაღწევად - მეცნიერული კრიმინოლოგია და საზოგადოებრივი კრიმინოლოგია. მაგალითად, რამდენად ჭკვიანურადაც არ უნდა ჟღერდეს ამერიკელებისთვის იარაღის ჩამორთმევა, ეს უბრალოდ არ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხასიათის წარმატებით განხორციელებულმა პოლიტიკამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მკვლევლობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ვარდნა. რამდენად ჭკვიანურადაც არ უნდა ჟღერდეს, საშინლად გაუწონასწორებელი სოციალური უთანასწორობის კოეფიციენტი ამერიკაში არ განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარად პრეციპიტირებადი ფაქტორია, როდესაც საქმე დანაშაულის საკითხებს ეხება. შეერთებულ შტატებში არ არსებობს პოლიტიკური კაპიტალი, რომელიც სერიოზულად განიხილავს ამ ორ საკითხს. ეს არ არის პოლიტიკურად სასიამოვნო თემები. ზოგჯერ ფაქტორები და ძალები მეცნიერებას მძევლად ჰყვას.

ყველა ტიპის პოლიტიკური მოხელე დამოკიდებულია პოლიტიკურ ჭეშმარიტებებზე გადარჩენისთვის. მეცნიერული ჭეშმარიტებები შეიძლება აღიქვას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანამედროვე პოლიტიკურ ამინდს შეესაბამებიან და ამ პოზიციებს სწრაფად მიატოვებენ პოლიტიკური ელიტები, როდესაც ამინდი შეიცვლება. გარკვეულწილად გამარტივებული გაგებით, არსებობს პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ჭეშმარიტება და არსებობს მეცნიერული ჭეშმარიტება. რა თქმა უნდა, არსებობს თანხვედრის გარკვეული ზომები, მაგრამ პოლიტიკური "ლიდერები" თავისი ბუნებით უფრო მეტად იხრებიან პირველისკენ, რომ შეინარჩუნონ გავლენა და ძალაუფლების პოზიციები საზოგადოებრივ სფეროში. ზოგის აზრით, პოლიტიკოსები მოქმედებენ ინფორმაციისგან თავისუფალ ზონებში. მე უარყოფ ამ პერსპექტივას მთლიანად და სრულად. პოლიტიკური ჩინოვნიკები (ყოველ შემთხვევაში, წარმატებულები) კარგ ჰარმონიაში არიან "ინფორმაციასთან" და აქტიურად ეძებენ მას, თუმცა ეძებენ პოლიტიკურ ინფორმაციას, პოლიტიკურ/საზოგადოებრივ ჭეშმარიტებებს. ისინი მუდმივად ეძებენ პოლიტიკურად სასიამოვნოს, თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ამის საპირისპიროდ, აკადემიკოსები ზოგადად მოქმედებენ ინვერსიულად, აქცენტი აქვთ სამეცნიერო ჭეშმარიტებებზე და არა პოლიტიკურზე. ამასთან, საზოგადოების განწყობის უგულვებელყოფით მეცნიერება ძალიან ხშირად უგულვებელყოფილია და წიგნის თაროზე მტვერს აგროვებს, მისი გავლენა პრაგმატულად სადავოა. იმის ნაცვლად, რომ ვაკრიტიკოთ პოლიტიკური ლიდერები, რადგან პოლიტიკურ ამინდზე ამახვილებენ ყურადღებას და არა ანალიტიკაზე და შემდეგ ზიზღით გავექცეთ ამას ჩვენს პატარა კომფორტულ ყურნალებსა და პროფესიულ საზოგადოებებში, უნდა გავიზიაროთ, რომ ეს ცხოვრების ბუნებაა. გვჭირდება, რომ ამ რეალობას შევეგუოთ, თუ გვსურს ვიქონიოთ პრაგმატული გავლენა და

შევიგნოთ, რომ პოლიტიკოსები მოისმენენ, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკურს. ამ კონტექსტში, ჩემი აზრით, კრიმინოლოგების როლი არა მხოლოდ ემპირიული ჭეშმარიტების აღმოჩენა და ცოდნის განვითარებაა (გავაგრძელოთ ჩვენს ტრადიციულ როლში, როგორც "მეცნიერული კრიმინოლოგი"), არამედ საზოგადოებრივ კრიმინოლოგებად ჩამოყალიბება. ჩვენ უნდა ჩავერთოთ ისეთ საქმიანობაში, რომელიც გამოიწვევს უფრო დიდ საჯარო პოლიტიკის განხორციელების კოეფიციენტს. სხვა შემთხვევაში, ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ერთმანეთის „მუსიკის“ მოსმენას ჩვენი ოფისის სათავსოების კომფორტსა და უსაფრთხოებაში და ჩვენს მეტად პროვინციულ პროფესიულ შეხვედრებზე.

სანამ გავაგრძელებთ მსჯელობას, აქ საჭიროა ძალიან მნიშვნელოვანი განმარტების გაკეთება. მეცნიერება გავლენას ახდენს საზოგადოებრივ პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, თუმცა ეს გავლენა დროს ჩამორჩება. მეცნიერება წინ უსწრებს კულტურას. არსებობს მეცნიერებისა და კულტურის დროში ჩამორჩენა. მაქს პლანკმა აღნიშნა თითქმის ერთი საუკუნის წინ, რომ ახალი ჭეშმარიტების დანერგვა აუცილებლად ელოდება უფროსი თაობის წასვლას.

„ახალი სამეცნიერო ჭეშმარიტება არ იმარჯვებს თავისი ოპონენტების დარწმუნებით და მათვის შუქის დანახვებით, არამედ იმის გამო, რომ საბოლოოდ მისი მოწინააღმდეგეები იღუპებიან და იზრდება ახალი თაობა, რომელიც მას იცნობს.“

კუნმა (1962) იგივე არგუმენტი მოიყვანა კონკრეტულად მეცნიერებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მეცნიერული პარადიგმა გადაბრუნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ბოლო ძლიერი მიმდევრები დაიღუპებიან. დიახ, დროში ჩავარდნა არსებობს თუნდაც "განმანათლებლო" სამეცნიერო საზოგადოებაში. რატომ უნდა ველოდეთ საჯარო სექტორში რაიმე განსხვავებულს? გასაკვირი არ არის, რომ სოციოლოგთა უდიდესი გავლენა დღემდე საზოგადოებრივ პოლიტიკაზე განხორციელდა ახალგაზრდების სწავლებით. დროთა განმავლობაში ახალგაზრდები ძველი თაობის ადგილს იკავებენ, როგორც ახალი მმართველები და, შემდგომში, გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, რაც მათ ახალგაზრდობაში აითვისეს. ეს ციკლი გრძელდება უსასრულოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება არ იმარჯვებს პირდაპირი გაგებით, არამედ მისი მოწინააღმდეგეები უბრალოდ იღუპებიან. ამ პარადიგმაში მეცნიერთა გავლენა საზოგადოებრივ პოლიტიკაზე არის ემბრიონალური, ქვევიდან ზევით, დროში შეფერხებული ფენომენი. მართლაც, სოციალური პოლიტიკის ძვრები ისტორიულად განხორციელდა მხოლოდ ადამიანის გეოლოგიურ დროში, უმეტესწილად, მეცნიერებისა და კულტურის დროული ჩამორჩენის გამო (მაგ. კათოლიკური ეკლესია უარყოფდა მზის სისტემის ჰელიოცენტრული ხასიათს მისი დოკუმენტაციიდან თითქმის 200 წლის განმავლობაში). ჩემი პოზიციაა, რომ ჩვენ უნდა ჩავერთოთ ისეთ საქმიანობებში, რომლებიც გადალახავს დროის დაბრკოლებას, სტრატეგიებში, რომლებიც გამოიწვევს უფრო დიდ საჯარო პოლიტიკის განხორციელების კოეფიციენტს.

მედიცინა დიდი ხნის წინ მიხვდა, რომ თუკი ოდესმე მიაღწევდა ეფექტურ და დროულ პროფილაქტიკურ და სამკურნალო პროგრესს, ეს ახალი ცოდნით უნდა მიეღწია როგორც საკუთარი სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ისე საჯარო სექტორისთვის და რომ ახალი ინფორმაცია კომუნიკაციის სიციხადის მაღალი დონით უნდა მიწოდებულიყო. მედიცინამ ამ ძალისხმევაში წარმატებას მიაღწია შინაარსის მორგებით და სხვადასხვა საკომუნიკაციო

სტრატეგიის გამოყენებით, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვაგვარი მსმენელთან შესაბამისობას. ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ კრიმინოლოგიაში.

დასკვნა

ჩვენს თანამედროვე სამყაროში არსებობს უამრავი ინტერაქტიური ძალა, რომელიც ებრძვის მშვიდობას და ცივილურობას. კრიმინოლოგია ისევე, როგორც მედიცინა დაახლოებით 200 წლის წინ დგას უთვალავი პრობლემის წინაშე. ჩვენ არ შეგვიძლია მოვსპოთ დანაშაული, ისევე როგორც ექიმებს არ შეუძლიათ მოსპონ სიკვდილი. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ თანამედროვე კრიმინალური გამოწვევების სიმძიმე, იგივე სტრატეგიული აკადემიური მოდელის მიღებით, რაც მიიღო მედიცინამ ორი საუკუნის წინ - ერთაშორისი, ყოვლისმომცველი, ურთიერთდაკავშირებული, ინტერდისციპლინური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ორიენტაცია, ასევე ცოდნის გავრცელების მცდელობები, რომელიც განხორციელდა საზოგადოებრივ და სამეცნიერო სექტორებში (საკომუნიკაციო მეთოდოლოგიების გამოყენებით, რომლებიც ეფექტურია ამ ორ ძალიან განსხვავებულ საზოგადოებაში).

საიდან დავიწყეთ? პირველი ნაბიჯი, ჩემთვის, არის ყოვლისმომცველი სტრატეგია - მნიშვნელოვნად გავზარდოთ კრიმინოლოგიის არსებობა მსოფლიოს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. თუ ჩვენ გვინდა გავაძლიეროთ სოციალური სამართლიანობა, გავაძლიეროთ კომუნალური მშვიდობისა და უსაფრთხოების განწყობა და გავაუმჯობესოთ სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა, უნდა დავიწყეთ იუსტიციის განათლების პროგრამების ზრდით და განვითარებით ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებში, მთელ მსოფლიოში. შეიძლება კიდევ ერთი ან ორი თაობა დასჭირდეს მსოფლიოს შორ კუთხეებში იუსტიციის განათლების დამკვიდრებას და კიდევ უფრო მეტი დრო ამ სტრატეგიის სრული გავლენის განხორციელებას, მაგრამ მე მჯერა, რომ ბოლოს ეს გამოვა. დიდი გამოწვევები გველის წინ, როდესაც ჩვენ გარშემო არსებულ უთანასწორობებსა და უსამართლობებზე ვრეაგირებთ. ადამიანები უნდა დავაპუროთ, რიფები და ტყეები უნდა დავიცვათ, სიცოცხლე ყველანაირი ფორმით დავიცვათ და შეცდომები გამოვასწოროთ მრავალ სფეროში. ამ შემოთავაზებული ხუთპუნქტიანი სტრატეგიული მოდელის გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ის გარემო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და შედეგად, მშვიდობა, სამართლიანობა და თანასწორობა უფრო ხშირი იქნება ჩვენს სახლებში, ჩვენს სამეზობლოებში, ჩვენს ერებსა და ჩვენს სამყაროში.

Legal Protection of Family Relations: Limits of Permissible State Intervention

პროფესორი, დოქტორი ვიტალი კვაშისი (რუსეთი), რე მსს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოება. მსოფლიო ვიქტიმოლოგიური საზოგადოება.

Professor, Dr. Vitaly Kvashis (Russia), Chief Research fellow at the All-Russian Scientific Research Institute of the Ministry of Internal Affairs of the Russian Federation, American Society of Criminology (ASC) Member of the World Victimology Society.

The article discusses the problem of domestic violence, which is actively discussed in society in connection with the appearance of the draft Federal Law “On the Prevention of Domestic Violence in the Russian Federation”. It is noted that statistics on domestic violence are fragmented, which greatly complicates the objective assessment of the extent of the problem. The conclusion is made that it is necessary to develop a legal concept of domestic violence, including a description of objectively recorded signs. The authors critically examine the definition proposed by the law drafters. It is noted that state intervention in the private sphere is permissible only if there is a real threat to the life and health of the victim, while in the event of a conflict without a threat to life and health, the possibility of contacting state structures or public associations for qualified assistance should be guaranteed. The main reason for the ineffectiveness of measures provided for by current legislation is the negligent attitude to family violence by specific officials, and not the problem of legal regulation.

Key words: Family violence, Victim, Russia, Statistics, Bill.

In 2019, the controversy surrounding the issue of domestic violence has revived noticeably in Russia. The appearance of the draft Federal Law “On the Prevention of Domestic Violence in the Russian Federation” caused an unusual, but predictable wave of public discussion, which, as the analysis shows, for the most part was not meaningful. A similar situation took place in 2009, when part of the public actively opposed the introduction of juvenile justice. The arguments of the opponents of these short stories are similar in both cases: national characteristics, mentality, spirituality and traditional values. Unfortunately, discussions about resonant bills are now increasingly being conducted without sufficient argumentation, without reliance on statistical information, on the results of criminological and other special studies, and they are increasingly going beyond the limits of the accepted legal vocabulary. All these characteristic features of modern polemics regarding various legislative initiatives reflect the state of mindset and mass justice, which are largely due to a marked decrease in the level of general and legal culture in society.

Domestic violence has long been a taboo topic in the country. For a long period, domestic violence was not considered as an abnormal social phenomenon, reflecting pathologies in the sphere of family relations, but was accepted as ordinary and normal. In fact, this is the main problem for Russian society to recognize various forms of domestic violence as deviant behavior, the qualification of which as an offense or crime depends on the severity of the consequences. Meanwhile, one of the sad legacies of the past country is the cult of power and violence, perceived by modern social practice and the corresponding aesthetics of the behavior of power, which permeates all social institutions, including the institution of the family and the sphere of family

relations as a whole. Without sharing the conspiracy theories of opponents of the bill in question, it should be recognized that in the context of violence cultivated in society, maintaining the “status quo” for the state for various practical reasons seems preferable (although inaction encourages the spread of violence). The deterioration of the socio-economic situation, the marginalization of certain social groups and other negative processes naturally cause tension and aggression, which is mainly channeled into the sphere of private life. However, the cultivation of violence can give a much more negative effect, and the belief that such processes and, most importantly, the change in the vector of accumulated aggression can be successfully controlled is a dangerous illusion.

Opponents of the bill launched a fairly powerful campaign in the media and social networks. Meanwhile, polls by Russians show that 70% consider it necessary to adopt a law on the prevention of domestic violence. According to the All-Russian Public Opinion Research Center, 90% of respondents are sure that any physical violence in the family is unacceptable [3].

It should be noted that domestic statistics on domestic violence are fragmented and fragmented, which significantly complicates the objective assessment of the extent of the problem. Such uncertainty and incompleteness of the information base allows supporters and opponents of the bill to operate on the results of selective research that are convenient for them and the preferred sources of information.

According to the Federal State Statistics Service, the number of persons recognized as victims of crimes related to violent acts against a family member in 2017 amounted to 25.7 thousand women and 10.4 thousand men [6, pp. 218-241]. These data are provided to Rosstat by the Ministry of Health and Social Development of the Russian Federation, which mainly collects information through subordinate centers for social assistance to families and children. Given that victims of domestic violence rarely turn to crisis centers, and if they turn to, as a rule, to non-state funds, this data must be taken quite critically.

Media publications calling for the immediate adoption of the bill often use information that in Russia, 14,000 women die every year at the hands of a partner. These data were presented in 1999 in a report of the Russian Federation submitted to the UN Committee on the Elimination of Discrimination against Women. And although 20 years have passed since then, these data are still widely used, not taking into account either a decrease in crime, changes in its structure and dynamics, significant changes in the demographic situation, or other important variables. Meanwhile, according to the Russian Ministry of Internal Affairs, in 2018, 8574 cases of killings and attempted murders were registered; 23224 cases of intentional infliction of grievous bodily harm [5], some of which could result in the death of the victim through negligence; however, not all of these facts are the result of domestic conflicts. (As you can see, the data on 14 thousand women who die annually as a result of family conflicts are speculative). In addition, it is incorrect to assume that only women are victims of domestic conflicts; Along with this, the level of violence against children is growing, as well as the victimization of elderly people, whose pension payments, as a rule, serve as the main source of their existence, and are often simultaneously the subject and cause for family conflicts.

In the statistics of the Ministry of Internal Affairs of Russia, information on victims of domestic conflicts is not detailed and is generally very limited. At the end of 2019, when the discussion of the bill came to a new stage, the Russian Ministry of Internal Affairs reported that in 2018, 21,390 crimes were committed in the field of family relations with women [1]. As you can see, the data on administrative offenses were not included in this array. According to VTsIOM polls, 40% of respondents know about cases of beatings in families they know. According to experts, 60 - 70% of women suffering from domestic violence do not seek help, and only 3% of such cases reach the court [2, p.4]. Thus, the problem of establishing order in the registration and recording of statistical information on domestic violence in relation to one of the most acute. The complexity of its solution is connected not only with the definition of the subject (state body), on which it is advisable to assign the corresponding functions, but also with the answer to the key question, what exactly should be considered.

Specialists involved in the study of domestic violence identify the following types of it: physical, sexual, economic and psychological. Such a broad understanding of domestic violence can put a law enforcer, accustomed to working with specific legal structures, in a difficult position. Therefore, it is necessary to develop a legal concept of domestic violence, which includes a description of objectively recorded signs.

The drafters of the bill proposed to consider family violence “a deliberate act causing or containing a threat of causing physical and (or) mental suffering and (or) property damage that does not contain signs of an administrative offense or criminal offense” [4]. In our opinion, such a definition cannot be considered successful. Firstly, the use of categories such as “physical and (or) mental suffering” in itself raises many questions because of their vagueness and subjective perception. Secondly, the logic of the developers of the draft law, who deduced administrative offenses and crimes from the concept of “domestic violence”, is not entirely clear or completely not clear. This logic violates the principle of systematic counteraction to negative phenomena and, in particular, domestic violence. Finally, the use of the term “criminal offense” is generally discouraging; I want to think that it, rather, speaks of carelessness, and not about the level of qualification of the authors of the bill.

When considering the problem of family violence, the relevance of which is recognized by both supporters and opponents of the bill, two fundamental questions should be answered: a) Where is the line between non-interference in privacy and the need to apply protective measures against the victim of violence? b) What is the reason for the ineffectiveness of measures provided for by current legislation?

The first question is the classic legal dilemma of priority rights. The life and health of the victim has an undeniable priority over the right to privacy. State intervention is permissible only if there is a real threat to life and health; however, this does not mean that in other cases the state cannot participate in resolving family conflicts. In the event of a conflict that does not pose a threat to life and health, any of the parties may turn to state structures or public associations for qualified assistance. The task of the state is to develop mechanisms to ensure the necessary assistance.

When answering the second question, the following must be borne in mind. Unlawful acts in such conflicts, depending on the consequences, can be qualified in accordance with Article 6.1.1 of the

Code of Administrative Offenses of the Russian Federation (beatings), Article 11.1 of the Criminal Code of the Russian Federation (beatings by a person subjected to administrative punishment), Art. 115 of the Criminal Code (intentional infliction of slight harm to health). Most often, these articles are applied in practice. Qualification under Art. 117 of the Criminal Code (torture), Art. 119 of the Criminal Code of the Russian Federation (threat of murder or causing grievous bodily harm), Art. 112 of the Criminal Code (intentional infliction of moderate severity of harm to health), Art. 111 of the Criminal Code (intentional infliction of grievous bodily harm), Art. 131 of the Criminal Code (rape), Art. 105 of the Criminal Code (murder), part 3, article 30, article 105 of the Criminal Code (attempted murder). Given that the various forms in which domestic violence can occur are already criminalized, the question arises of the advisability of introducing an additional (separate) corpus delicti. The main argument of the supporters of the criminalization of domestic violence is that, unlike criminal attacks by a stranger, in family conflicts the victim of crimes is financially or otherwise dependent on the aggressor, as a rule, lives with him and, therefore, the violence is systematic character.

According to some experts, “the abolition in February 2017 of criminal liability for the first beatings against relatives was a serious step backward ... Decriminalization of the first beatings in the family gave the aggressors a signal of permissiveness, made it harder for the victims to hold the perpetrator accountable, and weakened the guarantees of protection”[2]. This is a fairly widespread statement. At the same time, there are a number of arguments that make it possible to positively assess the introduction of administrative prejudice in respect of a staff providing for liability for beatings, which, however, does not exclude a critical attitude to judicial practice in these cases.

As you know, the complexity of applying articles 116 and 116.1 of the Criminal Code of the Russian Federation is due to the fact that we are talking about cases of public-private and private prosecution. This circumstance makes it difficult for victims to access justice. The introduction of the institution of administrative prejudice has simplified this problem. In addition, it must be borne in mind that very often, for various reasons, the victim of violence does not want to initiate criminal prosecution of the aggressor. In the most common scenarios of a family-domestic conflict, the use of a preventive measure consisting in the temporary isolation of the aggressor from the victim is sufficient. In this case, the appointment of administrative arrest, in our opinion, is the most effective measure. Judicial practice does not always take into account the essence and origins of family conflicts and, as a rule, such cases are punished with a fine, which is paid from the family budget. As you can see, the complexity of the situation is associated not so much with gaps in legal regulation as with law enforcement practice, where the de facto problem of domestic violence is ignored. It is no coincidence that facts gained wide resonance when law enforcement officials did not respond to manifestations of domestic violence that led to grave consequences. And here we are again talking not about the problems of legal regulation, but about the negligent (inattentive and indifferent) attitude to the problem of domestic violence by specific officials.

The above considerations should not be construed as arguments against the adoption of the law on the prevention of domestic violence. We just want to emphasize that the problem should be solved systematically. As a positive novelty of the bill, it is necessary to note the introduction of the institution of a protective order. We draw attention to the fact that the drafters of the bill assigned

the corresponding responsibility to the internal affairs bodies, which are considered as the main subject of prevention of domestic violence. With a relatively high level of trust in the police, the question of whether the participants in the family conflict themselves are ready for contacts with the police remains open. The question also remains open whether the police themselves are ready to intervene in such conflicts within the existing staffing and resource provision.

The questions posed here and the above considerations undoubtedly need further reflection, but they cannot but be included in the balance of reflections on the fate and prospects of the bill under consideration.

References:

1. The Ministry of Internal Affairs named the number of women victims of domestic violence. <https://www.rbc.ru/rbcfreenews/5dd6844f9a794787117e082d>
2. Human Rights Watch Report. The problem of domestic violence in Russia and the reaction of the state. October, 2018.
3. Mukhametshina E. Most Russians support the law on combating domestic violence // Vedomosti. 2019, December 15.
4. The draft law on the prevention of domestic violence. <http://council.gov.ru/services/discussions/themes/110611/>
5. The state of crime in Russia for January-December 2018. <https://xn--b1aew.xn--p1ai/reports/item/16053092/>
Federal State Statistics Service. M.: Rosstat, 2018. P. 218–241.

ოჯახური ურთიერთობების სამართლებრივი დაცვა: სახელმწიფოს მხრიდან პირად ცხოვრებაში ჩარევის დაშვებადობის ფარგლები

ვიტალი კვაშისი

ნაშრომში განხილულია რუსეთში ოჯახური ძალადობის პრობლემები და ფედერალური კანონპროექტი „ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ რუსეთის ფედერაციაში“. მოცემულია კრიმინოლოგიური რეკომენდაციები პრობლემის დასაძლევად. კერძოდ, ზემოხსენებული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიღებული, როგორც არგუმენტები ოჯახური ძალადობის პრევენციის შესახებ კანონის მიღების წინააღმდეგ. პრობლემა უნდა მოგვარდეს სისტემატურად. როგორც კანონპროექტის დადებითი სიახლე, აუცილებელია, აღინიშნოს დამცავი ორდერის ინსტიტუტის შემოღება. კანონპროექტის შემქმნელებმა შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისრეს შინაგან საქმეთა ორგანოებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის პრევენციის მთავარ პირად მიიჩნევა.

საკვანძო სიტყვები: ოჯახური ძალადობა, მსხვერპლი, რუსეთი, სტატისტიკა, კანონპროექტი.

2019 წელს, რუსეთში ოჯახური ძალადობის საკითხთან დაკავშირებული დაპირისპირება შესამჩნევად განახლდა. ფედერალური კანონის პროექტის „ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ რუსეთის ფედერაციაში“ გამოცხადებამ გამოიწვია საზოგადოებრივი დისკუსიის უჩვეულო, თუმცა პროგნოზირებადი ტალღა, რომელსაც, როგორც ანალიზებიდან ჩანს, უმეტესწილად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ანალოგიური ვითარება იყო 2009 წელს, როდესაც საზოგადოების ნაწილი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დაწესებას. ამ მოთხოვნების მოწინააღმდეგეების არგუმენტები იგივეა ორივე შემთხვევაში: ეროვნული მახასიათებლები, მენტალიტეტი, სულიერება და ტრადიციული ფასეულობები. სამწუხაროდ, ახლა რეზონანსული კანონპროექტების შესახებ დისკუსიები უფრო და უფრო ხშირად მიმდინარეობს საკმარისი არგუმენტაციის გარეშე, სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობის გარეშე, კრიმინოლოგიური და სხვა სპეციალური კვლევების შედეგებზე და ისინი სულ უფრო სცილდებიან დადგენილ იურიდიულ ლექსიკას. თანამედროვე პოლიემიკის ყველა ეს დამახასიათებელი თვისება სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით ასახავს აზროვნების მდგომარეობას და სამართლიანობას, რაც ძირითადად განპირობებულია საზოგადოებაში ზოგადი და სამართლებრივი კულტურის დონის მკვეთრი შემცირებით.

ოჯახში ძალადობა დიდი ხანია ტაბუდადებული თემაა ქვეყანაში. დიდი ხნის განმავლობაში ოჯახში ძალადობა არ განიხილებოდა არანორმალურ სოციალურ ფენომენად, რომელიც ასახავდა პათოლოგიებს ოჯახური ურთიერთობების სფეროში და მიღებულ იქნა როგორც ჩვეულებრივი და ნორმალური. სინამდვილეში, რუსეთის მთავარი პრობლემა არის ოჯახური ძალადობის სხვადასხვა ფორმის ქცევით გადახრად აღიარება, რომლის კვალიფიკაცია, როგორც დანაშაულის, დამოკიდებულია შედეგების სიმძიმეზე. ამავდროულად, ქვეყნის წარსულის ერთ-ერთი სამწუხარო მემკვიდრეობა არის ძალაუფლებისა და ძალადობის კულტი, რომელიც ყველა სოციალურ ინსტიტუციაში აღწევს, მათ შორის ოჯახის ინსტიტუტსა და ზოგადად ოჯახური ურთიერთობების სფეროებში. განხილული კანონპროექტის მოწინააღმდეგეების შეთქმულების თეორიების გაზიარების გარეშე უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებაში ძალადობის გაღვივების თვალსაზრისით, სახელმწიფოში "სტატუს კვოს" შენარჩუნება სხვადასხვა პრაქტიკული მიზეზის გამო სასურველია (თუმცა უმოქმედობა ხელს უწყობს ძალადობის გავრცელებას. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, გარკვეული სოციალური ჯგუფების მარგინალიზაცია და სხვა ნეგატიური პროცესები ბუნებრივად იწვევს დამაბულობას და აგრესიას, რაც ძირითადად გადადის პირად ცხოვრებაში. ამასთან, ძალადობის განვითარებამ შეიძლება გაცილებით უფრო უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს, ხოლო რწმენა, რომ ამგვარი პროცესები და, რაც მთავარია, დაგროვილი აგრესიის ვექტორის შეცვლა წარმატებით შეიძლება გაკონტროლდეს, საშიში ილუზიაა.

კანონპროექტის მოწინააღმდეგეებმა საკმაოდ ძლიერი კამპანია წამოიწყეს მედიასა და სოციალურ ქსელებში. ამავდროულად, რუსეთში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ 70% მიიჩნევს, აუცილებელია კანონის მიღება ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ. რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის თანახმად, გამოკითხულთა 90% დარწმუნებულია, რომ ოჯახში ნებისმიერი ფიზიკური ძალადობა მიუღებელია [3].

უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ საშინაო სტატისტიკა ფრაგმენტულია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს პრობლემის მასშტაბის ობიექტურ შეფასებას. ინფორმაციის ბაზის ასეთი გაურკვეველობა საშუალებას აძლევს კანონპროექტის მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს იმოქმედონ შერჩევითი კვლევის შედეგებზე, რომლებიც მათთვის მოსახერხებელია და ინფორმაციის სასურველი წყაროა.

ფედერალური სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის თანახმად, 2017 წელს ოჯახის წევრის მიმართ ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებული დანაშაულების მსხვერპლად აღიარებულ პირთა რიცხვმა შეადგინა 25.7 ათას ქალს და 10.4 ათას კაცს [6, გვ. 218-241]. ეს მონაცემები Rosstat- ს მიაწოდა რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების სამინისტრომ, რომელიც ძირითადად ინფორმაციებს აგროვებს ოჯახებისთვის და ბავშვებისთვის სოციალური დახმარების ცენტრების საშუალებით. იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები იშვიათად მიმართავენ კრიზისულ ცენტრებს და თუ ისინი, როგორც წესი, არასახელმწიფო ფონდებს მიმართავენ, ეს მონაცემები საკმაოდ კრიტიკულად უნდა იქნას მიღებული.

მედია პუბლიკაციები, რომლებიც ითხოვენ კანონპროექტის დაუყოვნებლივ მიღებას, ხშირად იყენებენ ინფორმაციას, რომ რუსეთში ყოველწლიურად 14000 ქალი იღუპება პარტნიორის ხელით. ეს მონაცემები 1999 წელს იქნა წარმოდგენილი რუსეთის ფედერაციის მიერ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისთვის წარდგენილ მოხსენებაში. მიუხედავად იმისა, რომ 20 წელი გავიდა მას შემდეგ, ეს მონაცემები ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება, დანაშაულის შემცირების, მის სტრუქტურასა და დინამიკაში ცვლილებების, დემოგრაფიული ვითარების მნიშვნელოვანი ცვლილებების, ან სხვა მნიშვნელოვანი დეტალების გასათვალისწინებლად. ამავდროულად, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2018 წელს დაფიქსირდა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის 8574 შემთხვევა; სხეულზე მძიმე ზიანის მიყენების 23224 შემთხვევა [5], რომელთაგან ზოგი შეიძლება მსხვერპლის დაუდევრობით გარდაცვალებით დასრულდეს. ამასთან, ყველა ეს ფაქტი არ წარმოადგენს ოჯახურ კონფლიქტს. (როგორც ხედავთ, მონაცემები 14 ათას ქალზე, რომლებიც ყოველწლიურად იღუპებიან ოჯახური კონფლიქტის შედეგად, სპეკულაციურია). ამასთან, არასწორია ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ ქალები არიან ოჯახური კონფლიქტების მსხვერპლი; ამასთან, იზრდება ბავშვებზე ძალადობის დონე, ასევე იზრდება ხანდაზმულთა ვიქტიმიზაცია, რომელთა პენსია, როგორც წესი, მათი არსებობის მთავარი წყაროა და ხშირად ხდება ოჯახური კონფლიქტების საგანი და მიზეზი.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკაში საშინაო კონფლიქტების მსხვერპლზე ინფორმაცია არ არის დეტალური და ზოგადად ძალიან შეზღუდულია. 2019 წლის ბოლოს, როდესაც კანონპროექტის განხილვა გადავიდა ახალ ეტაპზე, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 2018 წელს 21390 დანაშაული იქნა ჩადენილი ქალებთან ოჯახური ურთიერთობების სფეროში [1]. როგორც ხედავთ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მონაცემები არ შეიტანეს ამ მასივში. „VTsIOM“- ის გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 40%-მა იცის მათთვის ნაცნობ ოჯახში ცემის ფაქტის შესახებ. ექსპერტების თქმით, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების 60 - 70% დახმარებას არ ითხოვს და ამგვარი შემთხვევების მხოლოდ 3% აღწევს

სასამართლომდე [2, გვ .4]. ამრიგად, ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვაში წესრიგის დამყარება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა. მისი ამოხსნის სირთულე დაკავშირებულია არა მხოლოდ პირის (სახელმწიფო ორგანოს) განმარტებასთან, რომელზედაც მიზანშეწონილია შესაბამისი ფუნქციების მინიჭება, არამედ საკვანძო კითხვაზე პასუხის გაცემასთან - კონკრეტულად რა უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ოჯახში ძალადობის შესწავლაში მონაწილე სპეციალისტები განსაზღვრავენ მის შემდეგ სახეობებს: ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური. ოჯახში ძალადობის ასეთი ფართო გაგებით შეიძლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს სამართალდამცავი, რომელიც მიჩვეულია კონკრეტულ იურიდიულ სტრუქტურებთან მუშაობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ოჯახური ძალადობის სამართლებრივი კონცეფციის შემუშავება, რომელიც მოიცავს ობიექტურად მოცემული ნიშნების აღწერას.

კანონპროექტის ავტორთა აზრით, ოჯახური ძალადობა უნდა ჩაითვალოს "მიზანმიმართული ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ და (ან) ფსიქიკურ ტანჯვას და (ან) ქონებრივ ზიანს ან მათ საფრთხეს, რომელიც არ შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშანს." [4] . ჩვენი აზრით, ასეთი განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. პირველ რიგში, ისეთი კატეგორიების გამოყენება, როგორცაა "ფიზიკური და (ან) ფსიქიკური ტანჯვა" თავისთავად ბევრ კითხვას ბადებს მათი ბუნდოვანებისა და სუბიექტური აღქმის გამო. მეორე, კანონპროექტის შემქმნელთა ლოგიკა, რომლებმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სისხლის სამართლის დანაშაულები ამოიღეს "ოჯახური ძალადობის" კონცეფციიდან, არ არის ბოლომდე გასაგები ან სრულად გაუგებარია. ეს ლოგიკა არღვევს ნეგატიურ ფენომენებზე, განსაკუთრებით, ოჯახურ ძალადობაზე სისტემური დაპირისპირების პრინციპს. და ბოლოს, ტერმინის "სისხლის სამართლის დანაშაული" გამოყენება ზოგადად დამაფიქრებელია. მინდა ვიფიქრო, რომ ეს უფრო მეტად მეტყველებს უყურადღებობაზე და არა კანონპროექტის ავტორების კვალიფიკაციის დონეზე.

ოჯახში ძალადობის პრობლემის განხილვისას, რომლის რელევანტურობას აღიარებენ კანონპროექტის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, უნდა ვუპასუხოთ ორ ფუნდამენტურ კითხვას: ა) სად არის ხაზი პირად ცხოვრებაში ჩაურევლობასა და ძალადობის მსხვერპლის დაცვისთვის ზომების გამოყენების აუცილებლობას შორის? ბ) რა არის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების არაეფექტურობის მიზეზი?

პირველი კითხვა არის პრიორიტეტული უფლებების კლასიკური იურიდიული დილემა. დაზარალებულის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უდავოდ პრიორიტეტულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებაში. სახელმწიფო ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რეალური საფრთხე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ; თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სხვა შემთხვევებში სახელმწიფო ვერ მონაწილეობს ოჯახური კონფლიქტების მოგვარებაში. კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს არ უქმნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიმე მხარემ შეიძლება დახმარების მისაღებად მიმართოს სახელმწიფო სტრუქტურებს ან საზოგადოებრივ გაერთიანებებს. სახელმწიფოს ამოცანაა შემუშავდეს მექანიზმები აუცილებელი დახმარების უზრუნველსაყოფად.

მეორე კითხვაზე პასუხის გაცემისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი. მართლსაწინააღმდეგო ქმედებები ასეთ კონფლიქტებში შედეგების გათვალისწინებით შეიძლება შეფასდეს რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 6.1.1-ე მუხლის (ცემა), რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 11.1-ე მუხლის (პირის ცემა ადმინისტრაციულ დასჯას ექვემდებარება), სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის (ჯანმრთელობისთვის მცირე ზიანის განზრახ მიყენება) მიხედვით. ყველაზე ხშირად, პრაქტიკაში გამოიყენება ეს მუხლები. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი (წამება), რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლი (მკვლელობით მუქარა ან მძიმე ზიანი), სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი (ჯანმრთელობისთვის განზრახ მძიმე ზიანის მიყენება), სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლი (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება), სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი (გაუპატიურება), სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი (მკვლელობა), სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლი (მკვლელობის მცდელობა). იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმები უკვე კრიმინალიზებულია, ჩნდება კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია დამატებითი (ცალკეული) კორპუს დელიქტის შემოღება. ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციის მომხრეების მთავარი არგუმენტია ის, რომ განსხვავებით უცხო პირის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი თავდასხმებისგან, ოჯახურ კონფლიქტებში დანაშაულის მსხვერპლი ფინანსურად, ან სხვაგვარად არის დამოკიდებული აგრესორზე, როგორც წესი, ცხოვრობს მასთან და, შესაბამისად, ძალადობა სისტემური ხასიათისაა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, "2017 წლის თებერვალში ნათესავების პირველი ცემის ფაქტზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება სერიოზული უკან დახეული ნაბიჯია... ოჯახში პირველი ცემის ფაქტის დეკრიმინალიზაციამ აგრესორებს მისცა დაუსჯელობის გრძნობა, უფრო გაართულა მსხვერპლისთვის დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა და დაცულობის გარანტია დაასუსტა" [2]. ეს საკმაოდ გავრცელებული განცხადებაა.

მოგეხსენებათ, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 116 და 116.1 მუხლების გამოყენების სირთულე განპირობებულია იმით, რომ ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფო-კერძო და კერძო დევნის საქმეებზე. ეს გარემოება ართულებს მსხვერპლის სამართლიანობას. ადმინისტრაციული ზარალის ინსტიტუტის შემოღებამ ეს პრობლემა გაამარტივა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ძალიან ხშირად, სხვადასხვა მიზეზების გამო, ძალადობის მსხვერპლს არ სურს აგრესორის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. ოჯახურ-საშინაო კონფლიქტის ყველაზე გავრცელებულ სცენარებში საკმარისია პრევენციული ღონისძიების გამოყენება: მსხვერპლის აგრესორისგან დროებითი იზოლაცია. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული დაპატიმრების დანიშვნა, ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტური ღონისძიებაა. სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის არ ითვალისწინებს ოჯახური კონფლიქტების არსს და წარმოშობის წყაროებს და, როგორც წესი, ასეთი შემთხვევები ისჯება ჯარიმით, რომლის გადახდა ხორციელდება ოჯახის ბიუჯეტიდან. როგორც ხედავთ, სიტუაციის სირთულე დაკავშირებულია არა იმდენად სამართლებრივი რეგულირების ხარვეზებთან, როგორც სამართალდამცავ პრაქტიკასთან, სადაც იგნორირებულია ოჯახში ძალადობის დე ფაქტო პრობლემა. შემთხვევითი არ არის, რომ ფაქტებმა ფართო რეზონანსი მოიპოვა, როდესაც სამართალდამცავმა ორგანოებმა არ მოახდინეს რეაგირება ოჯახში ძალადობის მანიფესტაციებზე, რამაც სერიოზული შედეგები მოიტანა. აქ ჩვენ

კვლავ ვსაუბრობთ არა სამართლებრივი რეგულირების პრობლემებზე, არამედ კონკრეტულ თანამდებობის პირთა მხრიდან ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი დაუდევარი (უყურადღებო და გულგრილი) დამოკიდებულების შესახებ.

ზემოხსენებული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიღებული როგორც არგუმენტები ოჯახური ძალადობის პრევენციის შესახებ კანონის მიღების წინააღმდეგ. ჩვენ უბრალოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პრობლემა უნდა მოგვარდეს სისტემატურად. როგორც კანონპროექტის დადებითი სიახლე, აუცილებელია აღინიშნოს დამცავი ორდერის ინსტიტუტის შემოღება. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ კანონპროექტის შემქმნელებმა შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისრეს შინაგან საქმეთა ორგანოებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის პრევენციის მთავარ პირად მიიჩნევა. პოლიციისადმი შედარებით მაღალი დონის ნდობით, საკითხი რჩება, მზად არიან თუ არა ოჯახური კონფლიქტის მონაწილეები პოლიციასთან კონტაქტისთვის. ასევე რჩება კითხვა, რამდენად მზად არის პოლიცია თავად ჩაერიოს ასეთ კონფლიქტებში არსებული რესურსების გათვალისწინებით.

აქ დასმული კითხვები და ზემოხსენებული მოსაზრებები, უდავოდ, საჭიროებს შემდგომ განხილვას, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული განსახილველ კანონპროექტის ბედსა და პერსპექტივაში.

ექტიმოლოგიის პრობლემები საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში

დოქტორი დავით სუჯაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Dr. Davit Sujashvili, Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Science.

ნაშრომი წარმოადგენს საინტერესო სინთეზს, სადაც საუბარია ტერორიზმის ძირითად სახეებზე, მისგან მომდინარე საფრთხეებზე, ხოლო ძირითად საკითხად ტერორიზმის მსხვერპლის საკითხია მოცემული. სტატიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ტერორისტის ფსიქოლოგიის ახსნას, საიდანაც კიდევ ერთხელ ნათლად იკვეთება, თუ რაოდენ რთულია აკადემიური სფეროს, ჟურნალისტებისა თუ მკვლევარებისთვის გაიგონ რას და რატომ ფიქრობენ ტერორისტები. განსაკუთრებით საინტერესოა ის საკითხი, რაზეც ავტორი დასკვნით ნაწილში ამახვილებს ყურადღებას და რითაც რეალურად შემდგომი დისკუსიებისთვის ხსნის ასპარეზს. კერძოდ, თვითმკვლელი ტერორისტები განხილულნი არიან არა მხოლოდ ტერორისტებად, არამედ ტერორიზმის მსხვერპლადაც. ავტორი ცდილობს, საკითხის აქტუალობა დაანახოს მკითხველს და სივრცეს აჩენს აზროვნებისთვის, კითხვებისთვის. ნაშრომში ასევე განხილულია: ტერორიზმის გავრცელების არეალი დღეს, მოქმედების დომეინი, თვითმკვლელთა ტერორიზმი და მათი ფსიქოლოგიური ასპექტები, ასევე, თუ რა საფრთხის შემცველნი არიან ძალადობის მსხვერპლი ბავშვები.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, თვითმკვლელი ტერორისტები, მსხვერპლი ბავშვები.

ტერორიზმის ერთგვაროვანი დეფინიცია ძალიან რთულია, რადგან ამ სიტყვის მნიშვნელობა იცვლებოდა კონკრეტული ეპოქის, პოლიტიკური ტერმინოლოგიისა და დისკურსის მიხედვით. თუმცა დღეისათვის ტერორიზმის 200-ზე მეტი განსხვავებული დეფინიციიდან შეიძლება მისი შემდეგნაირად ფორმულირება: ტერორიზმი არის ძალადობრივი ქმედების გამოყენება (როგორც მშვიდობის, ისე შეიარაღებული კონფლიქტების დროს), რათა წარმოიქმნას შიში - პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური (მსოფლმხედველობრივი, სოციალური და პოლიტიკური) მიზნების მისაღწევად. ტერორისტული აქტი მიმართულია სამოქალაქო და სამხედრო სამიზნეების (მშვიდობიანი მოსახლეობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და/ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები) წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მაქსიმალურ რეზონანსის, ყურადღების მიპყრობასა და გრძელვადიანი ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენას, რაც უშუალოდ მსხვერპლსა თუ სამიზნეზე გავლენით არ შემოიფარგლება;

ტერორიზმის როგორც გაგება, ასევე მეთოდები და ხერხები ევოლუციას განიცდის და დროსთან ერთად სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. მისგან მომდინარე საფრთხეებმა ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო ხასიათი შეიძინა, სადაც გარდამტეხი იყო 9/11 ტერაქტების სერია. საერთაშორისო ტერორიზმი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ რეგიონსა და სახელმწიფოს, არამედ მთელ მსოფლიოს. ამგვარი გამოწვევის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო რთულდება, რადგან ტერორისტული ორგანიზაციებიც ფეხს უწყობენ ტექნოლოგიურ განვითარებას-კიბერტერორიზმი სწორედ ამის შედეგია.

შესაბამისად, დღეს საერთაშორისო ტერორიზმი ემუქრება უსაფრთხოებას: ხმელეთზე, წყალში, ჰაერში, მიწის ქვეშ, კიბერ სივრცეში.

სწორედ ამიტომ, კონტრქმედებების განხორციელება კიდევ უფრო კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საერთაშორისო ტერორიზმი ფარული ომია, თუმცა არა იმდენად ინტენსიური, როგორც ჩვეულებრივი საომარი მოქმედებები. საერთაშორისო ტერორიზმი ხშირად დაკავშირებულია: რელიგიურ ფანატიზმთან, ნარკობიზნესთან, ნაციონალისტურ სეპარატიზმთან.

სამწუხარო ფაქტია, რომ რიგ შემთხვევაში საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მომძღავრების უკან, პირდაპირ თუ ირიბად ზოგიერთი სახელმწიფოს მხარდაჭერა იკვეთება.

საერთაშორისო ტერორისტები ხშირად გადაადგილდებიან შეუმჩნევლად. ირჩევენ ისეთ ობიექტებს, რომლებიც ხალხის მასობრივი თავშეყრის ადგილებშია განლაგებული, მათ შორის: სადგურებს, სავაჭრო ცენტრებს, სპორტულ არენებს, საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისებს, საცხოვრებელ სახლებსა და ა.შ.

ამასთან, მათი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ინციდენტს მოჰყვეს მედიის მხრიდან მაქსიმალური ყურადღება, რაც სოციალური ქსელების განვითარების ეპოქაში უფრო ადვილად მიღწევადი გახდა. შედეგად, აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანები ხდებიან ტერორისტების მსხვერპლნი, იღებენ რა მორალურ-ფსიქოლოგიურ ზიანს თუ ლეტალურ შედეგებს. ტერორისტული ქმედებების შეფასებისას, ჩვეულებრივ, მთავარია „მაყურებელი“/„აუდიტორია“ (რომელშიც ითესება შიში) და არა მსხვერპლის რაოდენობა.

ტერორისტი, მსხვერპლი თუ მკვლეელი?

განსაკუთრებით რთულდება ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა, რადგან ის პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელოვან კომპონენტად ჩამოყალიბდა. გამოყენებული იარაღის, საშუალებების, ტერაქტების განხორციელებისა და ხერხების მასშტაბურობის ზრდასთან ერთად იზრდება მსხვერპლთა რიცხვი. უკანასკნელი წლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტერაქტების შედეგად, 2019 წლის მონაცემებით, მსხვერპლთა რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია - ავღანეთში, ერაყში, ნიგერიაში, სირიასა და პაკისტანში. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი, იემენი, სომალი, ლიბია, ტაილანდი, ეგვიპტე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტერაქტების უდიდესი წილი და შესაბამისად მსხვერპლთა უმეტესობა მოდის ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებზე, როგორცაა: „ისლამური სახელმწიფო“, „თალიბანი“ „ალ-ქაიდა“ და „ბოკო-ჰარამი“.

ტერორისტების მსხვერპლი შესაძლოა იყოს ცალკეული პირი, პირთა ჯგუფი ან მთლიანად რასა, ეთნიკური ჯგუფი ან ერი. ტერორისტები სამიზნეს ირჩევენ გარკვეული მიზეზების გამო ან, ზოგჯერ, შემთხვევით. ადამიანებს, რომლებიც გახდნენ ტერორისტთა მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი „ტერორიზმის მსხვერპლი“ ეწოდებათ.

დღევანდელ მსოფლიოში ბევრი მეცნიერი, ფსიქოლოგი ცდილობს, შეისწავლოს ტერორისტის ფსიქოლოგია, აზროვნება, ქცევითი პროცესები, მოტივაცია, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს დადგენა, თუ რატომ ხდებიან ინდივიდები ტერორისტები, რაც თავის მხრივ პრევენციის დროს მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება. თუმცა ძირითადად მსგავსი კვლევების სიმწირეა, რადგან მკვლევარებს ნაკლები წვდომა აქვთ ტერორისტებთან. რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: ტერორისტები თავს იკავებენ მათთან თანამშრომლობაზე, მათ შორის პატიმრობაში მყოფებიც, რადგან ამით არ სურთ: თავიანთი ჯგუფების საიდუმლოებების გაცემა; ოჯახების რისკის ქვეშ დაყენება; რეპუტაციის შელახვა; არ სურთ საუბარი, განსაკუთრებით ჟურნალისტებთან ან მეცნიერ-მკვლევარებთან - ისინი მათთვის „მტრად აღქმული სისტემის“ წარმომადგენლებად ან შენიღბულ სპეცსამსახურების აგენტებად არიან შეფასებულები.

ზოგიერთი მიდგომით, ტერორისტი განიხილება ფსიქიკურად დაავადებულ, ან ფანატიკოს ადამიანად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტების ფსიქიკურად დაავადებულ პირებად აღქმამ, შესაძლოა, მცირე, მაგრამ გარკვეული წვლილი შეიტანოს მათი ქმედებების გამართლებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ კატეგორიას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: ფსიქოპათის უუნარობა ისარგებლოს ადრე მიღებული გამოცდილებით. ამასთან ფსიქოპათებს არ გააჩნიათ მიზნობრიობა და, უმეტეს შემთხვევაში, მათი ქმედებები პირადულს ემსახურება. თუმცა საყურადღებოა, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებში ამინდის შემქმნელი იდეოლოგიების მიერ სათანადოდ დამუშავებული პირები, რომლებიც საბოლოოდ თანხმდებიან „თვითმკვლელობით“ ტერორისტული აქტების მოწყობას, გარკვეულწილად შესაძლოა გაყვანილი იქნეს ტერორიზმის მსხვერპლთა კატეგორიაში. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ თვითმკვლელ ტერორისტებად ადამიანების რეკრუტირების პროცესს (რეკრუტირება ხდება სოციალურ პრობლემების ქვეშ მყოფ, ან სხვა და სხვა ომებით, თუ შეტაკებებით დაზარალებულ პირებს შორის, რომელთაც აღნიშნულ საბრძოლო შეტაკებების, თავდასხმების დროს დაკარგეს ახლო ადამიანები, ან მთლიანად ოჯახები. მათი უმეტესობა ვეღარ ხედავს სიცოცხლის აზრს, ისინი შეპყრობილები არიან შურისძიების გრძნობით, მათზე ხორციელდება ფსიქოლოგიური ზეწოლა, მანიპულაცია, მათი დარწმუნება ქვეყნიური ცხოვრების ამაოებასა და მარადიულ ცხოვრებისკენ სწრაფვაში და ასე შემდეგ).

აქვს თუ არა მომავალი ტერორიზმს - ბავშვების გადმოზირება, რისი განხილვაც შეიძლება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მაგალითზე. მათ მიერ გამოყენებული არამორალური მეთოდები მოზარდებს აქცევს ტერორიზმის პოტენციურ მსხვერპლთა რიგებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე გააქტიურებულები არ არიან, მათში ფსიქოლოგიურად ჩადებულია ძალადობისკენ სწრაფვა, შესაბამისად, მათგან მომდინარე საფრთხე მზარდია. აქ აღსანიშნავია მიგრაციის პროცესი, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო არაპროგნოზირებადი და ფართო გახადა საფრთხის არეალი. ისინი არიან „დროზე მომუშავე ნაღმები“.

მოკლედ რომ შევაჯამოთ ტერორიზმის მრავალწახნაგაიანობა, მოვიყვანოთ 1974 წელს პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერის, იასერ არაფატის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სიტყვით გამოსვლისას გაკეთებულ განცხადებას: „ის,

ვინც ერთი ადამიანისთვის ტერორისტია, მეორე ადამიანისთვის - თავისუფლების მებრძოლია“.

ტერორიზმის მასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, ცივილიზებული სამყარო მას უნდა ებრძოდოს საერთო ძალებითა და საშუალებებით. მეტი რესურსი უნდა დაიხარჯოს პრევენციის პროცესზე, რათა ტერორიზმის მეტასტაზები დროულად ამოიკვეთოს.

Problems of Victimology in the Context of International Terrorism

Davit Sujashvili

The article represents a remarkable synthesis of different types of terrorism issues and the threats posed by them, where a victim of terrorism is the key topic. The article emphasizes the importance of psychology of a terrorist, which clearly demonstrates how difficult it is for the academics, journalists, or researchers to understand what and why the terrorists think in such specific way. The author points out a particularly interesting issue in the conclusion and opens an arena for further discussions. In particular, suicide terrorists are considered not only as a terrorists, but also as victims of terrorism. Besides, he tries to underline the urgency of the issue to the reader and creates a space for thinking, for questions. The paper also discusses the area of spread of terrorism nowadays, the domain of faction, suicide terrorism and its psychological aspects, as well as the dangers posed by children that are victims of violence.

Key words: Terrorism, Suicide terrorists, Victim children.

COVID 19-ის პანდემიის ჭრილში პარლამენტის განსაკუთრებული როლი საგანგებო მდგომარეობის დროს მსხვერპლთა დაცვის პროცესში

პროფესორი, დოქტორი ეკა ბესელია, საქართველოს პარლამენტის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Eka Beselia, Member of Parliament of Georgia, Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Science.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია COVID19-ის მიმდინარე საფრთხეებზე სახელმწიფოს მიერ რეაგირების ფარგლები. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევა გულისხმობს ეფექტიან რეაგირებას კრიზისზე. ამავდროულად, გატარებულმა ღონისძიებებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას საზოგადოების ჭეშმარიტ გრძელვადიან ინტერესებს, როგორცაა: დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი ღირებულებების დაცვა. სწორად აქ უნდა განახორციელოს ქვეყნის პარლამენტმა ძირითადი მანდატი და ყველა შესაძლო მექანიზმის საშუალებით შესთავაზოს ფორუმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ღონისძიებების თანაზომიერებას ვირუსის გავრცელების საფრთხესთან.

კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოსა და მისი დემოკრატიული ინსტიტუტების, მისი ოფიციალური პირების და მოსახლეობის უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი საჯარო და კერძო ინტერესი, რომლებიც იმსახურებს დაცვას და მასზე ზრუნვამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებებიდან დროებითი გადახვევა და ძალაუფლების საგანგებო დაყოფა. სამწუხაროდ, არსებობს შემთხვევები, როდესაც ავტორიტარული მთავრობები ბოროტად იყენებენ საგანგებო უფლებამოსილებებს ხელისუფლებაში დარჩენის, ოპოზიციის გაჩუმების და, ზოგადად, ადამიანის უფლებების შეზღუდვის მიზნით. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია მკაცრი შეზღუდვების დაწესება ასეთი უფლებამოსილებების ხანგრძლივობასთან, გარემოებებთან და ფარგლებთან დაკავშირებით. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება შეიძლება ეფექტურად იყოს უზრუნველყოფილი მხოლოდ დემოკრატიის პირობებში, კანონის უზენაესობის პრინციპის სრული დაცვით. ეს მოითხოვს საპარლამენტო, სასამართლო ეფექტურ კონტროლს გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობაზე, რათა ძალაუფლების ბოროტად გამოყენება თავიდან იქნეს აცილებული.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, პარლამენტი, მსხვერპლი, ადამიანის უფლებები

I. კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი)

COVID-19-ის მიმდინარე საფრთხეზე რეაგირების ფარგლებში თანამედროვე სამყარო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. მოსახლეობის დაცვის მიზნით, აუცილებელი გახდა გადახვევა ნორმალური ცხოვრების წესიდან და საგანგებო მდგომარეობის პირობებში მოუხდათ ადამიანებს ცხოვრება.

ბუნებრივია, რომ მიღებული ზომები გარდაუვლად გამოიწვევს იმ უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას, რომლებიც კანონის უზენაესობის დაცვაზე დაფუძნებული

დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია.

წევრი სახელმწიფოების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევა გულისხმობს ეფექტიან რეაგირებას კრიზისზე. ამავდროულად, გატარებულმა ღონისძიებებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას ჩვენს ჭეშმარიტ გრძელვადიან ინტერესებს, როგორცაა დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი ღირებულებების დაცვა. სწორად აქ უნდა განხორციელოს ქვეყნის პარლამენტმა ის ძირითადი მანდატი და თავისი საკანონმდებლო ორგანოების, ყველა კომპეტენტური უწყებისა და მექანიზმის საშუალებით, შესთავაზოს ფორუმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ღონისძიებების თანაზომიერებას ვირუსის გავრცელების საფრთხესთან, ასევე, ამ ღონისძიებების შესაბამისი დროით დაწესებას.

წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებულ ზოგიერთ შეზღუდვას შეიძლება ამართლებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) დებულებები, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვას ეხება (იხ. კონვენციის მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტი და მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტი, ასევე კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი), თუმცა განსაკუთრებულმა ღონისძიებებმა შეიძლება მოითხოვოს გადახვევა სახელმწიფოების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისგან.¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სასამართლო) შეაფასებს ნებისმიერ გადახვევას მისთვის განსახილველად წარდგენილ საქმეებზე.² სასამართლო ამ სფეროში სახელმწიფოებს მიხედულების ფართო ფარგლებს ანიჭებს: *„უპირველეს ყოვლისა, თითოეული ხელშემკვერელი სახელმწიფო, რომელიც „[მისი] ერის სიცოცხლეზე“ პასუხისმგებელი, განსაზღვრავს თუ რამდენად უქმნის საფრთხეს ადამიანების სიცოცხლეს „საგანგებო მდგომარეობა“ და, ასეთ შემთხვევაში, რამდენად აუცილებელია შორსმომავალი ზომების განხორციელება საგანგებო მდგომარეობის დასაძლევად. იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული ხელისუფლება უშუალოდ და უკეთ იცნობს მიმდინარე საჭიროებებს, საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით, მას უკეთესად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, თუ რამდენად არსებობს ამგვარი საგანგებო ვითარება და რა სახისა და მასშტაბის გადახვევებია აუცილებელი მისი თავიდანასაცილებლად. ამ მხრივ, კონვენციის 15(1) მუხლი ხელისუფლებას მიხედულების ფართო ფარგლებს უტოვებს.“³*

დაუშვებელია კონვენციით დაცული გარკვეული უფლებებიდან გადახვევა. ესენია:

- სიცოცხლის უფლება, გარდა კანონიერი საომარი მოქმედებების კონტექსტისა (მე-2 მუხლი);
- წამებისა და არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი);
- მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა (მუხლი 4 (1));
- და წესი „არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“ (მე-7 მუხლი).

ასევე დაუშვებელია გადახვევა სიკვდილით დასჯის გაუქმების, ან იმავე დანაშაულში ხელმეორედ გასამართლების და დასჯის აკრძალვიდან (მე-6 და მე-13 ოქმები, ისევე როგორც მე-7 ოქმის მე-4 მუხლი).

მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევები არ არის დამოკიდებული ეროვნულ დონეზე საგანგებო მდგომარეობის, ან მსგავსი რეჟიმის ოფიციალურ გამოცხადებაზე. ნებისმიერი გადახვევა უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ კანონმდებლობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს თვითნებობისგან დაცვა; ამავდროულად, გადახვევა უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი საგანგებო ვითარების წინააღმდეგ საბრძოლველად. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ნებისმიერი ღონისძიებები მიზნად ისახავდეს დემოკრატიული წყობის საფრთხეებისგან დაცვას და ყველა შესაძლო ძალისხმევა მიემართებოდეს დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებათა პატივისცემას, როგორცაა პლურალიზმი, შემწყნარებლობა და ღიაობა.⁴ სასამართლოს აზრით, კონვენციით გათვალისწინებული დათქმებით შესაძლებელია კონვენციის სტანდარტებიდან გადახვევის დასაბუთება, თუმცა ისინი ვერასდროს გაამართლებს რაიმე ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს - კანონიერებასა და თანაზომიერებას.

2. კანონის უზენაესობის პატივისცემა და დემოკრატიული პრინციპები საგანგებო ვითარების დროს

2.1. კანონიერების პრინციპი

საგანგებო ვითარების დროსაც კი კანონის უზენაესობა უპირატესი უნდა იყოს.⁵ კანონის უზენაესობის ძირითადი პრინციპია, სახელმწიფოს ქმედება შეესაბამებოდეს კანონს.⁶ „კანონი“ ამ კონტექსტში მოიაზრებს არა მხოლოდ საპარლამენტო აქტებს, არამედ, მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლების საგანგებო განკარგულებებსაც, იმ პირობით, თუ მათ საკონსტიტუციო საფუძვლები აქვს.

შესაძლებელია, კანონმდებლებმა მიიღონ საგანგებო კანონებიც, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი კრიზისის დასაძლევად და სცილდება უკვე არსებულ სამართლებრივ ნორმებს. ამ ტიპის ნებისმიერი ახალი კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საერთაშორისო სტანდარტებს და, საჭიროების შემთხვევაში, გადაისინჯოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თუ პარლამენტს სურს, მთავრობას მიანიჭოს უმრავლესობის მიერ (ან სხვა სპეციალური პროცედურის შედეგად) მიღებული კანონმდებლობიდან გადახვევის უფლებამოსილება, ეს უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის მხრიდან, ან იმავე სპეციალური პროცედურის შესაბამისად.

2.2. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და საგანგებო ღონისძიებების შეზღუდული ხანგრძლივობა

საგანგებო მდგომარეობა გამომდინარეობს მისი გამოცხადებიდან, რაც განხორციელდა საგანგებო სიტუაციის საპასუხოდ, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყანას. ასეთი საგანგებო ვითარებების მაგალითებია ბუნებრივი კატასტროფები, სამოქალაქო არეულობა, ეპიდემია ან ეკონომიკური კრიზისი. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შედეგად შეიძლება შეჩერდეს მთავრობის გარკვეული ჩვეულებრივი ფუნქციები, ან სახელისუფლებო უწყებებს შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელონ საგანგებო მოსამზადებელი ღონისძიებები და შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამოქალაქო თავისუფლებების და ადამიანის უფლებების შეზღუდვას ან შეჩერებას. ლოულესის საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შემდეგნაირად განმარტა „საგანგებო

მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს“: „განსაკუთრებული მდგომარეობა ან კრიზისი, რომელიც გავლენას ახდენს მთელ მოსახლეობაზე და საფრთხეს უქმნის საზოგადოების ორგანიზებულ ცხოვრებას, რომლისგანაც სახელმწიფო შედგება“.

მოგვიანებით სასამართლომ ბრანიგანისა და მაკბრაიდის საქმეზე განაცხადა, რომ „იმ მომენტში არსებულ გადაუდებელ საჭიროებებთან პირდაპირი და მუდმივი კონტაქტის გამო, პრინციპში, ეროვნული ორგანოები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, რომ გადაწყვეტილება მიიღონ საგანგებომდგომარეობის არსებობის და მისი თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი კონკრეტული უფლებებიდან გადახვევის ხასიათისა და ფარგლების შესახებ. შესაბამისად, ამ საკითხში ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს მიხედულების ფართო ფარგლები უნდა მიენიჭოთ. მიუხედავად ამისა, ხელშემკვრელი მხარეები არ სარგებლობენ შეუზღუდავი დისკრეციით. სასამართლომ, *inter alia* უნდა დაადგინოს, გასცდა თუ არა სახელმწიფო კრიზისული ვითარებით განპირობებული „მკაცრი აუცილებლობის“ ფარგლებს. შესაბამისად, სახელმწიფოებისთვის მინიჭებული მიხედულების ფარგლებით სარგებლობასთან ახლავს ევროპული ზედამხედველობა.“ მახასიათებლები, რომლებიც სახეზე უნდა იყოს, რომ სიტუაცია საგანგებო მდგომარეობად ჩაითვალოს:

- საფრთხე უნდა იყოს რეალური ან გარდაუვალი;
- მისმა შედეგებმა შეიძლება მთელ ერზე მოახდინოს ზეგავლენა;
- ორგანიზებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას საფრთხე უნდა ემუქრობოდეს;
- კრიზისი ან საფრთხე უნდა იყოს განსაკუთრებული ხასიათის, რაც გულისხმობს, რომ უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის მიზნით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნებადართული ჩვეულებრივი ზომები, ან შეზღუდვები არ არის საკმარისი. ჯერ კიდევ 1961 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ვითარება საფრთხეს უნდა უქმნიდეს საზოგადოების ორგანიზებულ ცხოვრებას.

ვენეციის კომისია აცნობიერებს, რომ რთულია საგანგებო ვითარების წინასწარ ზუსტად განსაზღვრა და აღწერა; შესაბამისად, ამგვარი განსაზღვრებებისას ბუნდოვანების გარკვეული ხარისხი გარდაუვალია. წინაპირობები, რომლებსაც კონსტიტუცია აწესებს იმისთვის, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს, ნებისმიერ შემთხვევაში, ინტერპრეტირებული უნდა იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში (ICCPR) ასახული დეფინიციები გათვალისწინებით.

მხოლოდ პრეზიდენტია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, ისევე როგორც განკარგულებების გამოცემის შესახებ „საგანგებო მდგომარეობით განპირობებულ აუცილებელ საკითხებზე“, რომლებსაც კანონის ძალა ექნებათ საგანგებო მდგომარეობის ცნება ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკურ ხასიათის გარკვეულ საგანგებო ვითარებებში კონსტიტუციური მმართველობის შეზღუდვების სისტემის დათმობა ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაზრდის სასარგებლოდ. ამასთან, საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი, კანონის უზენაესობის ძირითად პრინციპს უპირატესი ძალა უნდა მიენიჭოს. გადაუდებელი ზომები და ძირითადი უფლებებიდან გადახვევები, შეზღუდვები და მათი შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგანგებო მდგომარეობა

საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს; გარდა ამისა, ასეთი ზომები საგანგებო მდგომარეობის პროპორციული უნდა იყოს და უნდა გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენი ხანიც საგანგებო ვითარება გრძელდება. კანონის უზენაესობა ასევე გულისხმობს, რომ სამთავრობო უწყებები უნდა მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში, ხოლო მათი ქმედებები დამოუკიდებელი სასამართლოების მხრიდან შესწავლას უნდა ექვემდებარებოდნენ. გარანტირებული უნდა იყოს ადამიანების სამართლებრივი უსაფრთხოება.

კანონის უზენაესობა რამდენიმე ასპექტს მოიცავს, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანია და ინტეგრირებული გზით უნდა იყოს დაცული. ეს ელემენტებია კანონიერების პრინციპი, ძალაუფლების გამიჯვნა, ძალაუფლების გადანაწილება, ადამიანის უფლებების დაცვა, ძალის გამოყენების უფლებაზე სახელმწიფოს მონოპოლია, მართლმსაჯულების საჯარო და დამოუკიდებელი აღსრულება, პირადი ცხოვრების პატივისცემა, ხმის მიცემის უფლება, პოლიტიკური ძალაუფლების ხელმისაწვდომობის თავისუფლება, საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიული მონაწილეობა და ზედამხედველობა, მთავრობის გამჭვირვალობა, გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, უმცირესობათა უფლებები და უმრავლესობის წესი პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების სფეროში.

CDL-AD(2006)015, მოსაზრება საგანგებო მდგომარეობისას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.

სტრუქტურულ (ზოგად) ზომებს რაც შეეხება, საგანგებო დადგენილებებმა უნდა დაკარგონ იურიდიული ძალა საგანგებო მდგომარეობის დასრულებისთანავე. ამგვარი დადგენილებებით კანონმდებლობაში მუდმივი ცვლილებები არ უნდა იყოს შეტანილი და მართვა ჩვეულებრივი კანონმდებლობით უნდა გაგრძელდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობისთვის: შეიძლება შეიცვალოს სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფის პროცედურული ასპექტები, მაგრამ ეფექტური საშუალებები ბოლომდე არ უნდა გაუქმდეს. მთავრობას არ უნდა ჰქონდეს საკუთარი ქმედებების სასამართლოს მიერ გადასინჯვის გაუქმების, ან პროცედურულ წესებში ისეთი ცვლილებების შეტანის უფლება, რომ სასამართლოს მიერ გადასინჯვა არაეფექტური გახდეს. ანალოგიურად, მთავრობას არ უნდა შეეძლოს ისეთი წესების დადგენა, რომლებიც ასუსტებენ სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების პოზიციას, ცვლიან მათ შემადგენლობას, ან ფუნქციონირების პრინციპებს და ა.შ.

საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობებს შეიძლება მიენიჭოთ კანონის ძალის მქონე განკარგულებათა გამოცემის ზოგადი უფლებამოსილება. ეს მისაღებია იმ პირობით, რომ ზოგადი უფლებამოსილებებს ექნება შეზღუდული ხანგრძლივობა. საგანგებო მდგომარეობის (ან ანალოგიური) რეჟიმის მთავარი მიზანია კრიზისის განვითარების შეჩერება და ნორმალური მდგომარეობის შეძლებისდაგვარად სწრაფი აღდგენა.⁸ საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას უნდა აკონტროლებდეს პარლამენტი, რაც გულისხმობს ასეთი რეჟიმის აუცილებლობის შესწავლას. დაუშვებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგადი განსაკუთრებული უფლებამოსილებების განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნება.⁹ საგანგებო მდგომარეობისას აღმასრულებელი ხელისუფლების კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება უნდა შემოიფარგლებოდეს საგანგებო მდგომარეობის ხანგრძლივობით;

ამასთან, საგანგებო ვითარებისას ამოქმედებული ნებისმიერი კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო ვადას განსაკუთრებული ღონისძიებების ხანგრძლივობის შესახებ (ე.წ. „მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ“ დებულება (sunset clause)). მართლაც, საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეული კონკრეტული, მიზნობრივი ღონისძიებების გამოყენება, მაგრამ ამგვარი გაფართოებული ღონისძიებები უნდა წარმოადგენდეს პარლამენტის კომპეტენციას ჩვეულებრივი პროცედურების დაცვით.¹⁰

2.3. საგანგებო მდგომარეობის კანონმდებლობის მოქმედების შეზღუდული სფერო; აუცილებლობის პრინციპი

აუცილებლობის პრინციპი მოითხოვს, რომ საგანგებო ღონისძიებებმა შეძლონ დასახული მიზნის მიღწევა დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების ნორმალური წესებისა და პროცედურებისგან მინიმალური გადახვევით.¹¹ შესაბამისად, მთავრობის უფლებამოსილება გამოსცეს საგანგებო განკარგულებები, არ გულისხმობს კანონმდებლის მიერ აღმასრულებელისთვის მინიჭებულ „კარტ ბლანშს“. კრიზისის სწრაფი და არაპროგნოზირებადი განვითარების გათვალისწინებით, შესაძლოა, საჭირო გახდეს საკმაოდ ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება, თუმცა ისინი მოცემულ გარემოებებში განსაზღვრული უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ვიწროდ, რათა შემცირდეს ბოროტად გამოყენების ნებისმიერი რისკი.¹² ზოგადი წესის სახით, საგანგებო მდგომარეობისას უნდა შეეყოვნდეს ძირეული სამართლებრივი რეფორმები.¹³

ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა შეიძლება ამართლებდეს ადამიანის გარკვეული უფლებების სრულად სარგებლობის შეზღუდვას და ადამიანის უფლებების დაცვის გარკვეული ვალდებულებებისგან გადახვევასაც კი. ამასთან, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვები და გადახვევები უნდა იყოს რეგულირებული კანონით და სასურველია, რომ კონსტიტუციით იყოს განსაზღვრული. ეს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გარანტიაა. კანონი უნდა განსაზღვრავდეს, თუ რომელ შემთხვევებში შეიძლება იყოს გამართლებული შეზღუდვები და ასევე ადგენდეს საგანგებო მდგომარეობებს, რამაც შეიძლება გაამართლოს ვალდებულებებიდან გადახვევა.

2.4. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებათა კონტროლი საგანგებო მდგომარეობისას

აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს სწრაფი და ეფექტიანი მოქმედება. ეს შეიძლება მოითხოვდეს გადაწყვეტილების მიღების გამარტივებულ პროცედურას და კონტროლისა და ბალანსის გარკვეულ შემსუბუქებას; ასევე, მოიცავდეს (კონსტიტუციით დაშვებულ ფარგლებში) ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა სტანდარტული დანაწილებიდან გადახვევას კონკრეტულ, შეზღუდულ სფეროებში. ამის მიზანია მეტად კოორდინირებული რეაგირება კრიზისზე იმ პირობით, რომ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების სრული უფლებამოსილებები აღდგება, როგორც კი შესაძლებელი გახდება ვითარებიდან გამომდინარე.

მიუხედავად ამისა, პარლამენტებმა უნდა შეინარჩუნონ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე¹⁴ კონტროლის უფლებამოსილება. კერძოდ, ეს გულისხმობს გონივრული

ინტერვალებით გადამოწმებას, რამდენად გამართლებულია აღმასრულებელი ხელისუფლების საგანგებო უფლებამოსილებები, ასევე, არაგეგმიურ ჩარევას აღმასრულებლის გადაწყვეტილებათა შესაცვლელად.¹⁵ დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობების განმავლობაში პარლამენტის დათხოვნა.

ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპარლამენტო ცხოვრება უნდა გაგრძელდეს საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც და პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილი იყოს საგანგებო უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში ([CDL-AD\(2016\)006](#), პუნქტი 62). [...] ეს შეზღუდვები უზრუნველყოფენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ გამოიყენებს საგანგებო მდგომარეობას ოპოზიციის უფლებების შესაკვცად. უნდა შენარჩუნდეს სასამართლოს, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ძირითადი ფუნქცია.

მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა შეისწავლონ საგანგებო კანონმდებლობით დადგენილი ყველაზე სერიოზული შეზღუდვები ადამიანის უფლებებთან მიმართებით. შეიძლება დაიშვას გარკვეული კატეგორიის საქმეების გადავადება, ასევე, „დაჩქარებული წესით“ ან ჯგუფური განხილვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, წინასწარი სასამართლო ნებართვის ნაცვლად საქმის/საკითხის შემდგომი სასამართლო გადასინჯვა (*ex post პროცედურა*) ძალიან საინტერესო ანალიზის საფუძველს იძლევა საგანგებო მდგომარეობის დროს როგორ მუშაობდა საქართველოს პარლამენტი, იყო თუ არა ეფექტიანი მისი ქმედებები და კონტროლის ის მექანიზმები, რაც მას კანონმდებლობით აქვს. ხდებოდა თუ არა იმ კანონქვემდებარე აქტების შემოწმება და კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა, რომელსაც მთავრობა იღებდა .

განსაკუთრებით საყურადღებოა ადმინისტრაციული ჯარიმების დადგენა მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებებით. ეს ეხებოდა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის თანახმად იზოლაციისა და კარანტინის წესების დადგენას და ამ წესების დაუცველობის შემთხვევაში დაკისრებულ ჯარიმებს.

ვფიქრობ, საჭიროა პროფესიულ წრეებში მსჯელობა პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის პირობებისა და დეკრეტიდან გამომდინარე მთავრობის მიერ მიღებული აქტების შესაბამისობის თაობაზე.

აქ კიდევ ერთი საინტერესო საკითხი გახდა მსჯელობის საგანი, საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდგომ ისეთი უფლებების დელეგირება 15 ივლისამდე მთავრობისთვის, რომელთა შეზღუდვა კონსტიტუციის თანახმად მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს შეიძლება. ამ საკითხმა შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოშიც გადაინაცვლოს და საინტერესო იქნება სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებში რას დაადგენს, თუმცა აშკარად იკვთებოდა უფლებების დელეგირების დროს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევის საფრთხე. ასევე, იყო თუ არა პროპორციულობის ტესტი დაცული ,იყო თუ არა პარლამენტის როლი საკმარისად ქმედითი და ა.შ.

ეს არის ის საკითხები, რაც უნდა გახდეს ღრმა სამართლებრივი ანალიზის საგანი და შემდგომი სწორი ზომების შერჩევისთვის სახელმწიფო მზად უნდა იყოს დაძლიოს გამოწვევები ისე, რომ დაცული იყოს ადამიანის უფლებები.

III. ადამიანის უფლებათა შესაბამისი სტანდარტები

3.1. სიცოცხლის უფლება (კონვენციის მე-2 მუხლი), წამების და არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი); ჯანმრთელობის დაცვაზე წვდომის უფლება (ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვერსია, მე-11 მუხლი)

სიცოცხლის უფლება, ასევე, წამებისა და არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობის, ან დასჯის აკრძალვა კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს მიეკუთვნება. მათზე არ ვრცელდება რაიმე სახის დათქმა, თუნდაც ისეთი საგანგებო სიტუაციების დროს, როგორცაა COVID-19. სახელმწიფოებს მუდმივად ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, დაიცვან სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი ადამიანები მომაკვდინებელი დაავადებებისა და თანმდევი ტანჯვისგან.¹⁶

კონვენცია მუდმივად მოითხოვს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსგან, უზრუნველყოს თავისუფლებადკვეთილი პირებისთვის სათანადო სამედიცინო ზრუნვის ხელმისაწვდომობა.¹⁷ წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (CPT) გამოაქვეყნა განცხადება COVID-19 პანდემიის პირობებში თავისუფლებადკვეთილი პირების მკურნალობასთან დაკავშირებული პრინციპების შესახებ. ეს პრინციპები ვრცელდება სხვადასხვა ადგილზე, მათ შორის, პოლიციის საპატიმრო დაწესებულებებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე, საიმიგრაციო დაკავების ცენტრებზე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებზე და სოციალური ზრუნვის სახლებზე, ისევე, როგორც სხვადასხვა ახლადშექმნილ დაწესებულებებსა ან ზონებზე, სადაც პირები განთავსებულნი არიან კარანტინში COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე. კომიტეტის პრინციპები ასევე შეეხება ამ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის დაცვის საჭიროებას და დაკავების დაწესებულებებში მონიტორინგის განმახორციელებელი, დამოუკიდებელი, ეროვნული ორგანოებისათვის მუდმივი წვდომის უზრუნველყოფას.

სახელმწიფოს ზრუნვაში მყოფი ადამიანების გარდა, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების გამოყენება შეიძლება მძიმედ დაავადებული პაციენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ან ხანდაზმული პირების მიმართ (იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2014)2 ხანდაზმული პირების ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის შესახებ და ადამიანის უფლებათა კომისიის განცხადებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირების შესახებ COVID-19 პანდემიის დროს¹⁸). მათი კონტაქტი დაავადების წყაროსთან და ტანჯვის უკიდურესი დონე შესაძლოა ჩაითვალოს როგორც სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის დაცვისა და არასათანადო მოპყრობის აღკვეთის პოზიტიურ ვალდებულებებთან შეუსაბამო. ზემოხსენებულ პოზიტიურ ვალდებულებას ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული ვერსია) მე-11 მუხლი ამყარებს. ამ მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ ინფექციურ დაავადებებთან გამკლავების უნარი, ისეთი გზებით, როგორცაა დაავადებათა შესახებ ანგარიშგება, შეტყობინების სისტემის ფუნქციონირება და ეპიდემიის შემთხვევაში ყველა საჭირო გადაუდებელი ღონისძიების გატარება.¹⁹ სახელმწიფოთა მომატებული ყურადღება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ შეესაბამება ადამიანთა ჯანდაცვაზე თანაბარი წვდომის უფლებას (ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლი, ე.წ. „ოვიედოს კონვენცია“).

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მიმდინარე COVID-19 პანდემიის პირობებში პაციენტებისთვის ხარისხიანი მედიკამენტების ხელმისაწვდომობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

ევროპის საბჭოს კონვენცია ევროპული ფარმაკოპეის შემუშავების შესახებ²⁰ მიზნად ისახავს სამართლებრივი და სამეცნიერო საფუძვლების დანერგვას მედიკამენტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების ხარისხის უზრუნველყოფისთვის ერთიანი სარეგულაციო ნაშრომის, „ევროპული ფარმაკოპეის“ მეშვეობით. ევროპული ფარმაკოპეის კომისიის ეგიდით, 39 წევრი ქვეყანა და ევროკავშირი, 29 დამკვირვებელი ორგანიზაციის, მათ შორის, ჯანმრთელობის.

3.2. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი) და სამართლიანი სასამართლოს უფლება (მე-6 მუხლი)

COVID-19-ის საპასუხოდ მიღებულმა უპრეცედენტო ღონისძიებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს სახელმწიფოს შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და შეცვალოს სასამართლო სისტემის ჩვეული ფუნქციონირება.

მუხლი 5.1 (ე) განმარტავს, რომ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია ერთ-ერთი საფუძველია, რის გამოც შესაძლებელია პირის თავისუფლების აღკვეთა. ამგვარი ღონისძიების გამოყენებამდე სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში და განიხილონ, თუ რამდენად წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებები მკაცრ აუცილებლობას ნებისმიერ ნაკლებად მკაცრ ალტერნატივასთან შედარებით. იძულებითი პატიმრობის ხანგრძლივობა და მისი პრაქტიკაში განხორციელების გზა ამ კონტექსტში რელევანტურია.

ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სასამართლოებზე წვდომის მოდალობათა ადაპტირებას, იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, რომლებიც პროცედურული მოთხოვნების გულმოდგინედ დაცვას მოითხოვს (მაგ.: სამართალწარმოების მხარე მოწყვლადი პირია, საოჯახო და შრომითი დავები, და ა.შ.). პოლიციის საპატიმრო დაწესებულებაში ხანგრძლივმა დაკავებამ ან თავისუფლების აღკვეთის შესახებ სასამართლო განხილვის დაყოვნებამ შეიძლება კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს. ცხადია, მე-15 მუხლით გათვალისწინებულმა გადახვევებმა შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით დასაშვები ღონისძიებებისა და სახელმწიფო ორგანოების მანევრირების ფარგლების გაფართოება გარკვეული ვადებისა და სხვა ჩვეულებრივი საპროცესო მოთხოვნების დაცვასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი საფუძველის, ან დროული სასამართლო განხილვის გარეშე დაკავების აკრძალვა და დაკავებულთა არსებითი საპროცესო გარანტიები (როგორცაა ექიმის, თუ ადვოკატის ხელმისაწვდომობა, ან ახლობელთან დაკავშირება) დაცული უნდა იყოს არსებულ გარემოებებშიც. სახელმწიფოებს ასევე აკისრიათ ზოგადი ვალდებულება, რომ სასამართლო პროცესისას დაკმაყოფილდეს სამართლიანობის ძირითადი მოთხოვნა (როგორცაა მხარეთა თანასწორობის პრინციპი) და დაცული იყოს უდანაშაულობის პრეზუმცია, ასევე, აღიკვეთოს ისეთი ნაბიჯები, რომლებიც უთანაბრდება მოსამართლეთა და სასამართლოების დამოუკიდებლობაში ჩარევას.

პარლამენტთან ერთად სასამართლო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანგებო სიტუაციების დროს აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივების კონტროლის თვალსაზრისით და გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და

გადაუდებელი საგანგებო ღონისძიებების კანონიერების თაობაზე. გარდა ამისა, სასამართლო სისტემამ უნდა გააგრძელოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფა. მან ასევე უნდა უზრუნველყოს ფიზიკური პირების მიერ მათი უფლებების ეფექტური დაცვა იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევენ მათ ადამიანის უფლებებს. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ხელშეუვალი უფლებების დარღვევის პრევენცია, სასამართლოს მიერ საგანგებო ღონისძიებების კანონიერებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის უფლება დაცული უნდა იყოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზით.

რეკომენდაციაა, რომ მიზანშეწონილი იქნება, რომ პრეზიდენტს მკაფიოდ მიენიჭოს საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებული კანონების საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გადასასინჯად წარდგენის უფლებამოსილება.

3.3. პირადი ცხოვრების უფლება, სინდისის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება

კონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებით გარანტირებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით ეფექტიანი სარგებლობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებების საზომია. მათი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილია კანონით და არის ლეგიტიმური, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის მიზნის მიღწევის თანაზომიერი. ჩვეულებრივი სოციალური საქმიანობის მნიშვნელოვანმა შეზღუდვებმა, მათ შორის, საყოველთაო სალოცავ ადგილებზე წვდომის, საზოგადოებრივი თავშეყრისა და საქორწინო თუ დაკრძალვის ცერემონიებთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შეიძლება გამოიწვიოს დასაბუთებული საჩივრები ზემოაღნიშნულ დებულებებზე დაყრდნობით. ხელისუფლებას ევალება, რომ ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა, მიუხედავად იმისა, ეფუძნება თუ არა დათქმას, იყოს მკაფიოდ გათვალისწინებული კანონით, საკონსტიტუციო გარანტიების შესაბამისი და დასახული მიზნის თანაზომიერი.²⁰

ზემოხსენებულ უფლებებზე გაძლიერებული შეზღუდვები შეიძლება სრულად გამართლებული იყოს კრიზისის დროს, თუმცა მკაცრი სისხლისსამართლებრივი სანქციები შემოთავაზებას იწვევს და მკაცრად უნდა შეისწავლოს. გამონაკლისმა ვითარებებმა არ უნდა გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი ზომების გადაჭარბებით გამოყენება. სამართლიანი ბალანსი იძულებასა და პრევენციას შორის არის ყველაზე შესაფერისი - თუ არა ერთადერთი - გზა კონვენციის თანაზომიერების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, ინფორმაციის თავისუფალი და დროული მიწოდება გადამწყვეტი ფაქტორია, რათა მედიამ შეძლოს პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. მედიას და პროფესიონალ ჟურნალისტებს, კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებლებს, საკვანძო როლი და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საზოგადოებისთვის დროული, ზუსტი და საიმედო ინფორმაციის მიწოდების, ისევე, როგორც პანიკის თავიდან აცილებისა და ადამიანების თანამშრომლობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. მათ უნდა დაიცვან პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის უმაღლესი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები, ამრიგად, მოსახლეობას მიაწოდონ კრიზისთან დაკავშირებული ავტორიტეტული შეტყობინებები და თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი

ინფორმაციის გამოქვეყნებისა ან გაზვიადებისგან (რომ აღარაფერი ვთქვათ საექვო ან სენსაციებზე ორიენტირებულ მასალაზე). განსაკუთრებული გარემოებები პასუხისმგებლიან ჟურნალისტებს აიძულებს, თავი შეიკავონ შეზღუდული გამოყენებისთვის გამიზნული სამთავრობო ინფორმაციის გამჟღავნებისგან, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაცია უფრო მკაცრი იზოლაციის პოლიტიკის სამომავლო ღონისძიებათა შესახებ.²¹ საზოგადოებას ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონდეს სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.²² ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომის რაიმე შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნების თანაზომიერი. ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (“ტრომსოს კონვენცია”) აღნიშნავს გამჭვირვალობის საჭიროებას და ადგენს, რომ საჯარო ხელისუფლებამ საკუთარი ინიციატივით და საჭიროების შემთხვევაში უნდა მიიღოს ოფიციალური დოკუმენტების გასაჯაროებისთვის აუცილებელი ზომები, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებულ მონაწილეობას საჯარო ინტერესის საკითხებში.

ამავდროულად, პანდემიის შესახებ ოფიციალური შეტყობინება არ შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთადერთი არხი. ეს გამოიწვევს ცენზურას და ლეგიტიმური ინტერესის ჩახშობას. ჟურნალისტებს, მედიას, სამედიცინო სფეროს პროფესიონალებს, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებსა და ფართო საზოგადოებას უნდა შეემლოს ხელისუფლების კრიტიკა და კრიზისზე მათი რეაგირების შესწავლა. გარკვეული თემების ნებისმიერი წინასწარი შეზღუდვა, მედიასაშუალებების დახურვა ან ინტერნეტკომუნიკაციის პლატფორმებზე წვდომის სრული დაბლოკვა მოითხოვს ფრთხილად შესწავლას და გამართლებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.²³ პანდემია არ უნდა გამოიყენონ მამხილებელთა (იხ. რეკომენდაცია CM/Rec(2014)7 მამხილებელთა დაცვის შესახებ)²⁴ ან პოლიტიკურ ოპონენტთა გასაჩუმებლად.²⁵ დეზინფორმაციის მავნე გავრცელებას შეიძლება ვებრძოლოთ გამოქვეყნების შემდგომი სანქციებით და სამთავრობო საინფორმაციო კამპანიებით. სახელმწიფოებმა ონლაინ პლატფორმებსა და მედიასთან ერთად უნდა იმუშავონ, რათა თავიდან აიცილონ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება; ასევე, მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ ახალი ამბებისა და ინფორმაციის ზოგადად სანდო წყაროებს, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

კონფიდენციალობა და მონაცემთა დაცვა

პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და დამუშავების ახალი ტექნოლოგიები პანდემიის შეკავებისა და დაძლევის საშუალებას იძლევა. მონიტორინგი, მიკვლევა და პროგნოზირება ეპიდემიური მეთვალყურეობის გადამწყვეტი ნაბიჯებია. არსებული დახვეწილი ციფრული ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების სიმრავლემ და სიჭარბემ (გეოლოკაციური მონაცემები, ხელოვნური ინტელექტი, სახის ამოცნობა, სოციალური მედიის აპლიკაციები) შესაძლოა ხელი შეუწყოს ამგვარ ეპიდემიოლოგიურ მეთვალყურეობას.

ამავე დროს, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტრუზიული პოტენციალი არ უნდა დარჩეს შემოწმებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის საჭიროების ბალანსის დაცვის გარეშე. მონაცემთა დაცვის პრინციპები და ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია (ასევე, მისი გადასინჯული ვერსია, მოხსენიებული, როგორც "კონვენცია 108+²⁶") ყოველთვის იძლეოდა ბალანსის შენარჩუნების საშუალებას მაღალ დაცვით სტანდარტებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას შორის.

კონვენცია მონაცემთა დაცვის ჩვეულებრივი წესებიდან გამონაკლისებს უშვებს შეზღუდული ვადითა და შესაბამისი გარანტიებით (მაგ.: ანონიმიზაცია), ისევე, როგორც ეფექტიანი ზედამხედველობითი ჩარჩოს არსებობის შემთხვევაში, რათა უზრუნველყოს მონაცემთა ლეგიტიმური და პასუხისმგებლიანი გზებით შეგროვება, ანალიზი, შენახვა და გაზიარება.

3.4. დისკრიმინაციის აკრძალვა (კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 ოქმის 1-ლი მუხლი, ევროპის სოციალური ქარტიის მუხლი „ე“) და მრავალფეროვნებასა და ინკლუზიასთან დაკავშირებული სტანდარტები

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი უკიდურესად რელევანტურია მოცემულ კონტექსტში, როდესაც სასამართლო შეაფასებს კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევების „მკაცრ აუცილებლობას“, ასევე, შეისწავლის, ხომ არ იწვევდა ეს ღონისძიებები სხვადასხვა კატეგორიის პირებს შორის გაუმართლებელ დისკრიმინაციას.²⁷ ამასთან, დისკრიმინაციის გარკვეული ფორმები შეიძლება გაუთანაბრდეს მე-3 მუხლით აკრძალულ ღირსების შემლახველ მოპყრობას, რომლიდან გადახვევაც დაუშვებელია.²⁸ ამასთან, დაუცველ ჯგუფს მიკუთვნებულ პირთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია.²⁹ ამრიგად, დისკრიმინაციის აკრძალვა შესაძლოა, მოიაზრებდეს პოზიტიური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას არსებითი თანასწორობის მისაღწევად.³⁰ ამავე მიდგომას ითვალისწინებს ევროპის სოციალური ქარტია ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლის ფარგლებში დღეს განხორციელებულმა განსაკუთრებულმა ღონისძიებებმა შესაძლოა წამოჭრას კითხვები მათ პოტენციურ დისკრიმინაციულ შედეგებთან დაკავშირებით. მაგალითად, კონვენციით (1-ლი ოქმის მე-2 მუხლი) და ევროპის სოციალური ქარტიით (მე-17 მუხლი) გათვალისწინებული განათლების უფლება არსებითად დაცული უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მისი უზრუნველყოფის გზები შესაძლოა, ადაპტაციას მოითხოვდეს. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაუცველი ჯგუფების მიერ განთლების უფლებით სარგებლობას და საგანმანათლებლო საშუალებებსა თუ მასალებზე თანაბარ წვდომას იზოლაციის პირობებში.

IV. დანაშაულისგან დაცვა, დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა

ინციდენტები და მტკიცებულებები სულ უფრო ნათელს ხდის, რომ იზოლირებისა და ჩაკეტვის პოლიტიკა იწვევს ოჯახში ძალადობის, ასევე, სექსუალური და გენდერული ძალადობის ზრდას და, შესაბამისად, დაცვის მომატებულ საჭიროებას. მისასალმებელია იმ წევრ სახელმწიფოთა მიდგომა, რომლებიც სტამბოლის კონვენციის³¹ სულისკვეთებით ეძებენ გზებს, რათა განაგრძონ ამგვარი ძალადობის მსხვერპლთა იზოლირებულ რეჟიმზე მორგებული მხარდაჭერა და დაცვის სერვისების მიწოდება.

ევროპის საბჭოს შეუძლია გაავრცელოს ინფორმაცია მის წევრ სახელმწიფოებში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, მაგალითად, მსხვერპლის მიერ ძალადობის ინციდენტთა შეტყობინების ალტერნატიული საშუალებების დაშვებაზე.³² ასევე მნიშვნელოვანია ინოვაციურ საშუალებათა გათვალისწინება, რათა ბავშვებს ჰქონდეთ წვდომა დახმარებასა და ცხელ ხაზებზე, ლანსაროტის კონვენციის (ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ) დებულებათა შესაბამისად და შეძლონ ძალადობის, არასათანადო მოპყრობისა და სექსუალური

ძალადობის შეტყობინება პანდემიის განმავლობაში.³³ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლნი შეიძლება კიდევ უფრო დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, სამართალ-დამცველი ორგანოებისა და მათი მხარდამჭერი სამსახურების (როგორცაა თავშესაფრები) შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე.³⁴

თანამედროვე საზოგადოება, როგორც არასდროს დამოკიდებულია კომპიუტერულ სისტემებზე და კრიზისის დროს მავნე განზრახვის მქონე პირებმა შესაძლოა, უფრო მეტად ისარგებლონ ამ დამოკიდებულებით (თაღლითური სქემები, „ფიშინგის“ კამპანიები და საზიანო პროგრამების გავრცელება COVID-19-ზე ინფორმაციისა თუ რჩევების შემცველი ერთი შეხედვით, ნამდვილი ვებგვერდებიდან, გამოიყენება კომპიუტერის დასავირუსებლად, მომხმარებლის პირადი მონაცემების მისაღებად, ან თაღლითური გადახდებისათვის). ბავშვებიც არ არიან დაცული კიბერსივრცეში არსებული რისკებისგან, ხოლო სკოლების დახურვა და ინტერნეტისა თუ სოციალური მედიის მომატებული მოხმარება უარყოფითად აისახება მათ უსაფრთხოებაზე. ამასთან, კორონავირუსის აფეთქებით კრიმინალებს, სამწუხაროდ, ახალი შესაძლებლობები მიეცათ, რათა ისარგებლონ სამედიცინო, პერსონალური დაცვისა და ჰიგიენის პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნით.

ეს მოიცავს ყალბ წამლებსა თუ სამედიცინო მოწყობილობებს, როგორცაა COVID-19-ის ტესტები, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ სივრცეში. ყალბი სამედიცინო პროდუქტების წარმოება და გავრცელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი რისკია და საფრთხეს უქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებებს. სისხლის სამართლის ორგანოებმა სრულად უნდა ითანამშრომლონ, რათა შეძლონ ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოვლენა, გამოძიება, კვალიფიცირება და სამართლებრივი დევნა. ევროპის საბჭოს კონვენციების (კიბერდანაშაულის (ბუდაპეშტის), MEDICRIME-ს³⁵ და ლანსაროტის კონვენციები) ფარგლებში, მხარეები მჭიდროდ თანამშრომლობენ, რათა გააუმჯობესონ სისხლის სამართლის დებულებები, საპროცესო უფლებამოსილებები და საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლებიც აუცილებელია ამ საფრთხეების დასაძლევად.

ამდენად, სახელმწიფოსა და მისი დემოკრატიული ინსტიტუტების და მისი ოფიციალური პირების და მოსახლეობის უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი საჯარო და კერძო ინტერესები, რომლებიც იმსახურებენ დაცვას და შეიძლება გამოიწვიონ გარკვეული ადამიანის უფლებებიდან დროებითი გადახვევა, ძალაუფლების საგანგებო დაყოფა. ამასთან, არსებობს შემთხვევები, როდესაც ავტორიტარული მთავრობები ბოროტად იყენებენ საგანგებო უფლებამოსილებებს ხელისუფლებაში დარჩენის, ოპოზიციის გაჩუმების და ზოგადად, ადამიანის უფლებების შეზღუდვის მიზნით. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია მკაცრი შეზღუდვების დაწესება ასეთი უფლებამოსილებების ხანგრძლივობასთან, გარემოებებთან და ფარგლებთან დაკავშირებით. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება შეიძლება ეფექტურად იყოს უზრუნველყოფილი მხოლოდ დემოკრატიის პირობებში, რომელიც პატივს სცემს კანონის უზენაესობას. ეს მოითხოვს საპარლამენტო და სასამართლო კონტროლს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის არსებობასა და ხანგრძლივობაზე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. CM Reply to PACE recommendation 2125 (2018).
2. See the Guide on Article 15 of the Convention (31 December 2019) published by the Court's Registry.
3. Ireland v. UK Judgment of 18.01.1978, Series A No 25, para 207
4. Mehmet Hasan Altan v. Turkey, §§ 94 and 210; and Şahin Alpay v. Turkey, §§ 78 and 180.
5. See the Venice Commission, Opinion on the protection of human rights in emergency situation, CDL-AD(2006)015), para. 13.
6. See the Venice Commission Rule of Law Checklist (CDL-AD(2016)007), paras. 44 and 45.
7. By 29 March 2020, 22 of our member states have declared state of emergencies.
8. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „რაც უფრო დიდხანს გრძელდება საგანგებო რეჟიმი, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ სახელმწიფო დაშორდეს იმ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლითაც ამართლებდა თავდაპირველ საგანგებო უფლებამოსილებათა მინიჭებას. რაც მეტ ხანს გრძელდება ვითარება, მით ნაკლებია დასაბუთება იმისა, რომ ვითარება მისი ხასიათით მივიჩნიოთ განსაკუთრებულად, რომლის დროსაც ჩვეულებრივი სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენება შეუძლებელია.“ – The Venice Commission, Turkey - Opinion on Emergency Decree Laws N°s667-676 adopted following the failed coup of 15 July 2016, CDLAD(2016)037, para. 41
9. CommDH(2002)7, Opinion 1/2002 on certain aspects of the United Kingdom derogation from Article 5 par. 1 of the European Convention on Human Rights, p. 25; see also the Venice Commission, Parameters On The Relationship Between The Parliamentary Majority And The Opposition In A Democracy: A Checklist (CDL-AD(2019)019), para. 119)
10. See PACE Resolution 1659 (2009), Protection of human rights in emergency situations, p. 12; See also the Rule of Law Checklist, cited above, and Article 15 of the Convention (“Derogation in time of emergency”); Article 4 of the ICCPR; Article 27 of the ACHR. On emergency SG/Inf(2020)11 powers see also the reports by the Venice Commission on the Emergency Powers (CDL-STD(1995)012) and on the Protection of Human Rights in Emergency Situations (CDL-AD(2006)015).
11. The principle of necessity is not referred directly in the context of the institutional emergency measures, but may be derived from the requirement of proportionality and necessity of the emergency measures in the field of human rights – see the Venice Commission, Opinion on the Draft Constitutional Law on "Protection of the Nation" of France, CDL-AD(2016)006, para. 71
12. CM(2008)170, Committee of Ministers document on the Council of Europe and the Rule of Law, p. 46; see also Venice Commission, Parameters On The Relationship Between The Parliamentary Majority And The Opposition In A Democracy: A Checklist (CDLAD(2019)019), paras. 119–121, and Turkey - Opinion on Emergency Decree Laws N°s667-676 adopted following the failed coup of 15 July 2016 (CDL-AD(2016)037), para 98
13. A substantial number of European constitutions have provisions prohibiting constitutional amendments in times of war, emergency or similar situations. See also Venice Commission, Turkey - Opinion on Emergency Decree Laws N°s667-676 adopted following the failed coup of 15 July 2016 (CDL-AD(2016)037), para. 80 and 90).
14. See PACE Recommendation 1713 (2005), Democratic oversight of the security sector in member states, p. 38.
15. The Venice Commission, Rule of Law Checklist (CDL-AD(2016)007), para. 51.
16. იხ. სასამართლოს რეესტრის მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო ფურცელი „პატიმართა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები“.

17. See *Khudobin v. Russia*, no. 59896/00, 26 October 2006; როგორც წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა დეტალურად წარმოადგინა COVID-19 პანდემიის პირობებში თავისუფლებადაკვეთილი პირების მკურნალობასთან დაკავშირებული პრინციპების შესახებ განაცხადში „ჯანდაცვის არასათანადო დონემ შეიძლება სწრაფად გამოიწვიოს ისეთი ვითარება, რომელიც არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფარგლებში მოექცევა“.
18. ადამიანის უფლებათა კომისარი, მისი მოღვაწეობისას ხშირად აღნიშნავს, რომ დიდი საცხოვრებელი კომპლექსები, სადაც ხდება პირთა თავისუფლების აკვეთა შეუსაბამოა შშმ პირთა და ხანდაზმულთათვის და მოუწოდებს პანდემიის წინაშე მდგარ წევრ სახელმწიფოებს შეწყვიტონ ამგვარ დაწესებულებებში მათი მიღება და შეძლებისდაგვარად გადაიყვანონ შშმ პირები, ისევე როგორც მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება დარჩენილი მაცხოვრებლების დაცვისათვის; კომისიის განცხადებები: COVID-19 პანდემიის ერაში ხანდაზმულ პირებს უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ ვიდრე ოდესმე, 20 მარტი, 2020, და შშმ პირები არ უნდა დარჩნენ COVID-19 პანდემიაზე რეაგირების მიღმა, 2 აპრილი, 2020.
19. ECSR, Conclusions XVII-2 (2005), Latvia.
20. See *Mehmet Hasan Altan v. Turkey*, 13237/17, 20 March 2018; რაც შეეხება შეკრების თავისუფლებას, იხ. *Lashmankin and Others v. Russia*, no. 57818/09, 7 February 2017, at para. 434ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დემონსტრაციის ზოგადი აკრძალვა დასაშვებია, თუ არსებობს მის შედეგად არეულობის რეალური საფრთხე, რომელიც შეუძლებელია აკვეთილ იქნას სხვა, ნაკლებ მკაცრი ღონისძიებით და თუ აკრძალვის დემონსტრაციაზე ზემოქმედების ნაკლოვანებას მკაფიოდ გადაწონის უსაფრთხოების მოსაზრებები, რომელიც ამართლებს მას.
21. See the Council of Europe Guidelines on protecting freedom of expression and information in times of crisis.
22. See, for example, *Magyar Helsinki [GC]*, paras. 156-170).
23. *Cumpana Mazare [GC]*, para. 118.
24. <https://www.bbc.com/news/world-asia-china-51403795>
25. იხ. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო რეკომენდაციები კრიზისის დროს გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების დაცვის შესახებ.
26. Modernised Convention for the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data (CETS 223): https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807c65bf
27. ECtHR, *A. and Others v. the United Kingdom* (GC), 3455/05, 19 February 2009, §§ 182-190.
28. ECtHR, *Cyprus v. Turkey* (GC), 25781/94, 10 May 2001, §§ 312-315.
29. See, e.g., ECtHR, *Horvath and Kiss v. Hungary*, 11146/11, 29 January 2013,.
30. ECtHR, *Horvath and Kiss v. Hungary*, 11146/11, 29 January 2013, § 116; ECtHR, *Çam v. Turkey*, 51500/08, 23 February 2016. See also the Explanatory Report of Protocol No. 12 of the Convention.
31. Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, CETS No. 2010, Istanbul, 11 May 2011: <https://www.coe.int/conventions/treaty/210>
32. იხ. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2020 წლის 30 მარტის განცხადება (<https://www.coe.int/en/web/portal/-/covid-19-crisis-secretary-general-concerned-about-increased-risk-of-domestic-violence>) and the statement by the president of GREVIO of 24 March 2020: <https://rm.coe.int/grevio-statement-covid-24-march-2020/pdfa/16809cf55e>
33. *Horvath and Kiss v. Hungary*, 11146/11, 29 January 2013, § 116; ECtHR, *Çam v. Turkey* 51500/08, 23 თებერვალი, 2016. ასევე იხ. კონვენციის მე-12 ოქმის განმარტებითი მოხსენება.
34. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის (ECSR) თანახმად, დისკრიმინაცია შეიძლება გამოიხატოს შედარებით ვითარებაში მყოფ პირებს შორის არსებული ყველა შესაბამისი განსხვავების სათანადოდ და პოზიტიურ ჭრილში გაუთვალისწინებლობით, ან თუ ვერ მოხდება სათანადო ნაბიჯების გადადგმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საყოველთაო უფლებათა და კოლექტიურ სიკეთეთა ჭეშმარიტი ხელმისაწვდომობა ყველას მიერ და

ყველასთვის. იხ., მაგ., ECSR, Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL) იტალიის წინააღმდეგ, საჩივარი No. 91/2013, 12 ოქტომბერი, 2015, § 237; ECSR, Confédération française démocratique du travail (CFDT) საფრანგეთის წინააღმდეგ, საჩივარი No. 50/2008, 2009 წლის 9 სექტემბერის არსებითი გადაწყვეტილება, §§ 39 და 41.

35. კვლევა მზადდება ახალი ანტიდისკრიმინაციული, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის (CDADI) საკოორდინაციო კომიტეტის სამდივნოს მიერ, პირველ შეხვედრაზე განსახილველად. მალე მის ვებგვერდზე გამოქვეყნდება შესავალი სიტყვა.

A Special Role for Parliament in Protecting Victims in the Context of the COVID 19 Pandemic

Eka Beselia

The present paper analyzes the boundaries of government response to the ongoing threats posed by COVID-19. It should be noted based on the analysis of the paper that significant social, political and legal challenges faced by the states implies effective response to the crisis. At the same time, response actions should not jeopardize genuine long-term public interests such as safeguarding key values of democracy, the rule of law and human rights. This is where the country's parliament has to discharge its principal mandate and, by employing all possible mechanisms, serve as a forum to ensure that taken actions are proportional to the threat of the spread of the virus.

The research has shown that the security of the state and its democratic institutions, its officials and population is a significant public and private interest that merits protection and that temporary derogation from human rights and emergency separation of powers may become necessary for sustaining it. Unfortunately, there are cases when authoritative governments abuse emergency powers to remain in power, to keep the opposition silenced and to suppress human rights in general. Therefore, it is crucial to introduce stringent limits as to the duration, nature and extent of such powers. State and public security can be attained effectively only in democracy, through full adherence to the rule of law principle. This requires parliamentary and judicial control over the declared state of emergency in order to prevent the abuse of power. This calls for effective and continuous control.

Key words: Pandemic, Parliament, Victim, Human Rights

ვიქტიმოლოგიური პრობლემები საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში

პროფესორი, დოქტორი დავით გუგავა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. David Gugava Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Science.

ნაშრომში საუბარია ვიქტიმოლოგიური პრობლემების გათვალისწინების აუცილებლობაზე თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანების განსზღვრისას. ყურადღება გამახვილებულია სისხლის სამართლის პოლიტიკის იმ სფეროებზე, რომელიც აუცილებელია შეივსოს ვიქტიმოლოგიური დატვირთვით. მათ შორის, გამოიყოფა კანონშემოქმედებითი, სამართალშეფარდებითი, დანაშაულის აღკვეთა-პრევენციის სფერო და სამართლებრივი/იდეოლოგიური მართლშეგნება. წარმოდგენილი საკითხებში აისახება ძირითადი ვიქტიმოლოგიური პრობლემები, რაც იკვეთება ქართულ სისხლის სამართლის პოლიტიკაში და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები: სისხლის სამართალი; სისხლის სამართლის პოლიტიკა; ვიქტიმოლოგია; მსხვერპლი.

სისხლის სამართლის პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დანაშაულზე ზემოქმედება. ამ პროცესში იკვეთება ისეთი დარგობრივი მიმართულებები, როგორცაა: კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, სისხლისსამართლის საპროცესო, სასჯელაღსრულებითი და ა.შ.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე, როგორცაა ვიქტიმოლოგიური მიმართულება, რომელიც თავისთავად კრიმინოლოგიური მიმართულების შემადგენელია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საკანონმდებლო დონეზე რეალიზაცია ჰპოვა მთელმა რიგმა ვიქტიმოლოგიურმა საკითხებმა, რომლებმაც შემდგომში სამართალგამოყენებით პროცესში წამოჭრეს დამატებითი პრობლემატიკის გაანალიზების საფუძველი. ამგვარი მიდგომა ნაკარნახევი იყო მსოფლიო დონეზე დანაშაულზე ვიქტიმოლოგიური განვითარების მოთხოვნებით, რომელშიც წამყვან როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტები. დღეისათვის საქართველოში ყოველმხრივ არის განვითარებული თეორიული ბაზა, ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის სისტემა და ასევე, სამართლებრივ დონეზე გამყარებული სამართლებრივი საფუძველი დაზარალებულისა და დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. სახელმწიფო სტრუქტურებში განსაზღვრულია კონკრეტული სუბიექტები, რომელთა საქმიანობა მიმართულია დაზარალებულთა და სხვა პირების დასაცავად, ფუნქციონირებს ვიქტიმოლოგიური მიმართულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები .

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში გამყარებულია ის მოსაზრება, რომ ვიქტიმოლოგიური მიმართულება დანაშაულის პრევენციის და მოქალაქეთა სისხლისსამართლებრივი დაცვის საქმეში სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრის მხოლოდ მცირედი ნაწილია. თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პოლიტიკაში ვიქტიმოლოგიური მიმართულება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისას სულ უფრო ფართო

ადგილს იკავებს. საქართველოს ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის განზოგადოების და ანალიზის, თეორიული ნაშრომების კვლევებისა და სამეცნიერო მოსაზრებების საფუძველზე წარმოდგენილ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საქმეში ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკაში ვიქტიმოლოგიური მიმართულების დახვეწისა და განვითარების წინადადებებს.

სტატიაში საუბარია ვიქტიმოლოგიური პრობლემების გათვალისწინების აუცილებლობაზე თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანების განსაზღვრისას. ყურადღება გამახვილებულია სისხლის სამართლის პოლიტიკის იმ სფეროებზე, რომელიც აუცილებელია შეივსოს ვიქტიმოლოგიური დატვირთვით. მათ შორის გამოიყოფა კანონშემოქმედებითი, სამართალშეფარდებითი, დანაშაულის აღკვეთა-პრევენციის სფერო და მართლშეგნება. წარმოდგენილი საკითხებში აისახება ძირითადი ვიქტიმოლოგიური პრობლემები, რაც იკვეთება ქართულ სისხლის სამართლის პოლიტიკაში და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები.

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური პრობლემები. ვიქტიმოლოგიური შედეგების, დანაშაულისა თუ დანაშაულობის ვიქტიმოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება სისხლის სამართლის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია და უკავშირდება სისხლის სამართლისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების აღდგენის აუცილებლობას. ეს კი თავისთავად ითხოვს დანაშაულის მსხვერპლთა და მათთან დაკავშირებულ პრობლემატიკის განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური საკითხების გათვალისწინება სახელმწიფოს საქმიანობის, როგორც კანონშემოქმედებითი, სამართალშეფარდებითი და დანაშაულის აღკვეთა-პრევენციის პროცესებში. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური მიმართულება უნდა ეფუძნებოდეს ვიქტიმოლოგიის თეორიაში დამკვიდრებულ პრინციპებს, რაც საერთო ჯამში ასახავს დანაშაულის მსხვერპლთა პრობლემატიკას.

გვესახება, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური საკითხები უნდა განვიხილოთ კანონშემოქმედებითი საქმიანობის ჭრილში სამართალშეფარდებისა და დანაშაულის აღკვეთა-პრევენციის მხრივ. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამივე უნდა განვიხილოთ კომპლექსურად, რამეთუ მათ გააჩნიათ ერთიანი ბუნება, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და უნდა შეესაბამებოდნენ ერთიან ამოცანას - დანაშაულის მსხვერპლთა დაცვას.

ვიქტიმოლოგიური თემატიკის ნაშრომების ანალიზი გამოყოფს რიგ პრობლემებს, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტას საკანონმდებლო დონეზე. პირველ რიგში, უნდა გავამახვილოთ ყურადღება ტერმინოლოგიაზე. ქართველი ავტორების ნაწილისთვის მისაღებია ტერმინი „კრიმინალური პოლიტიკა“¹, რომელიც წარმოადგენ ინგლისურენოვანი “crime policy”-თარგმანს. ამგვარი მიდგომა, ჩემი აზრით, არ არის სწორი და ამახინჯებს სისხლის სამართლის პოლიტიკის არსს. დასავლეთში კრიმინოლოგია, ისევე როგორც პოლიტიკა არ

¹ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბ., 2017.

მოიაზრება სამართლის შემადგენელ ნაწილად, არამედ სოციალურ მეცნიერებათა შემადგენელია. საქართველოში კრიმინოლოგია, როგორც მოგეხსენებათ, სამართლის შემადგენელია. რაც შეეხება კრიმინალურ პოლიტიკას, ქართულ სინამდვილეში მას ახორციელებს დანაშაულებრივი სამყარო თავისი დაუწერელი წესებით. ჩვენ გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და არა კრიმინალური კოდექსი, ამიტომ მართებულია გამოვიყენოთ ტერმინი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

ტერმინების განხილვისას უნდა განვასხვავოთ სისხლის სამართლის პროცესში დამკვიდრებული ტერმინი „დაზარალებული“ და ვიქტიმოლოგიურ ტერმინი „მსხვერპლი“, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე დატვირთვით გამოიყენება.

სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება ტერმინი „მსხვერპლი“² სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მსხვერპლთან დაკავშირებულ მთელ რიგ დებულებებს, ძირითადად, კერძო ნაწილში დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებებზე გვევლინება დანაშაულის ჩადენა (მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით), აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიც იცნობს ტერმინ „მსხვერპლი“, მაგრამ მხოლოდ სისხლის სამართლის კონკრეტული შემადგენლობებზე მითითების კონტექსტით.³

ტერმინს იყენებს: საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი⁵ და საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“.⁶

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, „მსხვერპლი“ ნიშნავს პირს/პირებს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიადგა ზიანი, მათ შორის, ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი, ემოციური ტანჯვა ან ეკონომიკური ზარალი. აგრეთვე, დანაშაულის მსხვერპლებად მოიაზრებიან ის პირები, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა ფუნდამენტური უფლებების არსებით დარღვევას, რაც დაკავშირებულია წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობით ინკრიმინირებულ ქმედებასთან, მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან.⁷

დეკლარაციაში ასევე გამახვილებული ყურადღება, რომ „მსხვერპლს“ შეუძლია დამნაშავისგან დაუყოვნებლივ მოითხოვოს ზიანის სრული ანაზღაურება და თუ ზიანის ანაზღაურება ვერ ხერხდება დამნაშავისგან, მაშინ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

³ ასკ მუხლი 1723. პროსტიტუცია; მუხლი 185. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება;

⁴ 2006 წლის 25 მაისი. №3143-სს <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17>

⁵ დაზარალებული – სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად

⁶ საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ მუხლი 3 იურიდიული დახმარების სახეები. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604?publication=24>

⁷ Declaration of General Assembly of United Nations about Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985

კომპენსაციის ასანაზღაურებლად და უზრუნველყოს მსხვერპლის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი იყენებს ტერმინ "დანაშაულის მსხვერპლის", იგი სამართალშეფარდების დონეზე ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, თუ რა პირობები უნდა აკმაყოფილებდეს პირისათვის ამ სტატუსის მინიჭებას, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის პრაქტიკაში, რადგან სისხლის სამართლის პროცესში უნდა გამოიყენონ ისეთი ტერმინი, როგორცაა "დაზარალებული".

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკანონმდებლო დონეზე უკვე გვხვდება მსხვერპლისა და დაზარალებულის დამოუკიდებლად მოხსენიების შემთხვევები⁸ კანადური ორგანიზაციის დანაშაულის მსხვერპლთა რესურსცენტრის მიერ მომზადებულ ნაშრომში „მსხვერპლი“ კანადის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 722 (4) მსხვერპლი განსაზღვრულია, როგორც: (ა) პირი, რომელსაც ზიანი მიაყენეს, რომელმაც ფიზიკური ან ემოციური ზარალი განიცადა დანაშაულის ჩადენის შედეგად; და (ბ) იმ შემთხვევაში, თუ (ა) პუნქტით აღწერილი პირი გარდაიცვალა, დაავადმყოფდა, ან სხვაგვარად გახდა ქმედუნარო.⁹

სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალიზაციის ფორმატით, საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტების ბიუჯეტშიც ასახულია მსხვერპლთა დახმარების პუნქტი¹⁰ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; მსხვერპლზე საუბარი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №33 2020 წლის 6 აპრილი თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ¹¹.

ტერმინი მსხვერპლია გამოყენებული საქართველოს კანონში „ბავშვის უფლებათა კოდექსი“¹²;

⁸ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2246470?publication=0>

⁹ <https://www.crcvc.ca/docs/victimization.pdf> 2020 15.06

¹⁰ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან ეკონომიკურ სიდუხჭირეში და/ან მოულოდნელ კრიზისულ ვითარებაში, მიიღებენ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 300 ლარის ფარგლებში ე) ოჯახში არის ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი (აღნიშნული პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში). გასაცემი თანხის ოდენობას განსაზღვრავს „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“

¹¹ მუხლი 19. წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, ან ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი 1. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების განხილვისას პრიორიტეტი ენიჭება წამების, ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, ან ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების განხილვას. 2. წამების, ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, ან ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი თავშესაფრის მაძიებელი თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში უზრუნველყოფილია კონსულტაციის სერვისით, ისევე როგორც, შესაბამისი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით.

¹² საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 20 სექტემბერი 2019 წ. N5004-ის

მუხლი 43. დანაშაულის შედეგად დაზარალებული, მსხვერპლი და მოწმე ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები 1. ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებული, სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში. პროგრამის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განისაზღვრება. 2. ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტის,

საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“¹³; პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.¹⁴

„2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია სოციალურ ფაქტორებზე, მაგალითად: სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივა: ჩამოთვლილია (2017 წელს საქართველოში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების 5 სახელმწიფო დაწესებულება (თავმესაფარი) და კრიზისული ცენტრი ფუნქციონირებდა. 2017 წლის ბოლოს კრიზისული ცენტრები გაიხსნა აგრეთვე ქუთაისსა და გორში, რაც სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია; შეიმუშაოს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის მექანიზმი, შექმნას და დროულად ამოქმედოს სპეციალური სარეაბილიტაციო დაწესებულებების მუშაობის კონცეფცია; ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა სისტემატური გადამზადება; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა თავმესაფრების ბენეფიციართა გაძლიერებასა და ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას; უზრუნველყოს ოჯახში ძალადობისა და უგულვებელყოფის მსხვერპლ ბავშვებისთვის ადეკვატური ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომსახურების შეთავაზება მათი საჭიროებების შესაბამისად;¹⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფართოდ გამოიყენება ტერმინი „დაზარალებული“, რამეთუ თავისი არსით ის მსხვერპლსაც მოიცავს. შსს და პროკურატურის ორგანოებში ამოქმედდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.¹⁶

საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების ნაწილი, დიდი ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ ვიქტიმოლოგიური პრევენციას, არამედ დანაშაულზე ზემოქმედების სხვადასხვა ვიქტიმოლოგიური მეთოდის უცხოელი მეცნიერები ვიქტიმოლოგიურ კვლევებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ არა მარტო ვიქტიმიზაციის საკითხებს¹⁷ არამედ იკვლევენ მსხვერპლთა მახასიათებლებსა და

ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მსხვერპლ ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში.

¹³ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 13 ივნისი 2018. N2519-III

¹⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №385 2019, 22 თებერვალი

¹⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4283658?publication=0>

¹⁶ 08-02-2019 შინაგან საქმეთა სამინისტროში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური ამოქმედდა; 2011 წლის აგვისტოდან საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. რომლის ერთერთი ფუნქციაა ძალადობრივი დანაშაულის დაზარალებულისათვის ტრამვისგან გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავებაში დახმარება, მისი პიროვნულ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა;

¹⁷ Heber A. Good versus bad? Victims, offenders and victim-offenders in Swedish crime policy / A. Heber // European Journal of Criminology. — 2014. — July. — № 11. — P. 410–428.

მოთხოვნები, სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებით იჩენენ საკანონმდებლო ინიციატივებს¹⁸.

უცხოური გამოცდილება ცხადყოფს, რომ დანაშაულზე ვიქტიმოლოგიური ზემოქმედების განვითარების ინიციატორის როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიურ მიმართულებაში მოიაზრება არა მარტო სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა, სამართალშეფარდებითი პრაქტიკა, სამართლებრივი იდეოლოგიური მართლშეგნება, არამედ აქტიური საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება მოქალაქეთა ვიქტიმიზაციის შეზღუდვისკენ, საზოგადოებაში კონფლიქტურობის და დევიანტურობის შემცირებისკენ, დანაშაულის მსხვერპლთა საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ. ამგვარად სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიურ მიმართულებაში მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალური ასპექტები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობით საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა აზრი, რომლის თანახმად, ვიქტიმოლოგიური მიმართულება საქმიანობის მხოლოდ ნაწილია მოქალაქეთა დანაშაულის პრევენციის, სისხლის სამართლის დაცვის სტრატეგიებისა და ტაქტიკის განსაზღვრისას.

როგორც იკვეთება, მისი შინაარსით, რეგულირების საგნით, სუბიექტური შემადგენლობით სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური მიმართულება გარკვეულ წილად უფრო ფართოა, თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკაში რეალიზებული მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის ურთიერთობების მოწესრიგების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, რაც თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკაში ხორციელდება.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური მიმართულება შეიძლება განვსაზღვოთ როგორც სახელმწიფო საქმიანობა, იმისათვის, რომ შეიქმნას და გააუმჯობესოს კანონმდებლობა, სამართალდამცავი პრაქტიკა, სამართლებრივი მართლშეგნება, იდეოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, საზოგადოებაში ვიქტიმიზაციის დონის შემცირებას. თანამედროვე საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირებაში აუცილებელი ელემენტებია სისხლის სამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ვიქტიმოლოგიური ვითარების ანალიზი. სადაც დანაშაულთან ვიქტიმოლოგიური მეთოდებით წინააღმდეგობა, სახელმწიფოს კანონშემოქმედებით და სამართალშეფარდებოთ პრაქტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ სამართლებრივი ბაზა წარმოადგენს იმ ფუძემდებელ ნაწილს, რომელიც აუცილებელია საზოგადოების სათანადო დონის სამართლებრივი შეგნებისა და სოციალური

¹⁸ San-Juan C. Self-protective behaviours against crime in urban settings: An empirical approach to vulnerability and victimization models / C. San-Juan, L. Vozmediano, A. Vergara // European Journal of Criminology. — 2012. — Nov. — № 9. — P. 652–667.

განვითარებისათვის. ასევე, სამართალშემოქმედებით პროცესში სამეცნიერო წრეებში დამუშავებული თემატიკის წედმიწევნით ზუსტად გათვალისწინება.

ჩვენს სახელმწიფოში სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური მიმართულების მეცნიერული იდეების ანალიზი ააშკარავებს მის ძირითად საკითხებს. როგორცაა: დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დაცვის, „ვიქტიმოლოგიური იდეოლოგიის“¹⁹ პრიორიტეტულად აღიარება და მხარდაჭერა; დანაშაულის მსხვერპლთა სოციალური რეაბილიტაციის შინაარსის კანონმდებლობის აღსრულების სისტემის დახვეწა; სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასა და მოქალაქეთა ურთიერთკავშირი ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესულური გარანტიების უზრუნველყოფა; საკანონმდებლო და ფინანსური მხარდაჭერა საზოგადოებრივი პოტენციალის გამოყენება, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, რელიგიური ორგანიზაციების, სოციალური ფონდების, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა მოსახლეობის ვიქტიმიზაციის დონის შესამცირებლად. ვიქტიმოლოგიური პოტენციალის მხრივ საზღვარგარეთის გამოცდილების, სამეცნიერო კვლევების და პრაქტიკული რეკომენდაციების განზოგადება და გამოყენება. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, იკვეთება სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური მიმართულების შემადგენელი სამი ძირითადი ელემენტი, როგორცაა სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური, რომელთა ერთობლიობა ქმნის სახელმწიფოს საქმიანობის ერთიან სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიურ მიმართულებას. ნაშრომის ფარგლებში ვიხილავთ მხოლოდ სამართლებრივ ასპექტებს, რომელშიც მოცულია კანონშემოქმედებითი, სამართალშეფარდებითი პრაქტიკა, დანაშაულის პრევენციის, სამართლებრივი მართლშეგნების ასპექტები. სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური პოლიტიკის განხილვისას სწორედ სამართლებრივი ბაზა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც უნდა განვითარდეს ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც დაგროვებულია ქართულ ვიქტიმოლოგიურ სამეცნიერო კვლევებში, რითაც მაქსიმალურად იქნება მიღწეული ვიქტიმიზაციის პროცესზე ზეგავლენა და საზოგადოებაში ვიქტიმურობის დონის შემცირება.

საქართველომ, აღიარა რა ადამიანის, დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ისინი დაუყოვნებლივ ასახა საკანონმდებლო დონეზე. ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ზედმიწევნით უზრუნველყოფს ადამიანის უსაფრთხოების დებულებებს, რაც გამომდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსში ასახული ამოცანებითა და პრინციპებით. საქართველოს სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსი კი თავის მხრივ ასახავს დაზარალებულთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

საერთო ჯამში ქართული კანონმდებლობის ანალიზით ნორმატიულ სამართლებრივი აქტები შეიძლება დაჯგუფდეს ვიქტიმოლოგიური მნიშვნელობის დანაშაულის საწინააღმდეგო ფუნქციონალური დატვირთვით. ვიქტიმოლოგიური დატვირთვის დანაშაულის საწინააღმდეგო ნორმატიულ სამართლებრივი აქტები დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

¹⁹ Noach (Norman) Milgram. Ideology and the Behavior Of Perpetrators and Victims of Violence. Trends and Issues in Victimology, Edited by Natti Ronel, K. Jaishankar and Moshe Bensimon, 2008 Cambridge Scholars Publishing, P. 12-13.

საგარანტიო (საქართველოს კონსტიტუცია);სადამცველო(სისხლის სამართლის კოდექსი); განმსაზღვრელი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი); აღსრულებითი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; პატიმრობის კოდექსი) უზრუნველყოფი (კანონი - „პოლიციის შესახებ, კანონი - „ოპერაიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“, ის კანონები რომლებიც მოიცავენ კონკრეტული სახის დანაშაულის საწინააღმდეგო დებულებებს და უზრუნველყოფენ ცალკეულის საზის უსაფრთხოებებს. დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად ცალკეული ნორმებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობა წარმოქმნის სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური მიმართულების ერთიან სამართლებრივ წყაროს. ამგვარად, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ვიქტიმოლოგიური მიმართულების არსი გამოიხატება შემდეგში:

სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა ვიქტიმოლოგიური მიმართულება საქართველოს საშინაო პოლიტიკის ნაწილია და კოორდინირებულია პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, იურიდიული, იდეოლოგიური, ინფორმაციული და სხვა ინსტიტუტებით. იგი მიმართულია საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად, სამართალშეფარდების პრაქტიკის დასახვეწად სამართლებრივი იდეოლოგიის განსავითარებლად, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

ვიქტიმიზაციის ფაქტორების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. საზოგადოებაში ვიქტიმურობის დონის შემცირება. დანაშაულის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცულობითა და კომპენსაციით უზრუნველყოფა.

ქართული კანონმდებლობის შესწავლამ წარმოაჩინა, რომ ნორმატიულ სამართლებრივი მასალა, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის მსხვერპლთა ინტერესების დაცვასთან არაპირდაპირი გზით, უკვე თავისი არსებობით ატარებს პრევენციულ ხასიათს. საქართველოში დანაშაულის მსხვერპლთა დაკავშირებული კანონმდებლობა გამოირჩევა მრავალმიზნობრივი ხასიათით და პროცესუალურად განსაზღვრავს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების და შელახული ინტერესების დაცვის სამართლებრივ ფორმებს.

მოსახლეობის მხრიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ სამართლიანობის რწმენის დაკარგვა განაპირობებს მოქალაქეთა დაცულობის დაბალ დონეს და როგორც შედეგი ზრდის ვიქტიმობის დონეს. კომპლექსურად დასამუშავებელია სისტემური ზომები, რომლებიც აამაღლებენ საზოგადოების დაცულობის დონეს.

მიმაჩნია, რომ აუცილებელია შემუშავდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის კონვენცია, რომელშიც სამეცნიერო წრეების კვლევებზე დაყრდნობით გათვალისწინებული იქნება საკანონმდებლო სისტემის სრულყოფის, სამართალშეფარდების პრაქტიკის, დანაშაულის პრევენციის და ახალი თაობის სამართლებრივი მართლშეგნებით აღზრდის საკითხები.

Victimology Problems in Georgian Criminal Law Policy

David Gugava

The article discusses the need to take into account the victimological problems when defining the objectives of modern Georgian criminal law policy. The focus is on areas of criminal law policy that needs to be supplemented with a victimological workload. These includes legislation, law enforcement, crime prevention and legal / ideological awareness. The presented issues reflect the main victimological problems that are turned out in the Georgian criminal policy and suggest ways to solve them.

Keywords: Criminal law; Criminal law policy; Victimology; Victim.

დანაშაულის მსხვერპლი კრიმინოლოგიაში და დაზარალებულისაგან მისი გამიჯვნის საკითხები

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გივი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია; ასისტენტი, დოქტორანტი ირაკლი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Associate Professor, Dr. Givi Abashidze, Batumi Shota Rustaveli State University, Georgian Academy of Criminology Science; Assistant, Doctoral student Irakli Abashidze, of Batumi Shota Rustaveli State University.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია დანაშაულის მსხვერპლის კრიმინოლოგიური ასპექტები, დანაშაულის მსხვერპლად ქცევისა და დანაშაულის მსხვერპლის მდგომარეობის, დანაშაულის მსხვერპლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

გადმოცემულია დაზარალებულის ცნება, მისი საკანონმდებლო განსაზღვრება, დაზარალებულის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის აქტიური ფიგურის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები, დაზარალებულისა და დანაშაულის მსხვერპლის ცნებების თანაფარდობისა და მათი გამიჯვნის საკითხები, რაზედაც კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია.

საკვანძო სიტყვები: დანაშაულის მსხვერპლი, კრიმინოლოგია, უფლებების დაცვა, სისხლის სამართალი.

დანაშაულის მსხვერპლის პრობლემას კრიმინოლოგიური მეცნიერება დიდი ხანია სწავლობს. იურიდიულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში აქტიურად მიმდინარეობს დებატები დანაშაულის მსხვერპლის ცნების განსაზღვრების შესახებ. როგორც ჩვენი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ ცნებას - დანაშაულისაგან დაზარალებული. მის ნაცვლად გამოიყენება ცნება - დანაშაულის მსხვერპლი, მიუხედავად იმისა, რომ თავისი შინაარსით ეს ცნებები არ არის ერთი და იგივე.

კრიმინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის ვიქტიმოლოგია, რომელიც მოიცავს მოძღვრებას დანაშაულის მსხვერპლის შესახებ.

სწორედ ვიქტიმოლოგია სწავლობს მსხვერპლისა და დაზარალებულის, დამნაშავის პიროვნებისა და მსხვერპლს შორის ურთიერთობების, ასევე დაზარალებულის ქცევის, დანაშაულობაში და მისი მიზეზებში მისი როლის შესახებ¹, რაც სწორედ ჩვენი სტატიის განხილვის მიზანია.

კრიმინოლოგიის როგორც მეცნიერების დარგის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა დანაშაულის მსხვერპლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და მოგვარება.

¹. მ. ზამალუა, კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები, თბ., 2016, გვ. 36.

თანამედროვე პირობებში დანაშაულის მსხვერპლის პრობლემა უფრო დიდი აქტიურობით გამოირჩევა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა დღემდე ამ სფეროში მაინც რჩება სერიოზული პრობლემები².

მიმაჩნია, რომ დანაშაულის მსხვერპლის პრობლემას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. სავსებით ვიზიარებ კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ დანაშაულის მსხვერპლთან მიმართებაში უნდა გამოვიდეთ ორი მთავარი პრინციპიდან:

1. ვიქტიმოლოგია გვევლინება ფართოდ გავრცელებულ მოვლენად, რომელსაც მიუხედავად სერიოზული შედეგებისა, არ ექცევა სათანადო ყურადღება, როგორც მეცნიერების, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან;
2. სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა ისწავლოს მსხვერპლთა უფლებების პატივისცემა, არ დაადანაშაულოს დაზარალებულები მათივე საკუთარ უბედურებაში და მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივი ინსტიტუტების რეფორმირების პროცესს³.

მაგრამ მეცნიერების მხრიდან როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტი ყურადღება მაინც დამნაშავის პიროვნებას ეთმობა, მაშინ როცა დანაშაულის მსხვერპლის მიერ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია ხშირად გადამწყვეტია და მნიშვნელოვანია ზოგადად დანაშაულის გახსნის და მისი თავიდან აცილების საქმეში.

ასევე, დანაშაულის მსხვერპლი არ არის უბრალოდ ობიექტი, რომელზეც დამნაშავე ზემოქმედებს და მას ზიანს აყენებს. სისხლის სამართალწარმოების პროცესში გაითვალისწინებული უნდა იქნეს დანაშაულის მსხვერპლის კანონიერი ინტერესები და მოთხოვნები. მეტი ყურადღება დაეთმოს დანაშაულის მსხვერპლს და მიეცეს მას მისი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის და რეალიზაციის შესაძლებლობა.

თეორიაში, მეცნიერების მხრიდან დანაშაულის მსხვერპლთან მიმართებაში არსებობს ორი პოზიცია. პირველ პოზიციას წარმოადგენენ ისეთი მეცნიერები, როგორც არიან ლ. ფრანკი ვ. რიბალსკაია ვ. კონოვალოვი და სხვები. ამ ავტორების აზრით ვიქტიმოლოგიური გაგებით დანაშაულის მსხვერპლი - ეს არის ადამიანი, ან ადამიანთა გარკვეული ერთობა მათი ინტეგრაციის ნებისმიერი ფორმით, რომელთაც პირდაპირ თუ ირიბად დანაშაულის გზით მიადგათ ზიანი.

რიგი მეცნიერები კი, რომლებიც ეყრდნობიან რა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და მატერიალური სამართლის ძირითად დებულებებს, ამტკიცებენ, რომ დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელთაც დანაშაულებრივი გზით მიადგათ მორალური, ფიზიკური თუ მატერიალური ზიანი. მათ შორის არის ცნობილი მეცნიერი, პროფესორი დ. რივმანი⁴.

² ჯ. გახოკიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, პირველი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 51.

³ Шели Д. Ф., Криминология, СРТ. 2003 г. С.224, შემდეგი მითითებით: მ. გაბუნია, შესავალი კრიმინოლოგიაში, თბ., 2011, გვ. 83.

⁴ Ривман Д.В., Криминальная виктимология. – СПб.: Питер, 2002.

მაგ. კანადელი მეცნიერი მ. ბარილი დანაშაულის მსხვერპლად მიიჩნევს პირს (ან პირთა ჯგუფს), რომელმაც მის ძირითად უფლებებზე სხვა პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ შეგნებულად განიცადა უშუალო ხელყოფა⁵.

სრულად ვეთანხმები დ. რივმანის აზრს, რომ ვიქტიმოლოგიაში დანაშაულის მსხვერპლად ცნობილი იქნეს ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს ისეთ ინდივიდუალურ თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავს დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობას (ვიქტიმურობა).

„დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლ-მსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ“ გაეროს 1985 წლის დეკლარაციის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლის ტერმინის ქვეშ იგულისხმება პირი, რომელსაც ინდივიდუალურად და კოლექტიურად მიაყენეს ზიანი, მათ შორის, სხეულის დაზიანება ან მორალური ზარალი, ემოციური ტანჯვა, მატერიალური ზარალი, ან მოხდა მის ძირითად უფლებათა საფუძვლიანი შელახვა მოქმედების ან უმოქმედობის გამო⁶.

ამასთან, მსხვერპლის ტერმინში საჭირო შემთხვევაში ჩართულია უშუალოდ მსხვერპლის ახლო ნათესავები, ან მსხვერპლის უშუალო კმაყოფაზე მყოფი პირები, ასევე პირები, რომელთაც ზიანი მიადგათ განსაცდელში მყოფი მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენის დროს. ამდენად, ვიქტიმოლოგიის აზრით, დანაშაულის მსხვერპლად მიჩნეულია მხოლოდ პირი, რომელიც დაზარალდა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) შედეგად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. აქედან გამომდინარე, დაზარალებული შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

იურიდიული პირის განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

ზიანი დაზარალებულს უნდა მიადგეს უშუალოდ დანაშაულის, ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად იმ პირის მიერ, ვინც უშუალოდ არის დამნაშავე კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში და რისთვისაც განისაზღვრება სისხლის-სამართლებლივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

⁵ Тюрин Д.П., Рассмотрение проблемы виктимологии по материалам исследований, проводимых в Канаде // Научная информация по вопросам борьбы с преступностью, - №86, - М., 1985.

⁶ გაეროს 1985 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია „დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ“.

გამომიების სტადიაზე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სავარაუდო დასკვნა ზიანის, კონკრეტულად დანაშაულის შედეგად მიყენების შესახებ, რადგან საბოლოოდ მხოლოდ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი, არის თუ არა კონკრეტული ინკრიმინირებული ქმედება დანაშაული. თუ ბრალდებულს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ან ბრალდებულის ქმედება არ არის მართლ-საწინააღმდეგო, მაშინ საქართველოს სსს კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ადგენს გამამართლებელ განაჩენს.

დაზარალებულის ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაზარალებულად ცნობილი იქნეს სპეციალური ჯგუფი (ოჯახი, შრომითი კოლექტივი, სპორტული გუნდი და ა.შ).

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ იქნა განხილული ისეთი საკითხები, როგორც არის დანაშაულის მომზადების და მცდელობის დროს დაზარალებულის ფიგურის წარმოქმნის და პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ, იმ პირთა სამართლებლივი სტატუსის შესახებ, რომელთაც ზიანი მიადგათ მათივე მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქმედების შედეგად. თუ დანაშაულის მცდელობისას ადგილი აქვს ზიანის არსებული სახეებიდან რომელიმე სახის ზიანს, თუნდაც მორალურ ზიანს, ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, რადგან მათი გადატანა ადამიანს შეიძლება მოუხდეს დანაშაულის მცდელობის დროსაც, აუცილებელია პირი ცნობილი იქნეს დაზარალებულად.

მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანის ფაქტიურად მიყენებისას პირის დაზარალებულად ცნობა უნდა მოხდეს როგორც დანაშაულის მცდელობის ჩადენის, ასევე დანაშაულის მომზადების დროს. მაგ. თუ პიროვნებამ გაიგო, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფის მომზადებას ან მცდელობას ჰქონდა ადგილი, საეჭვოა, რომ მას სულიერი წონასწორობის შენარჩუნება გამოუვიდეს, პირიქით, სტრესული სიტუაციის დაძლევის, გადალახვისათვის შეიძლება მას დასჭირდეს კვალიფიციური ფსიქოლოგიური დახმარება.

სწორედ ამგვარად არის გადაწყვეტილი საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის მიხედვით დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.

პრაქტიკაში შესაძლებელია გარკვეული სიმძლეეები წარმოიქმნას დაზარალებულთა წრის განსაზღვრის დროს. მაგ. საყოველთაოდ საშიში საშუალებით ტერორისტული აქტის, ან მკვლელობის მცდელობის ჩადენის დროს ძნელია და არარეალურია ყველა იმ პირის დადგენა, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ დანაშაულის შემთხვევის ადგილზე და რომელთაც მიადგათ გარკვეული სახის ზიანი.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში გამოითქმება აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ყველა პირს არ შეიძლება ჰქონდეს დაზარალებულად ცნობის უფლება, მაშინაც კი, როცა სახეზეა ყველა ის ნიშანი, რაც დასახელებულია კანონში და აუცილებელია პირის ქცევის გათვალისწინება ხელყოფამდე და მის პროცესში. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არასწორია და დაზარალებულთა დაყოფა ე.წ დამნაშავედ და არადამნაშავედ და

ამ კრიტერიუმებით პროცესში მონაწილე პირის გამორიცხვა დაზარალებულთა კატეგორიიდან, ზიანს მიაყენებს სამართალწარმოებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაზარალებული არის აქტიური საპროცესო ფიგურა. შეჯიბრობითობის საწყისებზე აგებულ სისხლის სამართლის პროცესში ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა მისი უფლებების განხორციელებისათვის. სწორედ ამიტომაც, მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, აუცილებელია ყველა პირის ცნობა დაზარალებულად, ვისაც დანაშაულით მიადგა ზიანი, მიუხედავად იმისა, ამ გარემოებასთან როგორც არ უნდა იყოს ის დაკავშირებული⁷.

მეცნიერება დაზარალებულის შესახებ (ვიქტიმოლოგია), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყენებს ცნებებს - დანაშაულის მსხვერპლი და დაზარალებული, რომლებიც არ არის ერთი და იგივე. ამიტომ, ჩვენს ნაშრომში დავაზუსტეთ როგორც დანაშაულის მსხვერპლის საგნობრივი მხარე, ასევე დაზარალებულის ცნება, მისი საკანონმდებლო განსაზღვრება და ქვემოთ უნდა განვიხილო აღნიშნული ცნებების გამიჯვნისა და თანაფარდობის საკითხები, რაზედაც კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია.

დანაშაულის მსხვერპლის ვიქტიმოლოგიური ცნება შეიძლება არ დაემთხვეს სისხლის სამართლის საპროცესო ცნებას, როგორც არ ემთხვევა მაგალითად დამნაშავის კრიმინოლოგიური ცნება ბრალდებულის სისხლის სამართლის საპროცესო ცნებას. საქმე იმაშია, რომ საპროცესო წესით პირის დაზარალებულად ცნობა ხდება პროკურორის დადგენილებით. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში პირი, რომელიც დაზარალდა დანაშაულის შედეგად, გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება არ იყოს გამოვლინებული, თუმცა ის ყველა შემთხვევაში შეიძლება იყოს მსხვერპლი. ამავე დროს გვხვდება შემთხვევები, როცა დაზარალებულად ცნობილია პიროვნება, რომელმაც მოახდინა საკუთარი თავის ხელყოფის ინსცენირება, თუ ინსცენირება თავიდანვე ცნობილი არ იყო.

დაზარალებული შეიძლება იყოს ინდივიდი, რომელიც შეისწავლება როგორც პიროვნება და, რომელსაც ძალა შესწევს თავისი ქცევით იმოქმედოს დამნაშავის განძრახვაზე, რათა მან არ ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულები მსხვერპლთა ერთობლიობაა(დანაშაულით მათთვის მიყენებული ზიანის გამო)⁸. მაგრამ თუ სხვადასხვა კუთხით გავანალიზებთ დანაშაულის მსხვერპლის ცნებას და მის თანაფარდობას დაზარალებულის ცნებასთან, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის მსხვერპლის ცნება არის გაცილებით ფართო დაზარალებულის ცნებასთან შედარებით. ეს ცნებები გარკვეულად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ ასევე გააჩნიათ მთელი რიგი განსხვავებული ნიშნები, რითაც უნდა მოხდეს მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, კერძოდ:

ა) დანაშაულის მსხვერპლი ზოგადად ყველა შემთხვევაში დაზარალებულია, მაგრამ დაზარალებული ყველა შემთხვევაში მსხვერპლი ვერ იქნება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საპროცესო ურთიერთობებში დანაშაულის ყველა მსხვერპლი არ ხდება დაზარალებული,

⁷ Кокорев Л.Д. Некоторые вопросы виктимологии, ее влияние на признание лица потерпевшим и его участие в расследовании и профилактике преступлений // Виктимология и профилактика правонарушений: Сборник научных трудов. - Иркутск, 1979.

⁸ ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი). თბ., 2005, გვ. 126.

ამასთან, დაზარალებული დანაშაულის მსხვერპლისაგან განსხვავებით, არსებობს როგორც კანონის ფარგლებში მოქცეული საპროცესო ფიგურა.

ბ) დანაშაულის მსხვერპლი დაზარალებულის სტატუსს ღებულობს და როგორც დაზარალებული სისხლის სამართალწარმოებაში გვევლინება მას შემდეგ, რაც კომპენტენტური ორგანოები და თანამდებობის პირები სპეციალური დადგენილებით, ან განჩინებით ცნობენ პირს დაზარალებულად, ხოლო დანაშაულის მსხვერპლი არსებობს საპროცესო აქტის გამოტანის გარეშეც.

გ) დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება იყოს რეალური ან პოტენციური, გამოუვლინებელი ან ფარული, ხოლო დაზარალებული ყოველთვის ცნობილია, რადგან იგი ოფიციალურად საპროცესო წესით არის აღიარებული ასეთად.

დ) სისხლისსამართლებრივი არსით დაზარალებული, დანაშაულის მსხვერპლისაგან განსხვავებით შეიძლება იყოს არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირი. ასევე ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულად იცნობა არა უშუალოდ დანაშაულის მსხვერპლი, არამედ მისი ახლო ნათესავები.

თუმცა ასეთი განსხვავების მიუხედავად, მატერიალური ასპექტით და თავისი კომპონენტებით ეს ცნებები გარკვეულად ემთხვევა ერთმანეთს, რადგან როგორც დანაშაულის მსხვერპლად, ასევე დაზარალებულად გვევლინება პირი, რომელსაც დანაშაულის გზით მიადგა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის მსხვერპლი და დაზარალებული, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული მსგავსებები და განსხვავებები, მათი ცნებიდან და საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარე, ახლოს მდგომი, მაგრამ არაიდენტური ცნებებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2020, 10 ივნისის მდგომარეობით;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2020 წლის მდგომარეობით;
3. მ. ბამაღუა, კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები, თბ., 2016;
4. ჯ. გახოკიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, პირველი ნაწილი, თბ., 2013;
5. Шели Д. Ф., Криминология, СРТ.2003 г., с. 224. შემდეგი მითითებით: მ. გაბუნია, შესავალი კრიმინოლოგიაში. თბ., 2011, გვ.83;
6. Ривман Д.В., Криминальная виктимология, – СПб.: Питер, 2002;
7. Тюрин Д.П., Рассмотрение проблемы виктимологии по материалам исследований, проводимых в Канаде // Научная информация по вопросам борьбы с преступностью. - М., 1985. - №86;
8. გაეროს 1985 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია „დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ“;
9. Кокорев Л.Д., Некоторые вопросы виктимологии, ее влияние на признание лица потерпевшим и его участие в расследовании и профилактике преступлений // Виктимология и профилактика правонарушений: Сборник научных трудов. - Иркутск, 1979.
10. ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბ., 2005 .

The Victim of Crime in Criminology and the Issues of Separating him/her from the Wrecked

Givi Abashidze, Irakli Abashidze

This paper discusses the criminological aspects of a crime victim, in the presented work, issues related to becoming a victim of a crime and the state of a victim of a crime, and the issues related to the protection of the rights of victims of crime are considered.

The concept of the victim, its legal definition, peculiarities of legal regulation of the victim as an active figure in the criminal proceedings, correlation of concepts of the general victim and the victim of crime, and issues of their differentiation, which for a long time have been the subject of numerous discussions in criminological science are present in this work.

Key words: Crime victim, Criminology, Rights protection, Criminal law.

Analyses of Security and Victimization Issues in Georgia in 2010-2020 Years

პროფესორი, დოქტორი გიორგი ლლონტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Giorgi Ghlonti, TSU Tinatin Tsereteli State and Law Institute, Georgian Academy of Criminology Sciences.

Over the past ten years, Georgia has remained one of the safest countries in Europe. This high rating has been repeatedly confirmed by various sociological studies, including security and victimization studies conducted in 2009-2011. Georgia takes part in the European Sourcebook of Crime and Criminal Justice Statistics project on the basis of the University of Lausanne, which conducts a comparative analysis of the state and dynamics of crimes and punishments in the countries of the European Union and new independent states. In 2020, with the support of the European Union, a new project "Crime and victimization survey" was launched in Georgia, which will be carried out in all regions and cities of the republic and will cover 3000 respondents.

Key words: Victimization, Crime, Prevention, Safety

The NCVS began in 1972 and was developed from work done by the National Opinion Research Center and the President's Commission on Law Enforcement and Administration of Justice. A key finding of the Survey was the realization that many crimes were not reported to the police.

The National Crime Victimization Survey (NCVS), administered by the US Census Bureau under the Department of Commerce, is a national survey of approximately 49,000¹ to 77,400² households twice a year in the United States, on the frequency of crime victimization, as well as characteristics and consequences of victimization. The Survey focuses on gathering information on the following crimes: assault, burglary, larceny, motor vehicle theft, rape, and robbery. The survey results are used for the purposes of building a crime index. It has been used in comparison with the Uniform Crime Reports and the National Incident-Based Reporting System to assess the dark figure of crime.³ The NCVS survey is comparable to the British Crime Survey conducted in the United Kingdom.

The **Crime Survey for England and Wales** (previously called the British Crime Survey)⁴ is a systematic victim study, currently carried out by Kantar Public (formally known as BMRB Ltd) on behalf of the Office for National Statistics (ONS). Curated by the UK Data Service, it can be accessed for research on their website: <https://ukdataservice.ac.uk>. The Survey seeks to measure the amount of crime in England and Wales by asking around 50,000 people aged 16 and over (as of January 2009), living in private households, about the crimes they have experienced in the last year. From January 2009, 4,000 interviews were also conducted each year with children 10–15 years old,

¹ <http://www.icpsr.umich.edu/icpsrweb/NACJD/NCVS/>

² BJS crime and victims statistics". Archived from the original on 2008-02-23. Retrieved 2020-02-28.

³ Walsh, Anthony; Hemmens, Craig (2014). *Introduction to Criminology: A Text/Reader* (3rd ed.). Thousand Oaks, CA: SAGE Publications, Inc. ISBN 978-1-4522-5820-1.

⁴ British Crime Survey Archived 2013-01-27 at the Wayback Machine homeoffice.gov.uk, accessed 26 January 2012

although the resulting statistics remain experimental.⁵ The Survey is comparable to the National Crime Victimization Survey conducted in the United States.

Initially, the Survey covered England, Wales, and Scotland and was called the British Crime Survey but now the Survey is restricted to England and Wales. The Scottish Government has commissioned a bespoke survey of victimisation in Scotland called the Scottish Crime and Victimisation Survey (SCVS). As a result of this, the British Crime Survey was renamed the Crime Survey for England and Wales to reflect this. The British Crime Survey had been first carried out in 1982, and further surveys were carried out in 1984, 1988, 1992, 1994, 1996, 1998, 2000 and 2001. Since April 2001, BCS interviews had been carried out on a continuous basis and detailed results from that point are now reported by financial years. Headline measures are updated quarterly based on interviews conducted in the previous 12 months.

Since 1994 there has been a separate Northern Ireland Crime Survey, on a biennial basis from 2001, and continuously from January 2005. It is produced by the Statistics and Research Branch of the NIO. It is broadly comparable to the BCS in England and Wales.⁶

The **International Crime Victims Survey** (ICVS) is a large scale international survey project about crime and victimization. The Survey was initiated in 1987 by a group of European criminologists with expertise in national crime surveys (Van Dijk, Mayhew, Killias, 1990).⁷ The Survey was set up to produce estimates of victimization that can be used for international comparison. The Survey has evolved into the world's premier program of standardized surveys looking at householders' experience of common crime in different countries. There have so far been five main rounds of the ICVS. After the first round in 1989 the surveys were repeated in 1992, 1996, and 2000 and 2004/2005. By the end of 2005 over 140 surveys had been done in over 78 different countries (in 37 countries nationwide). Over 320,000 citizens have been interviewed in the course of the ICVS so far. The present database covers 325454 individual respondents. The project was set up to fill the gap in the adequate recording of offenses by the police for purposes of comparing crime rates in different nations and to provide a crime index independent of police statistics as an alternative standardized measure.⁸

Surveys have been done on 80 countries and provide information about criminal victimization in 41 countries and 66 main(capital) cities from all continents.

The European Crime and Safety Survey (EU ICS) is the most comprehensive analysis of crime, security and safety ever conducted in the European Union.

The Survey focused on the European Union inhabitants' experience with crime and law enforcement, was conducted by a European consortium comprising Gallup, UNICRI, the Max Planck Institute, CEPS/INSTEAD, and GeoX Ltd.

⁵ British Crime Survey: extension to 10 to 15 year olds. British Home Office, 2010.

⁶ British Crime Survey and other surveys". Archived from the original on 2020-03-14.

⁷ Van Dijk, J.J.M., Mayhew, P. & Killias, M. (1990). Experiences of crime across the world: Key findings from the 1989 International Crime Survey. Deventer: Kluwer Law and Taxation.

Van Dijk, J.J.M.(2007). The World of crime; breaking the silence on problems of crime, justice and development, Thousand Oaks: Sage Publications.

⁸ <https://wp.unil.ch/icvs/>

The Survey compares levels of victimization across the EU and measures how citizens feel about their security and safety. It analyses the relationships between the EU citizens' views on their quality of life and the levels of neighborhood crime across the EU (the EU-15, Estonia, Poland, and Hungary) - all independent of actual police records.

The Survey was carried out in the 15 old member states of the Union plus Poland, Hungary, and Estonia. The study was co-funded by the European Commission, DG.

The European Survey on Crime and Safety (EU ICS) is an EU funded project and builds on the ICVS methodology, and the results are fully compatible with the ICVS. The EU ICS results have been published separately and in combination with the ICVS in other countries.⁹

Victimization surveys in Georgia 2009-2011

Georgia was covered by International Crime Victim Surveys since 1992 in several episodes. In 2010, 2011 and 2012, a nationwide victimology survey was carried out upon the initiative of the Ministry of Justice of Georgia and with the support of EU assistance on criminal justice Support project. At each wave of the Survey, 3000 respondents were interviewed on various questions related to crime and being a victim of a crime. Topics that were included in the Survey are reported crimes, victimization level, international comparison of Georgia, repeated victimization, general criminal policies in Georgia, perceived safety, level of satisfaction of the performance of the police, prosecutors' office and the criminal courts.¹⁰

The Survey of respondents was completed under a multi-stage national representative sampling. The respondents represented all of Georgia with the exception of the breakaway territories (South Ossetia and Abkhazia). Only those aged 16 years and older were selected as respondents and participated in face-to-face interviews.

Three thousand respondents were interviewed per wave - a total 9001 respondents. During the wave 3 CAPI (Computer Assisted Personal Interviewing), Methodology was used. However, based on the recommendations of visiting Dutch expert, Professor Jan van Dijk 1,000 respondents were selected in Tbilisi per each wave on the basis of data comparability with other European capitals.

The weighting method was utilized during the data analysis stage based on geographic representation and demographic parameters in order to best reflect the proportional distribution of the sampling.

⁹ "Tilburg University - Intervict" (PDF). Tilburguniversity.nl. Retrieved 2013-01-03. "Archived copy" (PDF). Archived from the original (PDF) on 2008-06-25. Retrieved 2008-05-06. EUICS Consortium. "EUICS". Europeansafetyobservatory.eu. Retrieved 2020-01-03.

¹⁰ Information on all three surveys available <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/276>; more detailed information is available in Georgian <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/276>

Table #1 Questionnaire content 2010-2012

Crimes against individual and HH - 2010	Crimes against individual and HH – 2011	Crimes against individual and HH - 2012
Livestock theft	Livestock theft	Livestock theft
Theft from and out of car	Theft from and out of car	Theft from and out of car
Motorcycle theft	Motorcycle theft	Motorcycle theft
Burglary	Burglary	Burglary
Burglary of garages or other locked-up facilities	Burglary of garages or other locked-up facilities	Burglary of garages or other locked-up facilities
Attempted burglary at garages or other locked-up facilities	Attempted burglary at garages or other lock-up facilities	Attempted burglary at garages or other lock-up facilities
Car vandalism	Car vandalism	Car vandalism
Household vandalism	Household vandalism	Household vandalism
Bicycle theft	Bicycle theft	Bicycle theft
Attempted burglary	Attempted burglary	Attempted burglary
Car theft	Car theft	Car theft
Extortion/blackmail	Extortion/blackmail	Extortion/blackmail
Crimes against individual 2010	Crimes against individual 2011	Crimes against individual 2012
Consumer fraud	Consumer fraud	Consumer fraud
Theft of other personal property	Theft of other personal property	Theft of other personal property
Robbery/armed robbery	Robbery/armed robbery	Robbery/armed robbery
Assault/violence	Assault/violence	Assault/violence
Corruption	Bribery	Bribery
Threat of violence	Threat of violence	Threat of violence
Personal bank account abuse	Personal bank account abuse	Personal bank account abuse
Sexual offences	Sexual offences	Sexual offences
Personal information abuse	Personal information abuse	Personal information abuse
2010 Other sections	2011 Other sections	2012 Other sections
General criminal conditions in	General criminal conditions in Georgia	General criminal conditions in Georgia
Attitudes towards criminal justice system	Attitudes towards criminal justice system	Attitudes towards criminal justice system
Penalty liberalization	Assessment of corruption	Assessment of corruption
Juvenile delinquency (in this section are also included the questions concerning domestic violence).	Juvenile delinquency (in this section are also included the questions concerning domestic violence)	Juvenile delinquency
		Drug dependence

Table #2 Victimization rate according to 21 crimes (%)

	Victimisati on over 5 years	Last year (2009) victimtion	Victimisation over past 5 years	Last year (2010) victimizaton	Victimisati on over 5 years	Last year (2011) victimisation
Crimes against individual and household (HH) % In the columns are given the percentage of crimes committed.						
Motorcycle theft	2.8	0.0	4.5	0.00	5.5	0.00
Livestock theft	7.6	1.3	4.4	1.1	3.3	1.4
Theft from and out of car	7.3	2.2	3.6	0.9	3.0	0.9
Burglary	2.7	0.51	2.2	0.5	1.6	0.3
Burglary at garages or other locked-up facilities	2.4	0.53	1.4	0.6	1.8	0.2
Household vandalism	1.7	0.3	1.1	0.2	0.5	0.1
Car vandalism	1.7	0.8	0.9	0.5	1.2	0.5
Attempted burglary	1.2	0.16	0.7	0.1	0.5	0.1
Bicycle theft	1.5	0.4	0.5	0.2	2.4	0.00
Car theft	1.1	0.1	0.4	0.00	0.4	0.1
Extortion/blackmail	0.2	0.06	0.3	0.1	0.2	0.1
Attempted burglary at garages or other locked-up facilities	0.4	0.1	0.2	0.03	0.3	0.02
Crimes against individual %						
Consumer fraud	10.2	5.08	4.4	2.6	5.0	2.3
Theft of other personal property	2.1	0.83	1.0	0.2	0.9	0.2
Assault/violence	0.6	0.04	0.7	0.3	0.6	0.2
Corruption	0.5	0.2	0.5	0.2	0.2	0.04
Robbery/armed robbery	0.6	0.19	0.4	0.2	0.2	0.00
Threat of violence	0.5	0.14	0.4	0.2	0.5	0.2
Personal bank account abuse	0.4	0.2	0.2	0.00	0.4	0.1
Sexual offences	0.1	0.04	0.1	0.02	0.1	0.02
Personal information abuse	0.1	0.02	0.1	0.00	0.2	0.03

Note: In the columns are given the percentage of crimes committed

The total stands for the actual victimization level – the number of respondents who were victims of crimes.

*" Last year victimisation" in previous two waves were calculated based on total sample, in the table above "last year victimisation" per certain rimes is calculated based on owners.

As the results of the comparative analysis of the indicators of victimological Survey for individual crimes 2009-2011 showed, the level of criminalization and victimization in Georgia was much lower than in some developed countries of Europe.

Table #3 Victimization over 5 years prevalence, comparison with other countries

	Survey year	10 crimes	Car theft	Theft from and out of car	Motorcycle theft	Bicycle theft	Burglary	Attempted burglary	Robbery/armed robbery	Theft of other personal property	Sexual incidents against women	Assaults and threat of violence
Canada	2010	41	5.1	16.9	5.5	15	5.6	5.7	2.7	11.3	6.1	8.9
Denmark	2010	52.7	4.8	13	11.4	26.1	10.6	5.3	2.8	13.2	2.7	9.9
Germany	2010	42.2	1.5	12.6	3.3	16.5	5.4	5.6	2.8	14	5.1	11.3
Georgia	2010	11.1	0.4	2.6	0.04	0.2	2.7	1.2	0.6	2.1	0.1	1.1
Georgia	2011	7.0	0.2	1.2	0.05	0.04	2.2	0.7	0.4	1.0	0.1	1.1
Georgia	2012	6.1	0.2	1.2	0.04	0.4	1.6	0.5	0.2	0.9	0.1	0.8
Netherlands	2010	52.2	1.8	15.6	6.4	23.7	4.8	7.2	4	12.6	3.7	13
Sweden	2010	44.9	3.5	10.4	4.7	20.2	3.7	3.3	2.4	12.1	4.8	11.8
UK	2010	41.6	3.7	14.5	12.7	12.6	5.7	7.1	3.4	11.6	5.6	14.3

Victimization survey in Georgia 2020

In 2020, with the support of the European Commission it was decided to re-conduct the Victimology Survey in Georgia.

Methodology and a standardized questionnaire were adapted to the contemporary shortcomings and challenges of Georgian crime prevention system and law enforcement agencies.

For the victimization survey was prepared new online (remote) Methodology based on the internationally standardized approaches and questionnaires of the victimization survey in Georgia and on the outcomes of the last data from a similar survey conducted in 2010-2012. The preparatory work and discussion about new survey methodology because of COVID-19 were carrying out distantly in close coordination and consultations with the central state institutions (respective divisions of the General Prosecutor's Office of Georgia, Ministry of Internal Affairs, Ministry of Justice and State Security Service of Georgia).

The new Survey will pay more attention on issues related to corruption, money laundering, drugs, terrorism, cybercrime, and fake news.

The presentation of the result of the Victimization survey 2020 will be October -November 2020

Bibliography:

1. <http://www.icpsr.umich.edu/icpsrweb/NACJD/NCVS/>
2. BJS crime and victims statistics". Archived from the original on 2008-02-23. Retrieved 02-28-20.
3. Walsh, Anthony; Hemmens, Craig (2014). Introduction to Criminology: A Text/Reader (3rd ed.). Thousand Oaks, CA: SAGE Publications, Inc. ISBN 978-1-4522-5820-1.
4. British Crime Survey Archived 2013-01-27 at the Wayback Machine homeoffice.gov.uk, accessed 26 January 2012
5. British Crime Survey: extension to 10 to 15 year olds. British Home Office, 2010.
6. British Crime Survey and other surveys". Archived from the original on 2020-03-14.
7. Van Dijk, J.J.M., Mayhew, P. & Killias, M. (1990). Experiences of crime across the world: Key findings from the 1989 International Crime Survey. Deventer: Kluwer Law and Taxation.
8. Van Dijk, J.J.M.(2007). The World of crime; breaking the silence on problems of crime, justice and development, Thousand Oaks: Sage Publications.
9. <https://wp.unil.ch/icvs/>
10. "Tilburg University - Intervict" (PDF). Tilburguniversity.nl. Retrieved 2013-01-03. "Archived copy" (PDF). Archived from the original (PDF) on 2008-06-25. Retrieved 2008-05-06. EUICS Consortium. "EUICS". Europeansafetyobservatory.eu. Retrieved 2020-01-03.

უსაფრთხოების და ვიქტიმიზაციის პრობლემების ანალიზი საქართველოში 2010-2020 წლებში

გიორგი ლლონტი

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველო რჩება ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად ევროპაში. ეს მაღალი რეიტინგი არაერთხელ დადასტურდა სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევებით, მათ შორის, უსაფრთხოების და ვიქტიმიზაციის კუთხით, რომელიც ჩატარდა 2009-2011 წლებში. აგრეთვე, საქართველო მონაწილეობს ევროპის დანაშაულთა და სისხლის სამართლის სტატისტიკის კვლევების პროექტში ლოზანის უნივერსიტეტის ბაზაზე, რომელიც ატარებს დანაშაულის მდგომარეობის და დინამიკის შედარებით ანალიზს ევროკავშირში და ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში. 2020 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო ახალი პროექტი „დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის კვლევა“, რომელიც განხორციელდება რესპუბლიკის ყველა რეგიონში, ქალაქში და მოიცავს 3000 რესპონდენტს.

საკვანძო სიტყვები: ვიქტიმიზაცია, დანაშაული, პრევენცია, უსაფრთხოება

ვიქტიმოლოგიის ფილოსოფიური ასპექტები

პროფესორი, დოქტორი თემურ ფაჩულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Teimuraz Pachulia, *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

ვიქტიმოლოგია სწავლობს დანაშაულობის პროცესში მსხვერპლის ჩამოყალიბების კანონზომიერებებს. ვიქტიმოლოგია განიხილავს ურთიერთობებს მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის, ურთიერთზემოქმედებას სისტემასა და მსხვერპლს შორის, რომელშიც იგულისხმება სისხლის სამართლის საქმისწარმოება, მსხვერპლის ურთიერთობა პოლიციასთან და სასამართლოსთან, სასჯელაღსრულების სისტემასთან, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან და ინსტიტუციებთან, მასმედიასთან, ბიზნესთან.

ვიქტიმოლოგიას მჭიდრო კავშირი აქვს კრიმინოლოგიასთან, სისხლის, სამოქალაქო, საკონსტიტუციო, საპროცესო, საერთაშორისო სამართალთან და ა. შ. ამავე დროს, იგი ინტერდისციპლინარული მეცნიერებაა, რომელიც დაკავშირებულია სოციოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან, ფილოსოფიასთან და მის შემადგენელ ნაწილებთან - ეთიკასთან, აქსიოლოგიასთან, კულტუროლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან, რომელთა მონაცემებს წარმატებით იყენებს საკუთარი კვლევა-ძიების პროცესში.

ფილოსოფია თეორიულ დახმარებას უწევს ვიქტიმოლოგიას რამდენიმე მიმართულებით - პიროვნების თვითშეგნების ამაღლების, ღირებულებათა გადაფასების, სწორი აქსიოლოგიური ორიენტაციის, სამართლებრივი სისტემის, ჰუმანიზაციის, სოციალური გარემოს ეთიზაციის კუთხით. დასახელებული საკითხებიდან თითოეულის გადაჭრას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს სოციალური გარემოს გაუმჯობესების საქმეში, რაც ვიქტიმოლოგიის ამოცანას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფია, აქსიოლოგია, ეთიკა, კულტუროლოგია, მსხვერპლი, დამნაშავე, რეჟიმი, სამართალი.

ვიქტიმოლოგია სწავლობს მსხვერპლის ჩამოყალიბების პროცესს, რომელშიც მსხვერპლი შეიძლება იყოს ცალკეული ინდივიდი, სოციალური ჯგუფი, ეთნოსი, ხოლო დამნაშავე - სისტემა, ინსტიტუცია, ინდივიდი, სოციალური ჯგუფი. ფილოსოფიას მჭიდრო კავშირი აქვს ვიქტიმოლოგიასთან, რადგან მსხვერპლისა და დამნაშავეს ურთიერთობის გარკვევა შეუძლებელია ღირებულებითი ორიენტაციის გარეშე. აქსიოლოგია წარმოადგენს ვიქტიმოლოგიის თეორიულ საფუძველს, რომელიც ღირებულებით ჭრილში განიხილავს მსხვერპლისა და დამნაშავეს ურთიერთობებს. ღირებულებათა რეალიზაცია ხდება ეთიკაში, რის გამოც ეთიკა წარმოადგენს პრაქტიკულ აქსიოლოგიას, რომელსაც ასევე მჭიდრო კავშირი აქვს ვიქტიმოლოგიასთან.

მსხვერპლის ჩამოყალიბების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლის აქსიოლოგიურ პოზიციას, რაც განაპირობებს სისტემისადმი მის შეუვალობასა და სიმტკიცეს, ან აქსიოლოგიურ კაპიტულაციას. როცა მსხვერპლი აცნობიერებს საკუთარ აქსიოლოგიურ უპირატესობას სისტემის მიმართ, მაშინ იგი შეუვალი და მტკიცე ხდება და გაათმაგებელი

ძალით იბრძვის უსამართლო სისტემის წინააღმდეგ. მსგავსი მაგალითები უხვადაა როგორც რეალურ ცხოვრებაში ისე ლიტერატურაშიც, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს ჟან ვალჟანი და ედმონდ დანტესი. პირველი წარმოაჩენს ბურჟუაზიული საზოგადოების უზადრუკობასა და უსამართლობას, რომელსაც არ ძალუძს ღირებულებათა გარჩევა, რის გამოც სიკეთე და ბოროტება ერთმანეთშია არეული. სისტემა, რომელიც ერთი ფუნთუშის მოპარვისათვის საკატორლოდ იმეტებს ჯან-ღონით სავსე ადამიანს, რომელსაც მშვიდი დისწულის დასაპურებლად მიჰქონდა იგი, არა მარტო უსამართლოა, არამედ ანტიჰუმანურიც. ასეთ სისტემას გამოცლილი აქვს ეთიკური საწყისი და ადრე თუ გვიან კრახი მოელის, რადგან სამართალი, რომელიც ღირებულებებს არ ეფუძნება დასაღუპავადაა განწირული, ისევე როგორც კომისარი ჟავერი, რომელსაც გამოცლილი აქვს ჰუმანური საწყისი და მხოლოდ კანონის სისასტიკეს წარმოაჩენს. ჟან ვალჟანისგან განსხვავებით ედმონდ დანტესი შურისძიების გრძნობითაა გამსჭვალული და სამაგიეროს უხდის ყველას, ვინც მონაწილეობდა მის დაღუპვაში - პროკურორ დე ვილფორს, ბანკირ დანგლარს, გენერალ მონდეგოს, მაგრამ მისი დაპირისპირება სისტემასთან მაინც ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და არ ცვლის სისტემის იდეურ საფუძვლებსა და აქსიოლოგიას. თუ მონტე კრისტოს შემთხვევაში მსხვერპლს უვითარდება რევანშის გრძნობა, საპირისპირო სიტუაციასთან გვაქვს საქმე თ. დოსტოევსკის შემთხვევაში, რომელიც აცნობიერებს რა საკუთარ აქსიოლოგიურ უპირატესობას სისტემასთან შედარებით, მიდის არა სამაგიეროს გადახდის, არამედ მონანიების გზით. დოსტოევსკიმ განაჩენი გამოუტანა არა მარტო საკუთარ რევოლუციურ წარსულს, არამედ მთელ რევოლუციურ მოძრაობას და აჩვენა მისი ანტიჰუმანური, ეშმაკისეული ხასიათი, რაც ცხადია, მიუღებელი აღმოჩნდა ლენინისა და ბოლშევიკური ფრთისათვის, რომელმაც შერისხა დიდი რუსი მწერალი.

უსამართლობასთან და ყალბ ღირებულებებთან ბრძოლა განსაკუთრებით მძაფრდება ტოტალიტარიზმის პირობებში, რომელიც წარმოადგენს რეპრესიულ პოლიტიკურ სისტემას. რომელ ტერორზე და ძალადობაზეა დაფუძნებული ტოტალიტარიზმის ახასიათებს ათი ნიშანი - ძალაუფლების ყველა რგოლის კონცენტრაცია ერთი ინსტანციის ხელში, ვოჟდიზმი, სერვილიზმი, მონოპარტიულობა, იდეოლოგიზმი, ათეიზმი, სციენტიზმი (ოკულტიზმი), ინტერნაციონალიზმი (რასიზმი), მილიტარიზმი, ჰეგემონიზმი. კომუნიზმი და ფაშიზმი მხოლოდ ორი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: თუ პირველს ახასიათებს სციენტიზმი და ინტერნაციონალიზმი, მეორისათვის დამახასიათებელია ოკულტიზმი და რასიზმი, სხვა მხრივ ისინი ერთმანეთს ტყუპისცალივით ჰგვანან და დანარჩენი ნიშნებიც საერთო აქვთ. ტოტალიტარიზმთან მიმართებაში მსხვერპლს უვითარდება აქსიოლოგიური უპირატესობის განცდა, რაც მას ეხმარება იმ სიძნელების გადალახვაში, რომელსაც გულაგისა და საკონცენტრაციო ბანაკების პირობებში აწყდება. გულაგის პატიმარი აცნობიერებს იმ ჭეშმარიტებას, რომ არც ერთი იდეა, რაგინდ კეთილშობილიც არ უნდა იყოს იგი, ადამიანის სიცოცხლეზე მეტი არ ღირს, რომ ადამიანი ყველაზე მაღალი ღირებულებაა, რომელსაც სოციალური ღირებულებები უნდა ემსახურებოდნენ და არა პირიქით, რომ საეჭვოა ის იდეოლოგია, რომელიც ადამიანის მსხვერპლშეწირვას მოითხოვს რაღაც გაუგებარი და უტოპიური იდეისათვის, რომელსაც არც მომავალი აქვს და არც სიმპატიით სარგებლობს ადამიანთა შორის. გულაგის მკვიდრი აცნობიერებს, რომ მომავალი არა აქვს სისტემას, რომელიც ძალადობასა და ტერორზეა აგებული და ხელები ადამიანთა სისხლით აქვს მოსვრილი. გულაგის დრამატიზმი და

აბსურდი შესანიშნავად აქვს აღწერილი ალექსანდრე სოლჟენიცინს მოთხრობაში „ივანე დენისოვიჩის ერთი დღე“, სადაც ერთმანეთში გადაწნულია არსებობისათვის ბრძოლის ტრაგიზმი და ის სისასტიკე, რაც ამ ბანაკებშია გამეფებული, სადაც არც ერთმა სულიერმა ბოლომდე არ იცის, თუ რისთვის ზის, ან რა დანაშაული მიუძღვის ხალხისა და საზოგადოების წინაშე. უფრო რთულადაა საქმე კონცლაგერების პირობებში, სადაც ადამიანები მხოლოდ იმის გამო ისჯებიან სიკვდილით, რომ არასრულფასოვან რასას მიეკუთვნებიან, რომელსაც განაჩენი ფიურერის ავადმყოფურმა გონებამ გამოუტანა, რასაც მორჩილად და უკრიტიკოდ ასრულებს სისტემა. აუშვიცი, დაჰაუ, ზაქსენჰაუზენი, მაიდანეკი, ბუხენვალდი და სიკვდილის სხვა ქარხნები მილიონობით ადამიანებს ერეკებიან გაზის კამერებსა და კრემატორიუმებში, სადაც სიკვდილიმისჯილთა დამძვრალი ოქროს კბილებისაგან ოქროს ზოდებს ადნობდნენ, ხოლო ადამიანთა ტყავისაგან ხელჩანთებსა და ხელთათმანებს ამზადებდნენ. ფაშისტების გადაგვარებული და დეჰუმანიზებული გონება ადამიანის ცხიმისაგან საპონს ამზადებდა, ხოლო კრემატორიუმში დამწვარი ადამიანის ფერფლს სასუქად ხმარობდა, რაც მიზანთროპიის გაუგონარ გამოვლინებას წარმოადგენს. „ჰოლოკოსტა“, რაც ბერძნულ ენაზე დაწვას ნიშნავს და რაც ფაშისტებმა ებრაელი ერის მიმართ განახორციელეს, რასაც ექვს მილიონზე მეტი ებრაელის სიცოცხლე შეეწირა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ფურცელია, რომელსაც ადამიანთა მოდგმა ვერასოდეს დაივიწყებს. სხვათაშორის ჰოლოკოსტას შეეწირა ქართველი სასულიერო პირი, დეკანოზი გრიგოლ ფერაძე, რომელიც ნებაყოფლობით შევიდა გაზის კამერაში ებრაელი პირის ნაცვლად, რომელსაც მრავალსულიანი ოჯახი ჰყავდა, რითაც ოჯახის მამისა და მისი მცირეწლოვანი შვილების სიცოცხლე გადაარჩინა. კონცლაგერის მსხვერპლი მორალურად გაცილებით მაღლა იდგა თავის ჯალათზე, რითაც აახლოებდა ამ კაცთმოდულე რეჟიმის დასასრულს, რაც საბოლოო ჯამში ნიურნბერგის პროცესზე გაფორმდა, სადაც ფაშიზმი გამოცხადდა დანაშაულებრივ სისტემად, რომლის მთავარ ფიგურანტებს სასჯელის უმაღლესი ზომა, ჩამოხრჩობა მიესაჯათ.

ტოტალიტარიზმი ნებაყოფლობით არ ტოვებს ასპარეზს და დროდადრო გვახსენებს თავს სხვადასხვა გამოვლინებათა სახით, რის მკაფიო მაგალითსაც სააკაშვილის ნეოტოტალიტარული რეჟიმი წარმოადგენდა, რომელიც 2003-2012 წლებში მართავდა საქართველოს და ქართველ ხალხს უდიდესი სულიერი ტრავმა, უზარმაზარი მატერიალური ზარალი მიაყენა. ადამიანის უფლებების მასობრივი ხელყოფა და ფეხქვეშ გათელვა, ბიზნესმენტა რეკეტი და დაწიოკება, კერძო საკუთრების ძალადობრივი გზით მიტაცება, სასამართლო სისტემის უზურპაცია, პატიმართა მასობრივი წამება, დამცირება და ღირსების შელახვა, 2008 წლის ომის დანაშაულებრივი გაჩაღება და ქართული ტერიტორიების სამარცხვინო დაკარგვა, მშვიდობიანი მიტინგების ძალადობრივი დარბევა, მასმედიის დევნა და უკანონო გზებით მისაკუთრება, თავისუფალი აზრის დევნა და სხვაგვარად მოაზროვნების მიზანმიმართული განადგურება, ტერორი საკუთარი ხალხის მიმართ წარმოადგენს სააკაშვილის დანაშაულებრივი, კაცთმოდულე რეჟიმის სისტემურ პოლიტიკას, რასაც იგი ცხრა წლის განმავლობაში საკუთარი მოქალაქეების მიმართ ახორციელებდა. აქაც, მსხვერპლს ანუ ქართველ ხალხს მორალური უპირატესობა გააჩნდა მოძალადე რეჟიმის მიმართ, რისი მეშვეობითაც მოახერხა მისი პოლიტიკური დისკვალიფიკაცია და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა იგი.

ვიქტიმოლოგიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გაუცხოების ფილოსოფიურ კატეგორიას, რომელიც ეხება არა მარტო მსხვერპლს, არამედ დამნაშავე სისტემას მთელი თავისი ბაზისითა და შესაბამისი ზედნაშენით. განასხვავებენ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტუროლოგიური, ანთროპოგენული, აქსიოლოგიური, ეთიკური, სამართლებრივი, იდეოლოგიური, სამეცნიერო, ტექნოკრატიული, ეკოლოგიური, გეოპოლიტიკური გაუცხოების ფორმებს, რომლებიც შეეხება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს. გაუცხოება წარმოადგენს ურთიერთგამომრიცხავ დაპირისპირებას მთელის მხარეებს შორის, რომლებიც ადრე ერთმანეთს ავსებდა და განაპირობებდა. გაუცხოების ფენომენზე ჯერ კიდევ პლატონი ამხვილებდა ყურადღებას, როცა იდეათა სამყაროსა და მატერიალური სინამდვილის დაპირისპირებაზე ლაპარაკობდა, რომლის მიხედვითაც მატერია წარმოადგენს იდეის გაუცხოებას, მის დამახინჯებულ რეალიზაციას. გაუცხოების ფენომენი გვხვდება ჰეგელთანაც, სადაც აბსოლუტური გონის გაუცხოებას წარმოადგენს სინამდვილის ისეთი საფეხურები, როგორცაა ბუნება, საზოგადოება, ხელოვნება, რელიგია, პოლიტიკა, მეცნიერება. გაუცხოების მოხსნა ხდება ფილოსოფიის დონეზე, როცა აბსოლუტური გონი აცნობიერებს, რომ გაუცხოების ეს ფორმები მისივე განვითარების საფეხურებია და რომ მასა და ამ ფორმებს შორის არანაირი თვისებრივი სხვაობა არ არსებობს. გაუცხოების მეცნიერული ანალიზი პირველად მოგვცა მარქსმა 1844 წლის ფილოსოფიურ-ეკონომიკურ ხელნაწერებში, სადაც აღმოაჩინა ეკონომიკური გაუცხოების ფორმა, რომელიც მყარდება შრომის პროცესში და დაიყვანება წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმაზე, რაც ატარებს ანტაგონისტურ ხასიათს და სოციალური რევოლუციის გარდუვალობას განაპირობებს. ის, რომ შრომის პროცესში მატერიალურ დოვლათს ქმნის მუშა, პროლეტარი, მაგრამ ამ სიკეთით სარგებლობს კაპიტალისტი, რომელიც არაფერს არ ქმნის, წარმოშობს მუდმივ სოციალურ დამაბულობას, რაც აფეთქებით ემუქრება მთელ საზოგადოებას. მარქსი ამ გაუცხოების მოხსნას სოციალურ რევოლუციაში ხედავდა, რომელიც როგორც წარმოებას, ასევე მითვისებას საზოგადოებრივ ხასიათს მიაჩნებდა და გააუქმებდა მათ შორის არსებულ დაპირისპირებას, მაგრამ სინამდვილეში ეს გაუცხოება იმაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე მარქსს წარმოედგინა და იგი დღემდე განაგრძობს არსებობას.

ჩვენი მოხსენების კონტექსტში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სამართლებრივი გაუცხოების ფორმაზე, რომელიც ახლოსაა ვიქტიმოლოგიასთან და ეხება როგორც მსხვერპლს, ასევე სისტემასაც. გაუცხოება აქ იღებს დაპირისპირების ფორმას პიროვნებასა და სახელმწიფოს, ინდივიდსა და სისტემას, ინდივიდსა და ინსტიტუციებს, სისტემის ცალკეულ ნაწილებს შორის. გაუცხოების ფორმებს მივყავართ საზოგადოების და მთლიანად კულტურის დეჰუმანიზაციისაკენ, რომლის დროსაც ადამიანი, როგორც უმაღლესი ღირებულება კარგავს თავის მნიშვნელობას და იქცევა სისტემის უბრალო დანამატად, საშუალებად „დიადი“ მიზნის მიღწევის გზაზე. არადა, ყველაფერი პირიქით უნდა მომხდარიყო, რადგან კულტურა და მასში არსებული ინსტიტუციები სწორედ ადამიანის კეთილდღეობისთვისაა შექმნილი და მისი ცხოვრების ოპტიმიზაციას უნდა ემსახურებოდნენ. სამართლებრივი გაუცხოების პირობებში ხდება სამართლებრივი სისტემის დეჰუმანიზაცია, რომლის დროსაც ეს სისტემა ემსახურება არა ადამიანის ინტერესებს, არა მისი ცხოვრების რეგულაციას, არამედ მის წინააღმდეგ ილაშქრებს და

საფრთხეს უქმნის თავად ადამიანის არსებობას. გულაგი, კონცლაგერი, ტოტალიტარიზმი სწორედ ამგვარი დეჰუმანიზაციის გამოვლინებებია და მათი დაძლევა უდიდესი ძალისხმევის ფასად დაუჯდა კაცობრიობას. ვიქტიმოლოგიამ ისევე, როგორც გაუცხოების თეორიამ, რომელთანაც იგი ორგანულ კავშირშია, ყველაფერი უნდა გააკეთოს გაუცხოების ფორმებისა და დეჰუმანიზაციის დასაძლევად, რითაც უდიდეს სამსახურს გაუწევს კრიზისულ სიტუაციაში მყოფ კაცობრიობას.

თავისთავად აღებული გაუცხოების ყველა ფორმა არსებითი და მნიშვნელოვანია, რომლებსაც როგორც ფილოსოფიამ, ასევე შესაბამისმა დარგობრივმა მეცნიერებებმა უნდა დაუთმონ ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ როგორც ჩანს, ესეც არაა საკმარისი. თანამედროვე ეპოქაში იმდენად დიდია გაუცხოების ზემოქმედება როგორც ადამიანზე, ასევე საზოგადოებასა და კულტურაზე, რომ საჭიროა ჩამოყალიბდეს ინტერდისციპლინარული მეცნიერება გაუცხოების თეორიის (ალიენოლოგიის) სახით, რომელიც დეტალურად შეისწავლის გაუცხოების ყველა ფორმას და დასახავს მათი დაძლევის გზებს.

Philosophical Aspects of Victimology

Teimuraz Pachulia

Victimology studies the patterns of victimization in the criminal law. Victimology examines the relationship between the victim and the criminal, the interaction between the system and the victim, which includes the integrity of criminal law, victim's liaison with the police and the judiciary, with the penitentiary system, various social groups and institutions i.e. the media, business etc.

Victimology has a close connection with criminology, constitutional law, international law, criminal law, civil law and so on. At the same time, it is an interdisciplinary discipline related to sociology, political science, psychology, philosophy and its constituents - ethics, axiology, culture, anthropology, the data of which is successfully used in its research.

Philosophy provides theoretical support in a number of areas - in terms of self-awareness, value reassessment, accurate axiological orientation, legal system, humanization, and it promotes ethical thinking in social environment. Solving any of the issues mentioned above can make a big contribution to improving the social environment, which is the task of Victimology.

Key words: philosophy, axiology, ethics, culturology, victim, offender, regime, law.

ვიქტიმოლოგიის ადგილი და როლი სამართალწარმოებაში

პროფესორი, დოქტორი პეტრე დაუთაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Petre Dautashvili, *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

წინამდებარე სტატიაში, ჩვენ შევეცადეთ ზოგადად და ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტულად წარმოგვეჩინა ვიქტიმოლოგიის ადგილი და როლი სამართალწარმოებაში, რომელსაც წინ უძღვის არამართო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, არამედ სახელმწიფო დამოკიდებულება დაზარალებულის ინსტიტუტისადმი, რომელიც მნიშვნელოვანია დაზარალებულის ინტერესების დასაცავად. ცალსახად გამოვკვეთეთ სახელმწიფოს მიდგომისა და კანონმდებლობის დახვეწის და მათი გამოსწორება-დარეგულირების საკითხები, რომლებშიც აშკარაა ის მოსალოდნელი გვერდითი მოვლენები, რომლებიც არა თუ შეასუსტეს დამნაშავეობის მდგომარეობას, არამედ გააფართოებს მის სტრუქტურას და დინამიკას. და სწორედ, დაზარალებულის ინსტიტუტის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მეორეხარისხოვანი დამოკიდებულება გვევლინება დაზარალებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ დეტერმინანტად. ამასთანავე, გამოვკვეთეთ ის სასურველი და სავარაუდო საკანონმდებლო რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც უსათუოდ ხელს შეუწყობდნენ დანაშაულის მსხვერპლის როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: სამართალწარმოება, სისხლის სამართალი, დაზარალებული, დეტერმინანტები.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით ზოგადად და ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულად წარმოვაჩინოთ ვიქტიმოლოგიის ადგილი და როლი სამართალწარმოებაში, რომელსაც წინ უძღვის არამართო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, არამედ სახელმწიფოს დამოკიდებულება დაზარალებულის ინსტიტუტისადმი, რომელიც მნიშვნელოვანია დაზარალებულის ინტერესების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ ვიქტიმოლოგია წარმოიშვა ჯერ კიდევ 20-ე საუკუნის 40-იან წლებში და იგი მხოლოდ განიხილებოდა სოციუმში, მან თანდათანობით ასახვა ჰპოვა სამართალშიც, მაგრამ არა იმ პრინციპებითა და მასშტაბებით როგორ ყურადღებასა და მნიშვნელობასაც იმსახურებს აღნიშნული ინსტიტუტი.

თანამედროვე ეტაპამდე (და სამწუხაროდ დღესაც), სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში წინა პლანზე წამოწეული იყო დამნაშავეის პიროვნების ფენომენი. მისი უპირატესობა არანაირად არ იყო თავსებადი დაზარალებულის პიროვნებასთან, რომელიც არათანაბარ სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობაში აყენებდა დამნაშავეს დაზარალებულთან. მაშინდამე, მთელი ყურადღება გადატანილია დამნაშავეის პიროვნებაზე, რაც კიდევ ერთხელ მექანიკურად, თუ ავტომატურად, ნებისით თუ უნებლიედ, იწვევს (ან გამოიწვევს) დაზარალებულის ხელმეორედ ვიქტიმირებას. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად პირველ რიგში აუცილებელია, საკანონმდებლო ბაზის გამდიდრება-

გააქტიურება დაზარალებულის უფლებების კუთხის დაცვით, ხოლო მეორე რიგში, ამ უფლებების რეალურად რეალიზაციის მექანიზმის ჩამოყალიბება-დამკვიდრება პრაქტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხმარება გამოძიებას დანაშაულის კვალიფიკაციაში, ხოლო შემდგომში დაზარალებული პიროვნების შეფასებაში სასჯელის შეფარდების სფეროში, საკმარისი არ არის. პირველ რიგში, აუცილებელია ჩამოვყალიბდეთ დაზარალებულისა და მსხვერპლის დეფინიციებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალური თვალსაზრისითაც, ხოლო მეორე რიგში, კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან გამომდინარე, კონკრეტული დაზარალებულის (მსხვერპლის) პიროვნების თავისებურებების შესწავლა-ანალიზში, რომელიც მიმართული უნდა იყოს ვიქტიმოლოგიური ქცევის პრევენციისაკენ. ყოველივე ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულისადმი (ან მსხვერპლისადმი) მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ერთ დონეზე, ანუ თანაბარი დატვირთვითა თუ მნიშვნელობით განიხილებოდეს როგორც დანაშაულებრივი ქცევის, ასევე ვიქტიმური მიდრეკილების პრევენცია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ვიქტიმოლოგიის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, მისი პრობლემები უფრო მეტად უნდა განიხილებოდეს სოციალურ ჭრილში, რომელშიც დომინირებს დაზარალებულის უფლებებისა და ინტერესების რეალურად, დროულად დაცვა და აღსრულება. თუმცა, მანამდე აღნიშნული უფლებებისა და ინტერესების აღსრულების წინაპირობა იყო და არის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებშიც ცალსახად წარმოდგენილი იქნება ის სრულყოფილი და მოქნილი საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც რადიკალურად უნდა განსაზღვროს დაზარალებულის ახლო, თუ შორეული ინტერესები გამოწვეული დანაშაულებრივი ქმედებიდან გამომდინარე. ჩვენი სახელმწიფოსა და კანონმდებლობის რეალობიდან გამომდინარე კი, ვხედავთ საპირისპიროს და დაზარალებულის ინტერესებს საბოლოოდ წერტილი დაესმის სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში (იმავედროულად სისხლის სამართლის საქმიდან სამოქალაქო სასარჩელო საქმეში), რომელშიც დამნაშავის ინტერესები იმაზე მეტადაა ნიშანდობლივი, ვიდრე დაზარალებულისა. სწორედ აქედან გამომდინარე, იქამდე, ვიდრე სახელმწიფო არ მიაღწევს სასჯელის მიზნების განხორციელებას, პარალელურად (და უფრო მეტად) უნდა გამომდინარეობდეს დაზარალებულის უფლებების აღდგენის ყოველდღიური მზაობა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის მიზნების მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან საკანონმდებლო ბაზა ძალზედ სუსტი და მწირია, რომლის საფუძველზეც კი დაზარალებული განიცდის ორმაგ და მეტ ვიქტიმირებას და ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ასეთ გაცდას ღებულობს იმისგან, ანუ სახელმწიფოსაგან, რომელმაც პირველ რიგში, უპირატესად უნდა დაიცვას იგი და არა კრიმინალი. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის ცნობიერებაში (ამისი არაერთი მაგალითია) ყალიბდება ისეთი აზროვნება, რომელიც უფრო საშიშია კრიმინალის სუბკულტურასა და მისგან პოტენციურად მოსალოდნელ დანაშაულებრივ ქმედებებზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სახელმწიფოს სუბიექტური, თუ ობიექტური მიზეზებისა (აქვს, თუ არა სურვილი, შეუძლია, თუ არა) არ აცნობიერებს იმ მოსალოდნელ სავალალო შედეგებს, რომელთა შესრულების მზაობა უკვე წარმოიშვა დაზარალებულის ცნობიერებაში ჯერ

კიდევ წინა სასამართლო გამოძიების დასრულებამდე. იგი ყველა შემთხვევაში შეეცდება დაიბრუნოს ის წართმეული სიკეთე, რომელიც არც დამნაშავემ დაუბრუნა და არც სახელმწიფომ იღონა რაიმე მის დასაბრუნებლად ან ასანაზღაურებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებული მიმართავს მრავალ ხერხს, რათა გამოძებნოს, თუ გამოჩნდეს ის სუბიექტი, რომელიც მის ინტერესებს მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებს და დაიბრუნებს წართმეულის მიზეზულს მაინც (უკეთეს შემთხვევაში მთლიანად). **ერთ შემთხვევაში** მის პირველ ადრესატად შეიძლება მოგვევლინოს ქურდული სამყაროს ავტორიტეტი, რომელიც ცნობილია, როგორც ე.წ. სოციალური მედიატორი, რომელიც თავის დაუწერელი ქურდული „კანონებით“ და შესაბამისი პირობების წაყენებით დაზარალებულისადმი, „აწესრიგებს“ ურთიერთობებს დამნაშავესა და დაზარალებულს შორის. დაზარალებული მზადაა „გადაუხადოს შესაბამისი გასამრჯელო“ ასეთ მედიატორს დასაბრუნებელი ზარალის გარკვეული ნაწილი, ვიდრე საერთოდ დაკარგოს იგი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ე.წ. სოციალური დავა, რომლის გადაწყვეტა არათუ სცილდება ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოებს, არამედ იგი დაზარალებულისათვისაც დანაშაულებრივ ქმედებადაა შერაცხული და სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე 1-4-ე პრიმა მუხლებით დასჯადია. და მაინც, დაზარალებულისათვის უკვე აღნიშნული სამართლებრივი დავა გარდასახული სოციალურ დავაში იმდენად მოკლე დროში და „მომგებიანად“ წყდება, რომ დაზარალებული მაინც მიდის ასეთ რისკზე. **მეორე შემთხვევაში** კი, გამორიცხული არაა, რომ იგი დაზარალებულიდან დამნაშავედ გარდაისახოს, როდესაც თვითონ იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას და შურისძიების მოტივაციით ახდენს ხელყოფას ან უშუალოდ დამნაშავეზე ან მისი ოჯახზე ან ახლობელზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, დაზარალებული უკვე მოიაზრება კრიმინალის რანგში და ხდება სახელმწიფო ზრუნვის ობიექტი, რასაც აბსურდამდე მივყავართ. სწორედ, სახელმწიფომ და კანონმდებელმა რაც შეიძლება უმოკლეს დროში უნდა გაატარონ ისეთი სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ მოვლენების ასეთ განვითარებას და დაზარალებულის დამნაშავედ გარდასახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სახელმწიფოს უფრო მეტ პრიორიტეტს ანიჭებს კრიმინალს და უფრო მეტ აგრესიულობასა და მოსალოდნელი ზარალის დადგომის ალბათობას ელოდება მისგან. მაგრამ ასეთი ცალმხრივი სამართლებრივად „გადაჭარბებული“ და ეკონომიკური თვალსაზრისით მიდგომა უფრო მეტად დამლუპველია როგორც დაზარალებულისათვის, ასევე დანარჩენი საზოგადოებისათვის. სწორედ ასეთი გამოთქმა პირდაპირ მიესადაგება შექმნილ სიტუაციას: „დაჰკა ალალ-მართალს“-ო. ჩვენი აზრით, ადგილი აქვს აშკარა დისკრიმინაციულ მიდგომას. **პირველ რიგში**, კრიმინალისთვის ყოველდღიურად უმჯობესდება საპატიმრო სივრცეების კონფორტი, მისი უფლებები, სასჯელისაგან გათავისუფლების გამარტივებული პირობები და წესები, რათა დროზე ადრე გათავისუფლდეს და დაზოგოს უზარმაზარი ფინანსები მის შენახვა-დაცვაზე. და სწორედ, ასეთი მიდგომა ახალისებს პოტენციურ დამნაშავესაც, რომელმაც შეგნებულად იცის, რომ მისი დანაშაულებრივი ქმედებიდან გამომდინარე, არ ან ვერ დაეკისრება მატერიალური ან სხვა სახის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ყოველივე ეს კი, გამორიცხავს დანაშაულის ჩადენის ადრეულ პრევენციას. **მეორე რიგში** კი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ), არამართო დაზარალებული რჩება დაზარალებულ მდგომარეობაში,

არამედ მისი ოჯახი, ჯანმრთელობა, კარიერა და ა.შ. ერთი შეხედვით, სახელმწიფოს დამოკიდებულება კრიმინალის მიმართ პროგრესიულია, ხოლო დაზარალებულის მიმართ რეგრესიული, არადა სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის 3-ე პუნქტის თანახმად, რომლიდანაც აითვლება დანაშაულებრივი ქმედების პრევენცია, რომ: „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“¹

ასეთი მიდგომით ამ ნორმის მიზანი და ამოცანა მეტ-ნაკლებად მიღწევადია კრიმინალთან მიმართებაში, ხოლო დაზარალებულთან კი არა. ერთი რამ კი ცხადია, თუ ასე მივყვებით მსჯელობას და ანალიზს, კრიმინალის მიმართ სამართლებრივი საკითხები წყდება მისსავე სასარგებლოდ როგორც სისხლის სამართლის, ასევე პატიმრობის კანონმდებლობებით. დაზარალებულის სამართლებრივი დაცვა კი გამომდინარეობს (ვისურვებდით უფრო მეტი სამართლებრივი რეგულაციებითა და სოციალური გარანტიებით) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან, მაგრამ მასში მოცემული ნორმები იმდენად სუსტი და უსუსურია, რომ ისინი დაზარალებულს კი არ ანიჭებენ რაიმე უპირატესობას, პირიქით მოიხსენიებენ მას ასეთად მხოლოდ და ართმევენ იმ მიზეზულსაც, რაც მას სამართლებრივად კიდევ ერთხელ ტოვებს დაზარალებულ მდგომარეობაში. ამის საპირისპიროდ კი, 1997 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უფრო მეტად იცავდა და აღიარებდა დაზარალებულის უფლებებს და უფრო სამართლებრივად იგი „ჯანსაღად“ გამოიყურებოდა, მაგრამ მოქმედმა კანონმდებლობამ სრულიად გააუქმა დაზარალებულის ისედაც მწირე უფლებები და დატოვა უფრო სავალალო მდგომარეობაში. მაგალითად, მას, როგორც დაზარალებულს იმავდროულად მოწმის ფუნქციაც დაეკისრა და ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში, ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასეთ მიდგომას შეიძლება ჰქონდეს (და აქვს კიდევაც) პრინციპული მნიშვნელობა დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისათვის, მაგრამ მის მიმართ ზარალის ანაზღაურებაში უნდა იყოს მყისიერი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები. მაშასადამე, სახელმწიფომ უნდა გამოეხსნა სათანადო ფინანსები და სხვა საშუალებები, რომლებიც ერთის მხრივ, კრიმინალის მიმართ შეიმუშავებდა ისეთ მექანიზმს, რომლის დახმარებითაც სასჯელის მოხდის პერიოდში (და მისი მოხდის შემდეგაც) ეტაპობრივად ამოიღებდა კრიმინალის დასაქმებიდან მიღებული ფინანსებით და შეავსებდა დაზარალებულის მიმართ ავანსად გაცემულ თანხას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვკვეთეთ ის სასურველი და სავარაუდო საკანონმდებლო რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც უსათუოდ ხელს შეუწყობდა დანაშაულის მსხვერპლის როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას:

1. საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში არაჯეროვნადაა ყურადღება გამახვილებული დაზარალებულის (ან მისი უფლებამონაცვლის) მიმართ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ან ზარალის ანაზღაურების სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებზე:

1.1. სასურველია, რომ დაზარალებულის უფლებების დაცვის მექანიზმის დახვეწა და უფრო მეტად წინ წამოწევა აუცილებელი და სავალდებულოა, ვიდრე დამნაშავის პიროვნების ფენომენისა. სამწუხაროდ, დღემდე ამ უკანასკნელის სოციალურად და სამართლებრივად

დაცვა ყოველდღიური ზრუნვის თემადაა გადაქცეული პენიტენციური რეციდივის თავიდან აცილების მიზნით.

1.2. პირველიდან გამომდინარე, არამართო კონკრეტული დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი რჩება ორმაგი და ხშირად სამმაგი ვიქტიმიზაციის ობიექტად, არამედ თვით საზოგადოებაც, რომელიც ე.წ. ხარკს იხდის საპატიმრო ადგილებში დამნაშავის პიროვნების შენახვა-დაცვისათვის, რომ იქიდან დაბრუნებული იმავე საზოგადოების (თუ მისი ნაწილისათვის) არ იქნეს საშიში და ა.შ.

2. დაზარალებულის უფლებებისა და ინტერესების დაუცველობა დროსა და სივრცეში, იგნორირება ან მყარი, ეფექტური და მოქნილი სამართლებრივი მექანიზმის არარსებობა, დაზარალებულს აყალიბებს პოტენციურ დამნაშავედ, ხდის (თუ მომენტალურად გარდაქმნის) უფრო აგრესიულს და შურისძიების წყურვილით ავსებს არამართო იმის მიმართ, ვინც ჩააყენა ასეთ მდგომარეობაში, არამედ კონკრეტული სახელმწიფო უწყებებისა და ცალკეული კომპეტენტური პირების მიმართაც. აქედან გამომდინარე, ხშირად, რეალურად ვლდებულობთ კიდევ მორიგ თუ მომავალ კრიმინალს გამოუსწორებელ (უკვე სასჯელმთხილ) ნასამართლევ პირთან ერთად, რაც ახლო თუ შორეულ მომავალში უფრო ძაბავს, თუ დამაბავს კრიმინოგენულ სიტუაციას.

2.1. სასამართლო უწყება გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ „ვალმთხილი“ არ უნდა ტოვებდეს სასამართლო დარბაზს, რომ მან უკვე გაარჩია მტყუანი და მართალი. პირიქით, სისხლის სამართლის საქმიდან გამოყოფილ სამოქალაქო სასარჩელო საქმეს უნდა მიექცეს იმაზე მეტი ყურადღება, ვიდრე გამოტანილ გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებას. სწორედ, სასამართლო უნდა იქცეს დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილებისა და მისი შესრულება-აღსრულების (როგორც ეს ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით იყო გარანტირებული) მთავარ გარანტად.

2.2. საამისოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, კერძოდ, 7-ე და 7-ე პრიმა თავებში „დაზარალებული“, „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი“ პირდაპირ და სათანადოდ არ არის ხაზგასმული დაზარალებულის მიმართ ზიანის ანაზღაურების სუბიექტი, თუ ორგანო, ადგილი აქვს მხოლოდ დაზარალებულის პროცესუალურ უფლება-მოვალეობებს და ა.შ. ცალსახად და პრინციპულად უნდა იყოს ხაზგასმული ზარალის ანაზღაურების კონკრეტული ადრესატი, დრო და სივრცე.

2.3. მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლების (ეს იქნება ვადაზე ადრე, ამნისტიის, შეწყალების ან სხვა საფუძვლებით) საკითხი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს შეთანხმებული დაზარალებულთან. დაზარალებულის (ან მისი უფლებამონაცვლის) პასუხი დამნაშავის გათავისუფლება-არგათავისუფლების შესახებ, რომელიც ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს მის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ყოველთვის მხედველობაში უნდა იყოს მიღებული და საამისოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უნდა გაკეთდეს მკაფიო დათქმა ამის შესახებ. ვფიქრობთ, ასეთი რეკომენდაცია აამაღლებს არამართო დაზარალებულის იმიჯს, არამედ მეტი პასუხის-მგებლობის საფუძველს შეუქმნის დამნაშავეს და რაც მნიშვნელოვანია, ხელს შეუშლიდა

მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების მასიურ, გაუთვით-
ცნობიერებელ და არალოგიკური სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების მავნე
ტრადიციას

3. დაზარალებულის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მისი სამართლებრივი
უფლებების გაფართოება უტყუარი საწინდარია დანაშაულებრივი ხელყოფის მნიშვნე-
ლოვნად თავიდან აცილებისა და ვიქტიმური სიტუაციისა, თუ ვიქტიმიზაციის პროცესის
შემცირებისა. მაშასადამე, დაზარალებულის ინტერესების დაცვა-გაფართოება სახელმ-
წიფოს უპირველეს მოვალეობად და საზრუნავად უნდა იქცეს, რომელიც სამართლებრივი
სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია ადამიანის უფლებების დაცვის
კუთხით.

4. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში უნდა აღსდგეს სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმა, როგორც
იყო სსკ-ს 69-ე მუხლი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის „სისხლის-
სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების
გამო“, რომელიც გაუქმდა 2010 წელს. აქედან გამომდინარე, შედეგად, სტატისტიკურად და
შინაარსობრივად მივიღებთ ნაკლებ დაზარალებულს და იმავდროულად სახელმწიფოს
მეტ-ნაკლებად შეუმსუბუქდება, ან მთლიანად მოეხსნება დაზარალებულის მიმართ
მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რამეთუ თვითონ დაზარალებული და დამნაშავე
მყისიერად მორიგდებიან ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

5. იმავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაშიც უნდა განხორ-
ციელდეს სათანადო ცვლილება (ისე, როგორც ამას ითვალისწინებდა ძველი სისხლის
სამართლის საპროცესო კანონმდებლობა), სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხში.
კერძოდ, აღსდგეს სისხლისსამართლებრივი დევნის სახე კერძო ბრალდების საქმეზე,
რომელიც წყდებოდა დამნაშავეს დაზარალებულთან შერიგების გამო. აქედან
გამომდინარე, მარტივი ლოგიკაა: არ არის დაზარალებულის საჩივარი, თუ პრეტენზია,
მაშასადამე არ არის არც დანაშაული და არც დაზარალებულის პრობლემა.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულ მსჯელობაში ჩვენ შევეცადეთ ზედაპირულად მაინც
მოგვეხსენებინა ვიქტიმოლოგიის ადგილი და როლის მნიშვნელობის ანალიზი როგორც
სამართლებრივი, ასევე სოციალური თვალსაზრისით. ცალსახად გამოვკვეთეთ სახელ-
მწიფოს მიდგომისა და კანონმდებლობის დახვეწის და მათი გამოსწორება-დარეგუ-
ლირების საკითხები, რომლებშიც აშკარაა ის მოსალოდნელი გვერდითი მოვლენები,
რომლებიც არათუ შეასუსტებენ დამნაშავეობის მდგომარეობას, არამედ გააფართოვებენ
მის სტრუქტურას და დინამიკას. სწორედ დაზარალებულის ინსტიტუტის მიმართ
სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მეორე ხარისხოვანი დამოკიდებულება გვევლინება
დაზარალებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ დეტერმინანტად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 .(უახ. რედაქციით 2020).
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009 (უახ. რედაქციით 2020)

The Place and Role of Victimology in Litigation

Petre Dautashvili

In this article we have tried to present the place and role of victimology in general and in some cases specifically in litigation, which is preceded not only by gaps in criminal law but also by the state's attitude towards concept of the victim, which is important to protect the victim. We have clearly identified the issues of the state's approach and refinement of the legislation and their correct-regulation, in which the expected side effects are obvious, which will not only weaken the crime situation, but also will broaden its structure and dynamics. And it is precisely this second qualitative attitude of the state towards the institution of the victim that appears to be one of the determinants of the commission of a crime by the victim. In addition, we have outlined the desired and likely legislative recommendations and proposals that would unequivocally contribute to significantly improving the legal and social status of the victim.

Key words: litigation, criminal, victim, determinants.

დაზარალებულის პროცესუალური რეგლამენტაცია როგორც ვიქტიმოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემა

პროფესორი, დოქტორი მიხეილ მამნიაშვილი, საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Mikheil Mamniashvili, Georgian Technical University, Georgian Academy of

Criminology Sciences;

ვიქტიმოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს დაზარალებულის პროცესუალური რეგლამენტაციის პრობლემატიკა, ანუ ისეთი რეგულაციების შემუშავება, რომელიც დანაშაულის მსხვერპლს - დაზარალებულს (სახელმწიფო, იურიდიული და ფიზიკური პირი) შესაძლებლობას მისცემს სრულად დაიკმაყოფილოს დანაშაულის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მორალური თუ ქონებრივი ზიანი. ამასთანავე, სისხლის სამართალწარმოების პროცესში დაცული იქნეს მისთვის გარანტირებული უფლებები და კანონიერი ინტერესები; წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა საჯარო, კერძო - საჯარო, კერძო და სუბსიდიური სისხლის-სამართლებრივ დევნის სახეებს, ამათგან საჯარო და საჯარო-კერძო ბრალდების საქმეებზე დაზარალებული გამოდიოდა როგორც სუბსიდიური ბრალმდებელი, ხოლო კერძო ბრალდების საქმეებზე, როგორც ბრალმდებელი, უფრო მეტი - ის ბრალდების მხარეს წარმოადგენდა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა არსებითად შეცვალა დაზარალებულის უფლებები. ის ბრალდების მხარეს აღარ წარმოადგენს და გათანაბრებულია მოწმის სტატუსთან, რის გამოც აღარ აქვს უფლება მხარი დაუჭიროს ბრალდებას, პირველი ინსტანციის დადგენილი განაჩენი გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში და ა.შ.

ნაშრომში დასმულია საკითხი დაზარალებულისათვის ცალკეულ შემთხვევებში უფლებათა გაზრდის შესახებ მაგალითად, უფლება გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი საპროცესო შეთანხმების შედეგად სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი და სხვა.

საკვანძო სიტყვები: დაზარალებული, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, საპროცესო შეთანხმება, სასამართლო.

ვიქტიმოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს დაზარალებულის პროცესუალური რეგლამენტაციის პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში სპეციალურად განიხილება აღნიშნული საკითხის აქტუალობა და დასახული იქნება მისი გადაწყვეტის საკითხები.

დაზარალებული ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების პროცესში. ცალკეულ ქვეყნებსა და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო დეკლარაციებში, მაგალითად, 1985 წლის 29 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაციაში ხელისუფლების დანაშაულებათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის“ გამოყენებულია არა ტერმინი „დაზარალებული“, არამედ „მსხვერპლი“, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ტერმინი

მსხვერპლი აღნიშნავს პირს, რომელსაც ეროვნული სისხლის სამართლის კანონების დარღვევით აყენებენ ზიანს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ისევე როგორც მრავალი ქვეყნის (გერმანია, ესპანეთი, რუსეთი, საფრანგეთი და ა.შ.) საპროცესო კანონმდებლობაში აღიარებულია ტერმინი „დაზარალებული“.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე (მათ შორის ყოფილ სსრ კავშირის საპროცესო კანონმდებობა) დაზარალებულის სტატუსმა საქართველოს სისხლის სამართალწარმოების პროცესში რთული, ამასთანავე ურთიერთგანსხვავებული გზა განვლო.

ჯერ კიდევ საქართველოს პირველი, 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არსებითად ზღუდავდა დაზარალებულის უფლებებს. მისი სამართლებრივი ნორმები, ფაქტობრივად, არ ცნობდა დაზარალებულს როგორც დამოუკიდებელ პროცესის მონაწილედ, დაზარალებულის ცნებასაც კი არ განსაზღვრავდა, იმდროინდელი იურიდიული კანონმდებლობის თანახმად, შეიძლებოდა მონაწილეობა მიეღო მხოლოდ ორ შემთხვევაში: პირველი - კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებზე და მეორე - მის მიერ სამოქალაქო სარჩულის წარდგენისას, რა დროსაც მისი საქმიანობა მხოლოდ სამოქალაქო მოსარჩლის სტატუსით ამოიწურებოდა.¹

დაზარალებულის ცნების დეფინიცია პირველად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლში (მიღებული 1960 წლის 30 დეკემბერს) ჩამოყალიბდა. ამ მუხლის თანახმად: „დაზარალებულად ჩაითვლებოდა პირი, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა“. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი უფლებები და წარმოადგენდა სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ სუბიექტს², მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს, სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შერეული ფორმის საპროცესო კანონმდებლობის ტიპს წარმოადგენდა, შეუძლებელია ვისაუბროთ დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრულყოფილ დაცვაზე.

1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ფართოდ გაიშალა საკანონმდებლო მოღვაწეობა, რომლის პრიორიტეტული მიმართულებაც სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა, ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენდა. საკანონმდებლო რეფორმების პერიოდში, 1998 წლის 20 თებერვალს მიიღეს საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს.

იმ დროისათვის მიღებულმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გააფართოვა დაზარალებულთა ცნების არეალი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულად ითვლებოდა სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული

¹ ა. მახარაძე, დაზარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, მიმდგნილი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, გამ. თსუ, თბ., 2003, გვ. 506-507.

² ა. ფალიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები, წიგნში „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამ. თსუ, თბ., 1988, გვ. 100-101.

პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა. ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, პროკურორთან ერთად დაზარალებული ბრალდების მხარედ მოიაზრებოდა, ამასთანავე, საჯარო და კერძო-საჯარო სისხლის-სამართლებრივი დევნის საქმეებზე სასამართლოში ის ახორციელებდა სუბსიდიურ ბრალდებას, ხოლო კერძო სისხლის სამართლის საქმეებზე გამოდიოდა როგორც ბრალმდებელი.

დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებულია 2009 წლის 9 ოქტომბერს და ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, წინა საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ნაწილს წარმოადგენს და დაზარალებულის ცნების დეფინიცია შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. ამასთანავე, მისი სტატუსი განსხვავებულადაა წარმოჩენილი, გაუქმდა საჯარო, კერძო-საჯარო, კერძო და სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის სახეები და დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება დაეკისრა მხოლოდ პროკურორს, ამასთანავე დაზარალებული ბრალდების მხარედ აღარ მოიაზრება და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილით მას მიენიჭა მოწმის ყველა უფლება და დაეკისრა მისი ყველა მოვალეობა.

დანაშაულის შედეგად დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, ფიზიკურ პირს დანაშაულის შედეგად შეიძლება მიადგეს როგორც მორალური და ქონებრივი, ასევე ფიზიკური ზიანი, ხოლო იურიდიულ პირს – მხოლოდ ქონებრივი. იურიდიული პირის დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა (სსსკ 56-ე მუხლის მე-2 ნაწ.). ცხადია, ასეთ შემთხვევაში დაზარალებული იურიდიული პირის წარმომადგენელს ეკისრება დაზარალებულის ყველა უფლება და მოვალეობა, რამდენადაც იურიდიული პირის წარმომადგენელი სასამართლოში გამოდის როგორც მისი ინტერესების დამცველი და ვალდებულია იმოქმედოს მისი მარწმუნებლის ინტერესების შესაბამისად კეთილსინდისიერად და გონივრულად. იურიდიული პირის წარმომადგენლად – დაზარალებულად შეიძლება გამოვიდეს იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რადგანაც ამის საშუალებას აძლევს როგორც კანონი, ასევე იურიდიული პირის დაფუძნების დოკუმენტები, ან სპეციალურად გამოყოფილი პირი რწმუნებულის (მინდობილობით) სტატუსით. ასეთ დროს წარმომადგენელს ეკისრება ყველა იურიდიული პასუხისმგებლობა, როგორცაა: გაფრთხილება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ანდა არებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის საქართველოს სსსკ 370-ე, 371-ე და 3711 მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. მასვე უნდა განემარტოს, რომ ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესავების წინააღმდეგ, ხოლო თუ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საქმის მწარმოებელ ორგანოში, საქართველოს სსსკ 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მის მიმართ კანონით დადგენილი წესით შეიძლება გამოიყენონ საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, – მოყვანა (სსსკ 149-ე მუხლი).

იმ დანაშაულთა საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულს უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს („დაზარალებულის უფლებამონაცვლე“). გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულის-თვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე წილისყრით განისაზღვრება.

სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი შეიძლება დაზარალებულად იქნეს ცნობილი არა მარტო დამთავრებული დანაშაულის ჩადენისას, არამედ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაშიც. ასეთ დროს აუცილებელია პასუხი გაეცეს ერთ შეკითხვას: პირზე მიყენებულია თუ არა რაიმე ზიანი (შეიძლება თუ არა ცნობილ იქნეს დაზარალებულად), თუ კი დამნაშავე პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დანაშაულის შედეგი ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, მაგალითად, დამნაშავე მოემზადა რომელიმე პირის განზრახ მკვლელობისათვის, მაგრამ ის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დროულად იქნა მხილებული, ვფიქრობთ, ასეთ დროს ის პირი, რომლის მოკვლაც სურდა დამნაშავეს, ცნობილი უნდა იქნეს დაზარალებულად, რადგანაც რეალურად მას მორალური ზიანი მიადგა.

დაზარალებულად უნდა იქნეს ცნობილი ასევე პირი, რომელსაც ზიანი მიადგა თავისი საკუთარი მაპროვოცირებელი მოქმედებით, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების გადაცილების დროს, ანდა ქალის თხოვნით, რომ აბორტმახერს მისთვის უკანონო აბორტი გაეკეთებინა და ა.შ.; რადგანაც ასეთი პირობების არსებობას კანონი არ ითვალისწინებს, პირზე საკუთარი არამართლზომიერი მოქმედების გამო უარი ეთქვას დაზარალებულად ცნობაზე. მაგრამ, ვფიქრობთ, დაზარალებულის ასეთი საქციელი სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს პირისათვის ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნის დროს. არ შეიძლება დაზარალებულად იქნეს ცნობილი ის პირი, რომლის საკუთარმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ გამოიწვია მისთვის ზიანის მიყენება, მაგალითად, ქრთამის მიმცემი, თუ მან არ შეასრულა შეპირებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და ა.შ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით, ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, თუ პროკურორმა განცხადება არ დააკმაყოფილა მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს, ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გააცნობს დაზარალებულს და განუმარტავს მისთვის გათვალისწინებულ ყველა უფლებას და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს. ამ ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება. დაზარალებულს უფლება აქვს, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მოსამართლეს ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ საკითხებზე 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

დაზარალებულს აქვს შემდეგი უფლებები:

- ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი;
- ბ) მიიღოს ინფორმაცია ამ კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების შესახებ;
- გ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღწა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია;
- დ) უფასოდ მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;
- ე) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;
- ვ) დაიბრუნოს გამოძიებისას და სასამართლო განხილვისას საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება;

ზ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;

თ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს;

ი) მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ ემუქრება რეალური საფრთხე;

კ) წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს;

ლ) მიმართოს ბრალდების მხარეს ამ კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მიზნით სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით;

მ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

ნ) ისარგებლოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულმა მიიღო ინფორმაცია და გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის 51 ნაწილის შესაბამისად პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ადგენს ოქმს. ოქმს ხელს აწერს დაზარალებული და ოქმის შემდგენი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი, ხოლო თუ კი ინფორმაციის მიღება და საქმის გაცნობა ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი, გამომძიებელი ვალდებულია მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს დაზარალებულს მის შესახებ და შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

თუ პროკურორმა უარი უთხრა დაზარალებულს ინფორმაციის მიწოდებასა და საქმის მასალების გაცნობაზე, ვალდებულია ამის შესახებ გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი პროკურორს ავალდებულებს დაზარალებულის მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობითი ან ზეპირი ფორმით, წინასწარ შეატყობინოს შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო:

ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;

ბ) წინასასამართლო სხდომა;

გ) სასამართლოს მთავარი სხდომა;

დ) სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომა;

ე) სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომა;

ვ) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა.

ზემოაღწერილი ინფორმაცია დაზარალებულს წერილობით უნდა გადაეცეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი საშუალებით გადაცემა გონივრულია მოცემულ გარემოებებში და საკმარის დროს იძლევა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, ამასთანავე პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადება.

ამდენად, როგორც დავინახეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებული მხარეს არ წარმოადგენს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენი საპროცესო კოდექსით ანგლოამერიკული სამართლის სისტემის მოდელს მიეკუთვნება, რომელთა ქვეყნების სისხლისსამართალწარმოება არ ცნობს დაზარალებულის ინსტიტუტს. ის ბრალდების მოწმეა და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით სასამართლო პროცესზე მისი გამოძახება დამოკიდებულია პროკურორის გადაწყვეტილებაზე, როდის და რომელ სხდომაზე იქნეს იგი გამოძახებული და დაესწროს თუ არა სასამართლო განხილვას ბოლომდე.³ ამასთანავე დაზარალებულს უფლება ეძლევა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით სამოქალაქო-სამართლებრივი წესით სარჩელი შეიტანოს სასამართლოში.

დაზარალებული ასევე არ არის უფლებამოსილი გაასაჩივროს პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი განაჩენი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

უნდა ითქვას ისიც, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაიზარდა დაზარალებულის უფლებები, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის 11 ნაწილისა და 168-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულს უფლება ეძლევა პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილება გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებული უფლებამოსილია, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებულს არა აქვს უფლება გაასაჩივროს მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დადგენილი განაჩენი, მაგრამ ამას წინათ საპროცესო კოდექსში ასევე შესული ცვლილებებით, შეიძლება ითქვას, ძალზე უმნიშვნელოდ გაიზარდა დაზარალებულის

³ დ. კარიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, წიგნში „სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, გამ. სტუ, თბ., 2012, გვ. 172-177.

სტატუსი, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის თანახმად, პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს, ამავე მუხლის 11 ნაწილის ძალით სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღდა.

როგორც აღვნიშნეთ, დაზარალებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა სისხლის-სამართალწარმოების პროცესში, უმრავლესი კატეგორიის დანაშაულზე სწორედ დაზარალებულის დაკითხვითაა შესაძლებელი გამოძიების დაწყება და მისგან საგამოძიებო ორგანოებისთვის მომხდარ ფაქტზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მოწინააღმდეგე მხარე - ბრალდებული და დაზარალებული, ორივე მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი და ურთიერთგანსხვავებული საპროცესო ინტერესი, მართალია, დაზარალებულის ჩვენება, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მტკიცებულება, გულდასმით და კრიტიკულად უნდა შემოწმდეს და შეფასდეს, მაგრამ ქართველი პროცესუალისტების უმრავლესობის აზრით, დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით, უმჯობესი იქნებოდა, თუ კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი სისხლისსამართალწარმოების პროცესში და მას მიეცემოდა უფლება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გაესაჩივრებინა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და ამ მიმართულებით ის არ ყოფილიყო დამოკიდებული ბრალმდებლისა და ზემდგომი პროკურორის ნებაზე,⁴ კიდევ მეტი, ცალკეული მკვლევარი ფიქრობს, რომ დაზარალებული უნდა წარმოადგენდეს ბრალდების მხარეს და პროკურორმა საპროცესო შეთანხმების დადებამდე კონსულტაცია კი არ უნდა გაიაროს დაზარალებულთან, არამედ მისგან მიიღოს თანხმობა, ამასთანავე, მასვე უნდა ჰქონდეს საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლებაც.⁵

მიუხედავად თეორიაში გამოთქმული შეხედულებისა, მოქმედი საპროცესო კოდექსით დაზარალებული გათანაბრებულია მხოლოდ მოწმის სტატუსთან, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულის უფლებების რეალიზაციისათვის მის სასარგებლოდ უშვებს მცირეოდენ გარანტიებს, რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი.

⁴ ჯ. გახოვიძე, დ. ლევიაშვილი, ნოვაციები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, წიგნში „სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, გამ. სტუ, თბ., 2012, გვ. 17-22;

დ. კარიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, წიგნში „სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, გამ. სტუ, თბ., 2012, გვ. 172-177;

მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წელთან დაკავშირებით სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2012; ვ. ბენიძე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. რ. შენგელიას 70 წელთან დაკავშირებით, საიუბილეო კრებულში „სამართლის პრობლემები“, გამ. „სამართალი“, თბ., 2012, გვ. 541-542.

⁵ მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოვიძე, ზ. მელქაძე, ნ. ლომიძე, სისხლის სამართლის პროცესის პოლიტიკა არსებითად შესაცვლელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XI, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკური სერია, 2013-2014, გვ. 624-630.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. მახარაძე, დაზარალებულის ცნება სისხლისსამართალწარმოებაში, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, გამ. თსუ, თბ., 2003;
2. ა. ფალიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები, წიგნში „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამ. თსუ, თბ., 1988;
3. დ. კარიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, წიგნში „სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, გამ. სტუ, თბ., 2012;
4. ჯ. გახოვიძე, დ. ლეკიაშვილი, ნოვაციები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, წიგნში „სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, გამ. სტუ, თბ., 2012;
5. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოვიძე, ზ. მელქაძე, ნ. ლომიძე, სისხლის სამართლის პროცესის პოლიტიკა არსებითად შესაცვლელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XI, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკური სერია, 2013-2014;
6. მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წელთან დაკავშირებით სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2012;
7. ბენიძე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. რ. შენგელიას 70 წელთან დაკავშირებით, საიუბილეო კრებულში: „სამართლის პრობლემები“, გამ. „სამართალი“ თბ., 2012.

Procedural Regulation of Aggrieved as Significant Trend of Victimology

Mikheil Mamniashvili

One of the significant trends of victimology is the problems of procedural regulation of aggrieved, or working out of such regulations, which allows the victim of the crime – the aggrieved (state, legal entity or individual) to completely satisfy the physical, moral or material damage dealt as a result of crime, besides his guaranteed rights and lawful interests should be protected during the criminal proceedings; the previous Criminal Procedure Code was stipulating the public, private and subsidiary types of criminal proceeding; besides, in case of public and public-private accusation cases, the prosecutor was presented as subsidiary prosecutor and during the private cases – as prosecutor; moreover – he was presenting the accusation party.

The acting criminal procedural code has essentially changed the rights of aggrieved, as he does not constitutes the accusation party anymore and is equaled to status of the witness, because of which, he has deprived of the right - support the accusation, appeal the sentence made by first instance in upper judicial sentences, etc.

The work includes the risen topic regarding the increase of rights of aggrieved in some particular cases, for instance, the right to appeal the sentence established by court as a result of procedural agreement unacceptable for him.

Key words: Victim, Criminal law, Criminal process, Plea agreement, Court.

ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები

პროფესორი, დოქტორი პოლიკარპე (თემურ) მონიავა, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Polikarpe (Temur) Moniava, David Agmashenebeli University of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences.

ნაშრომი ეძღვნება ვიქტიმოლოგიის არსისა და ადგილის განსაზღვრის პრობლემას, რადგან მეცნიერთა ნაწილი (მაგ. მენდელსონი), მხარს უჭერს ვიქტიმოლოგიის როგორც ახალი მეცნიერული მიმართულების იდეას, მეორე ჯგუფი (მაგ. მალკინა-პიხი) ვიქტიმოლოგიას მიაკუთვნებს დარგთაშორის დისციპლინათა რიგს, ხოლო მესამე ჯგუფი (მაგ. რივმანი) მოიხსენიებს მას კრიმინოლოგიის ცალკე მიმართულებად.

ავტორი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ვიქტიმოლოგია უნდა დარჩეს კრიმინოლოგიის ქვედარგის სტატუსით, ვინაიდან მისი კვლევის შედეგების გათვალისწინება განაპირობებს დანაშაულის კვების ტენდენციას და დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, რასაც წარმატებით იყენებდნენ ჩვენი წინაპრები.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ კი ნაშრომში 554 წელს, ბიზანტიელი მოხელეების მიერ ეგრისის მეფე გუბაზ II-ის მკვლელობის გამომწვევი მიზეზების ანალიზის კომპლექსურად კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მოცემულ საქმეზე იკვეთება როგორც პირველადი, ისე მესამეული ვიქტიმირების ტიპები. ამ საქმის პოლიტიკურ-სამართლებრივ შედეგი კი ის იყო, რომ ბიზანტიის იპერატორი იუსტინიანე ეგრისელთა მიერ სწორად გათვლილი სტრატეგიიდან გამომდინარე იძულებული გახდა მკაცრად დაესაჯა მკვლელები, რითაც აღიკვეთა რევიქტიმიზაციის საფრთხე და ეგრისელთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმებიც ბიზანტიელებზე, რადგან ბიზანტიელები იძულებულნი გახდნენ ეგრისელი ხალხი ბარბაროსების ნაცვლად „კოლხ დარბაისლებად“ მოეხსენიებინათ და ანგარიში გაეწიათ როგორც მოკავშირისათვის.

საკვანძო სიტყვები:ვიქტიმოლოგია, კრიმინოლოგია, ეგრისის მეფე, მსხვერპლი, მკვლელობა, რევიქტიმიზაცია, კოლხი დარბაისლები.

ტერმინი „ვიქტიმოლოგია“ ლათინური წარმოშობისაა („Victim“ „მსხვერპლი,“ „logos“ „სწავლება“) და ნიშნავს მსხვერპლის შესახებ სწავლებას. ვიქტიმოლოგია თავიდანვე მოიაზრებოდა კრიმინოლოგიის ნაწილად და მისი წარმოშობა უკავშირდება XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ინტერაქციონიზმის წარმომადგენლებს, რომლებიც დამნაშავეობის გამომწვევი ფაქტორების კვლევის პროცესში პირველად შეეხნენ მსხვერპლის როლს პიროვნების კრიმინალიზაციაში. მათგან კი აღსანიშნავია ე. სუტერლენდი, რომელმაც 1924

წელს დანაშაულის მსხვერპლს მიუძღვნა მის მიერ გამოქვეყნებული „კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოს“ მესამე თავი.¹

თუმცა, საყოველთაო აღიარებით ვიქტიმოლოგიის დამფუძნებლად ითვლება გერმანელი კრიმინოლოგი ჰანს ფონ ჰენტინგი, რომელმაც 1941 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოაქვეყნა სტატია „დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ინტერაქციასთან დაკავშირებით შენიშვნები,“² 1948 წელს კი მონოგრაფია, სახელწოდებით „დამნაშავესა და მისი მსხვერპლის სოციო-ბიოლოგიური კვლევა,“ სადაც ბოლო ნაწილი, რომლის დასახელებაცაა „მსხვერპლი,“ დათმობილი ჰქონდა ვიქტიმოლოგიის პრობლემებს და პოტენციურ მსხვერპლთა კატეგორიას ჰყოფდა რა სოციალური, პროფესიული და სხვა ნიშნების მიხედვით დანაშაულის პოტენციურ მსხვერპლად გენტინგი მიიჩნევდა გარკვეული კატეგორიის ადამიანებს, კერძოდ, მეძავეებს, ალკოჰოლიკებს, ავანტიურისტული ქმედებისადმი მიდრეკილ პირებს ადა აშ.

მოგვიანებით, ვიქტიმოლოგიის თემატიკა გახდა კიდევ უფრო პოპულარული და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ბ. მენდელსონს, რომელმაც აქტიურად დაუჭირა მხარი ვიქტიმოლოგიის, როგორც ახალი მეცნიერული მიმართულების დაბადებას³.

რუსმა მეცნიერმა დ. რივმანმა კი არამხოლოდ ვიქტიმოლოგიას განუსაზღვრა ადგილი კრიმინოლოგიაში, როცა უწოდა მას კრიმინოლოგიის ცალკე მიმართულება, არამედ დააკონკრეტა მისი საგანიც⁴.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ვიქტიმოლოგიის ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს, რადგან: დასავლეთში მოღვაწე მეცნიერთა კიდევ ერთი ჯგუფი ვიქტიმოლოგიას მიიჩნევს ზოგად თეორიად ნებისმიერი წარმოშობის მსხვერპლთან მიმართებაში, ანუ ორიენტირებულია დაზარალებულის დაცვაზე, იმისდა მიუხედავად არის ის მსხვერპლი თუ არა⁵. რის გამოც გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრიმინალური, სხეულის დაზიანებითი, ფსიქიატრიული, ტექნიკური უსაფრთხოების და ა.შ. ვიქტიმოლოგიები გაერთიანდნენ და ჩამოყალიბდეს ერთიანი ვიქტიმოლოგია, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი⁶;

ნაწილი კი უფრო შორს მიდის და ვიქტიმოლოგიას მიაკუთვნებს დარგთაშორის დისციპლინათა რიგს დამნაშავეს მსხვერპლთან დაკავშირებით, რომელიც ფუნქციონირებს კრიმინალური ვიქტიმოლოგიის პარალელურად და როგორც კრიმინოლოგიის ისე სისხლის სამართლის პროცესისათვის აქვს მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა⁷.

რაც შეეხება საბჭოთა და პოსტსაბჭოურ სივრცეში მოღვაწე მეცნიერებს (მაგ. ლევ ვულფის-ძე ფრანკს (1920-1977 წლები) ისინი ამოდიან იმ პოზიციიდან, რომ ვიქტიმოლოგია თავის დროზე ჩამოყალიბდა კრიმინოლოგიის სფეროში, რის გამოც განვითარება უფრო მეტად მან

¹ Sutherland E., Crimilogu-Pholadelfia,1924.

² Gentig H., Remarks on the Interaction of Pepetrator and victim IThe Iornal of Crimail Law and Criminology-1941-V, 31, P. 303-309

³ Meldensohn B., Un horizon nouveau dans La Science biopsych social la victimology: e-Bucharest, 1947.

⁴ Ривман Д. В., Виктимилоческие факторы и профилактика преступления, М., 1975 г.

⁵ Andrew karmen, 2003, Grime Viqtims: An Intraduction to victimologu: Nadsnorth PublisHing.

⁶ Tomaz L. Under wood, PhD, Cristine Edmands Victim assistance. Explring Individuae Prextike. Organizational Policy and Societal Responses. Spinger PubliShing Compani. 2002.

⁷ Малкина-Пых, Вихтимология психология поведения жертвы-СПВ, Питер, 2017, с. 24-932.

ჰპოვა კრიმინალურ ვიქტიმოლოგიაში, სხვა ვიქტიმოლოგიური მიმართულებები ჯერ კიდევ არ დგანან მყარად ფეხზე, რის გამოც მიიჩნევენ, რომ ვიქტიმოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი ან თუნდაც დისციპლინათა სხვადასხვა დარგებს შორის მყოფ ზოგად თეორიაზე საუბარი ნაადრევია და იგი რჩება კრიმინოლოგიის ჩარჩოებში.

ზემოთქმულიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ვიქტიმოლოგია ორი, კერძოდ, ვიწრო და ფართო მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული. ვიწრო გაგებით ვიქტიმოლოგია გულისხმობს მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლს. ფართო გაგებით კი, როგორც დანაშაულის, ისე უბედური შემთხვევისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მსხვერპლს.

ვიქტიმოლოგიის ცნების თაობაზე, ერთგვაროვანი წარმოდგენის არ არსებობა დიდი ხნის მანძილზე უშლიდა ხელს ვიქტიმოლოგიის ადგილის სწორად განსაზღვრას. მეტიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს სფერო ამოვარდნილი იყო კრიმინოლოგიის ინტერესებიდან და მასზე მსჯელობა მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ასე მაგალითად, გაბატონებული თეორიის თანახმად, რომელიც დაფუძნებულია დანაშაულის პროვოცირებაზე, მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობათა ბუნების კვლევის საკითხი გადატანილი იყო ფსიქოლოგიის სფეროში, ანუ, ეს თეორია ბრალს სდებდა დაზარალებულს დანაშაულის პროვოცირებაში (კერძოდ გაუპატიურების მსხვერპლთან დაკავშირებით), რითაც ამართლებდა ჩადენილ დანაშაულში შერეული პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას.⁸

მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა 1965 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფართო მსჯელობის საგანი გახდა დანაშაულის სტატისტიკის საკითხები და გაირკვა, რომ იმ დანაშაულთა ე.წ „შავმა სიამ“, რომელთა შესახებაც შეტყობინება არ შესულა სამართალდამცავ ორგანოებში, გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს.

ამასთან, ვინაიდან გამოვლინდა ისიც, რომ განსაკუთრებით დიდი იყო სხვადასხვა კლასებსა და ეთნიკურ ჯგუფებს, ქალებსა და მამაკაცებს შორის მსხვერპლთა რიცხვი, დღის წესრიგში დადგა მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობათა ბუნების შემდგომი კვლევის აუცილებლობა, რასაც ასევე უნდა მოეცვა ის შემთხვევებიც, რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა მსხვერპლის მიერ დანაშაულის პროვოცირებაზე.

მოკლედ, რომ ვთქვათ, წინა პლანზე წამოიწია იმის საჭიროებამ, რომ კომპლექსურად მომხდარიყო, როგორც დანაშაულის, ისე დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობათა შესწავლა. ამდენად, მეცნიერთა შორის ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა საკითხი იმის შესახებ, რომ ეს ფუნქცია თავის თავზე უნდა აეღო ვიქტიმოლოგიას, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ერთიანი აზრი არ არსებობდა იმასთან დაკავშირებით თუ რომელ დარგს უნდა მიკუთვნებოდა თავად ვიქტიმოლოგია.

ეს პრობლემა გადაუწყვეტელია დღესაც, ვინაიდან ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უფლებადამცველი თუ სხვა, მაგ. ფემინისტური, ორგანიზაციების გავლენით მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა 1970 წლიდან უარი თქვეს პოზიტიურ ვიქტიმაზიციაზე. მათგან

⁸ სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედაქციო ჯგუფი: ედ. კოდუა და სხვები. გამომცემელი ი. ბერაია), თბ., გამ. „ლოგოს პრესი“, 2004, გვ. 351; 20 სმ-(სოციალურ მეცნიერებათა სერია/რედაქტორი მ. ჩიტაშვილი).

განსხვავებით პოსტსაბჭოთა ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი კი პოზიტიური ვიქტიმიზაციის პოზიციაზე დარჩა, ანუ ე.წ ვიწრო განმარტების მომხრეა და ვიქტიმოლოგიას მიიჩნევს კრიმინოლოგიის ნაწილად.

იმის გამო, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა არ იქნება ეფექტური თუ არ იქნა გამოკვლეული დანაშაულებრივი ქცევის კომპლექსური მიზეზები, ჩვენ ვემხრობით იმ პოზიციას, რომ ვიქტიმოლოგია, ამ ეტაპზე მაინც, განხილული უნდა იქნეს კრიმინოლოგიის ქვედარგად და დამატებით გაგებული უნდა იქნეს სამი მნიშვნელობით, პირველი, როგორც კრიმინოლოგიის ქვედარგი, რომელიც შეისწავლის დამნაშავეს, დანაშაულსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობას,⁹ მეორე, როგორც მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ,¹⁰ მესამე, როგორც სასწავლო დისციპლინა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ვიქტიმოლოგიის შესახებ უკვე არსებული მასალების მოძიება, ტენდენციების წარმოჩენა, ეპოქისა და ცალკეული ისტორიული მოვლენის გაანალიზება ვიქტიმოლოგიის, როგორც კრიმინოლოგიის ქვედარგის განვითარების საქმეში და აშ.

ყოველივე ზემოთქმული, ბუნებრივია, ხელს უწყობს ვიქტიმოლოგიასთან დაკავშირებით მეცნიერული მიღწევების შემდგომ სრულყოფას, თუმცა ვიქტიმოლოგია, ვინაიდან კრიმინოლოგიის ქვედარგია, მას აქვს გარკვეულწილად შეზღუდული, მაგრამ მაინც დამოკიდებული რეგულირების საგანი, კერძოდ ეს საგანი მოიცავს, როგორც დამნაშავეს პიროვნებას, ისე დანაშაულის ჩადენისა და მისი კონტროლის პროცესს. ანუ, ვიქტიმოლოგია შეისწავლის დამნაშავესა და დანაშაულის მსხვერპლის ვინაობას, ამ უკანასკნელის მსხვერპლად გახდომის გარემოს, მის საქციელს, როგორც მსხვერპლად გახდომის მომენტში, ისე მის შემდეგ და მსხვერპლად გახდომით გამოწვეულ შედეგებს.

ვიქტიმირების მსხვერპლი კი შეიძლება იყოს ადამიანი, ორგანიზაცია, საზოგადოება, სახელმწიფო, დანაშაულის შედეგად დაღუპული პირის ოჯახის წევრები და აშ. რაც იძლევა საშუალებას, რომ განვასხვავოთ ვიქტიმირების სამი ტიპი, კერძოდ, ადამიანის პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება, ადამიანის მეორადი (არაძირითადი) ვიქტიმირება და ადამიანის მესამედი (მესამეული) ვიქტიმირება. მათგან პირველადი და მეორადი ვიქტიმირება სახეზეა მაშინ როცა სხვა ადამიანისაგან პირზე განხორციელდა ქმედება. მესამედი, ანუ, როგორც მას უწოდებენ მესამეული ვიქტიმირება კი გულისხმობს ვიქტიმირებიდან გამოწვეულ ფსიქოლოგიურ შედეგს.

ამდენად, მესამედი ვიქტიმირება ადამიანზე განხორციელებული პირველადი, ან მეორადი ვიქტიმირების გაგრძელებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის მსხვერპლს აღარ სჯერა, რომ დამნაშავე დაისჯება და დაცული იქნება დანაშაულისაგან. თუცა, შინაგანად დანაშაულის მსხვერპლი, მაშინაც თუ ამის შესახებ განცხადებას არ აკეთებს, იმის მოლოდინშია, რომ სახელმწიფო დაწესებულებები აღიარებენ მის მიმართ დანაშაულის ჩადენის არსებობას და დაეხმარებიან როგორც მატერიალური ზარალის კომპენსაციაში, ისე ფსიქო-სოციალური მდგომარეობის რეაბილიტაციაში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მსხვერპლმა თავი იგრძნოს მიტოვებულად და რევიქტიმაციის შესაძლო რისკის

⁹ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი /გაეროს განვითარების პროგრამა / (შემდგენელი ს. ურიდია და სხვა, რედაქტორი ვ. გურგენიძე), თბ., 20004, გვ.483. ცხრ.24 სმ(საჯარო მოსამსახურის ბ-კა).

¹⁰ მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის შესახებ, რედაქტორი ვ. თუმანიშვილი, გამ. „მერიდიანი“. თბ, 2011.

ქვეშ მყოფ მეტიც, მძიმე შეურაცხყოფით ღირსებაშელახულ პირად და თავად გადაწყვიტოს სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავეს მიმართ გამოხატულმა სიძულვილმა აიძულოს ჩაიდინოს დანაშაული¹¹.

მით უფრო, რომ პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფა მის არსებაში მიმდინარე ფსიქოლოგიურ პროცესებს უკავშირდება და ამდენად, შეურაცხყოფილი ადამიანის ქცევის პროგნოზირება შეუძლებელია. თანაც ზოგში ეს განცდა იმდენად ძლიერია, რომ სამართლიანობის აღდგენას ძალადობით მოითხოვს. მონდომების მიუხედავად ადამიანი საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობას ვერ გაექცევა, მაგრამ როცა დარწმუნებულია, რომ მას დაიცავს კანონი, შეუძლია დაიოკოს უარყოფითი ემოციები და იმპულსებს გასაქანი არ მისცეს. ხელმყოფის დაუსჯელობა კი, ადუნებს ღირსების შეგრძნებას, უკარგავს ადამიანს წარმოდგენას საკუთარ თავზე და იწყება კონფლიქტი პიროვნებასა და გარემომცველ სამყაროს შორის.

ამდენად, დაზარალებულის დაუცველობა, დანაშაულის მსხვერპლის მიმართვის რეაგირების გარეშე დატოვება, ძვირად უჯდება საზოგადოებას, რომელიც მუდმივად შიშის მოლოდინშია, რომ მძიმედ შეურაცხყოფილი პირი თვითონვე დაიცავს თავს და ლინჩის წესით გაასამართლებს დამნაშავეს¹².

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ვიქტიმოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი კვლევის შედეგების სწორად გამოყენება განაპირობებს არა მხოლოდ დანაშაულის კვების ტენდენციას, არამედ დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ქვეყნის სტაბილურობის თვალსაზრისითაც, რასაც, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა ვიქტიმოლოგიის ცნება, წარმატებით იყენებდნენ ჩვენი წინაპრები.

აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია გუბაზ მეფის მკვლელობის (554 წელი) საქმე, რადგან მასში კარგად არის გამოკვეთილი როგორც პირველადი, ისე მესამეული ვიქტიმირების ტიპები და ვიქტიმირებისთვის დამახასიათებელი სხვა ისეთი რეკვიზიტები რაზედაც ზემოთ იყო საუბარი.

გუბაზ მეფის მკვლელობა და ის პოლიტიკური ვითარება, რომელშიც ეს მკვლელობა მოხდა კარგად არის შესწავლილი, ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, სამართლის ისტორიის სპეციალისტების მიერ, ვიქტიმოლოგიის, ანუ კრიმინოლოგიის თვალსაზრისით კი მისი დეტალური კვლევა არ მომხდარა და ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას ამ მიმართებით.

რაც შეეხება საკვლევ თემას, ანუ რამდენად თავსდება ეს შემთხვევა ვიქტიმოლოგიის ჩარჩოებში, ვიქტიმოლოგიის, როგორც კრიმინოლოგიის ქვედარგისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა პასუხი უნდა გაცეს კითხვაზე, არის თუ არა გუბაზ მეფე და ეგრისის იმდროინდელი მოსახლეობა დანაშაულის მსხვერპლი და ხომ არ არის გუბაზ მეფის მკვლელობა თვით მისი, ან მათივე ქმედებით პროვოცირებული?

¹¹ ა. ჯვარშიშვილი, დანაშაულის მსხვერპლის ფსიქოლოგია, „ვიკიპედია“, 2016, 28 თებერვალი.

¹² კ. მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უმჯეღესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), რედაქტორი გ. ფერაძე, გამ. „მერიდიანი“, თბ., 2005, გვ. 7-8.

თავის მხრივ, დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია რამდენიმე გარემოების გარკვევა, კერძოდ იმის დადგენა: ა) თუ როგორი პოლიტიკური ვითარება იყო იმდროინდელ ეგრისში და რა მიზნები ამოძრავებდა ამ ქვეყნის მიმართ იმ დროინდელი მსოფლიოს ორ უდიდეს იმპერიას-ბიზანტიისა და ირანს; ბ) როგორი იყო ეგრისელი ხალხისა და მისი მეფის მიმართ ბიზანტიისა და ირანის დამოკიდებულება მაშინაც კი, როცა მათ დასახმარებლად მიმართავდა ეგრისის მეფე და ამდენად ისინი სამოკავშირეო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან; გ) თავისუფლებისკენ ლტოლვის მიუხედავად ეგრისელმა ხალხმა შეძლო თუ არა არსებული რეალობის საღად შეფასება და სწორად გათვლილი სტრატეგიის საფუძველზე მეფის მკვლელობის ფაქტის ქვეყნისთვის სასარგებლოდ გამოყენება. ამ მხრივ მოძიებული მასალები კი იძლევა შემდეგ სურათს:

ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის 40-50-იან წლებში, კერძოდ 554 წლამდე ეგრისში მეფობდა დედით რომაელი, გუბაზ II. მას მეფობამ მოუწია რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რადგან, როგორც მთლიანად საქართველოს, ისე ეგრისის სამეფოს ხელში ჩასაგდებად, მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთმანეთს ებრძოდა იმდროინდელ მსოფლიოში ორი უძლიერესი სახელმწიფო-ირანი და ბიზანტია.

გუბაზ მეფე ცდილობდა დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ამას მოწინააღმდეგე ძალების სიძლიერის გამო ვინაიდან ვერ მიაღწია, სპარსეთაგან თავის დასაცავად თავდაპირველად მან ბიზანტიას მიმართა თხოვნით. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-ლმა (527-565 წ.წ.) გაითვალისწინა ეს თხოვნა და მნიშვნელოვნად გაზარდა ეგრისში თავისი სამხედრო კონტიგენტი. თუმცა, ეგრისში დამკვიდრებისთანავე ბიზანტიელებმა დაიწყეს თავხედობა, მეფის საქმეებში ჩარევა, მეტიც, იგი ფაქტობრივად მოსამსახურის მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული და არაფერს ეკითხებოდნენ, რადგან ქვეყანას მართავდნენ განმკარგულებელი სტრატეგოსები, რასაც ემატებოდა ხალხის ყვლეფა, ხოლო ქვეყანაში ჩაყენებული ჯარი ემსახურებოდა არა ეგრისის დაცვას მტრებისგან, არამედ მოსახლეობის და მეფის ბიზანტიელი მოხელეებისადმი მორჩილებაში ყოფნას.

ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია რომაელი სტრატეგოსის ციხეს გადაწყვეტილებამ, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას აეკრძალა თავისუფალი ვაჭრობა და მასზე თავად დააწესა მონოპოლია. აღნიშნულს კი შედეგად ის მოჰყვა, რომ 551 წელს გუბაზ მეფემ ელჩები გაუგზავნა ირანის შაჰს ხოსრო I ანუშირვანს (531-579 წ.წ.), რომლებმაც აუწყეს ამ უკანასკნელს ქვეყანაში შექმნილი აუტანელი მდგომარეობა და ითხოვეს ბიზანტიელების ძალმომრეობისაგან ქვეყნის დახსნაში დახმარება.¹³ ხოსრო I-მა მიიღო ეს წინადადება და 552 წელს შეიჭრა ეგრისში, სადაც გუბაზ მეფის დახმარებით არაერთ ბრძოლაში დაამარცხა ბიზანტიელები. თუმცა, გუბაზ მეფისთვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ ირანელები არ ენდობოდნენ ეგრისელებს, რის გამოც გადაწყვეტილი ჰქონდათ გუბაზ მეფის მკვლელობა და მოსახლეობის მშობლიური მიწა-წყლიდან აყრა, ხოლო მათ ადგილას ირანელების და მისი მოკავშირე ტომების ჩამოსახლება.

¹³ პროკოფი კესარიელი, გეორგიკა, „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტომი III, თბ., 1936, გვ.45.

ირანელთა ძალადობით და მუხანათობით განაწყენებული გუბაზ მეფე კვლავ ბიზანტიის მხარეს გადავიდა. თუმცა, როგორც გაირკვა, ბიზანტიელებმა საჭირო დასკვნები ვერ გამოიტანეს შექმნილი რეალობიდან, რადგან ეგრისში მყოფი ბიზანტიელები წინანდებურად აგრძელებდნენ ქედმაღლობას, დაკავებულნი იყვნენ მოსახლეობაზე ძალადობით და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

ირანელებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და მოულოდნელი იერიშით, 553 წელს, აიღეს ტელეფისის (ახლანდელი ტოლები-ს) ციხე. ვინაიდან, ამ მარცხს გუბაზ მეფე, ბიზანტიელებს აბრალედა, აღნიშნულმა კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა მეფესა და ბიზანტიელ სტრატეგოსებს, კერძოდ რუსტიკესა და მარტინეს შორის, მით უფრო, რომ გუბაზ მეფემ ისინი არაერთხელ ამხილა იმპერატორის წინაშე სამხედრო საქმის არცოდნასა და სიმხდალეში. მათ კი სამაგიერო გადაუხადეს გუბაზ მეფეს იმით, რომ იმპერატორ იუსტინიანესთან გააგზავნეს რუსტიკეს ძმა იოანე და შეუთვალეს „გუბაზი გადაგვიდგა, სპარსელებს მოუძღვება და თუ მის შესაკავებლად რაიმე ზომებს არ მივიღებთ, მთელს ქვეყანას მას გადასცემსო.¹⁴

იმპერატორმა იუსტინიანემ მოინდომა პირადად გარკვეულიყო რეალობაში და იოანეს თავის მოხელეებთან წერილობითი დავალება გამოატანა, რომლითაც გუბაზ მეფის მასთან დაუყონებლივ ჩასვლას მოითხოვდა, თუ ეს უკანასკნელი იმპერატორთან ჩასვლაზე უარს იტყოდა ძალით უნდა წაეყვანათ, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ადგილზე უნდა მოესპოთ, როგორც მტერი.¹⁵

იმპერატორ იუსტინიანეს წერილი გარდა იმისა, რომ კარგად ასახავს ეგრისის მეფის, როგორც მისი მოკავშირის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებას, იგი ფაქტობრივად ხელფებს უხსნიდა ეგრისში მყოფ ბიზანტიელ შეთქმულებს გუბაზ მეფის მკვლელობაში, თუ ისინი გუბაზის ღალატის დამამტკიცებელი მტკიცებულების შექმნას შეძლებდნენ. ამიტომაც იყო, რომ 554 წელს არქეოპოლისიდან 10-12 კილომეტრში, ამჟამად მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნწის ტერიტორიაზე, მდებარე ონოგურისის ციხის აღების თაობაზე სათათბიროდ შეხვედრა შესთავაზეს გუბაზ მეფეს მდინარე ხობისწყლის მიდამოებში. გუბაზ მეფე მცირე ამაღლის თანხლებით მივიდა დათქმულ ადგილზე, მაგრამ ონოგურისის ციხის აღებაში მონაწილეობაზე უარი განუცხადა რუსტიკეს შემდეგი სიტყვებით: ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო მარტო თქვენ შეგეხებათ, რადგან მარტო თქვენ მიგიძღვით ბრალი რაც მოხდა. თქვენ, რომ ასე უგუნურად არ მოქცეულიყავით არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენს წინააღმდეგ მომართული“.

შეთქმულებმა ჩათვალეს, რომ ეს სიტყვები საკმარისი იქნებოდა მათი მტკიცების დასადასტურებლად, რომ გუბაზ მეფე მოღალატე იყო და გუბაზ მეფეს მოულოდნელად ჯერ რუსტიკეს ძმამ, იოანემ ჩასცა მკერდში მახვილი, ცხენიდან ჩამოვარდნილს კი იქვე მყოფმა რომაელმა მეშუბემ მახვილით გაუჩეხა თავი და ბოლო მოუღო.

იმპერატორ იუსტინიანეს წინაშე თავის მოსაწონებლად და, როგორც მისი ისე ეგრისის მოსახლეობისთვის იმის საჩვენებლად, რომ მხოლოდ გუბაზ მეფის ღალატი უშლიდა მათ ხელს ონოგურისის ციხის აღებაში, ბიზანტიელმა სარდლებმა 50 000 კაციანი ლაშქრით

¹⁴ იგივე ნაშრომი, გვ. 46.

¹⁵ იგივე ნაშრომი, გვ. 47.

იერიში მიიტანეს ონოგურისის ციხეში განთავსებულ ირანელთა 3 000 კაციან გარნიზონზე, თუმცა სამარცხვინო მარცხი განიცადეს.

როგორც ეტყობა, ეგრისელებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და ფაქტობრივად ულტიმატუმი წაუყენეს რომის იმპერატორს, რომ მოკლული მეფის ნაცვლად ტახტზე მისი უმცროსი ძმა წათე დაემტკიცებინა, მკვლელობაში მხილებული ბიზანტიელი მოხელეები კი მკაცრად დაესაჯა, ხოლო იმის საჩვენებლად, რომ გუბაზ მეფის მკვლელობით ადგილობრივი მოსახლეობისა და თვით მეფისადმი ბიზანტიელთა მიერ გამოჩენილი უპატივცემლობით დაზარალებულად თვლიდა თავს არა მხოლოდ სამეფო კარი არამედ ეგრისის მთელი მოსახლეობა, კავკასიის ერთ-ერთ ხეობაში შეკრიბეს დიდძალი ხალხი, სადაც გამომსვლელი ორატორები, მათგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ ირანთან კავშირის მომხრე აიეტი და ბიზანტიის მომხრე ფარტაზი, ერთმანეთს ადარებდნენ ბიზანტიელთა და ირანელთა „ცოდვებს“, თუმცა, საბოლოოდ მაინც შეთანხმდნენ, რომ ერთმორწმუნე ბიზანტიის მოკავშირედ დარჩენილიყვნენ, თუკი მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ გუბაზ მეფის ქმედებები იმ მიმართებით, რომ თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის იბრძოდა და დაუნდობლად ამხელდა ამ საქმეში ხელშემშლელ ბიზანტიელ მოხელეებს და, რომ მისმა ამგვარმა ქცევამ განაპირობა ბიზანტიელ მოხელეთა მხრიდან მისდამი იმ ზომამდე განაწყენება, რომ მათ გადაწყვიტეს ამ უკანასკნელის მკვლელობა, ერთის მხრივ ადასტურებს, რომ გუბაზ მეფე მთელ ეგრისელ ხალხთან ერთად იყო ბიზანტიელ მოხელეთა პირველადი ვიქტიმირების მსხვერპლი, რამაც უარი ათქმევინა მას სამოკავშირეო ვალდებულებები შესრულებაზე, თუმცა, მისი ქმედება, როგორც სასამართლო პროცესზეც დადასტურდა, ნაკარნახები იყო საკუთარი და თვით მისი მოკავშირის, ანუ ბიზანტიის იმპერიის ინტერესების დაცვის აუცილებლობით, რის გამოც ვინაიდან ადგილი ჰქონდა მართხომიერ მხილებას, გუბაზ მეფის მკვლელობა ვერ ჩაითვლებოდა დამნაშავეთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების არგუმენტად.

შესაბამისად, ეგრისელებმა დაიწყეს მესამეული ვიქტიმირების პროცესი, როცა მოითხოვეს მეფედ გუბაზის ძმიშვილის დამტკიცება და დამნაშავეთა მკაცრად დასჯა, რითაც დაუტოვეს ერთგვარად „სახის შენარჩუნების“ შანსი ბიზანტიას, როგორც სახელმწიფოს და მის იმპერატორს იუსტინიანე პირველს.

რაც შეეხება ულტიმატუმს, ეს ტერმინი ოფიციალურად გამოყენებული არ ყოფილა, თუმცა, რეალურად მართლაც ულტიმატუმს, რომ ჰქონდა ადგილი, აღნიშნულს თუნდაც ის გარემოება ცხადყოფს, რომ იმ მდგომარეობის გათვალისწინებით რაშიც ბიზანტიის სახელმწიფო აღმოჩნდა, თუ მას სურდა დარჩენილიყო გეოპოლიტიკურად მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ რეგიონში, უნდა მიეღო შეთავაზება.

წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ ეგრისის მოკავშირეობა ეთხოვა ირანელებისათვის, რომლებიც ისედაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და ერთობლივი ძალით გაენადგურებინათ ბიზანტიელთა ჯარი.

იუსტინიანე I გონიერი კაცი იყო, ამდენად მისი შემდგომი ქცევა იძლევა ვარაუდის საფუძველს ითქვას, რომ იგი დარწმუნდა იმ რეალობაშიც, რომ როგორც გუბაზ მეფის, ისე ეგრისის მოსახლეობისადმი ბიზანტიელი მოხელეების და თვით ბიზანტიის იმპერიის

დამოკიდებულება ეწინააღმდეგებოდა სამოკავშირეო ვალდებულებებს, რის გამოც გუბაზ მეფისთვის ღალატში ბრალის დადებისა და მის მკვლელობაში დამნაშავე პირთა დაუსჯელობის შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა თავს იგრძნობდა მოკავშირე ბიზანტიისგან მიტოვებულად და მძიმე შეურაცხოფით ღირსებაშელახულად.

ამიტომაც, ვინაიდან აშკარად იგრძნობოდა ისიც, რომ ეგრისის მოსახლეობას, რომელიც მოკლულ გუბაზ მეფესთან ერთად თავს მიიჩნევდა ბიზანტიელი მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლად, არ სჯეროდა, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ და შემდგომშიც დაცულნი იქნებოდნენ მსგავსი დანაშაულისაგან, მომავალში ეგრისელთა მხრიდან მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის აღკვეთისა და იმაში დასარწმუნებლად, რომ მათი, როგორც დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ თანამედროვე ტერმინით, რომ ვთქვათ რევიქტიმიზაცია უახლოეს მომავალში არ იყო მოსალოდნელი, იმპერატორმა ეგრისელებს შეუსრულა ყველა მოთხოვნა, პატივით დაამტკიცა გუბაზის ძმა წათე ეგრისის მეფედ და დიდძალი საჩუქრებით გამოისტუმრა. თან კი გამოაყოლა რომელიც მოსამართლე ათანასი და სხვა სამართალდამცავები, რომლებმაც ჩასვლისთანავე დააპატიმრეს რუსტიკე და მისი ძმა.

ზემოთქმული და ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე გამომსვლელმა ბრალმდებლებმა ეგრისში განხორციელებული დანაშაულები ჩამოაშორეს რომაელ ხალხს და გამოიჩინეს იმპერატორისგანაც, ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ვარაუდს, რომ გუბაზ მეფის მკვლელობის საქმე იყო მოკავშირე მხარეებს შორის კონსესუსის შედეგი, რომლითაც ბიზანტია მართალია თავისი ქმედებით აღიარებდა, რომ არასწორად იქცეოდა ეგრისელებთან მიმართებაში, თუმცა გარეგნულად ბიზანტიას და მის იმპერატორს გარკვეულწილად „სახე, რომ შეენარჩუნებინათ“ სასამართლოს დამნაშავედ უნდა ეცნო მხოლოდ რუსტიკე და მისი თანამზრახველები. კერძოდ, აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე ბრალმდებელთა მხრიდან არაერთხელ გაიჟღერა, რომ „იმპერატორმა თავად უზრუნველყო საქმის გამოძიება და რომაული კანონების მიხედვით სასამართლო პროცესის ჩატარება“, მეტიც, ერთმა ბრალმდებელმა მოსამართლეს პირდაპირ განუცხადა, რომ „თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა მკვლელობის გეგმაში. არც მთელ რომაელ ერს მიეწერება ეს ბოროტმოქმედება, ჩადენილი ამათ მიერ“ „...პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლანდელი სამსჯავროც ხალხის საერთო დიდებისთვის მოაწყვეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასოდეს არ გდომებიათ კოლხებს ასეთი საშინელი ძალადობა განეცადა“.

ამასთან, ბრალმდებლებს მოსამართლისათვის არც იმის შეხსენება დავიწყებიათ, რომ „შესაძლებელია ეხლა ბევრის აზრი, ხან აქეთ იხრებოდეს, ხან იქით, გაურკვეველი და მერყევი იყოს, მაგრამ მსაჯულო, როდესაც შენი მსჯავრის მიხედვით ისინი მოკლული იქნებიან, უფრო გასაგები შეიქმნება, რომ თქვენ მოდალატეები კი არა ხართ, არამედ უსამართლოდ მომქმედთა მომთვინიერებელნი“¹⁶.

ამდენად, გუბაზ მეფის უშუალო მკვლელის იოანეს, ამ დანაშაულის ორგანიზატორ რუსტიკეს და სხვა თანამზრახველთა ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი და ასეც მოხდა,

¹⁶ გ. ფერაძე, პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვევი I (VI-XVIII საუკუნეები), რედაქტორი ნ. სურგულაძე, საქართველოს პროკურატურა, თბ., 2017, გვ. 12-14,17.

რადგან სასამართლომ მათ მიმართ გამოიტანა სასიკვდილო განაჩენი. ყოველივე ამით კი უდავოდ დადასტურდა ისიც, რომ ეგრისელებმა თავიანთი გონივრული სტრატეგიით აიძულეს ძლევამოსილი რომის იმპერია გუბაზ მეფე და მისი ქვეშევრდომები ელიარებინა სისტემური და განგრძობადი ვიქტიმიზაციის მსხვერპლად. ამასთან თავიდან იქნა აცილებული რევიქტიმიზაციის და ასევე ეგრისელთა მხრიდან შურისძიების საფრთხე, რადგან ეგრისელებში სახიფათოდ აკუმულირებული აგრესია ჩაცხრა მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულზე სწრაფად და ობიექტურად რეაგირების გამო.

ზემოთქმულს გარდა იმისა, რომ სამართლიანობა აღსდგა, მოჰყვა პოლიტიკური თვალსაზრისითაც თვალსაჩინო შედეგი კერძოდ, გუბაზ მეფის საქმის გამოძიებამ, პროცესზე გამოსულ კოლხ (ბიზანტიელები ეგრისელებსა და ლაზებსაც კოლხებად მოიხსენიებდნენ ძველი კოლხეთის გავლენით) ბრალმდებელთა თავშეკავებულობამ, მათმა მჭერმეტყველებამ და როგორც რომაული ისე ადგილობრივი კანონების შესანიშნავად ცოდნისა და გამოყენების უნარმა, ბიზანტიელები დაარწმუნა, რომ მათი მოკავშირე ეგრისელი ხალხი ბარბაროსები კი არ იყვნენ, როგორადაც მას მიიჩნევდნენ ბიზანტიელები, არამედ უაღრესად განათლებული და თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები.

ჩვენი აზრით, ამის მატერიალური დადასტურება კი დაგვიტოვა თავად იურისტმა აგათია სქოლასტიკოსმა, რაც დასტურდება იმით, რომ იგი იმდენად მოხიბლულა სასამართლო პროცესზე ბრალმდებლების გამოსვლით და მასზე დამსწრე მოსახლეობის ქცევით, რომ ამ ორ ბრალმდებელში განაზოგადა მთელი ერი როცა „დარბაისელ კოლხებად“ მოიხსენია¹⁷. რითაც თავის თანამემამულეებს უჩვენა, რომ ისინი ეგრისელებს არასწორად მიიჩნევდნენ ბარბაროსებად, რადგან ბრალდებულის სკამზე მსხდომთაგან განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებდნენ, თუ რა დიდი სარგებელი მოუტანეს თავის ქვეყანას და ზოგადად სახელმწიფო საქმეებს გუბაზ მეფის მოკვლით, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად იყვნენ აღშფოთებულები, არ ჰყვებოდნენ ემოციებს, შეინარჩუნეს სიმშვიდე და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკის წინა პლანზე წამოწევით თვალსაჩინო გახადეს ამ ქმედებით თუ როგორი უნდობლობა დათესეს განსასჯელებმა რომის მოკავშირეობის მსურველთა ბანაკში, რითაც იზარალა თავად რომმა, რადგან, „შესუსტდა მისი „ძალღონე“ და „მან დაკარგა რეგიონში თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა“.

¹⁷ აგათია სქოლასტიკოსი. გეორგია, „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტომი III, თბ., 1936, გვ. 34.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Sutherland E., Crimilogu-Pholadelfia, 1924.
2. Gentig H., Remarks on the Interaction of Pepertrator and victim IIThe Jornal of Crimail Law and Criminology-1941-V, 31, P. 303-309
3. Meldensohn B., Un horizon nouveau dans La Science biopsych social la victimology: e-Bucharest, 1947.
4. Ривман Д. В., Виктимилоческие факторы и профилактика преступления, М., 1975.
5. Andrew karmen, 2003, Grime Viqtims: An Intraduction to victimologu: Nadsnorth PublisHing.
6. Tomaz L. Under wood, PhD, Cristine Edmands Victim assistance. Explring Individuael Prextike. Organizational Policy and Societal Responses. Springer PubliShing Compani. 2002.
7. Малкина-Пых, Вихтимология рсихология поведения жертвы-СПВ, Питер, 2017, С. 24-932.
8. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედაქციო ჯგუფი: ედ. კოდუა და სხვები. გამომცემელი ი. ბერაია), გამ. „ლოგოს პრესი,“, თბ., 2004 , გვ. 351; 20 სმ-(სოციალურ მეცნიერებათა სერია/რედაქტორი მ. ჩიტაშვილი).
9. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი /გაეროს განვითარების პროგრამა /(შემდგენელი ს. ურიდია და სხვა, რედაქტორი ვ. გურგენიძე), თბ., 2004, გვ. 483. ცხრ. 24 სმ (საჯარო მოსამსახურის ბ-კა).
10. მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის შესახებ, რედაქტორი გ. თუმანიშვილი, გამ „მერიდიანი“. თბ., 2011.
11. ა. ჯვარშიევილი, დანაშაულის მსხვერპლის ფსიქოლოგია, „ვიკიპედია“, 2016, 28 თებერვალი.
12. პ. მონიავა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), რედაქტორი გ. ფერაძე, გამ. „მერიდიანი“, თბ., 2005.
13. პროკოფი კესარიელი, „გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტომი III, თბ., 1936 .
14. აგათია სქოლასტიკოსი, „გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტომი III, თბ., 1936.
15. გ. ფერაძე, პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვევი I (VI-XVIII საუკუნეები), რედაქტორი ნ. სურგულაძე, საქართველოს პროკურატურა, თბ., 2017.

The Essence of Victimology, an Issue Related to Define its Place, the King of Colchis, Gubazes II, a Victim of First Victimization Known in the Georgian Reality until Today and the Political-Judicial Consequences of his Assassination

Polikarpe (Temur) Moniava

The work has been devoted to the essence of victimology and the issue to define its place, because the part of the scientists (for example, Mendelson) has supported victimology, as an idea of new scientific direction, the second group (for instance, Malkina- Pikh) has fallen victimology under the interdisciplinary sphere, and the third group (for example Rivman) has mentioned it as a separate direction in criminology.

The author takes side with the opinion that victimology must be under the sub-discipline status of criminology, as taking into consideration its study results determines tendency to reduce crime and it can play a significant role in terms of political stability of the country, which had been applied successfully by our ancestors.

For illustration of the aforesaid, in this work, in 554, based on the complex study of the analysis for the reasons giving rise to the murder of the king, Gubazes II of Colchis by the Byzantian servants, it has been shown that, in this case, primary as well as tertiary types of victimization are revealed. The political-judicial consequences of this case were the facts that the emperor of Byzantium, Justin had been forced to punish strictly the killers due to the strategy correctly anticipated by the people of Colchis in order to prevent the treat of re-victimization and expected attacks against the Byzantians by the people of Colchis and the Byzantian people were under the necessity to call the inhabitants of Colchis as “honored people of Colchis” and consider them as an ally.

Key words: Victimology, Criminology, King of Egrisi, Victim, Murder, Revictimization.

დაზარალებულის მდგომარეობის პროცესუალური რეგლამენტაცია გერმანიისა და საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობებში

პროფესორი, დოქტორი გიმზერ ალანია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Gimzer Alania, Sokhumi State University, The dean of law faculty, Georgian Academy of Criminology Sciences,

თანამედროვე ისტორიის შედარებით მოკლე დროში დანაშაულის მსხვერპლის მიმართ კანონმდებლობამ და პრაქტიკამ განიცადა პოზიტიური ცვლილებები, რამაც განაპირობა ის, რომ მათ მიმართ ამდღა არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი სტატუსი, პირველხარისხოვან პრინციპად დაისახა დანაშაულის მსხვერპლთა მაქსიმალურად ყურადღების მიქცევა, პატივისცემა და მხარდაჭერა. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ არა მარტო გაუმჯობესდა დანაშაულის მსვერპლთა სამართლებრივი სტატუსი, არამედ მათზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის გამოინახა ფინანსური სახსრები.

ამ მიმართებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წლის 29 დეკემბერს მიღებული დეკლარაცია „ხელისუფლების დანაშაულისა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები“, სადაც განხილულია მსხვერპლთა მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები.

დაზარალებულის სტატუსი გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით საკმაოდ ფართეთაა წარმოჩენილი და ის დამოუკიდებელ საპროცესო საქმიანობის სუბიექტად გვევლინება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე წიგნი მთლიანად ეძღვნება დაზარალებულის ინსტიტუტს, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პროცესში ის გამოდის, როგორც კერძო ბრალმდებელი, ანდა თანამბრალდებელი, ამავე დროს გერმანიის სსს კ # 403-ეს თანახმად უფლებამოსილია მიიღოს მიყენებული ზიანის კომპენსაცია სრული მოცულობით.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული არ წარმოადგენს საპროცესო საქმიანობის სუბიექტს, მაგრამ სისხლის სამართალწარმოების პროცესში ის გამოდის, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე, რომელიც ფართო უფლებებით სარგებლობს.

ნაშრომში განხილულია ორივე ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაზარალებულის უფლებამოსილება.

საკვანძო სიტყვები: დაზარალებული, გერმანია, საფრანგეთი, სისხლის სამართალი, საპროცესო კანონმდებლობა.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე დანაშაულის მსხვერპლთა პრობლემატიკას სულ უფრო მეტი ყურადღება მიექცა საზოგადოების, კანონმდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. შემუშავებული და წამოყენებული იქნა მრავალი წინადადება,

რომლის მიზანიც დანაშაულის მსხვერპლის უკეთ დაცვა და, შესაბამისად, ალტერნატიული სისტემების შესამუშავებლად იყო გამოზნული. სხვადასხვა რეგიონებსა თუ ქვეყნებში გამოჩნდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეროვნული თუ საერთაშორისო ინიციატივები, რომლის მიზანიც იყო აღნიშნული სფეროს პოლიტიკის სრულყოფა.

შედარებით მოკლე დროში დანაშაულის მსხვერპლათა მიმართ კანონმდებლობამ და პრაქტიკამ განიცადა პოზიტიური ცვლილებები, რამაც განაპირობა ის, რომ მათ მიმართ ამდღა არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი სტატუსი. უპირველეს პრინციპად დაისახა დანაშაულის მსხვერპლთა მაქსიმალური ყურადღების მიქცევა, პატივისცემა და მხარდაჭერა¹. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ გაუმჯობესდა დანაშაულის მსხვერპლთა სამართლებრივი სტატუსი და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოინახა ფინანსური სახსრები.

ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია გაეროს მიერ 1985 წლის 29 დეკემბერს მიღებული დეკლარაცია "ხელისუფლების დანაშაულებისა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები", რომელშიც ჩამოყალიბებულია მსხვერპლთა მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები.

დაზარალებულის სტატუსი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით საკმაოდ ფართოდაა წარმოჩენილი და ის მნიშვნელოვან საპროცესო საქმიანობის სუბიექტად გვევლინება; დაზარალებულის ინსტიტუტს დათმობილი აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე წიგნი, რომელშიც ის გამოდის "კერძო ბრალდების", "თანაბრალეულობის" სტატუსით (შესაბამისად, კერძო და საჯარო ბრალდების საქმეები), ანდა სამოქალაქო მოსარჩელედ. ამასთანავე, როგორც დაზარალებულს, ასევე მის უფლებამონაცვლეს, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 403-ე პარაგრაფით უფლება აქვთ სისხლის სამართალწარმოების პროცესში ბრალდებულს წაუყენოს მოთხოვნა - სარჩელი დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივ-სამართლებრივი ზიანის სრულად ანაზღაურების შესახებ².

ამდენად, როგორც აშკარად ჩანს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით, დაზარალებულის უფლებამოსილება ფართოდაა წარმოჩენილი, რაც უცნობია ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნებისათვის, მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, დაზარალებული უფლებამოსილია, რომ მის მიმართ ისეთი სახის დანაშაულის ჩადენისთვის, როგორცაა შეურაცხყოფა, მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა, სხეულის დაზიანება, მუქარა და ა.შ. სასამართლოში სარჩელის წარდგენით თვითონ განახორციელოს კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა ისე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით არ მიმართოს პროკურორს. ასეთივე უფლებით სარგებლობს დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელიც.

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში დაზარალებული უფლებამოსილია იყოლიოს ადვოკატი. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა აღიძვრება ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ანდა საბრალდებო დასკვნით, რომელშიც მითითებულია არა მარტო ბრალდების ფორმა (ბრალდებული, მასზე შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება და

¹ Friday P., Victimology as an Encompassing Concori in global perspectives in Victimology ABC publication, 1993, P.3

² Уголовно-процессуальный кодекс ФРГ, М., 1994, С. 164

სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას ბრალდებულის მიმართ), არამედ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, იმ სასამართლოს აღნიშვნა, სადაც უნდა იქნეს განხილული ქვემდებარე საქმე და მასზე გამომსვლელი ადვოკატის აღნიშვნით. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 377-ე პარაგრაფის შესაბამისად, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს პროკურორი არ ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ ის უფლებამოსილია განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ჩაერთოს საქმეში და მან განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, რა დროსაც კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა გადაიქცევა საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნად.

კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული) სარგებლობს უფლებით მოიწვიოს მოწმეები და ექსპერტები, აცილება მისცეს სასამართლოს, სააპელაციო წესით გაასაჩივროს პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი განაჩენი, გარდა გერმანიის უზენაესი სასამართლოსა და მიწების უზენაესი სასამართლოს განაჩენები, თუ კი საქმეები პირველი ინსტანციის წესით განიხილეს. დაზარალებული ასევე უფლებამოსილია სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე გამოითხოვოს თავისი კერძო საჩივარი, გამოთხოვილი ბრალდების ხელმეორედ წარდგენა და აღძვრა აკრძალულია (სსსკ § 392).

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს დაზარალებული გამოდის როგორც თანაბრალმდებელი. ის უფლებამოსილია დაესწროს სასამართლო პროცესს, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, იყოლიოს წარმომადგენელი, აცილება მისცეს სასამართლოს და ექსპერტს, შეკითხვები მისცეს და წარადგინოს თავისი მოსაზრებები სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებებზე, უარყოს ესა თუ ის შეკითხვები, თუ კი მის მიმართ აქვს უარყოფითი მოსაზრებები, მტკიცებულებათა წარდგენის მიზნით განაცხადოს შუამდგომლობა, მისცეს განმარტება და მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში. აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაზარალებული თანაბრალმდებელი უზრუნველყოს ადვოკატის მომსახურებით და სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება³.

დაზარალებული უფლებამოსილია წარადგინოს საჩივრები იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებზედაც თავის დროზე სასამართლო განხილვის დროს უარი ეთქვა ან/და საქმე შეწყდა წარმოებით. წარმოებით შეწყვეტილ საქმეზე დაზარალებულს უფლება აქვს გაასაჩივროს ის გადაწყვეტილებები, თუ შეწყდა დანაშაულის შემთხვევის არ არსებობის ანდა სისხლის სამართლის კანონში შეტანილი ცვლილებებისას. ორივე შემთხვევაში კანონი უშვებს დაზარალებულმა ასეთი გადაწყვეტილებები გაასაჩივროს, მიუხედავად პროკურორის რეაქციისა (სსსკ § 401).

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დაზარალებული არ ითვლება სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის სუბიექტად, მისი სამართლებრივი უფლებების რეალიზაცია ხდება სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, დაზარალებული უფლებამოსილია მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების ანდა სხვა გადაცდომის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით სასამართლოში შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი⁴.

³ Квашис В. С. Основы Виктимологии, изд. дом Nota bene., М., 1999, С. 32.

⁴ Уголовный-процесуалльный кодекс Франции, М., прогресс, 1967, С. 23

სამოქალაქო სარჩელი შეიძლება შეეხოს დაზარალებულის ნებისმიერი სახის ზარალს - ქონებრივს, ფიზიკურს ანდა მორალურს, თუ კი ეს ზარალი გამოწვეულია ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად (სსსკ მე-3 მუხლი).

ნებისმიერი პირი, რომელიც თვლის, რომ მან დანაშაულის ან/და გადაცდომის შედეგად მიიღო ზიანი, სსსკ 85-ე მუხლის თანახმად, შეუძლია მოსამართლე გამომძიებელთან შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი და სამართალწარმოების პროცესში გამოვიდეს სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსით. დაზარალებული სამოქალაქო მოსარჩელედ შეიძლება ცნობილი იქნეს სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, ისე რომ ამის შესახებ არ ეცნობოს სხვა მხარეს, რომელთაც უფლება ეძლევათ უარყონ სამოქალაქო სარჩელი. დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობს მოსამართლე გამომძიებელი, რომელიც ვალდებულია ამის შესახებ გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება⁵.

დაზარალებულს - სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, რომელიც შეიძლება იყოლიოს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე (წარმომადგენლების ოდენობას კანონი არ ზღუდავს). ამასთანავე, მოსარჩელეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს მისცეს ჩვენება; მონაწილეობა მიიღოს დაპირისპირებაში (მაგრამ აუცილებლად წარმომადგენლის დასწრებით); იყოლიოს თარჯიმანი; წარადგინოს შუამდგომლობა და გამოთქვას თავისი მოსაზრებები ექსპერტის დასკვნაზე, ასევე, უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა; მიიღოს მოსამართლე გამომძიებლის მიერ გამოტანილი ყველა დადგენილება; შეიტანოს საჩივრები სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურების, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებაზე, თუ კი ესენი დაიცავენ სამოქალაქო მოსარჩელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს (სსსკ 186-ე მუხლი).

დაზარალებულის (სამოქალაქო მოსარჩელის) უფლებამოსილება საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დიფერენცირებულია იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის დანაშაულია ჩადენილი და რომელი დონის სასამართლო შემადგენლობა იხილავს სისხლის სამართლის საქმეს. ასე მაგალითად, თუკი საქმეს იხილავენ ნაფიცი მსაჯულები, სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს გადაიღოს საქმის მთლიანი მასალების პირები; მიიღოს ბრალდებულის მიერ სასამართლოში მოსაწვევ მოწმეთა სია; წარმომადგენელთა ერთად მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში; შეკითხვები მისცეს მხარეებს; განაცხადოს შუამდგომლობა, რომლის შესახებაც სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს დადგენილება; გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წარმოქმნილ საკითხებზე; წარადგინოს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში; ასევე მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში; მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკავშირდება.

მას შემდეგ, რაც ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ გადაწყვეტილებას წარდგენილი სარჩელის შესახებ, იღებენ ასევე გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ბრალდებულმა მთლიანი მოცულობით სამოქალაქო მოსარჩელეს (დაზარალებულს) აუნაზღაუროს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალი. ასეთ შემთხვევაში, თუკი სისხლის სამართლის საქმეს იხილავს გამასწორებელი ტრიბუნალები, სამოქალაქო მოსარჩელეს (დაზარალებულს)

⁵ Квашиш В.С., основы виктимологии, изд. дом дом Nota bene., М., 199, С. 53.

უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვის პროცესში (შუამდგომლობა), დაზარალებულის ცნობა სამოქალაქო მოსარჩელედ რეგისტრირდება სპეციალური დოკუმენტით. თუ კი დაზარალებული ცნობილი იქნა სამოქალაქო მოსარჩელედ, არ შეიძლება ის დაიკითხოს მოწმის სახით. გამასწორებელ სასამართლოში საქმის განხილვის დროს სამოქალაქო მოსარჩელე უფლებამოსილია სადავო გახადოს სხვა პირის ცნობა სამოქალაქო მოსარჩელედ; იყოლიოს წარმომადგენელი; მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში; უარი თქვას სარჩელზე; მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში; მიიღოს ნაწილობრივ ან მთლიანი მიყენებული ზარალის ანაზღაურება; სააპელაციო წესით გაასაჩივროს გამასწორებელი სასამართლოს განაჩენი; საქმის სააპელაციო სასამართლოს განხილვაში მიიღოს მონაწილეობა⁶.

დაბოლოს, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას საპოლიციო ტრიბუნალში სამოქალაქო მოსარჩელე სარგებლობს იგივე უფლებით, რითაც ის სარგებლობდა გამასწორებელ ტრიბუნალში საქმის განხილვისას, საქმის განხილვის დასაწყისში, სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მისცეს წინადადება პროკურორს ან/და სამოქალაქო მოსარჩელეს პირადად განსაზღვროს ანდა მიიღოს ღონისძიებები დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობის დასადგენად, შეადგინოს ამის შესახებ ოქმი, რომლის რეალიზაციისათვის ჩაატაროს ნებისმიერი გადაუდებელი მოქმედება.

საფრანგეთის კანონმდებელი ეყრდნობა შემდეგ გამონათქვამებს "le penal tient le civil etal" (სამოქალაქო სარჩელმა უნდა დაუცადოს სისხლის სამართალწარმოების შედეგს⁷.

აღსანიშნავია, რომ ჰამერის (hamer) საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაუხვია ამ პრეცედენტს, რომელიც მსხვერპლს აძლევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით სარგებლობის საშუალებას. ამ საქმეში განმცხადებელს არ დაუყენებია ზიანით ანაზღაურების მოთხოვნა სისხლის სამართალწარმოებაში, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაეცა, მის დასრულებამდე, სანამ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის წარდგენას შეძლებდა. სასამართლოს მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ სისხლის სამართალწარმოების შედეგი მოცემულ საქმეში არ იყო გადამწყვეტი სამოქალაქო სარჩელისათვის.⁸

სხვა საქმეში აიტ-მუჰუბი საფრანგეთის წინააღმდეგ, სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი გამოიყენებოდა. განმცხადებელმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა დათვლილი ზიანის ოდენობა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სისხლის სამართალწარმოების შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მიღებისათვის⁹. შ. ტრეჟელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არადაამაჯერებლად მიაჩნია და

⁶ Осишкин В.И. Потерпевший. Серия "Современные стандарты в уголовном праве и уголовном процессе", СПб, 1998. С. 18

⁷ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4(2) მუხლი, იხ. პერეზი (perez) საფრანგეთის წინააღმდეგ

⁸ ჰამერი (Hamer) საფრანგეთის წინააღმდეგ. იხ. შ. ტრაქსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. გამ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად, თბ., 2010, გვ.61

⁹ აიტ-მუჰუბი საფრანგეთის წინააღმდეგ, წიგნში: შ. ტრაქსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად. თბ., 2010, გვ.61

თვლის, რომ სასამართლომ მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითა, რომ ბრალდებულის მსჯავრდება მსხვერპლს საშუალებას მისცემდა მიეღო კომპენსაცია სამოქალაქო სამართალ-წარმოების წესით, თუმცა იგივეს თქმა შეიძლებოდა განმცხადებელზე ჰამერიის საქმეშიც¹⁰.

ამდენად, როგორც დავრწმუნდით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობებით გათვალისწინებულია დანაშაულის მსხვერპლის, დაზარალებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები, ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაზრდასთან ერთად შეინიშნება პოტენციალური კონფლიქტური სიტუაციები, ერთის მხრივ, დანაშაულის მსხვერპლისა და მეორე მხრივ, ბრალდებულს შორის, ასეთი სახის პოტენციალური კონფლიქტები შესაძლებელია გამოვლინდეს სხვადასხვა ასპექტებში, მათ შორის:

ა) დაზარალებულის უსაფრთხოების დაცვა ბრალდებულის შემდგომი მართლ-საწინააღმდეგო ქმედებისა და ბრალდებულის უფლების მისწრაფებისაგან შეიცვალოს აღკვეთი ღონისძიება, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ იქნება დაკავშირებული;

ბ) დაზარალებულის უფლება დარჩეს ინკოგნიტოდ, ბრალდებულის უფლება და მოთხოვნა სამართლიანი სასამართლოს განხილვის შესახებ და, რაც მთავარია, საქმის საჯაროდ განხილვა;

გ) დაზარალებულის უფლება საქმის სასწრაფო განხილვის შესახებ და ბრალდებულის უფლება საქმის მასალების გასაცნობად მიეცეს საკმარისი დრო დაცვის ფუნქციის განხორციელების მიზნით¹¹.

ზემოთ მოყვანილია მხოლოდ დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის პოტენციური ხასიათის წინააღმდეგობები, რომლებიც ბუნებრივია ხელს უშლის დაზარალებულის უფლებების შემდგომ გაზრდას. საკითხის პრობლემა მდგომარეობს მასში, რომ უნდა გამოიძებნოს ინტერესთა რაც შეიძლება მეტი ბალანსი, დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაბალანსებლად.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება დაზარალებულის უფლებების გაფართოების შესახებ,¹² კიდევ მეტი ცალკეული მკვლევარი მოითხოვს დაზარალებულს მიენიჭოს ბრალდების მხარის სტატუსი¹³, ვფიქრობ, ამ მიმართულებით საინტერესოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით დარეგულირებული დაზარალებულის სტატუსი და ალბათ კარგი იქნება, თუ კი ქართველ კანონმდებელი გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებას განხორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

¹⁰ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად. თბ., 2010, გვ.61

¹¹ Квашис В. С. Основы Виктимологии, изд. дом Nota bene., М., 1999, С. 119.

¹² მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წელთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2012

¹³ მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ზ. მელქაძე, ლომიძე ნ. სისხლის სამართლის პროცესის პოლიტიკა არსებითად შესაცვლელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XI, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური სერია 2013-2014, გვ. 624-630.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Friday P., Victimology as an Encompassing Concori in global perspectives in Victimology ABC publication, 1993
2. Уголовно-процесуальный кодекс ФРГ, М., 1994
3. Уголовный-процесуалцный кодеякс Франии, М., прогресс, 1967
4. Квашис В. С. Основы Виктимологии, изд. дом Nota bene., М., 1999
5. Осипкин В.И. Потерпевший. Серия "Современные стандарты в уголовном праве и уголовном процессе", СПб, 1998
6. შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. გამ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად, თბ., 2010
7. მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წელთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2012
8. მ.მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ზ. მელქაძე, ნ. ლომიძე. სისხლის სამართლის პროცესის პოლიტიკა არსებითად შესაცვლელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XI, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური სერია 2013-2014, გვ. 624-630.

Procedural Regulation of Aggrieved According to Procedural Legislation of Germany and France

Gimzer Alania

During the comparatively short time of modern history, the legislation and practice of crime against the victim have undergone the positive changes, which led to its increased social and legal status as well. Maximum attention, respect and support of victims of the crime was set as the first-class principle. As the result of all these, not only the legal status of victims of the crime was improved, but there was found some certain financial amounts for compensation of damages dealt to them.

One of the important documents in line of this issue is the UN declaration named after "The Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power" (adopted on 29-th of December, 1985 year), where an international standards of treating the victims are discussed.

The status of aggrieved is quite widely demonstrated under Criminal Procedure Code of Germany and it is always given as independent subject of procedural activity. The fifth book (chapter) of Criminal Procedure Code is wholly dedicated to the institute of aggrieved, according to which, he is presented as private prosecutor or co-prosecutor in criminal process, meanwhile, under #403 article of Criminal Procedure Code of Germany, he is entitled to complete reimbursement for damage dealt.

According to Criminal Procedure Code of France, the aggrieved doesn't constitute the subject of procedural activity, but in criminal proceedings, he is as civil plaintiff benefiting from wide spectrum of rights.

The work covers the authority of aggrieved under the procedural legislation of both countries.

Key words: victim, Germany, France, criminal law, procedural law.

ბულინგი სასკოლო ასაკის ბავშვებში

პროფესორი, დოქტორი ყარამან ფაღავა - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **დოქტორი ლელა შენგელია** - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი; **სოფიო ჭირაქაძე** - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; **იულია ზედგენიძე** - საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; **ნანა გეთია** - საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; **ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ელენე ფაღავა** - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი.

Professor Dr. Karaman Pagava *Tbilisi State Medical University, Georgia*, **Dr.Lela Shengelia** *Georgian National Center for Disease Control and Public Health*, **Sophio Chirakadze** *Georgian National Center for Disease Control and Public Health*, **Iulia Zedgenidze** *Georgian National Center for Disease Control and Public Health*, **Nana Getia** *Georgian National Center for Disease Control and Public Health*, **Asistent-Professor, Dr. Helen Phagava** *Tbilisi State Medical University, Georgia*

საქართველოში სკოლის ბავშვებში ბულინგის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით კვლევა ჩატარდა HBSC ბადის მეთოდოლოგიისა და სტანდარტული ანონიმური კითხვარის გამოყენებით. კვლევაში ჩართულები იყვნენ 11, 13 და 15 წლის ასაკის მოზარდები (მე-5, მე-7 და მე-9 კლასის მოწაფეები), როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მაცხოვრებლები.

გამოკვლეული იყო 123 სკოლის 4235 მოსწავლე, ამათგან 2019 (49.7%) ვაჟი, ხოლო 2133 (50.3%) გოგონა. მოზარდების 17% აღნიშნა, რომ უკანასკნელი 2-3 თვის განმავლობაში 1-2-ჯერ მაინც განუხორციელებიათ ბულინგი. 14 %-მა აღნიშნა რომ უკანასკნელი 2-3 თვის განმავლობაში სულ ცოტა თვეში ერთხელ იყვნენ ბულინგის მსხვერპლნი. 15 წლის ასაკში ბულინგის სიხშირე (მსხვერპლის როლში) ნაკლები იყო (27 %), ვიდრე 11 და 13 წლის მოზარდებში (შესაბამისად 35 და 38 %). 15 წლის ასაკში მეტი გოგონა იყო ბულინგის მსხვერპლი, ვიდრე ვაჟები (29 და 24 % შესაბამისად). გოგონების 5%-მა და ვაჟების 17%-მა აღნიშნა რომ ბოლო 2-3 თვის განმავლობაში სულ ცოტა ერთხელ მაინც უჩხუბნიათ.

საქართველოში პირველად მიღებული იქნა ბაზისური ინფორმაცია ბულინგის თაობაზე სკოლის მოწაფეებში. ეს დაგვეხმარება შევაფასოთ სხვადასხვა აუცილებელი ჩარევის ეფექტურობა მის შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები: ბულინგი, სასკოლო ასაკი, ბავშვები, ფსიქოლოგია, ჯანმრთელობა, პრევენცია.

ტერმინ “ბულინგს” ზუსტი ქართული შესატყვისი არა აქვს და მიახლოებით ჩაგვრას/აბუჩად აგდებას ნიშნავს. ეს არის არასასურველი, აგრესიული სახის ქცევა, რომელიც უმეტესად სკოლის ასაკის ბავშვებში ვლინდება. არსებობს ასევე მსგავსი ტერმინი - მობინგი, განსხვავება იმაშია, რომ ბულინგს მსხვერპლის მიმართ ერთი ან რამდენიმე პირი განახორციელებს, ხოლო მობინგს კი - მთელი კოლექტივი. „ბულინგი“ აქტუალური პრობლემაა როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე, სავარაუდოდ, საქართველოშიც. აღინიშნება მისი მატების გამოკვეთილი ტენდენცია. ბულინგი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმაა, რომელიც, განსაკუთრებით ხშირად, მოზარდებში არის გავრცელებული და ერთი მხარის მიერ მეორის დაჩაგვრასა და დაცინვაში გამოიხატება. ბულინგი შეიძლება იყოს ვერბალური (მაგალითად, ნეგატიური, დამამცირებელი კომენტარების გაკეთება, დაცინვა, ჭორების გავრცელება, მუდმივად ნეგატიური შეფასება) ან ფიზიკური. მას ემოციური ძალადობის ხასიათიცაა აქვს, მიზნად ისახავს დამცირებას, მუქარას, გამოძალვას, გაღიზიანებას. შესაძლოა იგი დისტანციური გზითაც განხორციელდეს - სატელეფონო ზარით, მესიჯებით, ელექტრონული ფოსტით, ამჟამად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ბულინგი ინტერნეტით Cyber Bullying. ბულინგისა და მობინგისგან უნდა განვასხვავოთ კონფლიქტი; ამ შემთხვევაში მხარეები მეტ-ნაკლებად თანაბარია. ბულინგისა და მობინგის მკვეთრად გამოხატული შემთხვევები ჯგუფური ბოროტმოქმედების ხასიათს იძენს. არის გენდერული და ასაკობრივი თავისებურებებიც. ბავშვებში ბულინგი უფრო მსუბუქად მიმდარეობს, მოზარდებში უფრო მძიმედ, ვაჟებში უფრო ფიზიკური კომპონენტი სჭარბობს, გოგონებში - ფსიქოლოგიური. საერთოდ ვაჟი უფრო ხშირად ხდება როგორც ბულინგის მსხვერპლი, ასევე მისი ინიციატორი და განმახორციელებელი.

სკოლაში ბულინგის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან ის ბავშვები და მოზარდები, რომლებიც სცილდებიან საშუალოს ფარგლებს, არატრადიციული შეხედულებებით და ქცევით, ფიზიკურად სუსტები, აკადემიურად სუსტებიც და პირიქით, მასწავლებლების ფავორიტები, ზემოზნული მშობლების შვილები - მაგ. ე.წ. „დედიკოების შვილები“, ღარიბი და მდიდარი ოჯახის წარმომადგენლები, ძვირფასი და სხვა ბავშვებისათვის მიუწვდომელი ნივთების მქონენი, რაიმე ფიზიკური ან ინტელექტუალური ნაკლის მქონენი, ქრონიკული დაავადებებით, ვუნდერკინდები, ენის მიმტანები, მასწავლებლების შვილები, ეროვნული და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, ემოციურად დაუცველნი, მოწყვლადნი. აღსანიშნავია, რომ ბულინგის მსხვერპლი სხვა სიტუაციაში მისი სუბიექტი შეიძლება გახდეს.

ბულინგის დროს გამოყოფენ მსხვერპლის, აგრესორის და მოწმის როლს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მსხვერპლია, ხშირად ადგილი აქვს ნორმული განვითარების შეფერხებას, დაბალ თვითშეფასებას, თავს იჩენს დეპრესია (დეპრესიის უმძიმესი გამოვლინება თვითმკვლელობაა), სხვადასხვა ფსიქოლოგიური და ფსიქოსომატური დარღვევა, მომავალში შეიძლება თვითონ შეიქმნას მოძალადე. მოწმის ძირითადი პრობლემაა თვითშეფასების დონის დაქვეითება, სირცხვილისა და შიშის შეგრძნება, ასევე ფსიქოლოგიური და ფსიქოსომატური დარღვევები. მოძალადეში კი ყურადღებას იპყრობს პიროვნების დესტრუქციული, ასოციალური, მათ შორის კრიმინალური თვისებებისა და ქცევის განვითარების მაღალი რისკი. უჭირს ახლო ურთიერთობების დამყარება, ოჯახის წევრებთანაც კი. ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ ხდება სასოწარკვეთილობამდე

მიყვანილი მსხვერპლის შურისძიების მსხვერპლი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ არაიშვიათად, საზოგადოება ბუღინგის მსხვერპლს თვითონვე თვლის დამნაშავედ, გამოხატავს მის მიმართ ზიზღსა და მისი გარიყვის სურვილს.

ხშირად მანკიერი წრე ყალიბდება, მსხვერპლი თავს უმწეოდ თვლის, გრძნობს უიმედობას და ეს უფრო ზრდის მისი მსხვეპლად გახდომის რისკს.

ბუღინგის რისკის და თვით ბუღინგის ადრეული დიაგნოსტიკა, პრევენცია და გადალახვა დღემდე ფრიად რთულ პრობლემად ითვლება. ერთ-ერთ საუკეთესო გზად მიჩნეულია ბავშვისა და მოზარდის თვითშეფასების დონის გაზრდა და თვითრეალიზაციის ხელშეწყობა. სასურველია მშობლების, მასწავლებლებისა და ფსიქოლოგის ერთობლივი ძალისხმევა, ტოლებთან ურთიერთობის სტიმულაცია. სამწუხაროდ, სათანადო ჩარევები ძნელი განსახორციელებელია და მათი ეფექტურობა არ არის საკმარისად დასაბუთებული [3,4,8,9].

პირველი ნაბიჯი ღონისძიებების შემუშავებისა და მათი დანერგვისათვის არის ბაზისური ინფორმაციის მოპოვება და მამოდიფიცირებელი ფაქტორების მნიშვნელობის დადგენა. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი ინფორმაცია უკანასკნელ პერიოდამდე არ გვექონია. დაახლოებით 15 წლის წინ გაკეთებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ დიდ მასალაზე (8 ათასი მოზარდი) მოგვცა ინფორმაცია მოზარდთა აგრესიულ ქცევაზე [5,6], მაგრამ არა ბუღინგზე.

კვლევამ მიზნად დაისახა საქართველოში სკოლის ბავშვებში ბუღინგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

სრულიად საქართველოში (დროებით ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით) ჩატარდა კვლევა/გამოკითხვა HBSC ბადის (HBSC - სკოლის მოწაფეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა - არის კროს-სექციური კვლევა, რომელიც მიმდინარეობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურ ოფისთან თანამშრომლობით [2]) მეთოდოლოგიისა და სტანდარტული ანონიმური კითხვარის გამოყენებით. HBSC კვლევის მეთოდოლოგიის თანახმად კვლევაში ჩართულები იყვნენ 11, 13 და 15 წლის ასაკის მოზარდები (მე-5, მე-7 და მე-9 კლასის მოწაფეები), როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მაცხოვრებლები. კითხვარი შეიცავდა 254 საკითხს ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შესახებ, კვებით ჩვევებზე, ფიზიკურ აქტივობაზე, ოჯახურ სიტუაციაზე, ტოლებთან ურთიერთობაზე, ჯანმრთელობის შესახებ ცოდნაზე, სექსუალურ ქცევაზე, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებასა და ბუღინგზე.

გამოკვლეული იყო 123 სკოლის 4235 მოსწავლე, ამათგან 2019 (49.7%) ვაჟი, ხოლო 2133 (50.3%) გოგონა. მოზარდების 17% აღნიშნა, რომ უკანასკნელი 2-3 თვის განმავლობაში 1-2-ჯერ მაინც განუხორციელებიათ ბუღინგი. 14 %-მა აღნიშნა რომ უკანასკნელი 2-3 თვის განმავლობაში სულ ცოტა თვეში ერთხელ იყვნენ ბუღინგის მსხვერპლნი. 15 წლის ასაკში ბუღინგის სიხშირე (მსხვერპლის როლში) ნაკლები იყო (27 %), ვიდრე 11 და 13 წლის მოზარდებში (შესაბამისად 35 და 38 %). სამაგიეროდ 15 წლის ასაკში მეტი გოგონა იყო ბუღინგის მსხვერპლი, ვიდრე ვაჟები (29 და 24 % შესაბამისად). გოგონების 5%-მა და ვაჟების 17%-მა აღნიშნა, რომ ბოლო 2-3 თვის განმავლობაში სულ ცოტა ერთხელ მაინც უჩხუბნიათ. მიღებული მონაცემები გარკვეულ კორელაციაშია ლიტერატურულ მონაცემებთან [1,3,7,8,9].

საქართველოში პირველად მიღებული იქნა ბაზისური ინფორმაცია ბულინგის თაობაზე სკოლის მოწაფეებში. ეს დაგვეხმარება შევაფასოთ სხვადასხვა აუცილებელი ჩარევის ეფექტურობა ბულინგის შესამცირებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს როგორც ბულინგის მსხვერპლებში, ასევე ბულინგის განმახორციელებლებში სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევების თავიდან აცილებას, ფსიქიატრიული და სოციალურ-ეკონომიური უარყოფითი შედეგების, მათ შორის, კრიმინალის დონის შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Biswas T, Scott JG, Munir K et al. Global variation in the prevalence of bullying victimisation amongst adolescents: Role of peer and parental supports. *EClinicalMedicine*. 2020 Mar; 20: 100276.
2. <http://www.hbsc.org/>
3. <https://www.medicinenet.com/bullying/article.htm>
4. <https://www.stopbullying.gov/bullying/what-is-bullying>
5. Michaud P.A, Pagava K, Phagava H, Abashidze G, Chanturishvili T, Jeannin A. The Georgian Adolescent Health Survey: methodological and strategic issues. *Soz Praventivmedizin*. 2006;Volume 51, Number 1: P. 54 – 62.
6. Pagava K, Michaud P-A, Phagava H. Adolescents health and health related behaviour, Tbilisi State Medical University, Tbilisi, 2010 [in Georgian]
7. Shuqing Xu, Jun Ren, Fenfen Li et al. School Bullying Among Vocational School Students in China: Prevalence and Associations With Personal, Relational, and School Factors. *J. Interpers Violence*. 2020 Apr 27.
8. Wang J, Iannotti RJ, Nansel TR. School bullying among adolescents in the United States: physical, verbal, relational, and cyber. *J Adolesc Health*. 2009 Oct; 45(4): P. 368-375.
9. Waseem M, Nickerson AB. Bullying. 2020 Jan./<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/28722959/>

Bullying Among Schoolchildren in Georgia

Karaman Pagava, Lela Shengelia, Sophio Chiraqadze, Iulia Zedgenidze, Nana Getia, Helen Phagava

Bullying is a common damaging form of violence among children and adolescents. These actions are purposeful and intended to hurt or make the victim uncomfortable. Childhood bullying victimization contributes significantly to poor mental, physical and social outcomes in both victims and abusers. To elaborate the appropriate implications and define corresponding trends, the basic information is necessary. In Georgia such data were unavailable.

The goal of the study was to assess the situation concerning bullying in schoolchildren in Georgia.

The national survey was conducted using the methodology and the standard anonymous questionnaire of the HBSC network (HBSC is a cross-sectional research study conducted in collaboration with the World Health Organization [WHO] Regional Office for Europe). According to the HBSC survey methodology the following age groups were involved in the study: 11, 13, 15-year-old adolescents (5th, 7th, 9th grades) from the rural and urban settings. The administered questionnaire contained 254 items covering physical and mental health, eating habits, physical activity, family bonds, peer interactions, health knowledge, sexual behavior, the use of tobacco, alcohol and drugs, and bullying.

The sample of the study included: 4235 respondents from 123 secondary schools, 123 clusters (study grades/groups): 2109 (49.7%) males, and 2133 (50.3%) – females. 17% of the young people reported having bullied others once or twice in the past couple of months. 14% of the young people reported having been bullied at school at least once in a month in the past couple of months. At the age of 15, fewer adolescents (27%) reported of being bullied compared to 11- and 13-year old (35% and 38%, respectively). At the age of 15 more girls reported having been bullied than boys (29% versus 24%). 5 % of girls and 17% of boys reported that they have been involved in a physical fight.

First time in Georgia there was obtained the basic information regarding bullying in schoolchildren. It will help to evaluate the efficacy of necessary strategies to tackle this form of abuse and its consequences for the victims and bullies as well. Addressing bullying in childhood could reduce harm to the children's and adolescents' mental health caused by their victimization, to prevent psychiatric and socioeconomic difficulties, incl. level of criminality.

Key words: bullying, school age, children, psychology, health, prevention.

ვიქტიმოლოგია და მისი პოლიტიკური ასპექტები: საქართველოს გამოცდილება

პროფესორი, დოქტორი ვახტანგ მაისაია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor Dr. Vakhtang Maisaia - *Caucasus International University, Georgian Academy of Criminology.*

დღევანდელი პირობებში და განსაკუთრებით საქართველოს მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ, ქართულ სამეცნიერო-კვლევით სფეროში შემოდის ახალი სახის აკადემიური დარგები და მიმართულებები, რომლებიც მანამდე საერთოდ არ იყო შესწავლილი ეროვნული სამეცნიერო წრეებში. ასეთი სახის დარგებს მიეკუთვნება მაგალითად, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება, სამხედრო მეცნიერება და ხელოვნება, ინვიტრო რეპროდუქცია, გეოეკონომიკა და ა.შ. მათ შორის საკმაოდ პრივილიგიურად აღიქვამილი უკავია ისეთ ახალ სამეცნიერო მიმართულებას, როგორცაა ვიქტიმოლოგია, როგორც აუცილებელი კომპონენტი ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის პრინციპის რეალური აღსრულებისთვის და დემოკრატიული პროცესების განვითარების საქმეში. როგორც ცნობილია, ვიქტიმოლოგია წარმოადგენს კრიმინოლოგიის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას, რომელიც სწავლობს მეცნიერულად ურთიერთობებს მსხვერპლსა და მოძალადეს შორის და განსაზღვრავს ამ ძალადობრივი ქმედების შინაარსობრივ და მიზეზობრივ არსსა და შედეგებს. ამიტომაც ამ დარგის განვითარება წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს და ფაქტორს ქვეყანაში პლურალისტური და დემოკრატიული გარემოს შესასქმნელად. საქართველოში ვიქტიმოლოგია და მისი პოლიტიკური ასპექტები კარგად იქნება წარმოჩენილი ჩვენი ქვეყნის, ერთ-ერთ ტრაგიკული პერიოდის, „საკავშილის პოლიტიკური ავტორიტარული რეჟიმის“ პერიოდში განხორციელებული რეპრესიების განხორციელების ფონზე. ამიტომაც ამ პერიოდის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის ვიქტიმოლოგიის მეთოდიკის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ვიქტიმოლოგია, კანონის უზენაესობა, ავტორიტარული რეჟიმი, კრიმინოლოგია, პლურალიზმი, საერთაშორისო უსაფრთხოება.

ვიქტიმოლოგია როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მიმართულება ამჟამად იკიდებს ფეხს ქართულ სამეცნიერო სფეროში. მისი განვითარების მნიშვნელობა განპირობებულია რამდენიმე ასპექტით და განისაზღვრება იმ ფაქტორებით, მათ შორის პოლიტიკური, რომელიც საქართველოში ვითარდებოდა დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ. ქვეყანამ, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ისეთი პოლიტიკური „ქარტები“, როგორებიცაა: ეთნიკური წმენდა, სამოქალაქო ომი, კრიმინალური ტერორიზმი, ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტები, ეკონომიკური დეფოლტი, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები, მათ შორის ადამიანი წამების სისტემური დანაშაულობები, პოლიტიკური ექსტრემიზმი და ა.შ. აღნიშნული დანაშაულობათა და კონსტიტუციური უფლებების დარღვევების მთელი „კოქტეილი“ წარმოადგენს ნათელ მაგალითს, თუ რა მასშტაბებით ირღვევა ადამიანის და საზოგადოების უფლებები და როგორ არის წარმოჩენილი ამ შემთხვევაში უსაფრთხოების პარამეტრები. სწორედ

საინტერესო გარემოებას წარმოადგენს ვიქტიმოლოგიის დაკავშირება უსაფრთხოების თემატიკასთან და მისი კონცეპტუალური საფუძვლების გასაზღვრა და ანალიზი.

უსაფრთხოების და თავდაცვის თემა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მთავარ საკითხებს სულ მცირე 70 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით „ცივი ომის“¹ დაწყებისთანავე. ამავე დროს არის მოსაზრება, რომ საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენს მსოფლიოს გადარჩენის შესწავლის მეცნიერებას, სადაც უსაფრთხოების ასპექტი არის მის მაღალი დონის ანალიზის საფეხურს და კვლევის უფრო ფართო მოდელს (ამავე დროს, ეს მეცნიერება მოიცავს მასობრივი განადგურების შეიარაღების და მისი გავრცელების შესწავლის თემასაც). თუმცადა უსაფრთხოების პრობლემატიკა გახდა აქტუალური საკითხი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც კაცობრიობა დაფიქრდა, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოიტანა მთლიანად კაცობრიობისთვის ამ ომმა. ამიტომაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ახალგაზრდად ჩამოყალიბების პირობებში კიდევ უფრო მეტად იზრდება უსაფრთხოების როლი და ადგილი ამ სისტემის შემდგომი განვითარების საქმეში. უკვე შემოვიდა სპეციალური ტერმინი, **გლობალური უსაფრთხოება**². ასეთი „გლობალიზაციის“ პირობებში გარკვეულწილად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური სისტემა და მისი შემადგენელი ელემენტები. ასეთი გაფართოებული ფორმატის ფარგლებში კიდევ უფრო ფართო ხდება მასში მონიწილე აქტორების რაოდენობა, რომელთა შორის მოაზრებიან - სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები³. ამასთან ერთად, ზოგიერთი მკვლევარის მიერ ასეთი სახის სისტემაში შეყვანილი არიან ისეთი ტიპის აქტორები, როგორებიცაა: მრავალეროვნული კორპორაციები (როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ნაირსახეობა მოქმედნი მაღალი დონის პოლიტიკურ არენაზე), ასევე მოგვიანებით გამოჩნდნენ თვისობრივად ახალი სახის აქტორები, რომლებიც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ჰიბრიდული აქტორები“, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის აქტორებისთვის დამახასიათებელი კომბინირებული ნიშან-თვისებები (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ)⁴. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ 21-ე საუკუნეში საერთაშორისო პოლიტიკური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემებისთვის დამახასიათებელია ახალი ტიპის აქტორთა და მოვლენების შემდეგი სახის ერთობლიობა: გლობალური ვაჭრობა და ფინანსები, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ქსელები (ვირტუალური გარემო და კიბერუსაფრთხოება, სადაც არ არსებობს არავითარი

¹ „ცივი ომი“ - დაპირისპირებან აშშ-ს და სსრკ-ს შორის, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე და გაგრძელდა 1991 წლამდე, როდესაც საბჭოთა კავშირი გაქრა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან.

² **გლობალური** (ისევე როგორც **რეგიონული**) **უსაფრთხოება** - არის უსაფრთხოების ისეთი მოდელი, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებზე, რომელთა განხორციელება აიძულებს სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის აქტორებს, უფრო მეტად გაუფრთხილდნენ სუვერენიტეტს ან მის უხეშ დარღვევაზე პასუხი აგონ. სწორედ საერთაშორისო სამართალი პრინციპები, ნორმები, ისევე როგორც საერთაშორისო საქმეები განკუთვნილია აქტორებისთვის. თუმცადა, რეალურ სივრცეში, გლობალური უსაფრთხოება შეიძლება აღმოჩნდეს კონკრეტული საფრთხეების წინაშე, რომელიც არ გამომდინარეობენ სახელმწიფოებისგან და საერთაშორისო სამართალიც კი უძლურია რაიმე ფორმით აღკვეთოს ისინი - მაგალითად, ტერორისტული ორგანიზაციების ფენომენი.

³ არტი ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, გვ.67-68

⁴ Andrew N. Pratt, Sebastian Gorka, Christopher C. Harmon “Toward a Grand Strategy Against Terrorism”, Mc Graw Hill, Library of Congress, 2011, P. 65-76

რეგულაცია), სოციალური და რელიგიური მოძრაობები, კულტურული ტრანსფორმაცია, ისევე როგორც სიღარიბე, სიდუხჭირე და მათთან დაკავშირებული პრობლემები („სამხრეთ-სამხრეთ“ გეოპოლიტიკური მოდელი).

ამავე დროს, საერთაშორისო ურთიერთობები ასევე განიხილება ისეთ სამეცნიერო და აკადემიურ დარგად, რომლის მეოხებითაც შეიძლება ახალი გლობალური პრობლემების დაძლევა და ძველი პრობლემების უკეთ აღქმა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დღევანდელ პირობებში, ხორციელდება რევოლუციური გარდაქმნები, როგორც თვისობრივი, ისე ხარისხობრივი ხასიათის, რომლებიც ცვლიან უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების არსსაც. საქმე იმაშია, რომ მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები გლობალიზაციის პროცესში ფარგლებში, სადაც წინა საუკუნეებში ჩამოყალიბებული პოლარულობის საერთაშორისო რეჟიმი იცვლება⁵. უკვე გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „ასიმეტრიული საფრთხეები“, „გამოწვევები“, „გლობალისტიკა“, „კიბერომი“, „ენერგოუსაფრთხოება“, „თანამშრომლობითი უსაფრთხოების პრინციპი“, „პიროვნების უსაფრთხოება“, „ეთნიკური წმენდა“, „გლობალიზმი“ და ა.შ. ფაქტიურად თვისობრივად იცვლება ის საერთაშორისო ურთიერთობების გარემო, სადაც მოქმედებს საქართველო და ჩვენი ქვეყანა უკვე გახდა მონდიალისტური სამყაროს განუყოფელი წევრი. რაც შეეხება საერთაშორისო უსაფრთხოებას, ისიც წარმოადგენს მრავალდარგობრივ და ინტერდისციპლინარულ მიმდინარეობას, რომელიც თავის თავში აერთიანებს ისეთ სამეცნიერო დარგებს, როგორებიცაა - გეოპოლიტიკა, სამხედრო მეცნიერება, სტრატეგიული კვლევები, გეოეკონომიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, კონფლიქტოლოგია, პოლიტოლოგია და ა.შ. საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით კი განვითარდა და გამოჩნდა ისეთი ახალი ტერმინები, როგორებიცაა: *ომი და მშვიდობა, ძალთა ბალანსის კონცეფცია, შეიარაღების რბოლა, შეიარაღებაზე კონტროლი და განიარაღება, და ა.შ.*


ამის მიუხედავად, თვით ტერმინი „უსაფრთხოება“ კვლავ რჩება მთავარ გარემოებად და ასახავს ყველა იმ პროცესს, რომელიც ვითარდება, როგორც ერთი რომელიც სახელმწიფოს შიგნით, ისე საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე. უშუალოდ ტერმინ „უსაფრთხოებას“ გააჩნია რამოდენიმე განსაზღვრება და რომელიმე ერთ, რომელიმე განსაზღვრებაზე რთულია საუბარი. თუმცა მათგან შესაძლებელია გამოიყოს ყველაზე მარტივი განსაზღვრება, რომელიც გულისხმობს, რომ „უსაფრთხოება - რისკების, საფრთხეების, გამოწვევების და საშიშროებებისგან თავდაცვისუნარიანობა“⁶.

დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების განზომილება გახდა მრავალფეროვანი და უფრო ფართო. გლობალიზაციის პირობებში წარმოჩინდა ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, ეროვნული უმცირესობების უფლებები, ეროვნული ინტერესები, ტექნოგენური

⁵ **პოლარობა** - განსაზღვრულ სისტემაში გარკვეული მნიშვნელოვანი აქტორების ქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ მის არსს და თვით ამ აქტორების წყობას, რომლის მიმართაც სხვა აქტორებს უწევთ გამოხმაურება (კოალიციების შექმნის ან მიუმხრობლობის დეკლარაციის გზით). პოლარობას გააჩნია რამოდენიმე ნაირსახეობა: უნიპოლარობა - ერთი სუპერ-სახელმწიფოს სრული ჰეგემონობა, ბიპოლარობა, ტრიპოლარობა და ა.შ.

⁶ ვ. მასიაი და ა. გუჩუა, ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2020, გვ.301

კატასტროფები, ასიმეტრიული საფრთხეები და ა.შ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს შემდეგი სახის უსაფრთხოების მოდელები, რომელიც გამოისახება შემდეგნაირად:



მთლიანად უსაფრთხოების საწყისს ელემენტს წარმოადგენს - **პიროვნების უსაფრთხოება**, რომელიც უკვე ცალკე წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილს, ხოლო შემდეგ დონეზე მოდის **სამოქალაქო უსაფრთხოება**, რომელიც თავის მხრივ არის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილი, ხოლო შემდეგში კი მოდის უშუალოდ - **ეროვნული უსაფრთხოება**⁷.

21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში გაიზარდა არა მარტო სახელმწიფოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების, არასახელმწიფოებრივი გაერთიანებების და ბიზნეს სტრუქტურების როლი და ადგილი, არამედ პიროვნების და განსაკუთრებით პოლიტიკური მძიმეწონოსანი ინდივიდების, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. ამიტომაც კიდევ უფრო მიიღო ამ ფენომენმა დიდი გამოხმაურება და გაძლიერდა ადამიანის, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ღირებული აქტორის უფლებები და უსაფრთხოების თემა. ზოგადი კუთხით შეიძლება გამოიყოს, თუ კონკრეტულად რა არის პიროვნების უსაფრთხოება და რა ფაქტორებთან არის ასოცირებული. **პიროვნების უსაფრთხოება** - ადამიანის და ადამიანთა ჯგუფის მთავარი ღირებულებების და სიცოცხლისუნარიანობის დაცულობა ყველა იმ საფრთხეებისაგან, რომლებიც უქმნიან საშიშროებას მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკის სისტემას, წესებს და ქმნიან არასტაბილურობის გარემოს. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ და ბიპოლარული სამყაროს გაქრობის ფონზე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა არა მხოლოდ სახელმწიფოების სუვერენიტეტის და არსებობის საკითხი, არამედ ადამიანის, როგორც სახელმწიფოს რიგითი მოქალაქის, უფლებების და ღირებულებების დაცვა. სწორედ ადამიანის თავისუფლების, მისი სიცოცხლის, ასევე ღირებულებების დაცულობა შეიქმნა მთავარი ამოცანა, რომელიც დაუდგა ძალიან მწავედ საერთაშორისო

⁷ ნ. ჩიტაძე, პოლიტოლოგია, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, თბ., 2017, გვ. 464-465.

საზოგადოებას⁸. ეთნიკური წმენდები⁹, რომელიც მოხდა ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ბურუნდში, ასევე ეთნიკური სეპარატიზმი¹⁰ საქართველოში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე ჰუმანიტარული კრიზისი, არალეგალური მიგრაცია, ადამიანის ტრეფიკინგი და ეთნიკური ომები შეადგენენ რეალურად იმ გამოწვევებს, რომლებმაც მიიღეს ახალი განზომილება და შექმნეს არა მარტო ეროვნული, არამედ გლობალური უსაფრთხოებისთვის სერიოზული მოწყვლადობის პირობები¹¹.

პიროვნული უსაფრთხოების განსამზღვრელი და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიის შექმნილი დოკუმენტები მოიცავენ შემდეგს:

- **ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაცია** - მიღებული იყო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1948 წელს. აღნიშნული დოკუმენტი იყო პირველი საერთაშორისო აქტი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილი დანაშაულობების საპასუხოდ და იყო მცდელობა დაცულიყო ადამიანის უფლებები საერთაშორისო დონეზე;
- **გენოციდის დროს ჩადენილი დანაშაულობების პრევენციისა და დასჯის კონვენცია** - დოკუმენტი მიღებულ იქნა 1948 წელს. კონვენციის მიხედვით ჩამოყალიბებულია განსაზღვრება, თუ რას წარმოადგენს გენოციდი.¹² ამჟამად 145 ქვეყანას აქვს რატიფიცირებული (დამტკიცებული) დოკუმენტი;
- **ჟენევის კონვენცია** - შემუშავებული და დამტკიცებულ იქნა 1949 წელს მოიცავს ოთხ ძირითად მომენტს: შეიარაღებული ძალების მოქმედებებს ხმელეთსა და ზღვაზე, ომის ტუსალების და სამოქალაქო პირების უფლებებს. დოკუმენტი განსაზღვრავს კონფლიქტის დროს რა წარმოადგენს და არ წარმოადგენს კანონიერ ქმედებას და მიზანს წარმოადგენს ადამიანების დაცვა ყველაზე მოწყვლად პირობებში, განსაკუთრებით საომარ მოქმედებების დროს;
- **ქალების და ბავშვების უფლებების დაცვის კონვენცია საომარი მოქმედებების და საგანგებო სიტუაციების დროს** - დამტკიცებული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წელს, რადგან მისი აუცილებლობა გახდა მანამდე არსებულ კონფლიქტებში ქალთა და ბავშვების უფლებების საშინელი დარღვევების გამო. დეკლარაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს შეაჩერონ ნებისმიერი სახის დანაშაული, ძალადობა და კრიმინალური ქმედება, რომელიც ჩადენილ იქნა ასეთი მოწყვლადი ადამიანების მიმართ.

იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლება განსაზღვროთ ვიქტიმოლოგიის კონცეპტუალური ბაზისი, აუცილებელია გამოვიყენოთ პოლიტიკური კვლევების ორი მოდელი, რომელიც გამოიხატება შემდეგით: **პოლიტიკის ანალიზის დონე**, სადაც გამოიკვეთება სამი დონე: **გლობალური, ეროვნული და ლოკალური**.

⁸ **საერთაშორისო საზოგადოება** - საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე მონაწილე ყველა სახის აქტორის ურთიერთქმედება და მათი კულტურების კონტაქტი, მათი თანაარსებობა და სინთეზი, რომელიც აყალიბებს ერთგვარი წესრიგის პირობებს.

⁹ **ეთნიკური წმენდა/ეთნიკური გენოციდი** - ადამიანთა ფიზიკური განადგურება ეთნიკური ნიშნის მიხედვით.

¹⁰ **ეთნიკური სეპარატიზმი** - შეიარაღებული დაპირისპირების ფორმა, როდესაც ერთი ეთნიკური ჯგუფი მობილიზებულია საომარი მოქმედებისთვის მეორე მხარის წინააღმდეგ ერთიანი ერი-ქვეყნის ფარგლებში

¹¹ ვ. მასიაი და გ. მალრაძე, 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები, გამ. „უნივერსალი“, თბ, 2017, გვ.45-46

¹² **გენოციდი** (ლათინური *cedeo* - ვკლავ, *genos* - ერს) - ერის ან ეთნოსის მასობრივი განადგურება.

გლობალური დონე: ამ კუთხით, ეროვნული სახელმწიფოების ქცევა განპირობებულია იმ სისტემის გარკვეული ფუნდამენტური თავისებურებებით, რომლის წევრებიც არიან ერი-სახელმწიფოები;

ეროვნული დონე: ანალიზის ეს მეორე დონე ამტკიცებს, რომ ვინაიდან სახელმწიფოები ითვლებიან მთავარ მოქმედ მხარედ, ამიტომ სწორედ ამ სახელმწიფოების შინაგანი თავისებურება განაპირობებს მათ ქცევა-ხასიათს. ვინაიდან სახელმწიფოები დამოუკიდებელი ერთეულები არიან, ისინი მეტნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებენ, რადგანაც ისინი ერთი და იმავე სისტემის ნაწილს წარმოადგენენ;

ლოკალური დონე: აღნიშნული დონე ხაზს უსვამს ინდივიდების როლს. ამჟამად ამ დონეს გადაწყვეტილების მიღების დონედ მოიხსენიებენ. ის მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გადაწყვეტილებებს ომისა და მშვიდობის, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის შესახებ იღებენ საზოგადოებაში არსებული ინდივიდები, ორგანიზაციები და ინსტიტუტები¹³.

ამ მოდელის ფარგლებში უნდა გამოიკვეთოს ვიქტომოლოგიის მოდელის განხილვა ისეთი ანალიზის დონის ფარგლებში, რომელიც შეიძლება ასეთნაირად წარმოჩინდეს:

ვიქტიმოლოგიის გლობალური ანალიზის დონე: გენოციდი, ეთნიკური წმენდა, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, საერთაშორისო ტერორიზმი - სწორედ ასეთი სახით გლობალური უსაფრთხოების საფრთხეები უნდა იქნეს განხილული ვიქტიმოლოგიის ანალიზის ფორმატში;

ვიქტიმოლოგიის ეროვნული ანალიზის დონე: პოლიტიკური რეპრესიები, ადამიანის წამების სისტემური მასშტაბი - ამ დონეს შეესაბამება უკვე ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური რეჟიმის რაობა და მის მიმართ შესაბამისი კონტრეპრესიული ზომების გატარება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, რომლის მეშვეობითაც არალიბერალური სახის, ავტორიტარული, ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი უნდა იქნეს აღკვეთილი და მისი განმახორციელებელი სუბიექტები მკაცრად უნდა დაისჯონ;

ვიქტიმოლოგიის ლოკალური ანალიზის დონე: პოლიტიკური/რელიგიური ექსტრემიზმი, სოციალური კრიმინალიზაცია, კრიმინალური ტერორიზმი, კრიმინალური სუბკულტურის დომინანტობა (ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტიცაზია) - ამ დონის საფრთხეების თავიდან აცილებისთვის საჭიროა მთლიანად საზოგადოების სრული მიბილიზაცია, მედიოკრატული საშუალებების ინტენსიური აქტიურობა და სახელმწიფოს უშუალოდ ჩართულობა მათი აღკვეთების საქმეში.

მეორე ანალიტიკური მოდელი, რომლის გამოყენებაც არის შესაძლებელი, წარმოადგენს ტერორიზმის კლასიფიკაციის ანალიტიკურ მოდელს, რომლებიც შემოიტანეს უსაფრთხოების კვლევებში ქართველმა მკვლევარებმა ბესიკ ობოლაძემ და ვახტანგ მაისაიამ. მათ 2009 წელს შეიმუშავეს ექვსი კრიტერიუმი საერთაშორისო ტერორიზმის და მისი

¹³ ვ. მაისაია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004), სუბიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2013, გვ.26-29.

ქმედებების იდენტიფიკაციისთვის. ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე გამოყოფა ტერორიზმის გამოვლინების შემდეგი ძირითადი ტიპოლოგია:

- 1) **პოლიტიკური ტერორიზმი;**
- 2) **სოციალური ტერორიზმი;**
- 3) **ნაციონალური ტერორიზმი (მათ შორის რეპრესიული ნაციონალური ტერორიზმი);**
- 4) **ტერიტორიულ-სეპარატისტული ტერორიზმი;**
- 5) **მსოფლმხედველობითი (იდეოლოგიური) ტერორიზმი;**
- 6) **კრიმინალური ტერორიზმი¹⁴.**

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, შესაძლებელია ვიქტიმოლოგიის თემატიკის მიზმაც და ამის საფუძველზე შეიძლება უკვე ამ მიმართულებით ახალი მეთოდოლოგიური საფუძველების შექმნა და ამის გათვალისწინებით, ვიქტიმოლოგიის კუთხით შეიძლება შეირჩეს შემდეგი კლასიფიკაცია კონკრეტული ქვეყნის, საქართველოს მაგალითზე:

- 1) **პოლიტიკური ვიქტიმოლოგია:** ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის პირობებში 2005-2012 წლებში ხორციელდებოდა ისეთი სახის დანაშაულობები, რომლებიც თავისუფლად განიხილება ვიქტიმოლოგიის ფორმატში და სადაც მასობრივად ირღვევოდა არა მარტო ადამიანის უფლებათა, არამედ მსხვერპლთა ელემენტარული უფლებები, განსაკუთრებით პენიტენციური სისტემის ფარგლებში, რომლებიც აგებული იყო საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკის სისტემების შესაბამისად. ასეთი ტიპის დანაშაულობებს წარმოადგენდა, მაგალითად: პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება და წამება, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, კონსტიტუციური და სახელმწიფო გადატრიალება;
- 2) **სოციალური ვიქტიმოლოგია:** ამ შემთხვევაში გამოუყენებოდა ძირითადად ეკონომიკური ტერორის პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები, სწორედ ამ ავადსახსენებლ პერიოდში: სოციალური თანასწორობის პრინციპის ხელყოფა (ესკრიჯის თეზისი), ქონების წართმევა, სოციალური ჯგუფების ხელოვნური დაპირისპირების მოწყობა. ამავე დროს ხორციელდებოდა ეკონომიკური უსაფრთხოების სრული მოწყვლადობა - ეკონომიკური საფრთხე ხანგრძლივი პერიოდისთვის (ამ სახის საფრთხე, როგორც წესი, გლობალური, სიღრმისეული და ურთულესი პრობლემებითაა გამოწვეული და მათი მოქმედების პერიოდი ხანგრძლივია - 3 წელი და მეტი)¹⁵. ამიტომაც ამისთანა დანაშაულობების განხორციელება იყო ჩვეულებრივი მოვლენა იმდროინდელი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში და ამით ხორციელდებოდა, კერძოდ, უშუალოდ მსხვერპლთა მიერ იძულებითი ღონისძიებების მოქმედებების შედეგად ხორციელდებოდა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების ხელოვნური „სტიმულირება“ და ასევე ქვეყნის ბიუჯეტის ფულადი მასებით შევსება;

¹⁴ ვ. მაისაია, ბ. ოზოლაძე, ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში, გლობალიზაციის კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2009, გვ.76-79.

¹⁵ ბ. ალადაშვილი, ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 75.

- 3) **მსოფლმხედველობითი ვიქტიმოლოგია:** ამ ფაქტორის ეგიდით ხორციელდებოდა ე.წ. „ქვეყნის ნაციფიკაცია“, რაც გამოიხატებოდა ისეთი პოლიტიკური ძალადობის ელემენტების შემოტანით და გავრცელებით, როგორცაა: „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბება და ახალი მსოფლმხედველობითი იდეოსინკრეტიზმის საფუძვლების შექმნა. ამასთან ერთად, აღნიშნულს თან ერთვის ისეთი მოვლენების განვითარება, როგორებიცაა, საინფორმაციო ტერორი, რელიგიური აზროვნების შეზღუდვა და დაპირისპირება საქართველოს საპატრიარქოსთან. ყველაფერი ერთად, რაც დაფიქსირდა ამ კუთხით ხორციელდებოდა ადამიანის წინააღმდეგ „რბილი ძალის“ ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო ძალადობით და ექსპანსიონიზმით;
- 4) **ნაციონალური ვიქტიმოლოგია:** აღნიშნულის ფარგლებში საინტერესოა განიხილოს ე.წ. „ლაფანყურის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის“ მაგალითი, რომელიც საერთო ჯამში წარმოადგენდა ე.წ. „სახელმწიფო ტერორიზმის სპონსორობის“ შემთხვევის გარჩევას (case-study) და აქ დაფიქსირდა მასობრივი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. 2012 წლის 28–29 აგვისტოს, სოფელ ლაფანყურთან, მდინარე ლოპოტას ხეობაში საქართველოს სამართალდამცავ უწყებათა წარმომადგენლებმა ჩაატარეს სპეციალური ოპერაცია, რომელსაც ოფიციალური ინფორმაციით, შეიარაღებული დაჯგუფების 7 წევრისა¹⁶ და საქართველოს სამართალდამცავი უწყებების 3 თანამშრომლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2012 წლის დეკემბრიდან საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა და 2013 წლის მარტში, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარდგენილ ანგარიშში შესწავლის შედეგებს შესაბამისი თავები დაეთმო¹⁷. საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს შექმნილიყო საპარლამენტო დროებითი საგამომიებო კომისია, რომელიც გამოიკვლევდა 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან მომხდარ ფაქტს¹⁸. თუმცა, საქართველოს პარლამენტმა დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ გამოძიებას საქართველოს საგამომიებო ორგანოები ატარებდნენ¹⁹.

საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და დაზარალებულ პირთა უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით, 2013 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული

¹⁶ თავდაპირველად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრის გარდაცვალების შესახებ, რაზეც წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის საუბარი.

¹⁷ იხ. ლოპოტას ხეობაში სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ, გვ. 408–414, სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანის უფლებები, გვ. 417–421, საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში. <http://www.ombudsman.ge/ge/reports/saparlamento-angarishebi>

¹⁸ იხ. რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს, საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 412–413. <http://www.ombudsman.ge/ge/reports/saparlamento-angarishebi>

¹⁹ იხ. „პარლამენტმა უარი უთხრა სახალხო დამცველს ლაფანყურის საქმე საგამომიებო კომისიას შეესწავლა“, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 17.04.2013, <http://www.ick.ge/articles/14122-i.html> [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; იხ. ასევე, „სახალხო დამცველს უმრავლესობამ უარი უთხრა“, News.ge, 16.04.013 <http://news.ge/ge/news/story/52072-sakhalkho-damtsvels-umravlesobam-uari-utkhra> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში შექმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომლის მიზანი სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესწავლა და დოკუმენტირება იყო. საზოგადოებრივი საბჭოს წევრები იყვნენ უჩა ნანუაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ლია მუხაშავერია, კახა კახიშვილი, უმარ იდიგოვი, ზაურ გუმაშვილი, ხასო ხანგოშვილი, მორატ ქავთარაშვილი, ვახტანგ მაისაია, მამუკა არეშიძე, თამარ გაბისონია და გელა ნიკოლაიშვილი. საზოგადოებრივი საბჭო არ წარმოადგენდა ალტერნატიულ საგამოძიებო უწყებას, პირიქით, მისი მიზანი იყო გამოძიების ყოველმხრივი, ეფექტური და გამჭვირვალე წარმართვისათვის ხელშეწყობა. საზოგადოებრივი საბჭოს მეთოდოლოგიას წარმოადგენდა ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის მოძიება და შეგროვება, სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაციის მატარებელ პირთა ვინაობის დადგენა და მათი გამოკითხვა, დაზარალებულთა ოჯახის წევრების გამოკითხვა. საბჭომ ერთწლიანი მუშაობის შედეგად გამოკითხა სულ 14 პირი, მათ შორის, სპეციალური ოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, სოფელ ლაფანყურის ადგილობრივი მცხოვრებლები, მათ შორის მძევლად მყოფი პირი, აგრეთვე, ის პირები, ვისაც მათი განცხადებით გააჩნდათ ინფორმაცია 2012 წლის 28–29 აგვისტოს ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის 16 მაისს იმყოფებოდა სოფელ ლაფანყურში, სადაც გამოძიების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, მოხდა დაპირისპირება სამართალდამცავებსა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების წევრებს შორის;

- 5) **კრიმინალური ვიქტიმოლოგია:** ამ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილება ე.წ. „ქურდულ ავტორიტეტებთან“ ბრძოლის ეგიდით განხორციელებული ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები, რომელმაც მიიღო სახელმწიფო ტერორის იერსახე.

საერთო ჯამში, დასკვნის სახით გამოსაყოფია ის გარემოება, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების კონკრეტული პერიოდი (2005-2012 წლები) უნდა განიხილოს, როგორც ვიქტიმოლოგიის კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი.

ამიტომაც თუკი საქართველოში მომავალში განვითარებული ვიქტიმოლოგიური პროცესები და მათი თავიდან აცილების მიზნით, საჭირო იქნება ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური ბაზისის გამოყენება, რომ განხორციელდეს სწორი და მართებული ანალიზი და შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტის მომზადება, რომლის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი პოლიტიკის გატარება. ამიტომაც საქართველოში ამ დარგის დამკვიდრება შეადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოვლენას, რომელიც მისცემს საშუალებას ასეთი ტრაგიკული მოვლენების თავიდან აცილებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ალადაშვილი, ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმძღვანელო, გამ. „ცოდნა“, თბ., 2011.
2. ვ. მაისაია, ბ. ოზოლაძე, „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“, გლობალიზაციის კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2009;
3. ვ. მაისაია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004), სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2013;
4. ვ. მაისაია, ა. გუჩუა, ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2020.
5. ა. ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, გამ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თბ., 2011;
6. ა. წურწუშია, გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში, გამ. „უნივერსალი“, თბ., 2009;
7. ნ. ჩიტაძე, პოლიტოლოგია, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, თბ., 2017;
8. „სტრატეგიული კვლევები“, №2, 2009, სერია: „საქართველოს უსაფრთხოება ცვალებად მსოფლიოში“, „ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი“, რედაქტორები: დ. თევზაძე და ჯ. კაშია;
9. Robert Ondrejcsak, “Introduction to Security Studies”, Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), Bratislava, 2014;
10. Andrew N. Pratt, Sebastian Gorka, Christopher C. Harmon, “Toward a Grand Strategy Against Terrorism”, Mc Graw Hill, Library of Congress, 2011;
11. Feldman Noah, “After Jihad: America and the Struggle for Islamic Democracy”, Farrar, Straus and Giroux, New York, 2003;
12. Brigitte L. Nacos, “Terrorism and Counterterrorism”, second edition, Penguin Academics, New York, 2008;

Victimology and Its Political Aspects: Case of Georgia

Vakhtang Maisaia

Currently after declared independence, several new academic directions and field of studies have been emerged in Georgia. Having considered that of among them could be included as follow: national and international security, military science and military art, invitro reproduction, geoeconomics, etc. Namely, the most new academic subfield never been existed before in Georgia is treated Victimology that is belong to Criminology science. As it is known, Victimology, branch of criminology, that scientifically studies the relationship between an injured party and an offender by examining the causes and the nature of the consequent suffering. Hence, the development of the scientific field is being intangible component and factor for promotion pluralistic environment and democratic values in Georgia. Victimology and its political aspects are to be reviewed on case of “Saakashvili authoritarian regime” case in Georgia. The case should be researched upon purges conducted by the authoritarian regime via the Victimology methodology.

Key words: Victimology, authoritarian regime, national security, criminology, geoeconomics, democratic values.

აფექტირებული დანაშაული, როგორც ვიქტიმოლოგიური პრობლემა

დოქტორანტი თამთა წირქვაძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

Tamta Tsirkvadze - *Caucasus International University Law Faculty Vice Dean*

სისხლის სამართლის დოგმატიკაში სულ მცირე ორი კლასიკური საკითხი მაინც მოიპოვება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული და გადაჯაჭვული პროვოცირებული დანაშაულის თემასთან. ესენია: აფექტირებული დანაშაული, სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე და 121-ე მუხლების მიხედვით, და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე და 122-ე მუხლების მიხედვით.

პროვოცირებულ დანაშაულთა სისტემაში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი უკავია ვიქტიმოლოგიურ იდეას. ორივე ზემოხსენებულ დანაშაულში ის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან იგი გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, დამნაშავის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ბედზე და, მეორეს მხრივ, მსხვერპლის შესაძლო პასუხისმგებლობაზე. ამ საკითხზე საერთო კონსენსუსი არსებობს როგორც რომანულ - გერმანული, ისე - საერთო სამართლის ქვეყნებში.

რომანულ-გერმანული, ანუ კონტიტენტური სამართლის ქვეყნებში ეს საკითხები შედარებით უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, იმიტომ, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ცალკე შემადგენლობებია აღწერილი დეტალურად (*Delictum sui generis*).

საერთო სამართლის ქვეყნებში ამ საკითხების სამართლებრივი დარეგულირება ხდება არა სპეციალური შემადგენლობისა და უმართლობის ტიპის აღწერის მეშვეობით, არამედ შედავათიანი მკვლელობის, ანუ პრივილეგირებული მოკვდინების ფარგლებში, რომელსაც „მენსლოტერს“ (*Manslaughter*) უწოდებენ. ეს ამ მხოლოდ ინგლისში კი არ ხდება, სადაც არ არსებობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიცირებული სისტემა, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც ყველა შტატში მომხდარია კოდიფიკაცია, სისხლის სამართლის კოდექსის მოდელის (*Model Penal Code*) საფუძველზე.

ვიქტიმოგენეზისა და ვიქტიმოგენური სიტუაციის შესწავლას მართო შემეცნებითი კი არა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. არსებობს განვრცობითი და შეზღუდვითი, იმპლიციტური და ექსპლიციტური თეორიები, სხვანაირად მაქსიმალისტური და მინიმალისტური თეორიები.

ვინაიდან ძირითადი ამოცანა მაინც დამნაშავის პასუხისმგებლობის გონივრული ლიბერალიზაციაა, რის საფუძველსაც იძლევა ფსიქიკის განსაკუთრებული მდგომარეობა პროვოცირებული და აფექტირებული დანაშაულის დროს, უფრო სწორი იქნება, თუ მაქსიმალისტურ თეორიას დაუჭერთ მხარს. მით უფრო, რომ ევროკავშირი მოგვიწოდებს სისხლის სამართლის ლიბერალიზაციისაკენ, შესაბამისად, უმჯობესია გამოვიყენოთ განვრცობითი განმარტება, ჰერმენევტიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: აფექტირებული დანაშაული, ჰერმანევტიკა, ვიქტიმური ქცევა, საერთო სასამართლო.

აფექტირებული დანაშაული გამოწვეულია მსხვერპლის პროვოკაციული ქმედებით. ამიტომ იგი განიხილება როგორც პროვოცირებული დანაშაული აფექტურ მდგომარეობაში. შესაბამისად, აფექტური დანაშაულის დროს ადგილი აქვს ორმაგ მიზეზობრიობას. ერთი ეს არის დამნაშავის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მეორე ეს არის მაპროვოცირებელი სუბიექტის მოქმედებასა და პროვოცირებული დამნაშავის ქცევას შორის მიზეზობრივი კავშირი.

აქედან გამომდინარე, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აფექტირებული დანაშაულის ვიქტიმოლოგიურ ანალიზს, რაც გულისხმობს მსხვერპლის როლს მის მიმართ ჩადენილ დანაშაულში; ამის გენეზისსა და ეტიოლოგიას.

ვიქტიმოგენური სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება მდგომარეობს დანაშაულის გენეზისში სუბიექტური ფაქტორის სიჭარბეში. პროვოცირებული დანაშაულის შემთხვევაში კი სახეზე გვყავს დამოუკიდებელი ქცევის ორი სუბიექტი და ობიექტი, რაც კიდევ უფრო ამრავლებს სუბიექტურ ფაქტორებს. ეს კი ართულებს ვითარებას, რადგან სუბიექტური ფაქტორები ძნელად ექვემდებარება პროგნოზირებას. ასეთ ვითარებაში დამნაშავე და მსხვერპლი დანაშაულის ობიექტებიც არიან და სუბიექტებიც, გააჩნია, რომელ ამპლუაში განვიხილავთ მათ. ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ურთიერთ-კავშირის დასადგენად კი აუცილებელია დამნაშავისა და მსხვერპლის პიროვნებისა და ქცევის შესწავლა.¹

აფექტირებული დანაშაულის ვიქტიმოლოგიური იდეა

ვიქტიმიზაციის პროცესში ხდება დამნაშავის პიროვნული თვისებების გამოვლენა, რაც მისი ვიქტიმოლოგიური დახასიათებისას მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ გარესამყაროში მიმდინარე პროცესებს. ეს პროცესები მათ ფსიქიკაზე აისახება. ემოციური პროცესების ინტენსიურობა დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე, ტიპზე, ტემპერამენტზე და სხვა.

აფექტის დროს ადამიანის ფსიქიკა მოითხოვს ამ განცდის შედეგად აღძრული ვნების დაკმაყოფილებას და მისი დაკმაყოფილების კვალობაზე ადამიანის ემოციური მდგომარეობა სტაბილურობას უბრუნდება. აფექტის დროს ქმედება იმპულსის დაკმაყოფილებას ემსახურება, მაგრამ ქმედების ღირებულება ზუსტად ამ ლტოლვაში ვლინდება. იმისათვის, რომ ადამიანს განუვითარდეს ფიზიოლოგიური აფექტი, აუცილებელია, რომ არსებობდეს გარკვეული ფაქტები ან პირობები. მაგრამ როდის, ან რამდენად იმოქმედებენ ისინი, ეს ადამიანის თავისებურებაზეა დამოკიდებული. ამას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ტემპერამენტი.

როგორც ვიცით, ფსიქოლოგიაში ტემპერამენტს მისი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით ოთხ ტიპად ყოფენ: მელანქოლიკი, სანგვინიკი, ქოლერიკი და

¹ Ugrekhelidze M., 2020. Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World., N 14., P. 7- 13.

ფლეგმატიკი. ამათაგან ერთ შემთხვევაში, მაგალითად, ქოლერიკული ტემპერამენტის სუბიექტს აფექტის მდგომარეობა შეიძლება წარმოეშვას თითქმის ავტომატურად, რადგან მისთვის დამახასიათებელია გრძნობების დიდი აღზნებადობა; გრძნობები ადვილად აღმოცენდებიან. ეს ტიპი ადვილად ინთება და ასე შემდეგ. სხვა შემთხვევაში, მაგ. მელანქოლიკის ან ფლეგმატიკის აფექტური მდგომარეობა შეიძლება წარმოიშვას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ფლეგმატიკს ახასიათებს გრძნობების სუსტი აღზნებადობა. ე.ი. ამ ტიპის ადამიანში გრძნობათა გამოწვევა ძნელია. ეს არის მშვიდი, გულგრილი ადამიანი. მისთვის უცხოა აფექტები, გრძნობები აღმოცენდებიან ნელა, გვიან და ძნელად აღწევენ აფექტის ინტენსივობას. მელანქოლიკური ტემპერამენტი გრძნობების აღზნებადობის მხრივ წააგავს ფლეგმატიკურს; მას ახასიათებს სანგვინიკთან და ქოლერიკთან შედარებით უფრო ძნელად აგზნებადი და სუსტი, მოდუნებული გრძნობები.²

ზემოთქმულის მიხედვით, ვიქტიმოგენურ სიტუაციაში სხვადასხვა დამნაშავე სხვადასხვა უნარს ამჟღავნებს, წინ აღუდგეს, გაუძლოს ან დაექვემდებაროს კონკრეტული ვითარებისა და მსხვერპლის ვიქტიმოგენურ ზემოქმედებას, ამ უნარს პროფესორმა მინდია უგრეხელიძემ, პირობითად ვიქტიმომედეგობა უწოდა.³

ვიქტიმოგენურ სიტუაციაში მსხვერპლის ქცევა ისევე სიღრმისეულად უნდა შეისწავლებოდეს, როგორც დამნაშავეს, თუმცა ამ შემთხვევაში ბრალი არ წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს. შესაბამისად, მსხვერპლის ქცევა შესაძლოა იყოს ვიქტიმური ან არავიქტიმური, ბრალეული ან არაბრალეული. ქცევა არავიქტიმურია, თუ მას არ გამოუწვევია დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან ჩვენ პროვოცირებულ დანაშაულზე ვსაუბრობთ, არავიქტიმური ქცევა არ გვექნება სახეზე. თუმცა თუ პროვოცირებულ დანაშაულში დადგინდა მსხვერპლის ბრალეული ქმედება, ეს გავლენას მოახდენს დამნაშავეს ბრალის ხარისხსა და პასუხისმგებლობის საკითხზეც. აფექტირებული დანაშაულის დროს, მსხვერპლის ვიქტიმური ქცევა შესაძლოა იყოს სარისკო, მორალურად გასაკიცხი (დალატი, შეურაცხყოფა...) ან საზოგადოებისთვის საშიში (თავდასხმა, ფიზიკური დაზიანება, გაუპატიურება...). მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძალზედ მნიშვნელოვანია მსხვერპლის პასუხისმგებლობის საკითხისათვის, ვინაიდან სარისკო და მორალურად გასაკიცხი ვიქტიმური ქცევისათვის პირს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებ.⁴

მართალია, კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში, რომელსაც საქართველოც ეკუთვნის, აფექტირებული დანაშაული, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, ცალკე შემადგენლობის სახითაა აღწერილი (*Delictum sui generis*), მაგრამ უმჯობესი იქნებოდა მისი კიდევ უფრო დეტალიზაცია. ვფიქრობ, ზემოაღნიშნული გამიჯვნის ხარჯზე უნდა მოხდეს დამნაშავეს პასუხისმგებლობის განხილვაც და საქართველოს კანონმდებლობაში ისინი, ერთი მუხლის, ერთი და იმავე პუნქტის ქვეშ არ უნდა მოიაზრებოდეს.

² ტემპერამენტთა კლასიფიკაცია მოგვცა ძველი საბერძნეთის მოაზროვნემ ჰიპოკრატემ (ძვ. წ. 460 — ძვ. წ. 370).

³ Ugrekhelidze M., 2020. Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World., N 14., P. 7- 13.

⁴ Ugrekhelidze M., 2020. Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World., N 14., P. 7- 13.

აფექტირებული დანაშაულისადმი მიდგომა საერთო სამართლის ქვეყნებში

საერთო სამართლის ქვეყნებში პროვოკაცია არ მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ან გამამართლებელი გარემოებების კატეგორიას, თუმცა შეუძლია Murder ანუ მძიმე მკვლელობა Manslaughter-ობამდე დაიყვანოს. საჭირო იქნება გავერკვეთ, რა იგულისხმება საერთო სამართლის ქვეყნებში „პროვოკაციის“ ქვეშ. პროვოკაციის ტესტია იმის შემოწმება, შეუძლია თუ არა მოცემულ ქვეყას ან გამოთქმას მავანს თვითკონტროლი დააკარგვინოს და, თუ შეუძლია, გავრცელდებოდა თუ არა იგივე სხვა „კეთილგონიერ კაცზე“ ასეთსავე მდგომარეობაში. ეს გახლავთ ფაქტის საკითხი (questio facti), რომელიც ჟიურიმ უნდა გადაწყვიტოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ტესტის მიხედვით, „კეთილგონიერი კაცი“ იმავე ასაკისა და სქესის უნდა იყოს, როგორცაა განსასჯელი და სხვა სპეციალურ მახასიათებლებსაც უნდა იზიარებდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ ერთიანი საკანონმდებლო ან თუნდაც დოქტრინალური კონსტრუქცია საერთო სამართლის სამშობლოში არც არასდროს ყოფილა და არც სადღესოდ არსებობს, მაგრამ ის ელემენტები გამოიყენება, რომლებიც კონტინენტურ სამართალში მონაწილეობენ აფექტირებული დანაშაულის სპეციალურ შემადგენლობაში. მხედველობაში მიიღება ცალკეული შემთხვევების განხილვისას და ყოველივე ამის ხერხემალს წარმოადგენს „მაკნათენის საქმე“.⁵ იგი დიდი ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების თეორიასა და პრაქტიკასაც ასაზრდოებდა კონცეპტუალურად. თუმცა, დროთა განმავლობაში ის თანდათან მდიდრდებოდა ახალახალი ქეისებით. ასეთია, მაგალითად, დიურჰამის ქეისი (Durham Case, 1993).⁶ საქმე ისაა, რომ საერთო სამართლის ტრადიცია დიდად ვერ შეცვალა ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის მოდელის (Model Penal Code), შემუშავებამ და მისი დებულებების მოქმედ კანონმდებლობაში დანერგვამ. ამიტომ უპირატესად ზემოთ მითითებული პრეცედენტული ქეისები კვლავ რჩება საერთო სამართალში ჩვენთვის საინტერესო თემაზე ინფორმაციისა და შემეცნების ძირითად წყაროდ.

საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორებიცაა: დიდი ბრიტანეთი, კანადა, ა.შ.შ და ავსტრალიის რამდენიმე შტატი, პროვოცირებული დანაშაული ცალკე არ მოიაზრება, არამედ მხოლოდ ე.წ. „მენსლოტერში“ (manslaughter)⁷, რომელიც გულისხმობს პრივილეგირებული მოკვდინების ნაირსახეობას ძლიერი ფსიქიკური, ემოციური აღელვების დროს, რაც გამოწვეულია შესაბამისი საფუძვლიანი მიზეზით. ამ მიზეზის საფუძვლიანობა განისაზღვრება იმ პირის სუბიექტური აღქმის შესაბამისად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული.⁸ პროვოკაციის სუბიექტური აღქმა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მსხვერპლი იმ კონკრეტულ მომენტში არ აპირებდა არანაირი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას ბრალდებულის მიმართ, მაგრამ დანაშაულის ჩამდენს რეალურად სჯეროდა, რომ პირი განახორციელებდა მის მიმართ ძალადობას და ეს აღქმა განპირობებული იყო დაზარალებულის მიერ მის მიმართ მანამდე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. თანაც იმ კონკრეტული ქმედების შემდეგ ბრალდებულს არ ჰქონია

⁵ A Dictionary of Law, Fourth Edition, Edited by Elizabeth A. Mattin., Oxford New York, Oxford University Press, 1997, P.235.

⁶ Richard C. Donnelly, Joseph Golgstein, Richard D. Schwartz., Criminal Law, Free Press of Glencol, Une., P. 739.

⁷ Black's Law Dictionary, Ninth Edition, 2009., St. Paul, MiNN West Publishing Co., P. 1049.

⁸ Model Penal Code, §210.3 Manslaughter.

მოდალადესთან არანაირი კონტაქტი, ანუ არ ჰქონდა მის მიმართ დაგროვილი ემოციების გამოვლენისა და გაანალიზების შესაძლებლობა. მოძალადის დანახვამ გამოიწვია შიშის აფექტი და თუნდაც იგი ამ მომენტში აღარ აპირებდა ძალადობის გამოვლინებას, ბრალდებულში გამოიწვია ძლიერი სულიერი აღელვება, შესაბამისად, მისი ადრინდელი ქმედება ჩაითვლება ბრალდებულის პროვოცირებად.⁹

როგორც ვხედავთ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მსხვერპლის ვიქტიმური ქცევა სცდება აწმყოს ფარგლებს და წარსულში ჩადენილმა ვიქტიმურმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს დამნაშავეის პროვოცირება აწმყოში.

ვიქტიმოგენუზის განვრცობითი განმარტების მეშვეობით შესწავლა ჰერმენევტიკის ფარგლებში

ვიქტიმური ქცევა უნდა შევისწავლოთ ნებისმიერ სოციალურ ნორმებთან მისი მიმართების ფართო კონტექსტში და არა მხოლოდ ზნეობრივ და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ამ შესწავლის შედეგად გამოიკვეთება, რამდენად აცდენილია ესა თუ ის სოციალური ჯგუფი საზოგადოებრივ რეალობას. რის შემდეგაც მოხდება გარკვეული ზომების შემუშავება ამ სოციუმის შეხედულებებისა და ქცევის წესების დასაახლოვებლად მიმდინარე სამართლებრივ და სოციალურ რეალობასთან.¹⁰

განვრცობითი განმარტების ფარგლებში ვიქტიმური ქცევის შესწავლა გულისხმობს მის ყველა მხრიდან დეტალურად გაანალიზებას. შესაძლებელია, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდეს ამა თუ იმ ქცევის ვიქტიმურობას, მაგრამ განვრცობითი განმარტების ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია გავცდეთ დაწერილ ტექსტს და ვიმსჯელოთ მის მიღმა. ამისათვის კი დაგვჭირდება ჰერმანევტიკა, რომლის რამდენიმე სახე არსებობს, ესენია: ავთენტური; ლეგალური; სასამართლო და მეცნიერული განმარტება. ამ უკანასკნელს არ აქვს სავალდებულო ძალა, თუმცა ჩვენს შემთხვევაში, ჯერჯერობით მხოლოდ ეს შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ. „რბილი სამართლის“ სახით. ამის საშუალებას იძლევა ის, რომ განსხვავდება განმარტებათა სახეები მათი მოცულობის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც კანონის ტექსტი უფრო ვიწროა, აზრი კი უფრო ვრცელი. ამ შემთხვევაში იყენებენ ე.წ. „პროკრუსტეს სარეცელს“, რაც გულისხმობს მოსამართლის მიერ, საჭიროებისამებრ, კანონის აზრთან მისი ტექსტის მორგებას.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ასევე განმარტების ხერხები, ესენია: გრამატიკული; ლოგიკური; სისტემური; ისტორიული და ტელეოლოგიური. მოცემულ შემთხვევაში დაგვჭირდება ტელეოლოგიური განმარტების ხერხი, რაც გულისხმობს ნორმის დანიშნულებისა და მიზნის შესწავლას და ამის მიხედვით განვრცობას კონკრეტულ ქმედებებზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროვოცირებულ დანაშაულში, როგორცაა აფექტირებული დანაშაული, სუბიექტური და ობიექტური ელემენტები ძალიან რთულად არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული. დამნაშავე ქმედების სუბიექტიცაა და ობიექტიც, ისევე

⁹ Howell v. State, 917 P.2d 1202, 1209 Alaska Ct. App. 1996.

¹⁰ Ugrekhelidze M., 2020. Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World, N 14.

როგორც მსხვერპლი. ამიტომ ძნელია დაადგინო, სად მთავრდება მსხვერპლის ვიქტიმურობა და იწყება დამნაშავის ბრალი.

ყოველივე ამის დასადგენად აუცილებელია სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი როგორც დამნაშავის, ასევე მსხვერპლის ნიშან-თვისებები, სოციალური წრე, ოჯახი, ხასიათი, ფსიქიკური მდგომარეობა, გუნება-განწყობა და სხვა, და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს შეფასება მათ ქმედებებს.

ზემოაღნიშნულის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია ბრალის ხარისხისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის და ვინაიდან ქვეყანა დგას ლიბერალიზაციის გზაზე, აუცილებელია, გამოვიყენოთ ისეთი თეორიები და მექანიზმები, როგორებიცაა განვრცობითი განმარტების თეორია და ჰერმანევიტიკა.

სისხლის სამართლის კოდექსის დასახვეწად კი, რეკომენდაციის სახით შესაძლებელია შემუშავდეს 111-ე და 121-ე მუხლების მეტი დეტალიზაცია და დიფერენცია მსხვერპლის ვიქტიმური ქცევისდა მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ugrekhelidze M., 2020. Structure, Content Analysis and Dimensiology of a Victimogenic Situation., Scientific Journal Law and the World, N 14.
2. Richard C. Donelly, Joseph Golgstein, Richard D. Schwartz., Criminal Law, Free Press of Glencol, Une.
3. Black's Law Dictionary, Ninth Edition, 2009, St. Paul, MiNN West Publishing Co.
4. Model Penal Code, §210.3 Manslaughter.
5. Howell v. State, 917 P.2d 1202, 1209 Alaska Ct. App. 1996.
6. A Dictionary of Law, Fourth Edition., Edited by Elizabeth A. Mattin., Oxford New York, Oxford University Press, 1997.

Offences Committed under the Provoked Temporary Insanity as an Victimological Matter

Tamta Tsirkvadze

At least two issues are known to the dogmatics of a criminal law which are interconnected and related to the topic of provocation to commit a crime: crimes of Provoked Temporary Insanity under Articles 111 and 121 of the Penal Code of Georgia, and deprivation of life by exceeding the self-defence limits under Articles 113 and 122 of the Penal Code of Georgia.

Victimological idea holds a central place in the system of provoked crimes. It is of significant importance both - in the crimes mentioned above as it has an influence on the criminal responsibility of the perpetrator and, on the other hand, on the possible liability of a victim. In that regard, consensus has been reached in civil law countries, as well as in common law countries.

In Civil law countries legal systems above mentioned issues are regulated in detail as special section of the Penal Code deals with them by setting forth separate corpus delicti (delictum sui generis).

In common law countries same offences are related to manslaughter cases, i.e. homicide considered by law as less culpable than murder. This is a common approach not only in England which does not have codified criminal system, but also in the United States of America, where every state has codified system of crimes based on Model Penal Code.

Discussing victimogenesis and victimogenic situation should be attached not only cognitive but also practical importance. There exist extensive and restrictive, implicit and explicit, maximalistic and minimalistic theories.

Since one of the major purposes is rational liberalization of a perpetrator's responsibility based on particular state of mind in provoked crimes and crimes of provoked temporary insanity, it would be well balanced to support maximalistic theory. Moreover, as EU calls for liberalization of criminal law, applying extensive definition with the modern achievements in hermeneutics would be more preferable.

Key words: Affective Crime, Hermeneutics, Victimfull Behavior, Common Law Countries.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის საკითხები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობაში

დოქტორანტი ანზორ ჩუბინიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Doctoral student Anzor Chubinidze, Georgian Technical University

ნაშრომში განხილულია ვიქტიმოლოგიური პრევენციის მნიშვნელობა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობაში, მიმოხილულია ის ზოგადი და სპეციალური ღონისძიებები, რის შედეგადაც მინიმუმამდეა დაყვანილი დასაცავი პირების, როგორც პოტენციური დაზარალებულების ვიქტიმურობის ხარისხი, გაანალიზებულია დასაცავი პირების მიმართ შესაძლო საფრთხეების ალბათობის გამოთვლის კრიტერიუმები, განხილულია ის გარემო და ვიქტიმოლოგიური ფაქტორები, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართ 1995 და 1998 წლების ტერაქტების ორგანიზება.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო დაცვა, სპეციალური სამსახური, დასაცავი პირი, დაზარალებული, პრევენცია.

ვიქტიმოლოგიური პრევენცია წარმოადგენს სპეციფიკურ საქმიანობას მიმართულს იმ ფაქტორების და გარემოებების გამოვლენაზე, აღკვეთასა ან ნეიტრალიზაციაზე, რომლებიც აყალიბებენ ვიქტიმურ ქცევას და განაპირობებენ დანაშაულის ჩადენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაცავი პირების მიმართ ვიქტიმოლოგიური პრევენცია არის სამსახურის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის მიმართულებით სამსახური ყურადღებას ამახვილებს დასაცავი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. შესაბამისად პრევენციული ღონისძიებები ინტენსიურად ტარდება დასაცავ პირთა საცხოვრებელ, სამუშაო და მონახულების ობიექტებზე, აგრეთვე გადაადგილების მარშრუტებზე.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის და ტერორიზმის ნარატივების გამოვლენაში სამსახურისთვის ეფექტური მექანიზმია დასაცავ პირთა გარემოცვაში არსებული ოპერატიული ვითარების კონტროლი, იმ პირთა გამოვლენა და ოპერატიული კუთხით შესწავლა, რომლებიც ხვდებიან დასაცავ პირთა და ობიექტთა გარემოცვაში და იკვეთებიან გარკვეულ კავშირში ასეთი ნარატივების შემცველ ქმედებებთან.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის მიზნით სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას როგორც ოპერატიული საშუალებებით, ასევე ღია წყაროების მონიტორინგის საშუალებით. მიღებული ინფორმაცია მუშავდება და ანალიზდება სამსახურის დასაცავი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში და აქცენტი მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადატანილია შესაძლო ტერორისტული ქმედებების და ნარატივების ვიქტიმოლოგიურ პრევენციაზე.

საქართველოს ხელისუფლების მაღალი რანგის პირების გარდა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში ვიზიტად მყოფი უცხო ქვეყნების და საერთაშორისო

ორგანიზაციების დელეგაციების ხელმძღვანელი პირების უსაფრთხოების უზრუნველ-საყოფად ვიქტიმოლოგიური პრევენციული ღონისძიებების გატარებას. აქტიური კომუნი-კაცია მყარდება მათ თანმხლებ დაცვის წევრებთან და ერთობლივად იგეგმება უსაფრ-თხოების ზომები. წინასწარ მოწმდება და კონტროლზე აიყვანება მონახულების ობიექტები, ისაზღვრება და შეისწავლება მათი გადაადგილების მარშრუტები, ხდება საჭიროების შემთხვევისთვის სამედიცინო დაწესებულებების და სავაკუაციო ადგილების შერჩევა.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის ფარგლებში სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საქარ-თველოში აკრედიტირებულ დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურებთან, ცალკეული ქვეყნების დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურებთან კოორდინირებულად იგეგმება დაცვის ღონისძიებები, განისაზღვრება მისაღები ზომები და ამ ღონისძიებაში გამოყე-ნებული ძალები და საშუალებები.

ვიქტიმოლოგიური პრევენციისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საფრთხეებს, რომელიც შესაძლოა დაემუქროს დასაცავ პირებს პოტენციური ვიქტიმატორის მიერ. აღნიშნული ტიპის საფრთხეების ალბათობების დათვლა ხორციელდება 4 კრიტერიუმის მეშვეობით:

1. **ინფორმაცია კონკრეტული ქმედების მზადებაზე ანუ კონკრეტული ქმედების ინდიკატორები** – ამ კრიტერიუმის საფუძველზე ხორციელდება საფრთხის წარმომქმნელის მიერ საფრთხის რეალიზების განზრახვის გაზომვა;
2. **საფრთხის წყაროს შესაძლებლობები** – ამ კრიტერიუმით ფასდება საფრთხის წყაროს შესაძლებლობები განახორციელოს საფრთხე;
3. **საფრთხის სამიზნის მოწყვლადობა** – ამ კრიტერიუმით ფასდება საფრთხის სამიზნის მოწყვლადობა კონკრეტული საფრთხისადმი;
4. **არსებული გარემო პირობები** – ამ კრიტერიუმით ფასდება არსებული გარემო-პირობების (მაგ, საერთაშორისო თუ შიდა პოლიტიკური ვითარება) გავლენა საფრთხის შესაძლო რეალიზებაზე.

არსებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე ფასდება შესაძლო ტერორისტული საფრთხეების არსებობა და საშიშროების დონე, რის საფუძველზეც მიიღება შესაბამისი პრევენციული ზომები.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის მიზნით ხდება სამსახურის დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. გარდა ამისა, პირადი შემადგენლობის პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის ხორციელდება თანამშრომელთა პერმანენტული სწავლება.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის ფარგლებში სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პირად დაცვის სამსახურების ასოციაციის (APPS) წევრ სამსახურებთან, მონაწილეობას იღებს ორგანიზაციის ეგიდით გამართულ საეთაშორისო კონფერენციებში და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში, რომლის თემატიკაც უმეტესად წარმოადგენს ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეებს. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხდება ინფორმაციის პერმანენტული მიმოცვლა დაგროვილი გამოცდილების და დანერგილი სიახლეების გაზიარების მიზნით.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის სისტემატიზაცია. ხორციელდება ბაზების მუდმივი განახლება როგორც სდსს-ს, ასევე სხვა სამართალდამცავი სტრუქტურებიდან მოწოდებული ტერორისტული შეფერილობის ორგანიზაციებისა და პირების შესახებ ინფორმაციით.

სამსახური ვიქტიმოლოგიური პრევენციის მიზნით ახორციელებს როგორც ზოგად, ასევე სპეციალურ ღონისძიებებს. კერძოდ:

- დასაცავი პირების საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებზე, აგრეთვე ხშირი მონახულების ობიექტებსა და გადაადგილების სვლა-გეზებზე, მუდმივად მიმდინარეობს ადამიანური მხრიდან მომდინარე საფრთხეების პრევენცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში მცხოვრებ არარეზიდენტ პირებს, საბრძოლო გამოცდილების მქონე პირებს, საცხოვრებელი ფართით დროებით მოსარგებლე პირებს.

- დასაცავი პირების საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებზე, აგრეთვე ხშირი მონახულების ობიექტებსა და გადაადგილების სვლა-გეზებზე მცხოვრებ პირებთან, აგრეთვე დაწესებულება-ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალთან მყარდება მჭიდრო კონტაქტი როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქის მხრიდან ტერორისტული თვალსაზრისით საეჭვო ქმედებების დაფიქსირებისას ან უმეტესად ყურადღებას დატოვებულ საეჭვო ნივთის აღმოჩენისას, ჩვენი ოპერატიულად ინფორმირებისათვის.

- კონტროლზეა აყვანილი დასაცავი პირების საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებზე, აგრეთვე ხშირი მონახულების ობიექტებსა და გადაადგილების სვლა-გეზებზე ცეცხლ-სასროლი იარაღების მფლობელი პირები.

- ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების აღმოჩენის მიზნით, სპეციალური საშუალებების და სასამსახურო ძალების გამოყენებით ხორციელდება სამსახურის დასაცავი ობიექტების და სამსახურის დასაცავი პირების მონახულების ობიექტების შემოწმება. კონტროლდება მონახულების ობიექტზე არსებული ცეცხლსასროლი იარაღი.

- დაცვითი ღონისძიებებისას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში ადგილზე ხორციელდება ოპერატიული ვითარების შესწავლა, დასაცავი პირების მიმართ შესაძლო ტერორისტული საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა, იგეგმება საფრთხეების განეიტრალების ღონისძიებები.

- შესაძლო ტერორისტული თავდასხმების ადგილების დადგენის მიზნით, ხორციელდება დასაცავი პირის მარშრუტის ანალიზი. მარშრუტზე შესწავლილი, დამუშავებული და გამოყოფილია ოპერატიულ-ტექნიკური თვალსაზრისით რთული და ტერორისტული თავდასხმისთვის მოწყვლადი ადგილები (ჩასაფრება, დანადგვა, სნაიპერი), დაცვითი ღონისძიებების მომზადებისას ხდება მათი ფიზიკური ძალებით გადახურვა, შეირჩევა უსაფრთხო მარშრუტები.

- ხორციელდება დასაცავი პირების გადაადგილების მარშრუტზე და მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებული საეჭვო პირებისა და ავტომანქანების ოპერატიულად დადგენა-შემოწმება. საჭიროების შემთხვევაში ხდება ავტომანქანების ევაკუაცია.

- სავალი ნაწილის შესაძლო დანადგვის თავიდან აცილების მიზნით, დამყარებულია მჭიდრო ურთიერთკოორდინაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან, რომელთაც სვლა-გეზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სისტემატურად უწევთ მუშაობა. სამსახურის მხრიდან ხდება ხსენებული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესზე კონტროლი.
- კონტროლზეა აყვანილი ის პირები, ვისაც უშუალოდ შეხება აქვთ დასაცავი პირების საკვებით მომარაგებასა და მომზადებასთან. რეგულარულად მიმდინარეობს აღნიშნული პირების შემოწმება-შესწავლა.
- შესაძლო ტერორისტული საფრთხის გამოსავლენად, დასაცავი პირების საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებისას, მიმდინარეობს მგზავრთა ნაკადის წინასწარი ანალიზი. გარდა ამისა, სპეციალური საშუალებების და სასამსახურო ძალების გამოყენებით ხორციელდება გარემოს და ბარგის შემოწმება. ბორტი მოწმდება ასაფეთქებელი ნივთიერების შესაძლო არსებობაზე.
- სამსახურის დასაცავი პირების დაცვითი ღონისძიებების წინ ხორციელდება ღონისძიებაზე დამსწრე პირთა მონაცემების ანალიზი. საექვო პირის დაფიქსირების შემთხვევაში დამატებით ხდება მისი შესწავლა.
- დასაცავ ობიექტებზე ფუნქციონირებს დაშვების კონტროლის სისტემა და ხორციელდება ობიექტზე შემსვლელი პირის სრული იდენტიფიცირება.
- დასაცავ ობიექტებზე უკანონოდ შეღწევის საწინააღმდეგოდ გამოყენებულია კონტროლის სისტემები.
- დასაცავ ობიექტებზე მიღებული საფოსტო კორესპონდენცია და ამანათები მოწმდება ასაფეთქებელი ნივთიერების, ქიმიური, ბიოლოგიურ და რადიაციული შემადგენლობის არსებობაზე.
- ყურადღება ექცევა ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი ზოგიერთი პროფესიის მქონე სპეციალისტებს, მათი გამოცდილების შესაძლო არამართლზომიერი გამოყენებიდან მიმდინარე საფრთხეების პრევენციის მიზნით.
- ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება მედიასაშუალებების და სოციალური ქსელების მონიტორინგი დასაცავი პირების მიმართ შესაძლო მუქარის ან აგრესიის შემცველი განცხადებების დაფიქსირების და მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით.
- მუდმივი თვალთახედვის არეში იმყოფება ტერორისტული თავდასხმების მიმანიშნებელი ისეთი ინდიკატორები როგორებიცაა: იარაღის, საბრძოლო აღჭურვილობის, ფეთქებადი ნივთიერებების, ტრანსპორტის, სამსახურის პირადობის მოწმობების უკანონოდ მითვისების და არალეგალური ბრუნვის ფაქტები.
- შემუშავებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ ობიექტებზე ტერორისტული საფრთხის ალბათობის შეფასების კრიტერიუმები.

- შესაძლო ტერორისტის ამოცნობის მიზნით, შემუშავებულია ტერორისტებისთვის დამახასიათებელი ქცევები და ნიშნები.

- ხორციელდება VIP პერსონების მიმართ მსოფლიოში განხორციელებული ტერორისტული აქტების შესწავლა, მათი დაგეგმვის, მომზადებისა და შესრულების მეთოდების კლასიფიცირება.

დასაცავი პირების და ობიექტების მიმართ შესაძლო ტერორისტული აქტის პრევენციის მიზნით სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს და კოორდინაციაშია სხვა სამართალდამცავ უწყებებთან. პერიოდულად ხდება სამუშაო შეხვედრები, ხორციელდება ოპერატიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა შესაძლო საფრთხეების შესახებ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვიქტიმოლოგია ჩვენთვის ინტერესის საგანს შეადგენს აგრეთვე იმ კუთხითაც, რომ იგი შეისწავლის პიროვნების მსხვერპლად გახდომის გარემოს და დანაშაულის ვიქტიმოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც წარმოადგენს გარემოებების ერთობლიობას და ხელს უწყობს მსხვერპლის, ჩვენს შემთხვევაში სამსახურის დასაცავი პირების ვიქტიმიზაციას.

საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ იმ მახასიათებელს, რომ ვიქტიმიზაციის პროცესში მსხვერპლად შეიძლება იქცეს როგორც რიგითი მოქალაქე, ასევე ქვეყნის პირველი პირები. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტები: 1995 წლის 29 აგვისტოს და 1998 წლის 9 თებერვალს.

ისმის კითხვა: რა გარემოებებმა განაპირობეს ის, რომ ე.შევარდნაძე ორჯერ გამხდარიყო ვიქტიმირების მსხვერპლი?.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რაც ამ პროცესებს უძღოდა წინ და რამაც განსაზღვრა მოვლენების შემდგომი განვითარება.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ შევარდნაძის წინაშე იდგა სამი ძირითადი პრობლემა:

1. საქართველოსათვის საერთაშორისო ფუნქციის შექმნა, ქვეყნის მიმართ რეალური ეკონომიკური ინტერესის გაჩენა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

შევარდნაძემ მოახერხა ის, რომ საქართველოს მიმართ რეალური ეკონომიკური ინტერესი გაუჩინა წამყვან ნავთობკომპანიებს. 1993-95 წლებში იგი აწარმოებდა მოლაპარაკებებს საერთაშორისო ნავთობკომპანიების ხელმძღვანელებთან ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა რუსეთის ხელისუფლების მკვეთრი გაღიზიანება გამოიწვია. რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა 1994 წელს საგარეო დაზვერვის უფროსის პრიმაკოვის რჩევით ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის თანახმად კასპიის რეგიონში ნავთობის და გაზის მოპოვება და მათი ტრანსპორტირება განიხილებოდა როგორც რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედება და ჩარევა რუსეთის პირდაპირი გავლენის სფეროში. ამის მიუხედავად, შევარდნაძემ გააგრძელა მოლაპარაკებები ნავთობკომპანიების ხელმძღვანელებთან. მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო და

უცხოური კომპანიები დათანხმდნენ ნავთობის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით და რუსეთის გვერდის ავლით.

2. სამეგრელოს რეგიონზე ცენტრალური ხელისუფლების გავრცელება და გამსახურდიას მომხრეების განიარაღება.

1992-93 წლებში სამეგრელოს რეგიონში წესრიგის აღსადგენად შევარდნაძის მითითებით რამდენჯერმე გაიგზავნა შეიარაღებული დაჯგუფებები. ამ ლაშქრობებს ხშირად სადამსჯელო ხასიათი ქონდა, რაც უკიდურესად ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში ხელისუფლების და პირდაპ შევარდნაძის მიმართ. რეგიონში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა აფხაზეთის ომის ბოლოს გამსახურდიას საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ. გამსახურდია თავის შეიარაღებულ მომხრეებთან ერთად შეეცადა კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. შექმნილ ვითარებაში შევარდნაძე დათანხმდა რუსეთს დსთ-ში გაწევრიანებაზე, სამაგიეროდ რუსეთმა შევარდნაძეს გამსახურდიას წინააღმდეგ სამხედრო დახმარება აღმოუჩინა, რის შედეგად გამსახურდიას შეიარაღებული მომხრეები სამეგრელოს ტყეებში გაიხიზნენ. საურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ დახმარების სანაცვლოდ რუსეთმა შევარდნაძე აიძულა საკვანძო თანამდებობებზე, მათ შორის უშიშროების მინისტრად დაენიშნა იგორ გიორგაძე.

3. ქვეყანაში სტაბილური ვითარების დამყარება, შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონისათვის“ ფინანსურ-პოლიტიკური ძალაუფლების ჩამორთმევა და განეიტრალება.

გამსახურდიას მომხრეების დამარცხების შემდეგ შევარდნაძემ გადაწყვიტა „მხედრიონის“ განიარაღება და მათი პოლიტიკურ-ფინანსური ინტერესების შეზღუდვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხედრიონის ლიდერების მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა.

მაშასადამე, 1995 წლისთვის საბოლოოდ გამოიკვეთა და აშკარა გახდა ის ძალები, რომელთათვისაც შევარდნაძე მათი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა. ესენი იყვნენ:

- რუსეთის ხელისუფლება და მისი გეოსტრატეგიული ინტერესები;
- „მხედრიონი“;
- გამსახურდიას მომხრეები.

შევარდნაძის წინააღმდეგ საერთო ინტერესებმა გააერთიანეს მხედრიონი და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობა.

რაც შეეხება 1998 წლის 9 თებერვლის ტერორისტულ აქტს. მისი ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო გამსახურდიას ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი, ფინანსთა ყოფილი მინისტრი გურამ აბსანძე. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ 1992 წლიდან იგი რუსეთში იმყოფებოდა და ქალაქ სმოლენსკში სპირტის ბიზნესით იყო დაკავებული.

მისი თაოსნობით მოსკოვში შექმნილი იყო საკოორდინაციო საბჭო, სადაც დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები შედიოდნენ. საბჭომ დევნილი მთავრობის თავმჯდომარედ გურამ აბსანძე აირჩია.

აბსანძის მიზანი იყო ხელისუფლების ხელში ჩაგდება. თუმცა, შევარდნაძის არსებობის პირობებში ეს შეუძლებელი იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა შევარდნაძის ლიკვიდაცია. ამისათვის საჭირო იყო შესაბამისი საბრძოლო გამოცდილების მქონე პირებისგან ჯგუფის დაკომპლექტება, რომელიც სისრულეში მოიყვანდა მის ჩანაფიქრს. ამ მიზნით, იგი 1997 წლის გაზაფხულზე მოსკოვში შეხვდა ზუგდიდის ბატალიონის უფროსის ყოფილ მოადგილეს, გამსახურდიას გვარდიის პოლკოვნიკს, 30 წლის გოჩა ესებუას. მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სამოქალაქო ომში, ჩეჩნეთის ომში და ახლო კავშირი ჰქონდა ზოგიერთ ჩეჩენ საველე მეთაურთან. აბსანძემ ესებუას დაავალა გამოცდილი მებრძოლებისგან ჯგუფის შექმნა. ამასთანავე მან ესებუას განუცხადა, რომ ჯგუფი ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნებოდა. მოგვიანებით ქართველმა სამართალდამცავებმა ის თანხა დაასახელებს, რომელიც თავდასხმის მომზადებაზე და განხორციელებაზე დაიხარჯა - 1 მლნ დოლარი.

ესებუამ საბრძოლო ჯგუფი დააკომპლექტა საბრძოლო გამოცდილების და ერთგულების ნიშნით. ჯგუფის ყველა წევრი გამსახურდიას დროინდელი ეროვნული გვარდიის მეომარი იყო, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ომში. ჯგუფმა სამხედრო მომზადება 5 თვის განმავლობაში ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვარზე მდებარე ავტურის საველე-სამხედრო ბაზაზე გაიარა. იქვე დისლოცირებული იყვნენ სალმან რადუევისა და მოჰაჯირ ხატაბის რაზმები. მათი ინსტრუქტორები ჩეჩნების გარდა, არაბი მეომრებიც იყვნენ. სამხედრო მომზადება მკაცრი კონსპირაციის პირობებში მიმდინარეობდა. ისინი პრაქტიკულად იზოლირებული იყვნენ გარესამყაროსგან და არავისთან არ კონტაქტობდნენ. აბსანძემ ჩეჩნეთში პირადად მოინახულა სამხედრო ბაზაზე მყოფი ჯგუფის წევრები და შეამოწმა ჯგუფის სამხედრო მზადყოფნა. ჩეჩნეთში მომზადების შემდეგ ჯგუფის წევრები თბილისში ნაწილ-ნაწილ, 4 ჯგუფად შემოვიდნენ და მათ თბილისის სხვადასხვა უბანში რამდენიმე კონსპირაციული ბინა იქირავეს.

ტერორისტული აქტის მოსამზადებელ ეტაპზე-ოპერაციის დაგეგმვის და მომზადების პროცესში ისინი იცავდნენ უსაფრთხოების მკაცრ ზომებს. ტერორისტული ჯგუფი იყო თვითკმარი, არ საჭიროებდნენ გარე დახმარებას, არ ამყარებენ კონტაქტებს უცხო პირებთან.

ტერორისტების მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მაქსიმალურად სრული ინფორმაციის შეგროვებას და შესწავლას თავდასხმის ობიექტის შესახებ, შესაბამისად მათ მიერ გარკვეული დროის განმავლობაში ინტენსიურად ხორციელდება ფარული თვალ-თვალი თავდასხმის ობიექტზე, სამიზნის სუსტი მხარეების და მოწყვლადი ადგილების გამოვლენის მიზნით.

თავდასხმის ობიექტის შესწავლისას ინფორმაციის მოპოვება ხდებოდა შემდეგი მიმართულებით:

- პრეზიდენტის ყოველდღიური სამუშაო განრიგის შესწავლა.
- პრეზიდენტის ესკორტში შემავალი სატრანსპორტო საშუალებების შესწავლა.
- პრეზიდენტის დაცვის წევრთა რაოდენობის, შეიარაღების და დაცვის სხვა ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა.
- გადაადგილების მარშრუტზე დაცვის პოსტების განლაგების შესწავლა.
- გადაადგილების მარშრუტების სქემატური გეგმის შემუშავება.

ტერორისტებს გარკვეული ტაქტიკური უპირატესობა გააჩნდათ, რაც გამოიხატებოდა მოულოდნელობის ფაქტორსა და ინიციატივის ფლობაში.

თავდასხმის განხორციელების დროის და ადგილის შერჩევას ტერორისტები ყურადღებას აქცევდნენ შემდეგ გარემოებებს:

ა) ჩასაფრების ადგილზე საფარის არსებობას, რაც ტერორისტებს დაიცავდა დაცვის საპასუხო ცეცხლისგან და მათ შემთხვევის ადგილიდან სწრაფი ევაკუაციის შესაძლებლობას მისცემდა.

ბ) რელიეფის თავისებურებას.

გ) რამდენად სწრაფად მოახერხებდნენ დაცვის დამხმარე ძალები თავდასხმაზე რეაგირებას.

მათ უნდა განესაზღვრათ ესკორტის მოძრაობის სიჩქარე და დრო, აფიქსირებდნენ წუთობრივად რამდენი ხანი უნდებოდა ესკორტი მარშრუტის ამა თუ იმ მონაკვეთის გავლას. ამ მიზნით ჯგუფის წევრები განაწილებული იყვნენ პრეზიდენტის მარშრუტის მთელ პერიმეტრზე და სწავლობდნენ ესკორტის მოძრაობას სხვადასხვა ამინდში. ესკორტზე ერთ-ერთი ასეთი დაკვირვების დროს მათ დააფიქსირეს, რომ რაციებთან კავშირი წყდებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ერთმანეთთან კავშირი მობილურით განეხორციელებინათ. ეს ართულებდა ვითარებას, მაგრამ მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.

პრეზიდენტის მარშრუტის შესასწავლად ტერორისტებმა სპეციალურად იქირავეს სამარშრუტო ტაქსი და ხაზი, გაუკეთეს სამგზავრო ტრაფარეტი. სამარშრუტო ტაქსი პრეზიდენტის მარშრუტზე მოძრაობდა.

თვალთვალის შედეგად ტერორისტებმა დაადგინეს, რომ პრეზიდენტი ყოველდღე ერთი და იმავე გზით მიდიოდა სამსახურში და ბრუნდებოდა უკან.

მარშრუტის დეტალური შესწავლის შედეგად შეირჩა თავდასხმის ადგილი - 300 არაგველის მემორიალთან არსებული სკვერი. ღამე აქ განათება ცუდი იყო და ჩასაფრების შემჩნევა ადვილი არ იქნებოდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ადგილას არც დაცვა იმყოფებოდა.

ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ გ.აბსანძეს შემუშავებული ჰქონდა შემდგომი მოქმედების გეგმაც. ჩანაფიქრის მიხედვით, შევარდნაძის ლიკვიდაციის შემდეგ შეთქმულები გეგმავდნენ ორ დღეში დაახლოებით 2000 ათასი შეიარაღებული მეომრის გამოყვანას. პარალელურად ციხიდან უნდა გაეთავისუფლებინათ გამსახურდიას გვარდიის სარდალი ლოთი ქობალია და სხვა მათი მომხრეები, უნდა მოეხდინათ სახელმწიფო კანცელარიის, პარლამენტის, ტელევიზიისა და ფოსტის აღება, რის შემდეგაც კანონიერი ხელისუფლების აღდგენას გამოაცხადებდნენ.

შევარდნაძის მიმართ გახორციელებული ორივე ტერაქტის ანალიზის შედეგად იკვეთება რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომლებმაც უზრუნველყო თავდასხმის შესაძლებლობა.

ეს ფაქტორებია:

ა) პრეზიდენტი იგნორირებას უკეთებდა მიღებულ ინფორმაციებს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

ბ) პრეზიდენტი არ ითვალისწინებდა პირადი დაცვის მოთხოვნებს.

გ) თავდასხმის ობიექტს გააჩნდა ქმედების სტერეოტიპული მოდელი.

ამასთანავე, ორივე შემთხვევაში ტერორისტებმა ერთი და იგივე შეცდომა დაუშვეს. არც ერთი ტერაქტის ადგილზე და მის სიახლოვეს არ იყო სარეზერვო ჯგუფი ან პირი, რომელიც თავდასხმის შემდეგ საკონტროლო გასროლას განახორციელებდა.

წარსულის გამოცდილების გაზიარებით და თანამედროვე ტენდენციების ანალიზის შედეგად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მუდმივად ესწრაფვის სრულყოფილ პრევენციული ზომების არსენალი, რაც ხელს უწყობს დასაცავი პირების როგორც პოტენციური დაზარალებულების ვიქტიმურობის ხარისხის მინიმუმამდე დაყვანას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი “სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ”, 1996, 20 თებერვალი
2. ედ. შვეარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, თბ., 2006
3. ჯ. იოსელიანი, სამი განზომილება, თბ., 2013
4. დ. შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.), თბ., 2008
5. თ. ნარინდოშვილი, ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წწ.), თბ., 2018.

Subjects of Victimology Prevention in the Activities of the Special State Protection Service of Georgia

Anzor Chubinidze

In the given article the importance of victimology prevention in the Special State Protection Service activities is discussed, also an emphasis is put on some general and special aspects that cause the minimization of dignitaries as potential casualties. Besides, Criteria for calculation methods of threat likelihood facing dignitaries are analyzed and those victimology environment and factors are surveyed that made it possible to conduct terrorist attacks against ex-president Eduard Shevardnadze in 1995 and 1998.

Key words: State protection, Special service, Defendant, Victim, Prevention.

ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებანი

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღუა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; **პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბაძაღუა**, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

Professor, Dr. Malkhaz Badzaghua, *President of the Georgian Academy of Criminology Sciences, Director of the Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University;*
Professor, Dr. Mikheil Badzagua, *Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

ნაშრომში დახასიათებულია ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებანი. დადასტურებულია, რომ დანაშაულის ჩამდენი პირისა და განსაკუთრებით მსხვერპლის შესწავლა შეუძლებელია მათი ქცევისა და კონფლიქტური ურთიერთობების კრიმინოლოგიური კვლევის გარეშე, რაც გარკვეულად მოქმედებს მართლმსაჯულების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ნაშრომში ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დანაშაულის მსხვერპლის კლასიფიკაციის საფუძველები, ასევე გაანალიზებულია ვიქტიმოლოგიური პრევენციის თავისებურებები და მექანიზმები.

დასკვნის სახით მოცემულია მასობრივ და ინდივიდუალურ დონეზე თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ვიქტიმური ქცევა, დევიქტიმიზაცია, ვიქტიმოლოგიური პრევენცია, ვიქტიმოლოგიური კულტურა

დანაშაულობის სრულყოფილი შესწავლა - დახასიათებაში მნიშვნელოვანი კომპონენტია დანაშაულობის მსხვერპლის ზნეობრივი მახასიათებელი. კრიმინოლოგიური კვლევის გზით დგინდება, რომ დამნაშავის პიროვნების ქცევა, გარკვეულ შემთხვევაში, გამოწვეულია მსხვერპლის განსაკუთრებული თვისებებით, ქცევითა და კონფლიქტური ურთიერთობებით, უზნეო - არაეთიკური მოქმედებით, რაც განაპირობებს ეთიკის თეორიების მნიშვნელოვან როლს დანაშაულობის შესწავლაში, განსაკუთრებით, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის, ასევე მსხვერპლის ნაწილში.

კრიმინოლოგიაში დანაშაულობის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის დანაშაულობის თავიდან აცილების პრობლემების შესწავლა შეუძლებელია ეთიკის კატეგორიების გათვალისწინების გარეშე, რადგან ეთიკა, როგორც მეცნიერების დარგი შეისწავლის რა ადამიანის ზნეობას, რომელიც წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს და არეგულირებს ადამიანის ცხოვრებას და მოიცავს ყველა სფეროს, ოჯახიდან დაწყებული...¹. ეთიკური და კრიმინოლოგიური ხელმძღვებულობა -

¹ გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბ., 1966, გვ. 66.

პრაქტიკულად ანტისაზოგადოებრივი, არაეთიკური ქცევის, სამართალდარღვევის, დანაშაულის წარმოშობის და განვითარების წინაპირობაა².

მსხვერპლის მხრიდან პროვოცირებული, არაეთიკური ქცევა ქმნის დანაშაულობის ცრუ შემადგენლობას, რომლის საფუძველზეც აღმოცენდება ფსევდოდანაშაულობა, ამიტომაც ღრმა კრიმინოლოგიური ანალიზის გარეშე მართმსაჯულების სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ზოგჯერ არასამართლიანია და უდანაშაულო ადამიანებისათვის პრობლემურია.

როგორც არ არსებობენ დაბადებით დამნაშავეები, ასევე არ არსებობენ დაბადებით დანაშაულის მსხვერპლნი. მაგრამ არსებობს ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც სოციალური მდგომარეობის, როლისა და სიტუაციის, სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ დამნაშავე პირებისათვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა. ამ კატეგორიას მიეკუთვნება სოციალურად დაუცველი, ხანდაზმული, არასრულწლოვანი, ფიზიკურად გამორჩეული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ასევე საზოგადოებაში თმენის ვალდებულების მქონე თანამდებობის პირები და სხვა კატეგორიის ადამიანები, რომლებიც პოტენციურად ყველაზე ხშირად შეიძლება დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ.

კრიმინოლოგიაში გარკვეული პიროვნებების სოციალური როლის ან სოციალური სიტუაციის თვისებას, რომელიც პროვოცირებს ან აადვილებს დანაშაულებრივ ქცევას პიროვნების ვიქტიმურობას უწოდებენ. ხოლო მსხვერპლის ქარაფშუტულ, უზნეო, ამორალურ, არაეთიკურ ან მართლსაწინააღმდეგო ქცევას, რაც დანაშაულობის ჩადენის მიზეზი და ხელშემწყობი პირობა ხდება ვიქტიმურ ქცევას უწოდებენ³. ამასთანავე ვიქტიმური ქცევა არ ხსნის თვით დამნაშავის პიროვნების ანტისოციალურობის პრობლემას. აქვე გასათვალისწინებელია კრიმინოლოგიაში დადგენილი კანონზომიერება:

დამნაშავისა და მსხვერპლის როლი ხშირად ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათ შორის სხვაობა მეტად პირობითია, რამეთუ მხოლოდ გარემოება წყვეტსმ თუ ვინ გახდება დამნაშავე და ვინ მსხვერპლი. ამასთან, ამ როლებს შეუძლიათ მონაცვლეობა, ურთიერთშეცვლა და შეთავსება ერთ პიროვნებაში.

რაც უფრო პროვოკაციულია მსხვერპლის ქცევა კონკრეტულ დანაშაულში, მით მეტი ყურადღებით უნდა შეფასდეს დანაშაულობის ჩამდენი პიროვნების ქმედება. ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული პირისთვის სასჯელის შემსუბუქება ან სასჯელისგან გათავისუფლება. ზემოაღნიშნული კანონზომიერება, მეტწილად, ისეთ დანაშაულობებში ვლინდება, რომელიც პიროვნების წინააღმდეგაა მიმართული.

ვიქტიმოლოგიურ თეორიაში მნიშვნელოვანია „შერეული ბრალის“ დადგენა დანაშაულში, რის შედეგადაც იგი თავადვე დაზარალდა. სისხლის სამართალში არსებობს დებულება, რომლის თანახმად, დანაშაულში „მსხვერპლის წვლილის“ არსებობა დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრებს ამცირებს. ამასთანავე, სისხლის სამართალში ბრალი და კრიმინოლოგიაში „მსხვერპლის წვლილი“ ახლომდგომი, მაგრამ არაიდენტური ცნებებია. „მსხვერპლის წვლილში“ ფართო გაგებით იგულისხმება

² მ. ზამალუა, პროფესიული ეთიკის საფუძვლები, თბ., 2018, გვ.42-43.

³ მ. ზამალუა, კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები, თბ., 2016, გვ.38-39.

დანაშაულის ერთ-ერთი „მონაწილის“ მსხვერპლის არაეთიკური ქცევის განსაზღვრული ფორმები და არა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ სამოქალაქო სამართალში გვაქვს დაზარალებულის ბრალის ცნება და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

კრიმინოლოგიური კვლევების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ მსხვერპლის როლი მისი ქცევიდან გამომდინარე კრიმინოლოგიურ მექანიზმში შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, დანაშაულის ჩადენაზე სრულიად ნეიტრალურიდან მაქსიმალურად მაპროვოცირებლამდე⁴.

ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებების ანალიზი გარკვეული კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ, დანაშაულთა მსხვერპლის კლასიფიკაციის საფუძველი შეიძლება იყოს პიროვნების სოციალურ-დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, სოციალურ-პროფესიული კუთვნილება), ზნეობრივ-ფსიქოლოგიური, - ნებელობითი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და სხვა თავისებურებები.

კრიმინოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, დანაშაულობის მსხვერპლის დახასიათებისათვის და დანაშაულობაში მისი როლის განსაზღვრისათვის წლების მანძილზე განხორციელებული ვიქტიმოლოგიური კვლევებით პიროვნული თვისებრივი მახასიათებლები გამოკვეთილია გარკვეული ქცევით გამოწვეულ სიტუაციურ ფაქტორებში, ვიქტიმური ქცევის ფორმებიდან მნიშვნელოვანია გამოვყოთ აქტიური და პასიური მაპროვოცირებელი ფორმები. აქტიური ფორმებს მიეკუთვნება - აგრესიული, აქტიური და ინიციატივიანი მსხვერპლი, ხოლო პასიურს - პასიური, არაკრიტიკული და ნეიტრალური მსხვერპლის ქცევა.

ვიქტიმური ქცევიდან გამომდინარე, მსხვერპლთა კლასიფიკაცია საჭიროა არა მხოლოდ მათ შესასწავლად, დახასიათებისა და შეფასებისათვის, არამედ მსხვერპლის თავიდან აცილების ორგანიზაციისთვის.

ვიქტიმოლოგიური პრევენცია უზრუნველყოფს ვიქტიმური ფაქტორების წარმომშობი მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების აღმოფხვრა-ნეიტრალიზაციას, სავარაუდოდ მსხვერპლის დანაშაულიდან თავის დაცვისა და დამცავი შესაძლებლობების ზომების მიღების გზით. ვიქტიმოლოგიური პრევენციისათვის მნიშვნელოვანია:

- ა) პიროვნების მომზადება კრიმინოგენურ სიტუაციებში მისაღები ოპტიმალური ქცევის გამოსავლენად;
- ბ) უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა დაცვის დონის ამაღლება, რომელთა სამსახურებრივი ფუნქციები დაკავშირებულია გარკვეული რისკის გაწვევასთან;
- გ) ვიქტიმური სიტუაციების მინიმუმამდე დაყვანა, მათი აღმოფხვრა და აღკვეთა;
- დ) დანაშაულობისაგან მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია.

⁴ ზ. წულაია, კრიმინოლოგია, თბ., 2003, გვ. 137.

ვიქტიმოლოგიური პრევენციის ამოცანაა ეგრეთწოდებული „ინვერსიულ დანაშაულთა“ თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება, სადაც ხდება დანაშაულის მსხვერპლის ქცევიდან გამომდინარე როლების გაცვლა, ჩანაცვლება „დამნაშავე - მსხვერპლის“ სავარაუდო მსხვერპლზე ზემოქმედების გზით. ხოლო, ზოგადი ხასიათის თავისებურებებია⁵:

- გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი პოზიტიური ზემოქმედების ობიექტი, დანაშაულის რეალური და სავარაუდო მსხვერპლი;
- საერთო და ინდივიდუალური ვიქტიმური პრევენციის განხორციელებაში მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობა;
- ვიქტიმოლოგიური პრევენცია ხორციელდება საფრთხის შემცველ სიტუაციათა ნეიტრალიზაციის გზით, რომლებშიც ჯერ არ წარმოჩენილან ზიანის შესაძლო მიმყენებლები, მაგრამ თუ ასეთ სიტუაციებს უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი აუცილებლად წარმოშობენ ზიანის მიმყენებლებს და სხვა.

ვიქტიმოლოგიურ პრევენციას გააჩნია ორგანიზაციული თავისებურებები, რაც დაკავშირებულია სამართალდამცავი და დაცვის სპეციალური სამსახურების თანამშრომელთა სპეციალურ პროფესიულ მომზადებასთან; ვიქტიმურად სუსტი ობიექტების აღრიცხვასთან; შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში, სპეციალური კრიმინოლოგიური, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ საქმიანობის ორგანიზაციასთან და სხვა.

ვიქტიმოლოგიურ პრევენციაში გამოყოფენ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ორ მიმართულებას, რომელთა ობიექტებია: **პირველი** - ვიქტიმური სიტუაციები, მის ყველა ეტაპზე - მომეტებული ვიქტიმური თვისებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებიდან ვიქტიმოგენურ წინაკრიმინალურამდე; **მეორე** - უშუალოდ სავარაუდო და რეალური მსხვერპლი როგორც ინდივიდუალურ, ასევე მასობრივ - ჯგუფურ დონეზე.

პირველი მიმართულების რეალიზაციის დროს ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ვიქტიმურად საშიშ სიტუაციათა აღმოფხვრისაკენ - იგულისხმება სამართალდამცავი და დაცვის სპეციალური სამსახურებში: პატრულირება, საგზაო მოძრაობის წესების დაცვა და დაცვითი დანიშნულების ტექნიკური მოწყობილობების სრულყოფა-გაუმჯობესება, განსაკუთრებული ობიექტების და უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირთა, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა, მოსახლეობასთან აქტიური თანამშრომლობა, პიროვნული დაცვისა და კოლექტიური უსაფრთხოების ამოცანათა გადაწყვეტა და სხვა.

მეორე მიმართულების რეალიზაციის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებები: სამართალდამცავ და დაცვის სპეციალური სამსახურის მომსახურეებისათვის პროფესიული სწავლება, მოსახლეობის სამოქალაქო და სამართლებრივი განათლება, ასევე სპეციალური საშუალებებით უზრუნველყოფა, სავარაუდო მსხვერპლთა პიროვნული გააქტიურება, მათ შორის გარვეული ნაწილის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სოციალური და სამედიცინო მხარდაჭერა, განსაკუთრებით ფსიქიკური გადახრის მქონე პირების და ა.შ.

⁵ თინათინ წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტი, კრიმინოლოგია, თბ., 2008, გვ.121-122.

კრიმინოლოგიაში საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე განხორციელებულმა ვიქტი-
მოლოგიურმა კვლევებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ვიქტიმოლოგიის განვი-
თარებაზე დანაშაულობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რის შედეგად მასობრივ და
ინდივიდუალურ დონეზე, არაერთი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის **სახელმწიფოსა
და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი გამოცდილება და რეკომენდაცია მოცემული:**

- ევროკავშირის რეკომენდაცია სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების
სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან განსაკუთრებით აკადემიურ წრეებთან
თანამშრომლობის მექანიზმად დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის
საქმეში მიგვაჩნია სამსახურების შიგნით და გარეთ აკადემიური წრეების, ექსპერტების
მონაწილეობით ოპერატიული და საინფორმაციო ანალიტიკური მასალის სხვადასხვა
ფორმით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევებით მიღებული შედეგებით შევსება და
ერთიანი სახით წარმოდგენა.

- ვიქტიმიზაციის პრობლემისადმი არასათანადო მიდგომას შეუძლია დამატებითი ზიანი
მიაყენოს დანაშაულის მსხვერპლს. საზოგადოების უყურადღებობა და უხეშობა
მსხვერპლისადმი ახანგრძლივებს და აძლიერებს მის წამებას, ტანჯვას და გაუსაძლისობას;

- დანაშაულის მსხვერპლის ვიქტიმიზაციის ფაქტორებისა და პირობების სისტემური
კვლევის ჩატარების მეთოდის სრულყოფა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის
მიღების ეფექტიანი საშუალებების განსაზღვრა;

- მოსახლეობის ვიქტიმიზაციის ძირითადი ტენდენციების და დანაშაულის მდგომარეობის
შესახებ არსებული მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების სისტემური განზოგადება;

- მოსახლეობის ვიქტიმიზაციის პროცესის სტაბილიზაციის, შეკავებისა და შემცირების
ხელშემწყობი კონცეპტუალური დებულებების შემუშავება, დევიქტიმიზაციაზე ორიენ-
ტირებული ღონისძიებების განსაზღვრა;

- გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებული ვიქტიმიზაციის
დინამიკაზე იმოქმედა 2013-2014 წლებში პენიტენციური დაწესებულებებიდან პირთა
მნიშვნელოვანი რაოდენობის განთავისუფლებამ, რომელთაც სასჯელი 2003-12 წლებში
დაენიშნათ. ვინაიდან თავისუფლების პირობებში ყოფილი პატიმრების უმრავლესობა
რთულ სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გაუჭირდათ საზოგადოებაში ადაპტაცია,
რაც ქმნის დანაშაულის რეციდივის საშიშროებას⁶;

- პირები, რომლებიც მენტალური გაგების ან გულგრილობის გამო, ან შურისძიების შიშით
უარს ამბობენ დამნაშავის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ხელს უწყობენ დაუსჯე-
ლობის განცდის გაჩენას კრიმინალებში და შესაბამისად, ახალი დანაშაულის პროვო-
ცირებას. დაუსჯელობის გრძნობას ასევე აძლიერებს კორუფცია და არაპროფესიონალიზმი
სახელმწიფო სტრუქტურებში, რაც დაზარალებულისათვის შესაძლებელია ფსიქოლოგიურ
მუხრუჭად იქცეს და დამნაშავის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ხელი ააღებინოს;

⁶ ე. ბესელია, ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში, თბ., 2016.

- სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობის დროს აუცილებელია მსხვერპლისადმი სათანადო გარემოს უზრუნველყოფა. მას უნდა შეექმნას პროცესზე მონაწილეობის კომფორტული პირობები, ინფორმირებული იყოს საკუთარი უფლებების შესახებ, განემარტოს მიღებული გადაწყვეტილების არსი და სამართლიანობა, ჰქონდეს უფასო დაცვის შესაძლებლობა. დაზარალებულის, მოწმის ან მათი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნით აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად დაცვის სპეციალური ღონისძიებები;

-ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის რიგ ქვეყნებსა და ჩვენთან კანონმდებლობის საფუძველზე გამოიყენება მედიაციის ინსტიტუტი, რომლის არსია დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგების შემთხვევაში სასამართლო დევნის შეწყვეტა;

-დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მართლმსაჯულების სისტემამ უნდა გაითვალისწინოს მის მიერ მსხვერპლისთვის მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის კომპენსაციის ხარისხი. კრიმინალის მხრიდან ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება, ჩადენილი უკანონობის მონაწილეობა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნის განხილვისას. ასევე უნდა დაეთანხმონ მსხვერპლის მოთხოვნას მორალური ზიანისთვის ფულადი კომპენსაციის დანიშვნის შესახებ. დამნაშავისაგან ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ხშირად მსხვერპლისათვის დამნაშავის დასჯა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზიანის ფულადი ანაზღაურება;

-ვიქტიმიზაციის პრობლემის გაღრმავებას ხშირად თავად სამართალდამცავი ორგანოები არაპროფესიონალური მიდგომით დანაშაულის გახსნის უპერსპექტივობას უწყობენ ხელს და მსხვერპლის განცხადებაზე ადეკვატურად არ რეაგირებენ, რაც განაპირობებს ლატენტური დანაშაულობის ზრდას, პოლიციისადმი მიმართვიანობის შემცირებას და სხვა;

ვიქტიმური ქცევის თავიდან აცილებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მოზარდებზე ზედამხედველობის პროგრამების არსებობას აღმზრდელით კუთხით პოზიტიური ტრადიციებისა და წესჩვეულებების გათვალისწინებით. მშობლებმა ბავშვებს ადრინდელი ასაკიდანვე უნდა აუხსნან ვიქტიმური ქცევის არსი. ოჯახი ვალდებულია უზრუნველყოს ოჯახის გარეთ მოზარდებზე კონტროლი, დაადგინოს მათი ურთიერთობის წრე, კონტაქტების ხასიათი, მოზარდებთან დაახლოებული პირების კრიმინალიზაციის დონე და სხვა;

-გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო დაწესებულებებში არასრულწლოვანების ყოფის ორგანიზება, მათი ქცევის კონტროლი, მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციების გაჩენის სიხშირის გათვალისწინება და მათი პროგნოზირება ამ დაწესებულებებში ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების საფუძველია;

- საზღვარგარეთის ქვეყნებში ლექციებს გამოყენებით ვიქტიმოლოგიაში კითხულობენ პრაქტიკულად ყველა სასწავლო დაწესებულებებში: საბავშვო ბაღებში გადიან პირველად ვიქტიმოლოგიურ ინსტრუქციებს. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება არა მარტო ვიქტიმოლოგია, არამედ ტარდება სპეციალური ტრენინგი ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების გამოყენებისთვის; მშობლებისთვის ბავშვების ზრუნვის გაძლიერების მიზნით ხორციელდება სპეციალური ტრენინგები; თანაცხოვრების, ოჯახური

ურთიერთობის და ბავშვის აღზრდის კუთხით ასევე ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში დასაქმებული პირების, მათ შორის, ბავშვის მომვლელის (ძიძის) პროფესიული განვითარებისათვის და სხვა;

- მეტწილ ქვეყნებში, სადაც აკრძალულია იარაღის შენახვა და ტარება, კანონმდებლის მიერ დაშვებულია გაზის პისტოლეტების, აეროხოლის ბალონების, სხვა დამცავი საშუალებების ტარება და გამოყენება. ხოლო სადაც არ არის აკრძალული გარკვეულ კატეგორიებზე იარაღის შენახვა-ტარება, ტარდება სპეციალური ტრენინგები მსხვერპლთა დაცვის მიზნით;

-პრაქტიკაში მიღებულია პასიური და აქტიური დაცვის კონცეფციები. პასიურ დაცვას მიაკუთვნება: ჯავშნიანი ავტომობილების და ჯავშანჭილეტების გამოყენება და დაცული სახლების აშენება; მცველის დაქირავება; და სხვა. აქტიური დაცვა გაგებულია როგორც თავდაცვა და სხვა ადამიანების მიერ განხორციელებული დაცვა - თავდასხმის აღკვეთა.

- საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში ვიქტიმოლოგებს აქტიურად უწყობენ ხელს არქიტექტორები, ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული არქიტექტორული კრიმინოლოგიური თეორიები, ანუ სივრცის თეორიები. ქალაქის, რაიონისა და დაბის პროექტირებისას არქიტექტორები ცდილობენ მინიმუმადე დაიყვანონ დახურული, ვიქტიმოგენური ადგილები, რაც მნიშვნელოვნად გააძნელებს მოქალაქეებზე თავდასხმას. შენობების განლაგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, მოსახლეობის მხრიდან, შესასვლელებსა და ფანჯრების კარგად ხედვის უზრუნველყოფა.

-ვიქტიმოლოგიური პრევენციის სახელმწიფო მხარდაჭერა შესაძლებელია მოქალაქეები-სათვის დანაშაულობის შესახებ სპეციალური ინფორმაციის მიწოდებით და მოქალაქეების დანაშაულობისაგან დამატებითი დაცვის უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამების დაფინანსებით.

-ვიქტიმოლოგიური პრევენციაში მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირება კონფლიქტის განვითარების მიზეზთა შესახებ და აგრეთვე იმ პირთა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ, რომლებსაც აქვთ მომატებული მიდრეკილება კონფლიქტისადმი.

-სახელმწიფომ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის ინიციატივებს დანაშაულობის თავიდან აცილების მიმართულებით. საზოგადოების საქმიანობის უზრუნველყოფაში ასევე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საყოველთაო ინტერნეტიზაციამ. ცხელი ხაზების 112-114 მოქმედებამ. - ყურადღებისა და შესაბამისი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი შეტყობინება დანაშაულობის შესახებ. ამ მიზნით, უნდა გაღრმავდეს სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების და საზოგადოების ურთიერთ-თანამშრომლობა;

-აუცილებელია საზოგადოებრიობის ძალთა გაერთიანება დანაშაულობათა თავიდან აცილების მიზნით. მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს მიკრორაიონების, დაბებისა და დასახლებების მცხოვრებთა, ასევე მშობელთა, ვეტერანთა და სხვა გაერთიანებები, ასოციაციები.

რომლებიც ახორციელებენ სამოქალაქო პატრულირებას, აღმზრდელობით და საინფორმაციო კამპანიებს დანაშაულობის შემცირების მიზნით;

ინდივიდუალურ დონეზე, ექსტრემალურ სიტუაციაში გამომჟღავნებულ კრიმინალურ ხელყოფისგან მოქალაქეთა დამცავი ოპტიმალურ ქცევათა გავრცელებული რეკომენდაციებია:

-საფრთხის შემცველ სიტუაციაში მოქალაქეები უფრო მეტად უნდა ენდონ საკუთარ ინტუიციას და საეჭვო პირის დანახვის შემთხვევაში საჭირო არაა გაქცევა და ნაბიჯების თანდათანობით აჩქარება, არამედ პირიქით, საჭიროა ფსიქოლოგიურად განაწყონ საკუთარი თავი გაბედული მოქმედებისთვის. შინაგანი გაბედულება და მტკიცე რწმენა მჟღავნდება გარეგნობაში, სიარულში, რაც ზოგჯერ საკმარისია იმისთვის, რომ დამანაშავემ ხელი აიღოს გადაწყვეტილებაზე;

-ადამიანები გაბედულად უნდა მოიქცნენ თავდასხმის შემთხვევაში. რადგან, უმეტეს შემთხვევაში, წინააღმდეგობა საგონებელში აგდებს თავდამსხმელს, რომელიც მიჩვეული არის შეშინებულ მსხვერპლთა ხილვას;

-იარალისა და თავდაცვის სხვა საშუალებების გამოყენების წინ დამანაშავეებზე შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ფული ან სხვა ნივთი, რაც მათ ყურადღების გადატანას იწვევს აღნიშნულ საგნებზე და კარგ საშუალებას აძლევს მსხვერპლს გამოიყენოს მოულოდნელობის ეფექტი კონტრიერიშისათვის;

-არასასურველია თავდაცვის საშუალებების (გაზის ბალონი, პისტოლეტი და სხვ.) გამოყენება, თუ პირი სათანადოდ ვერ ფლობს ან/და დარწმუნებული არაა მათ ვარგისიანობაში და ეფექტიანობაში. ამ შემთხვევაში მათი გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის თავდამსხმელთა აგრესიულობას;

-თავდაცვის ერთ-ერთ მისაღებ, მაგრამ ძნელად მისაღწევ საშუალებას წარმოადგენს თავმდასხმელთან ემოციური, გულითადი კონტაქტის დამყარება, ავადმყოფობის, ბავშვების, სხვა ემოციური პრობლემების მოხსენიებით და ა.შ.;

-თავდასხმის აღკვეთის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა შესრულდეს თავმდასხმელთა ყველა მოთხოვნა და ამასთან, უნდა მოხდეს მათი გარეგნული და სხვა დამახასიათებელი ნიშნების დამახსოვრება;

-ადამიანის კონფედერაციული და არაპროგნოზირებადი მოქმედებები ხელს უშლის ვიქტიმიზაციის პროცესს და ქმნიან ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის უსაფრთხო გარემოს;

რეკომენდაციები მიმართულია პიროვნული და როლური მსხვერპლთა შემცირებისკენ და ხელს უწყობს საზოგადოებაში ვიქტიმოგენურ სიტუაციათა ინდივიდუალურ და მასობრივ დონეზე თავიდან აცილებას.

სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ვიქტიმოლოგიური კულტურისა და აზროვნების განვითარება საშუალებას აძლევს ადამიანს დამოუკიდებლად შეიმუშაოს დანაშაულობისაგან თავის დაცვის ეფექტიანი დემოკრატიული და ჰუმანური სტრატეგია. ხოლო ვიქტიმოლოგიური პრევენცია შესაძლებლობას იძლევა არა მარტო შემცირდეს დანაშაულთა

რიცხვი, არამედ მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულობის ნეგატიური შედეგებიც.

სასურველია დანაშაულობის თავიდან აცილების პროცესში აქტიურად ჩაერთოს კვალიფიციური საზოგადოება, ახალგაზრდობა, სტუდენტები, მეცნიერები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, მართლმსაჯულების, სამართალდამცავი და დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები და ვეტერანები. ამ შემადგენლობით შესაძლებელია მსოფლიო ვიქტიმოლოგიურ საზოგადოებას შეურთდეს და დაფუძნდეს საქართველოს ვიქტიმოლოგიური საზოგადოება. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს მსოფლიო ვიქტიმოლოგიურ საზოგადოებას და აშშ-ის კრიმინოლოგიურ საზოგადოებას.

Criminological Features of Victimfull Behavior

Malkhaz Badzagua, Mikheil Badzagua

The work characterizes the criminological peculiarities of victimfull behavior and proves that it is impossible to study the offender and especially the victim without a criminological study of their behavior and conflicting relationships, which certainly affects at the decisions made by the justice.

Based on the analysis of the criminological peculiarities of victimfull behavior, the work lays the foundations for the classification of victims of crime, as well as analyzes the peculiarities and mechanisms of victim prevention.

In conclusion ther are given theoretical and practical nature individual level important recommendations for the state and society.

Key words: Victimfull Behavior, De-Victimisation, Victimological Prevention, Victimological Culture

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0114 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
 +(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge



“01” 07 2020წ.
№ 010107-340/129
თქვ. № _____

Professor, Dr. Chris Eskridge
Executive Director of American Society of Criminology (ASC)
University of Nebraska

Dear Professor,

The Second International Conference “Current issues of victimology” hold in Tbilisi, Georgia, June 26, 2020 successfully carried out. Above 30 participants from Georgian Parliament, Ministry of Foreign Affairs of Georgia, Georgian National Academy of Sciences, Georgian Academy of Criminology Sciences, Member of the World Victimology Society, Professors from 11 Georgian high level Universities, actively participated by oral presentations.

With the great interest of all participants was accepted your presentation “The role of Criminology on the Global Stage” followed by active discussion. No doubt your on line participation plaid the key role in the success of the whole conference. It is a big pity that at this particular time you could not visit Georgia. Undoubtable we keep hope to see you in Georgia at any convenient for you time.

Finally let us express many thanks for your participation with a very interesting presentation and keep hope that soon you will visit Georgia and discuss with us interesting problems of criminology.

With best regards and appreciations,

President of the Georgian Academy of
Criminology Sciences, Professor


Malkhas Badzagua

President of the Georgian National
Academy of Sciences, Professor

Giorgi Kvesitadze

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

0108 Tbilisi, Georgia
52 Rustaveli ave.
Office of The President
Tel/Fax.: (+995 32) 299 88 91
E-mail: g.kvesitadze@science.org.ge



0108 თბილისი,
რუსთაველის პროსპ. 52
ტელ/ფაქსი: (+995 32) 299 88 91;
ელ. ფოსტა: g.kvesitadze@science.org.ge

To Michael O'Connell AM APM
Secretary General of the World Society of Victimology

Dear Mr. O'Connell,

Greetings from Georgia. We would like to inform you that on June 26, 2020, the Georgian National Academy of Sciences, the Georgian Academy of Criminological Sciences and Grigol Robakidze University organized an international scientific conference "Actual Issues of Victimology" with the participation of more than 20 qualified scientists and practitioners. The participants of the conference received more than 100 recommendations important for the state and the society, including the proposal to establish a victimological society in Georgia.

Yours sincerely,

Prof. Giorgi Kvesitadze
President of the Georgian National Academy of Sciences

Prof. Malkhaz Badzagua
President of the Georgian Academy of Criminology



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა
თბილისი – 2020
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press
Tbilisi – 2020
52, Rustaveli Ave.

